ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

12

769

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ჟურნალი
საქართველოს ალკა ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

6574

12
1960

დეკემბერი

საბჭოთა მწერალთა გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“

შინაარსი

ჯ. ჩარკვიანი — დუნაის მძივი (ლექსები) . 3
ბ. ამირეჯიბი — ვზა (მოთხრობა) . . . 7
მ. ლეგანიძე — ფიქრები (ლექსები) . . 50
მ. მრევლიშვილი — ლექსები 55
თ. ჯანგულაშვილი — წეროები (ლექსი) . 57
ე. ჰემინგუეი — მშვიდობით, იარაღო! (რომანი. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ვ. ჭელიძემ) 60
ა. გლოკი — სამაგიერო (პოემა. გაგრძელება. თარგმნა ფ. ბერიძემ) 117

ჩვენი ადამიანები

ტ. ტალაგაძე — თეთრი საკაბე, ყვითელი საკაბე... 134

მოგონებანი

ნ. აგიაშვილი — ჭაბუკები დარჩნენ მარად (გაგრძელება) 138

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. სპანიძე — ფრ. ენგელსის ბრძოლა შელინგის წინააღმდეგ 138
ვ. მაჭავარიანი — მებრძოლი მგოსანი . . 143
ო. კაჭკორია — „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“ 147
ლ. გოთუა — ფრიად მომწიფებული საკითხი . 151
ბ. გორდაძე, ი. თოფურია — ძველი ქართული კულტურის საინტერესო სამედიცინო ძეგლი 154

ყოველი მხრიდან

ქრონიკა — 156

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი ვ ახტანგ ჭელიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე. გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციცეშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII-60 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 2171. უე 09122. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 6.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯანსულ ჩარკვიანი

დუნაის მძივი

ერთი პატარა ჩიტის ამბავი

სითბოში თვლემენ ქრიზანტემები
და შრიალებენ ვაშლის ხეები,
ბზეს უცინიან თეთრი ვარდები
და იცინიან ქერა ბიჭები.
ქვაფენილები სავსეა ხალხით,
ავსტრიელებით,
გერმანელებით,
საერთოდ სივრცე სავსეა სუნთქვით,
ვაშლის ხეების სუნთქვით და ფერით.
ზალცბურგში ბევრი მონასტერია
და გუმბათები მზისკენ იწევენ,
ზალცბურგში ბევრი ყვავილებია
და ეხვევიან ცისფერ ღობეებს,
მწვანე ქალაქი არის ზალცბურგი
და მცხეთისხელა არის ზალცბურგი.
როგორც მცხეთა და როგორც თბილისი,
იგიც სავსეა მზით და ჩიტებით.
და ქვაფენილზე ეცემა ბარტყი
და ყივყივებენ ხეზე ჩიტები,
მერე უხმობენ სუყველა ჩიტებს
და ყივყივებენ ერთად ყველანი.
როგორც ჩიტები ტოტიდან ტოტზე,
ქვაფენილებზე არ არის ტევა,
თითქოს აქ გაჩნდა მთელი ავსტრია
დიდი სიცოცხლის გადასარჩენად.
არის ბჭობა და არის გნიასი,
რა მოუხერხონ,
როგორ უშველონ,
რომ არ მოაკლდეს ავსტრიის ზეცას
ერთი პატარა ჩიტის გალობა.
და ვაშლის ხეზე ფრთხილად და
თრთოლვით
შესცქერ პატარა. უმწეო ბარტყი,
და შვება იგრძნეს ქვაფენილებმა,
თითქოს ქალაქმა ამოისუნთქა.
ზალცბურგში ბევრი მონასტერია
და გუმბათები მზისკენ იწევენ,
როგორც მცხეთა და როგორც
თბილისი,
იგი სავსეა მზით და ჩიტებით.

ზალცბურგი. 1960.

ემიგრანტი

ამ ყოველდღიურ ცხოვრების მიღმა,
ამ მარადმწვანე ხეების იქით
ვიღაც ემღერის ბედსა და ღობალს
და დიდი სევდით ევსება ჭიქა.
და დიდი სევდით ევსება სული
და იმტვრევიან ტოტები ფეხქვეშ,
დგება სიჩუმე შორი და სრული
და იმტვრევიან ტოტები ფეხქვეშ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვითელ ფოთლებში ჩრდილები წვანან,
წინათ რომ სული აჰქონდათ ცაში,
დადის სიჩუმე ჩუმად და წყნარად
და აყრიალებს სიჩუმეს ტანში.

ამ ყოველდღიურ ცხოვრების მიღმა,
სადაც სიჩუმე სხეულის ტყვეა,
მშვიდი ცხოვრებით არ ცხოვრობს
ვიღაც
და უხარია ტოტების მტვრევა.

და რომ არასდროს იქნება მარტო,
რომ საიდანღაც უნდა დაბრუნდეს,
რომ მაღალ მთებზე სულ მალე დათოვს,
რომ საიდანღაც უნდა დაბრუნდეს.

ამ ყოველდღიურ ცხოვრების მიღმა,
ამ მარადმწვანე ხეების იქით,
ვიღაც ემდურის ბედსა და იღბალს
და დიდი სევდით ევსება ჭიქა.

ვენა. 1960

მარია

სიმკრთალეს შენსას დაეძებს ვინ რას,
ვიდრე დროა და ვიდრე დაშრება,
აგიშენებდი ზალცაურგში ვილას,
მაღალ მიხაკებს გიფეშქაშებდი.

რასაც შექმნი და რასაც მოვასწრებ —
თეთრი ლანდივით არ მოგციდლდები,
ყველა ღმერთსა და ყველა მონასტერს
შენს მაღალ სულზე ვალოცვინებდი.

გავიღვიძებდი შენს თბილ სხეულში
და შენს თვალებში დავიძინებდი,
დუნაის ფსკერზე ნაპოვნ სტრიქონებს
სუყველას ყელზე აგიმძივებდი —

რასაც შექმნი და რასაც მოვასწრებ,
თეთრი ლანდივით არ მოგციდლდები,
ყველა ღმერთსა და ყველა მონასტერს
შენს მაღალ სულზე ვალოცვინებდი —

ყველაზე ლამაზს ვნახავდი სიტყვას,
ქვეყნის ტკივილებს შენთან დავლევდი
და საქართველოს, ასე რომ გიყვარს,
უღრო ძლიერად შეგაყვარებდი.

ზალცბურგი. 1960

ორი ხე მთაზე

თითქოს ბუხარში სიჩუმე იწვის
და ტყის შრიალში ღამე ტკაცუნობს,
ზვირთები კლდეებს ძელებივით ხრავენ,
ყბა დაუღიათ მეწყრებს და ხრამებს.
და კაცს უმზერენ როგორც კაცუნას.
რა ეშველება ამ საწყალ ხეებს,
იმსიგრძე ღამეს რას გაუძღებენ,
შიშით უმზერენ საშინელ ხეებს,
ღონიერ მკლავებს ერთმანეთს ხვევენ
და მოსულ სიკვდილს თვალში უმზერენ.
მე, კიდევ კარგი, არა ვარ მარტო,
კიდევ კარგი, რომ ჩემთან შენა ხარ.
კიდევ კარგი, რომ სიკვდილს არ
ვნატრობ,
კიდევ კარგი, რომ ავდექით ადრე
და ვერ აჩეხეს ლურჯი ვენახი.
ნუ შეაშინებთ, მაღალო მთებო,
ნუ შეაშინებ, ზვირთო მაღალო,
იქნებ სიცოცხლემ უფრო მოძებნოს
და გაუჩინოს ახალი ძმები,
რომ არ აწვალოს,
რომ არ დაღალოს,
ნუ შეაშინებთ ამ საწყალ ხეებს,
ღონიერ კუნთებს ნუ შეუშინებთ,
აძოავსებენ საშინელ ხეებს
ფოთლებითა და ხმელი ტოტებით,
მწვანე სიმშვიდეს გაუშენებენ,
ოღონდაც კუნთებს ნუ შეუშინებთ.

ზალცბურგი. 1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვენა

მე წვიმასავით მოვვარდი ქარში
და თაკ რებად მოვყევი ივნისს,
ასეთი წვიმა მოვარდა მაშინ,
როცა ეტოვებდი საყვარელ თბილისს.

მე არ ვიცოდი შენი სიმწვანე,
მაღალი ჭიქა ლუდით ივსება,
მოკვნეე ხელი და გაგიცანი
და ამიტანეს მთებზე ნისლებმა.

ვარ მოდებული, როგორც ამბავი,
და დაწურული, როგორც მტევანი,
ჩემი ლექსები, გაუკაფავი,
ასე მგონია ვენის ტყე არის.

ირწევა დიდი სიმშვიდე ლანდის,
ხელიდ ნ ხელში თასი რონინობს,
ვენის ქუჩებში მოცარტი დადის
და მთვარის შუქზე ჩანს ვიოლინო.

და მთვარის შუქი ეცემა მხრებზე
მთებსა და მთების უხილავ წვერებს,
დ ხვავილები სახლებზე. გზებზე
ლამაზ და ფერად პოემებს წერენ.

ვენა. 1960.

მთის დატოვება

მატარებელი ლიანდავს მისდევს,
მთვარეს მისდევს და გარბიან მთები,
თითქოს ჩირაღდნით გარბიან მთები,
გზებს მიიკვლევენ მთები ნისლებში.

მატარებელი ლიანდავს მისდევს
და მატარებელს ჩამორჩენ მთები,
თითქოს წავართვით მთებს ჩირაღდანი
და დიდი მთები დავტოვეთ ბნელში.

მატარებელი ლიანდავს მისდევს
და მთვარე მიაქვს სარკმლის მინებით
და მატარებლის ოხვრა და გმინვა
არის წუხილი მთის დატოვების.

ლინცი. 1960.



„ბზა“ ნახატი დ. ერისთავისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუა ამირეჯიბი

თავი პირველი

ადრე გაზაფხული იდგა.

ტაიგას აქა-იქღა შემორჩენოდა თოვლი.

დღისით მზე ალხობდა მიწას. საღამოობით ისევ მოუჭერდა ყინვა და დარანებში ჩაწრეტილ წყლებს დაყინავდა.

ყამირგზებზე თიხა და დამპალა ერთმანეთში გადაითქვიფა. მანქანებმა ღრმა კვალი გაჭრეს; ძალისძალად მიარღვევდნენ ტლაპოებს.

ბინდდებოდა. უკვე მოეთოკა და ქვად ექცია ნიადაგი ყინვას.

ნაკვალევში ავტომანქანა იდგა, გაზ-51. ირგვლივ კაცის ჯაჯანება არ იყო.

ცივი ნიავი წიწვიანს ატოკებდა, ნორჩი არყების ყლორტებს ესუსხებოდა, ტვირთზე წაფარებულ ბრეზენტს აძაგძაგებდა.

კაბინაში ქალიშვილი იწვა, ტყაპუჭი ეფარა. ბალიშად პატარა ფუთა ედო. წიგნს კითხულობდა.

ამონასუნთქი ჰაერი ჭევლებად სცემდა ნესტოებიდან და წიგნის ფურცლებზე იფანტებოდა.

შესცივდა. წიგნი გადადო. გავარჯიშება სცადა. მკლავის გაშლა ვერ მოახერხა. მაშინ ტყაპუჭი გადაიგდო, კაბინიდან ჩავიდა, დოინჯი შემოიყარა და ადგილზე სირბილს მოჰყვა.

ქალიშვილი ტანმორჩილი იყო, ხმელი და ფერმკრთალი, თავიდან ფეხებამდე სათხელამუროდ ეცვა. ზედატანს ქვეშ თეთრი სვიტრი მოუჩანდა. სწრაფად ვარჯიშობდა; სიწითლემ დაჰკრა ღაწვებზე. ტანში სასიამოვნო სითბო იგრძნო. დაიღალა და სუნთქვის დასაშოშმინებლად მანქანის გასწვრივ დაიწყო სიარული.

შეჩერდა. სივრცეს მოავლო თვალი.

ირგვლივ, სადამდეც მზერა გაუწვდებოდა, ტყით დაფარული გორაკები და მთები მოჩანდა. ტაიგას ტანში ბინდი შესდგომოდა. ნიავმა იმატა, ქარად იქცა. ქარს სუსხი, უღრანი ტყეების მქშინავი სუნთქვა და ძარაზე წაფარებული ბრეზენტის ცივი ტაში მოჰქონდა.

ქალიშვილმა გაიღიმა და თქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტაიგაში, მარტო, და არც არაფრისა მეშინია!

ხმადაბლა ჩაიცინა.

კაბინაში ავიდა.

წეგნის კითხვა სცადა. ბინდი იყო, აღარაფერი ჩანდა და თავი მიანება. ასე იჯდა, სანამ ავტომანქანის რათრათი არ შემოესმა. მიაყურა. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა და მალე საყვირის ხმაც გაიგონა, ხანგრძლივი, დაკანებული.

ქალიშვილმა კარი გააღო და საფეხურზე ჩავიდა.

მომდგარ მანქანას გახედა. კარის ხმაურმა მოაწია. ქალიშვილს შიში დაეტყო.

მძღოლი საფეხურზე იდგა და ქალიშვილს გამოჰყურებდა. ესეც გაზ-51 იყო. ასეთივე ლაფმორეული, პირთამდე დატვირთული და სიარულით მოქანცული. მძღოლი ძირს ჩამოვიდა. მანქანა შეათვალიერა, საბურავებს ფეხი დაჰკრა და ქალიშვილისაკენ გამოემართა.

ქალიშვილმა უნებლიეთ მიიხედ-მოიხედა, თითქოს მესამეს ეძებდა ვისმე. ვერავინ ნახა, და ისევ მძღოლს მიაშტერა შეშინებული თვალები.

კაცი გზადაგზა ჩიბუხს ტენიდა. ტყავის ჯუბა ეცვა. ოდნავ გადახსნილი საგულისპირედან შავი ჰალსტუხი მოუჩანდა. ტანხმელი იყო, სამუალზე მაღალი, შესახედავად ორმოციოდე წლისა.

შეჩერდა. ჩიბუხს ცეცნი მისცა და ქალიშვილს გამოხედა ისევ.

ბურღივით მზერა ჰქონდა ამ კაცს. მან ოდნავ გაიღიმა და წამოვიდა.

— სალამი! რაშია საქმე?..

— გაგიმარჯოთ! — ესროლა ქალიშვილმა ძუნწად და პატარა ხანს შემდეგ დაამატა: — დაზიანდა.

კაცმა თვალი გაარიდა ქალიშვილს. ძარას ათვალიერებდა და იღიმებოდა, თითქოს ეუხერხულებოდა, რომ მისმა მოსვლამ ქალიშვილი შეაკრთო.

ძირითად ტვირთს ზემოთ მოთავსებულ ხელბარგზე შეაჩერა თვალი. ქალიშვილს მიაკუთვნა გუნებაში.

ხელბარგის პატრონი კი ზედატანის ჯიბეში აფათურებდა ხელს, რაღაცას ეძებდა. კაცის გულითადმა კილომ და რბილმა ღიმილმა ცოტათი დაამშვიდა იგი. ახლა ქალიშვილი ჭუჭრუტანაში მომზირალი ბალღის ცნობისმოყვარეობით დასცქეროდა მძღოლს.

ნაოჭებს, თუმც ჯერ გაუბედავად, მაინც საკმაოდ დაეკვალა კაცის სახე.

— ვისია მანქანა? — იკითხა მან.

— არ ვიცი! — უპასუხა ქალიშვილმა. — მე რკინიგზიდან მოვყვები. აი! — მან ჯიბიდან ამოღებული ქაღალდი გამოუწოდა: — ბარათი დატოვა, თუ ვინმემ გამოიარაო.

მძღოლმა ქალიშვილს შეხედა, ბარათი ჩამოართვა და სანამ წაიკითხავდა, კიდევ შეეკითხა:

— თვითონ რა იქნა, მძღოლი?

— დილით ერთმა კაცმა გამოიარა. იმან თქვა. აგერ იმ ხეობაში, აქედან ოთიოდე კილომეტრზე, გეოლოგების ბანაკიაო. სწორედ ასეთი მანქანა ჰყოლიათ. წასვლა არ უნდოდა, მაგრამ აღარაფერი დაგვეწია. უკვე სამი-ოთხი საათი იქნება, რაც წავიდა. მაგაში წერია, რა გაფუჭდა. ბობინა ჰქვია.

— სად მიდის?

— მეთერთმეტე დაბაში. ორმოცდაათი კილომეტრია აქედან.

მძღოლი დაფიქრდა.

— ჰო, ეგრე იქნება. საიდან მოდის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამავწყდა. — უპასუხა ქალიშვილმა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ — ძლიერ შორს არის აქედან. ეს ტვირთი სასწრაფოა. არც აქაური გზები იცის. აქ პირველად არის.

კაცმა თავი დაიქნია და ბარათი გადაიკითხა:

„ძმობილო! გადამეწვა ბობინა. თუ გაქვს, დაუტოვე ამ ქალიშვილს: არ...“ — ეს, ეტყობა, მძღოლის სახელი იყო, ხოლო მიბღაჯნილი გვარის ამოკითხვას არც ცდილა.

მძღოლმა ქალიშვილს დაუბრუნა ქაღალდი.

— თქვენ გაქვთ ეს... ბობინა? — ჰკითხა ქალიშვილმა და ბარათი კაბინაში შეაგდო სავარძელზე.

— მაქვს. ახლავე! — მძღოლი თავისი მანქანისაკენ წავიდა.

ქალიშვილი კაბინაში შებრუნდა, კარი შეიკეტა და ფიქრს გაჰყვა. რატომღაც განწყობილება აუფორიაქა მძღოლის იერმა.

მალე ფეხის ხმაც შემოესმა.

მძღოლმა კაბინას ჩაუარა, ჯახრიდზე ავიდა, ხუფი ასწია და ძრავში ჩაიმალა.

ქალიშვილმა შუბლის მინაზე გამშვირვალე ადგილის ძებნა დაიწყო; სურდა დაენახა, თუ რას აკეთებდა მძღოლი. მინა შეჭირხლული იყო, ერთმანეთში ჩახვეული ჩუქურთმებითა და ნაყშებით დაფარული. მარტო ზევითა კუთხეში შერჩენოდა ერთი ფიორი გამშვირვალე ადგილი. ქალიშვილმა თვალი მიუმარჯვა.

ვერაფერი დაინახა; მძღოლი ძრავის ხუფს იყო ამოფარებული.

ქალიშვილი დაელოდა, იქნებ წელში გაიმართოსო. მერე კარი გააღო და ძირს ჩავიდა.

მიუახლოვდა, თითს წვერებზე შედგა. ჯერ ძრავში ჩაიხედა, მერე ჩაფიქრდა და მცირე ხნის შემდეგ ჰკითხა:

— რას აკეთებთ?

— ახალ ბობინას ვაყენებ.

— თვითონ?

— თვითონ.

— მძღოლებს არ უყვართ სხვისი ხელის ფათური თავის მანქანაში! — თქვა ქალიშვილმა ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ.

— სწორია. არ უყვართ, — დაუდასტურა კაცმა — მაგრამ სანამ თქვენი მძღოლი დაბრუნდება, ყინვა ოცდახუთამდე ავა. გაუძნელდება შიშველი ხელებით... ჯერ სითბოა.

ქალიშვილმა სადავო ვერაფერი ნახა, კაცი მართალი იყო. დაფიქრდა. მერე კაცს დაუწყო თვალიერება. ისევ ბობინაზე გადაიტანა მზერა. ფაჩიფუჩი გაიგონა. გზისპირა კედარს ახედა. რაღაცას ეძებდა თვალით, იპოვა და გაიღიმა.

კედარის ტოტი აქვე იყო, ჩამოსართმევად გამოწვდილი ხელივით ახლოს. წიწვებში ორითინა დაძვრებოდა. ხან სად გამოყოფდა გაფუმფლულ კუდს, ხან სად. მერე ღია ადგილზე გამოვიდა და მანქანას გადმოხედა.

სული აუკაწკაწა ცნობისმოყვარეობამ, მარჯვენა თვალით უყურა ადამიანებს. თითქოს მარჯვენას აღარ ენდო, ახლა მარცხენათი დახედა. ალბათ ამ ადგილიდან ცქერამ ვერ დაკმაყოფილა, მახლობელ ტოტზე ისკუპა და იქიდან გაგაძოლ თვალიერება — მარცხენა თვალით, მარჯვენა თვალით, მარცხენათი, მარჯვენათი...

ქალიშვილმა ჯერ გულიანად გაიღიმა; მერე თითქოს იწყინა, ხელი აუქნია ორითინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს არ გამოჰპარვია ეს. ყველაფერს უყურა და საქმეს დაუბრუნდა.

— თქვენ ამ მხარეში პირველად ხართ, არა? — ჰკითხა მძღოლმა.

— დიახ. თქვენ?

— მეთოთხმეტე წელიწადია. რა სპეციალობა გაქვთ?

— ექიმი ვარ. შარშან დავამთავრე... თოთხმეტი წელიწადი! — დასძინა ქალმა თავისთვის — ბევრია!

კაცმა შემოხედა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა, ჯახრიდიდან ჩამოხტა, ძრავს ხუფი დაჰხურა და თქვა:

— მზად არის. ძრავს ავამუშავებ. ესინჯოთ. —სახრახნისი და ბრტყელტუჩა ჯიბეში ჩაუშვა, ძველი ბობინა ქალიშვილს მისცა და კაბინაში ავიდა.

სტარტერი ახრიალდა. მანქანა მდოვრედ დაიძრა. ათიოდე მეტრი გაიარა. უკუსვლით ადგილზევე დაბრუნდა.

— იმუშაოს. — უთხრა მძღოლმა ქალიშვილს, როცა ძირს ჩამოვიდა.—გათბეს ცოტა. თხუთმეტი წუთის შემდეგ გამორთავთ. მოდით აქ. მე გაჩვენებთ, როგორ უნდა გამორთოთს. ახადეთ ხუფი!

ქალიშვილმა ხუფი ასწია. ორთავე ჯახრიდზე ავიდნენ.

— ამ მავთულს გათიშავთ, — უჩვენა მძღოლმა.

მათ სახეებს მტკაველი ჰყოფდა.

— თქვენ მართლა არ იცნობთ იმას? — ჰკითხა ქალიშვილმა ხმადაბლა, ეჭვით.

— ვის?

— ამ მანქანის მძღოლს.

— მართლა არ ვიცნობ. რატომ მკითხეთ?

— ისე.

— თუ გინდათ წამომყეკით, მე მიგიყვანთ მეთერთმეტე დაბამდე. — შესთავაზა მძღოლმა.

ქალმა არ უპასუხა. ჯახრიდიდან ჩახტა და დაფიქრდა. მძღოლმა ხუფი დახურა, ქალს ჩაჰყვა, ჩიბუხი გაიჩაღა პასუხის მოლოდინში.

— სიამოვნებით, მაგრამ... — თქვა ქალიშვილმა ფიქრის შემდეგ. — ღალატი გამოვა. მანქანა, ტვირთი... უპატრონოდ.

კაცმა თავი დაიქნია დასტურის ნიშნად და თავისი მანქანისკენ გასწია.

ხუთიოდ ნაბიჯი გაიარა, შეჩერდა და მობრუნდა.

— საჭმელი გაქვთ რამე? — ჰკითხა მან ქალიშვილს.

— გმადლობთ, ნუ წუხდებით, — უპასუხა ქალიშვილმა მტკიცედ.

მძღოლმა გაიღიმა, თითქოს უთხრა, რა საჭიროა მოკრძალებაო და გზა განაგრძო.

ქალიშვილმა თვალი გააყოლა, კაბინის კარი შეიკეტა და, როდესაც უკნიდან მანქანის ხმა შემოესმა, თავისთვის თქვა:

— არცკი გამომშვიდობა, რაღაცნაირი კაცია!

ძრავა მკაფიოდ თუხთუხებდა. ქალიშვილი უნებლიეთ უსმენდა, სანამ მანქანის ხმაურმა არ შეუშალა ხელი.

კაბინები ერთმანეთს გაუსწორდა და მანქანა განჩერდა.

ქალიშვილმა გვერდის მინას ხელი დაუსვა, მაგრამ ჭირხლი ვერ ჩამოაცალა. ზაშინ ჭირხლს ამონასუნთქი ჰაერით დაუწყო ბერვა. უნდოდა ჭუჭრუტანა გაეტანა და დაენახა რა ხდებოდა, რისთვის გაჩერა კაცმა მანქანა.

ამ საქმეში იყო გართული, რომ მოულოდნელად გაიღო კარი და ქალიშვილი კაცთან აღმოჩნდა პირისპირ. შეკრთა და გაცბუნდა. კაცმა ქალიშვილი-

ბიბლიოთეკა
ეროვნული

დან მინაზე გადაიტანა მზერა, თითქმის გაქრევილი ადგილი შენიშნა, მიხვდა რაშიც იყო საქმე, გაიღიმა და მოტანილი საგნები გამოუწოდა ქალიშვილს:

— აქ პურია და ძეხვის ნაჭერი. აქ — სპირტი. გამოგადგებათ.

— არა, რას ბრძანებთ! არაფრის გულისათვის! — იუარა ქალიშვილმა და, როდესაც კაცმა ხელმეორედ გამოუწოდა საჭმელი, უკანაც კი დაიხია.

მაშინ კაცმა სავრძელზე დაალაგა მოტანილი:

— ნახვამდის, გამოგადგებათ!

ქალიშვილმა სიტყვის თქმა ვერ მოასწრო, რომ მძღოლმა კარი მოკეტა. ქალი დაიბნა; უეზრად დასცქეროდა მის წინ დალაგებულ საჭმელ-სასმელს. მერე გაიღიმა. ძირიდან რაღაც ლეთონის ნაკუწი აიღო, შუბლის მინას ჭირხლი ჩამოაფხიკა და ხელი გადაუსვა.

ახლა მას კარგა მოზრდილი სათვალთვალო სარკმელი ჰქონდა და გზას გაჰყურებდა.

მანქანა მძიმედ მისდევდა ნაკვალევს.

ქალიშვილს კმაყოფილი იერი ჰქონდა. ძრავა მუშაობდა, კაბინას ათბობდა. სითბო ესიამოვნა, შეინძრა. ზამბარებმა რბილად შეუტოკეს სხეული. მიმავალი მანქანის ხმაურმა თანდათან იკლო. იმდენად იკლო, რომ ძრავის ნელი თუხთუხიც კი მოერია შორიდან მომავალ, მისუსტებულ ბგერებს და ბოლოს სავსებით დანთქა.

ცოტა ხნის შემდეგ ხმაურმა ისევ იმატა. ქალიშვილმა გაიჭვრიტა.

მანქანა უკუსვლით ბრუნდებოდა უკან, მძღოლი წელამდე გამოსულიყო კაბინიდან.

ქალიშვილი შეფიქრიანდა.

საფეხურზე ჩავიდა. მანქანას მიაჩერდა.

მანქანა შორიახლოს დაყენა მძღოლმა და ქალიშვილისაკენ წამოვიდა.

— დაბრუნდი. ერთი რამ მაქვს გამოსარკვევი. მე ჩრდილო-დასავლეთის საბადოდან ვარ. ასორმოცი კილომეტრია მეთერთმეტე დაბას იქით. ჩვენთან, ჩრდილო-დასავლეთის საბადოზე, ექიმს და მედიკამენტებს ელიან. მითხარით, სად მიდიხართ სამუშაოდ, მეთერთმეტე დაბაზე თუ ჩრდილო-დასავლეთის საბადოზე?

— ჩრდილო-დასავლეთის საბადოზე მაქვს დანიშვნა. — უპასუხა ქალიშვილმა. — მე მითხრეს, რომ ამ მანქანით მივალ მეთერთმეტე დაბამდე. იქიდან ჩრდილო-დასავლეთის საბადოს მანქანა წამიყვანს.

— კარგია, რომ დავბრუნდი. საბადო მხოლოდ ახლა არსდება. მე ვარ საბადოს ერთადერთი მძღოლი. მე უნდა წამეყვანეთ. დიდი ხნით დარჩებით მეთერთმეტე დაბაში?

— იქ ცოტაოდენი მედიკამენტებია, ადრევე გამოგზავნილი. სხვა საქმე არაფერი მაქვს.

— მე გირჩევთ წამომყვეთ. ჩემს მანქანას შეკეთება ესაჭიროება. ამას სამი დღე დასჭირდება. ამ სამ დღეში კი უგზოობა დაიწყება და მდინარეზე ყინულიც აიყრება ალბათ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩემი ჩამოსვლა ჩრდილო-დასავლეთის საბადოდან მეთერთმეტე დაბაში, კიდევ ორი კვირით გადაიდება. საბადოზე ქუნთრუშა გაჩნდა, ბავშვებს დაერია. იქ ერთი დაბნეული ექთანის მეტი არავინ არის და არც მედიკამენტებია. თუ წამოხვალთ, გათენებისას იდგილზე ვიქნებით.

ქალიშვილი გულდასმით უსმენდა. კაცს სასიამოვნო ხმა ჰქონდა და დამაჯერებელი სიტყვა, არც კი შეყოყმანებული, მტკიცედ უთხრა:

— მოვდივარ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ მანქანები გვერდი-გვერდ იდგა. მძღოლს თავისი მანქანის ძარაში გადაჰქონდა მგზავრის ბარგი.

ქალიშვილმა ფუთა, ქურქი და წიგნი წაიღო ჯიხურიდან.

— ეგ სპირტი და სუმელი მძღოლს დაუტოვეთ. გათოშილი დაბრუნდება!— ჩამოსძახა კაცმა ძარიდან.

მერე ძირს ჩამოხტა. გასათბობად ამუშავებული ძრავა გამორთო და კაბინასთან მივიდა.

— ორიოდ სიტყვას დავუტოვებ! — გასძახა მან ქალიშვილს.

ქალიშვილმა თავი დაიქნია, თავისი ბარგი შეათვალიერა და კაბინაში ავიდა.

ძრავა მუშაობდა, სასიამოვნოდ თბილოდა. ქალმა მაინც ქურქის საყელოში ჩაფლო თავი და მძღოლს თვალთვალი დაუწყო.

კაცმა ბარათი აიღო, ფრთაზე დაიდო და სუფთა მხრიდან დააწერა:

„ძმობილო არ.. ბობინა ახალი დავაყენე. მანქანა წესრიგშია. შენი მგზავრი თან მიმყავს — ჩვენს საბადოზე მოდის. ნახვამდის. დიმიტრი. ჩრდილო-დასავლეთის საბადო“.

ისევ კაბინასთან მივიდა. ნერწყვით დასველება განიზრახა ბარათისა, უკანა მხრიდან, საჭეზე დასატყეპებლად. გადმოაბრუნა, უნებლიეთ ხელმეორედ გადაიკითხა წასული მძღოლის ნაწერი და ჩაფიქრდა.

ჩაუკვირდებოდა ნაწერს, მერე საფეხურს ან ფრთას დააბჯენდა თვალს. ისევ ბარათს უბრუნდებოდა და კვლავ ფიქრობდა.

შეშფოთდა. რაღაცამ ააღელვა.

— ეს „არ“... არჩილს ხომ არ ნიშნავს? იქნებ არკადია? — ჩაიჩურჩულა მან. — ამ ქვეყანაზე არკადის მეტი რა არის! ხელი?.. ხელი რომ ძლიერ მაგონებს არჩილისას?

ქალიშვილი გრძნობდა, რომ კაცი აღელვებული იყო და რატომღაც თვითონაც გადმოეღო მისი განწყობილება.

კაცი ბარათს აღარ ჩასცქეროდა, თითებში ათამაშებდა მას და გზას გაჰყურებდა.

კარგა ხანს იდგა ასე დაფიქრებული.

მერე ბარათი პირთან მიიტანა, ენა გაუსვა, საჭეს დაატყეპა. კარი მიკეტა და თავის კაბინაში ავიდა.

ქალიშვილი გაფაციცებით შემოჰყურებდა. კაცმა იგრძნო ეს შემოხედვა. გაიღიმა და უთხრა:

— მე დიმიტრი მქვია, მიტო, თქვენ?

— მე ელენე! — ქალიშვილს გაეხარდა, რომ კაცი იღიმებოდა.

მანქანა დაიძრა.

კარგა ხანს არ ამოუღია ხმა, არც ერთს, არც მეორეს. ელენე ელოდა, რომ დიმიტრი გამოელაპარაკებოდა და საუბარი ფეხს აიდგამდა.

დიმიტრი სდუმდა.

ელენეს ეჩვენებოდა, რომ დიმიტრის გონება მანქანის მართვაში მონაწილეობას არ იღებდა, სხვა რამ საფიქრალი აწუხებდა.

გვერდულად შეჰყურებდა თვალებში. სიმშვიდის მეტი ვერაფერი ამოეკითხა. ძლიერ სურდა რიგიანად დაეთვალიერებინა მისი სახე, ეცქირა, სანამ არ მოზეზრდებოდა, მაგრამ ქალისეული მოკრძალება არ რთავდა ნებას, ერიდებოდა.

დიმიტრიმ ჩიბუხს წაუკიდა. ელენეს მოწითალო შუქი მოხვდა თვალში. იპო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვნა: კაბინის ჭერქვეშ, შუბლის მინაზე, სარკე იყო. სარკეში ჩიბუხის ლივლივა ნაკვერჩხალიც მოჩანდა და დიმიტრის პირისახეც.

ელენე გამოსახულებას მიაცქერდა. დიდხანს უმზირა, ახალი ვერაფერი ამოიკითხა და გზაზე გადაიტანა თვალი.

ნაკვალევი ოღრო-ჩოღრო იყო, ბორცვებითა და დარანებით მოფენილი.

ელენემ ახლაღა შენიშნა, რომ მიუხედავად ამისა მანქანა არ ჯაყჯაყებდა, რბილად ირწეოდა.

— თქვენ ისე მიგყავთ მანქანა, ვითომ საკუთარი ფეხით გქონდეთ მოვლილი ეს ორმოები. — წამოილაპარაკა მან.

დიმიტრი სდუმდა. ელენე უკვე აღარ მოელოდა პასუხს, მაგრამ კაცი ფიქრებიდან გამოერკვა:

— როგორ, რა თქვით?.. ჰო, ეს გზა კარგად ვიცი. ესე იგი, მძიმედ დატვირთული მანქანა ნაკლებად ჯაყჯაყებს. რესორები...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ელენე დაფიქრდა. მერე საფფული მოძებნა, სარკე ამოიღო და ჩაიხედა. თმა შეისწორა, ქუდი ოდნავ გვერდზე გადაიწია, კბილებით ტუჩები მოისრისა. ყველაფერი ეს საგანგებო გულმოდგინებით გააკეთა, ჩვეულების გამო კი არა. ერთხელ თვალებიც გააპარა დიმიტრისაკენ.

სახეზე ეტყობოდა, ნაწყენი იყო დიმიტრის უყურადღებობით.

დიმიტრის არც ეს გამოჰპარვია. იგი ნელა მობრუნდა, გაიღიმა და ისევ გზას გაყოლა მზერა.

გუბეებზე გადაკრულ ყინულს ხრიალი გაუდიოდა საბურავების ქვეშ. პირთამდე სავსე ძარა მძიმედ ბუქნაობდა რესორებზე. მანქანა ისე ადიოდა ორმოებიდან ბორცვებზე, ისე მდოვრედ ეშვებოდა ნაჯაოებში, თითქოს მღელვარე ზღვის ტალღებს მიარღვევდა ხომალდივით. ავტომანქანა ძველსა ჰგავდა, ძრავა გამოზომილად უდუგდუგებდა გრძელ მანძილებზე მორბენალის გულივით და თვალისმომჭრელი სინათლის ორი ჭავლი ბეკეებში წასული შუბებივით ერკჟო სიბნელეს.

ძრავის სახურავიდან და გზიდან არეკლილი სინათლე ოდნავ ანათებდა კაბინას. ხანგამოშვებით მოსახვევში მდგარი თეთრი არყი ისლრტდა შუქს და ათინათს ათრიალებდა შუბლის მინაზე. მაშინ კაბინაში საგნები ერთი წამით მკაფიოვდებოდნენ და ისევ ბინდ-ბუნდს იფენდნენ.

ორმოციოდე წუთის სავალიღა იქნებოდა მეთერთმეტე დაბამდე, როცა დიმიტრიმ აკვიატებული ჰანგი წამოისტვინა, მხიარული, სწრაფი. ელენემ გაიკვირვა, თითქოს უთხრა, ბარაქალა, რომ ჩუმად ყოფნისა და ფიქრის გარდა სხვა რაიმეს მოთხოვნილებაც გქონიაო.

— მეთერთმეტე დაბაში ცოტას შევისვენებთ. ვივახშმებთ. — თქვა დიმიტრიმ — იქ სასადილოა. საჩაიე. ყველაფერია... ჩაის მეტი.

— ჩრდილო-დასავლეთის საბადოზეც არის?

— საჩაიე? მალე გვექნება. სასტუმროც, სასადილოც. მოსკოვის „მეტროპოლს“ აჯობებს. იქამდე კი თვითონ მოგიხდებათ საუზმლის მზადება.

— სად ვიცხოვრებ?

— საავდმყოფოში, სანამ თქვენთვის ბინა აშენდებოდეს.

დიმიტრიმ სტვენა განაგრძო.

— ოჯახი დიდი გყავთ? — იკითხა ელენემ.

— კარგა მოზრდილი. ორნი ვართ.

— ბლომად ყოფილხართ. ცოლ-ქმარი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა. მამა-შვილი.

— ცოლი?

მსხვილად წამობარდნა. შუბლის მინაზე ვეება ფიფქები დაცვივდა. დიმიტრიმ მინის საწმენდები ჩართო.

ელენეს ეუხერხულა — გადამეტებული ცნობისმოყვარეობა ხომ არ გამოვიჩინეო.

საწმენდები ბეჯითად მიეზიდებოდნენ თოვლის ფიფქებს. ძრავის ხუფი თეთრად ქათქათებდა.

ელენეს წეღან ნანახი თრითინა მოაგონდა რატომღაც. ჯერ ოდნავი ღიმილი მოჰგვარა მისმა გაფაციცებულმა იერმა, მერე გული და კინაღამ ხელიც კი აუქნია, როგორც მაშინ.

— თრითინას უჯავრდებით? — გამოეხმაურა დიმიტრი.

ელენე გაშრა.

— თქვენ საიდან იცით?

ეს იმდენად გულუბრყვილოდ ითქვა, რომ დიმიტრის სიცილი წასკდა.

ელენე გაცბუნდა, გაწითლდა. დიმიტრი მიხედა, რომ დაცინვასავით გამოუვიდა და უმალ შეწყვიტა სიცილი.

საპურავების ხრიალი ძრავის დუგდუგს ახშობდა ხანდახან. ორივე დუმდა. თოვლი ბარდნიდა.

მანქანა დაბაში შეეიდა. საჩაიესთან დაიდგა.

დიმიტრიმ კარი გააღო და გულდასმით მიაყურა. ელენე მიხვდა, რომ მას რაღაცის გაგონება სურდა, გაირინდა, თვითონაც სმენად იქცა.

საღღაც, მოშორებით დიზელი ბუბუნებდა. საჩაიედან მიყრუებული ჟრიამული ისმოდა.

— ალბათ შევცდი. — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ და ძირს ჩავიდა.

— რა არის?

— გზაში მომეჩვენა, თითქოს რამდენიმე კილომეტრზე მანქანა მოგვდევდა. ახლა აღარაფერი ისმის. ალბათ შევცდი.

— ადვილი შესაძლებელია, მოგვდევდა კიდეც. მძღოლი მალე უნდა დაბრუნებულიყო. იქნებ ჩვენ წამოვედით და ისიც მოვიდა?

— შესაძლოა.

ბოძებზე ნათურები ციმციმებდა. პატარა მოედანს მკრთალი შუქი ეფინებოდა. დიმიტრიმ მანქანას შემოუარა, საპურავები მოსინჯა, ტვირთი შეათვალიერა.

ელენემ მოედანს მოავლო თვალი.

ორსართულიანი ძელური სახლებით იყო მოედანი გარშემორტყმული, ფანჯრები განთებული ჰქონდა. წინამორბს მესერი ერტყა. საკვამურებიდან ფთილებად სცემდა ბოლი. სახლების გასწვრივ ქვაფენილების ნაცვლად ფიცარნაგი იდო. ყველაფერი თეთრად ქათქათებდა ძელური კედლების გარდა: ამათ ბაცი ყვავისფერი დაჰკრავდა და მორებს შორის დატანებული რუხი ხავსი ხაზებს ამკაფიოებდა. ნათურების შუქზე მდოვრედ მომცვივანი ფიფქი ბრწყინავდნენ. კიაფობდნენ და ჩრდილს ეშურებოდნენ. ორმა კაცმა გადმოჭრა მოედანი. ელენეს ჩაუარეს, მანქანას შეავლეს თვალი და საჩაიეში შევიდნენ. შაგი ქურქები ეცვა ორთავეს, გულგაღეღილები იყვნენ. ერთი მათგანი ხმადაბლა ღიღინებდა.

ელენემ კაცებს თვალი გააყოლა. თან ხელჩანთის ღვედი ჩაბღუჯა ორთავე ხელით, თითქო შეეშინდა არაინ წამართვასო. დაღლილი იყო და შეფიქრიანე-

ბული, თოვლს ჩასცქეროდა. საჩაიედან ჟრიამული ისმოდა. მთვრალი მამაკაცების შეძახილები ხანდახან გარკვევით აღწევდა მის ყურამდე. უჩვეულო გარემომ გულისყური წასტაცა, ყაყან-ჟრიამულმა დანთქა მისი ყურადღება. დიმიტრის მოახლოვება ვერ შენიშნა.

— ეს ასე იცის დიდი ქალაქის შემდეგ. — თქვა დიმიტრიმ, როცა ელენეს განწყობილებას აუღო ალღო. — შევიდეთ, ვჭამოთ რამე.

— არა. რა?.. მე ძალიან მომწონს აქ. — უპასუხა ელენემ ნაჩქარევად — აქ... ცეკვავენ?

დიმიტრიმ მხარზე ხელი დაადო და პირით საჩაისაკენ მიაბრუნა.

— ხედავთ? — მიანიშნა მან კედელზე: — „კინოსურათის შემდეგ ცეკვები. უკრავს ინსტრუმენტული კვარტეტი“. ცეკვავენო? გულის წასვლამდე!

— თქვენ ალბათ კარგად ცეკვავთ, — უთხრა ელენემ.

საჩაიეს კარი გამოიღო. ხმაური კარში გამოიღვარა.

— მე? ხანდახან. ჩემი ბიჭი ცეკვავს. ღმერთივით... და ისვრის კარგად. ონადირეა... დღეს შაბათია—დასძინა დიმიტრიმ—ხალხი ქეიფობს. სვამს, დროს ატარებს, შევიდეთ... ოღონდ იცით რა?

— რა?

— ისე... თამამად მომყევით, როგორც საკუთარ სახლში შედიოდეთ, გესმით?.. შეზარხოშებული მამაკაცი კადნიერია. კადნიერება კი მოკრძალებაში სისუსტეს ხედავს. თქვენ უნდა ისწავლოთ ძლიერება. ძლიერება ისწავლება. ეს ადგილები ადამიანისაგან ძლიერებას მოითხოვს... როგორ გითხრათ... ერთი სიტყვით, სულიერ ღონეს, გასაგებია?

ელენე უსმენდა. მას ძლიერ მოსწონდა დიმიტრი... უჩვეულოს, მისთვის ახალს, მძლავრსა და კეთილს ხედავდა მასში.

— თქვენ კარგი ადამიანი ხართ. ღმერთმანი, ძალიან კარგი! — წარმოსთქვა ელენემ. ეს უფრო ხმამაღლა ფიქრს წაგავდა, ვიდრე მიმართვას.

— ხომ არ სცდებით?

— როგორ?

— მე უკეთ ვიცნობ ჩემს თავს. ბევრი სცდება. უბრალოდ, ჩემი გარეგნობა იწვევს კეთილგანწყობილებას თქვენში, ადამიანებში. იცით, ხშირად ვფიქრობ, რომ დავდივარ ქვეყანაზე და ხალხს ვატყუებ.

— ეგ როგორ?

— ისეთი არა ვარ, როგორიც ვგონივარ, უარესი ვარ. გაცილებით. მე უფრო ვიცი ჩემი თავისა. ზოგი პირიქით არის... მომეცით აქ! — დიმიტრიმ ელენეს ჩანთა ჩამოართვა. — თამამად, გესმით?

— მესმის, — დაუდასტურა ელენემ ყოყმანით. დიმიტრიმ ეს ყოყმანი ავკარგობის შესახებ გამოთქმულ აზრს მიაწერა.

ელენემ ქუდი მოიგვერდულა, ქურქი გაიღეღა.

დიმიტრიმ კარს მოსწია, ელენე შეუშვა და თვითონაც შეჰყვა. ჟრიამული ფაფარაყრილი ზვირთივით ეძგერა ორთავეს. ზურგსუკან ზამბარიანმა კარმა გაიღო ჩახანი.

დიმიტრიმ დარბაზს მოავლო თვალი თავისუფალი მაგიდის საპოვნელად. ელენემ უნებლიეთ დაიხია, დიმიტრის ზურგს ამოეფარა და შემკრთალი მზერა მიაპყრო დარბაზს.

ჭერში ჩამოკიდებული შუქფარებიდან მოწითალო სინათლე სცემდა. შუქფარების ქვემოთ თამბაქოს კვამლი ლივლივებდა ცისფერ და ნაცრისფერ ფენებად. დარბაზის ბოლოში, დახლთან, ფერადი ბოთლებით აჩონჩხილი თაროების

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ტანხმელი ქალი საქმიანობდა. მაგიდების უმრავლესობას ხალხი უჯდა. ხმაურმა დაიწია. ხმადაბალ ზუზუნად იქცა. ელენეს და დიმიტრის რამდენიმე ათეული წყვილი თვალი შემოაცქერდა.

— აგერ, კედელთან თავისუფალი მაგიდა! — თქვა დიმიტრიმ და ელენეს გადმოხედა მხრისზემოდან: — თამამად, ამხანაგო, თამამად! — დასძინა მან ხუმრობით. — წინ, მედგრად!

ელენემ პირნათლად აასრულა ბრძანება: ნაძალადევად გაიღიმა, შინაგანი აღრევის დაძლევა განიზრახა, მაგრამ ვერ აჯობა თავისთავს და სასაცილო რიხით მიპყვა თავისუფალი მაგიდისაკენ დიმიტრის, თუმცა ამ წუთში უდავოდ არ გაეგებოდა, სად იყო ეს მაგიდა.

ვიღაც ახალგაზრდა კაცი წამოდგა ზეზე, წაშოსხმული ქურქი სკამის სახურგეზე მიაგდო მხრების აქნევით, ხორბლისფერ ქოჩორზე ხელი აიკრა და ხმამაღლა დაიყვირა:

— ენამყრალ ამხანაგებს ეხება! — წითელი ჰალსტუხი შეისწორა, დაელოდა, სანამ ზუზუნი მინელდებოდა და დასძინა: — დარბაზში ქალიშვილია, ლანძღვას მოუკელით!

— მე, როგორ, თქვენის აზრით, ქალი არა ვარ? სპილო ვარ? — დაიძახა ტანხმელმა მებუფეტემ დახლიდან — შეწყვიტეთ ახლავე თამბაქოს წევა! გაგყრით ყველას, ახლავე დაკეტავ!

ამას არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. დარბაზში კვლავინდებურად ჟრიამულმა იფეთქა.

— კეტით დაგერევით, როცა იქნება, დამაცადეთ! — ბურტყუნებდა ტანხმელი მებუფეტე და საინებს ამშრალებდა გაშმაგებით.

გზადაგზა ორი შეერთებული მაგიდიდან ხალხი წამოიშალა და დიმიტრის შეეგება.

— სალამი მტვირთავებს! — მიესალმა დიმიტრი.

ყველამ სათითაოდ ჩამოართვა ხელი მასაც და ელენესაც. ყველამ თავისი გვარი და სახელი თქვა, ზოგმა მეტსახელიც. ყველას ხეშეში, ნაჯაფეები ხელები ჰქონდა, ყველა გულღიად იღიმებოდა. ელენეს თითქოს ნისლმა გაუბანგა გონება. მას ყველაფერი ესმოდა, ხედავდა, იღიმებოდა კიდეც, მაგრამ საპასუხო სალამს ისე აძლევდა, თითქოს სიზმარში იყო.

ელენე გულდასმით დაკვირდა სახეებს, სმენა დაძაბა.

ამ ხალხს ხაისფერი ბრეზენტის ქურთაკები ეცვა. ერთი მათგანი ძლიერ ტანზორაბა კაცი იყო. მეორეს თავზე ლომის ფაფარი ედო, ოღონდ წაბლისფერი. მესამეს შავი ატლასით ჰქონდა ახვეული რომელიღაც თვალი. მეოთხეს...

— გზები?

— რას ეკითხები, არ იცი?

— გახსოვს, სარტუკანის გზები!?

— ... სისულელეა.

— შენ სარტუკანელი ექიმი ქალიც აქამდე გახსოვს? — ეს დიმიტრის ხმა იყო. ამაზე ცალთვალახვეულმა შუბლი შეკრა.

— ექიმი, აბა რა გითხრა, მაგრამ სილაქი ახსოვს.

ამას ხარხარი მოჰყვა, ბოხი, როყიო, მრავალხმოვანი.

— ვერა, ძმაო, მთელი ღამე... გზა მაქვს, ვერ დაგეწევით, ვერ დავლევ! — უთხრა დიმიტრიმ ვიღაცას.

შემდგომ მაგიდასთან იგივე განმეორდა; აქ ტრაქტორისტები ისხდნენ. ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუჯული სახეები ჰქონდათ, ზეთით გაპოხილი ხიფთანები და ჭვარტლგამ-ჯდარი ხელები.

სულ სალამით იარეს, სანამ მაგიდას მიაწვედნენ.

დასხდნენ და ოფიციანტი ქალიც აქვე გაჩნდა.

— ქალო, რამდენი უნდა ვიცადო! — შეეფდა დიმიტრი.

ოფიციანტმა გაკვირვებით შეხედა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ დიმი-ტრიმ აღარ დაიცადა:

— ჩამოხვედი, დამპირდი, უახლოეს ხუთ წელიწადში ექვს შვილს მოგანათ-ვლინებო, ორი წელიწადია, ერთი მაინც გაიჩინე!

ქალმა გაიცინა.

— ექვსივეს ერთად. მსოფლიო რეკორდი, „ციმბირის ტყუპები"... კარგად ჟღერს, არა?.. რას მიირთმევთ?

— დაიქანცეთ? — გამოელაპარაკა ელენეს დიმიტრი, სანამ ოფიციანტი წეკვეთას იწერდა და ანგარიშობდა. — გზა, უუმელობა, სიცივე. არაფერია! ვივახშმოთ და წავიდეთ. მდინარემდე ოცი ოდე კილომეტრია. იქ, ყინულზე, მან-ქანა რბილად იცლის. სამადამდე კარგად გამოიძინებთ.

— მარილაც ძალიან მეძინება. თავიც მიბაკუნს, — ელენემ მაგიდებს გა-ხედა. თვალებს აცეცებდა, ყველაფრის დანახვა სურდა ერთდროულად. ცნობის-მოყვარეობამ სძლია დაღლილობასა და დაბნეულობას.

ცოტა ხნის შემდეგ სიმშვიდეც კი იგრძნო. რაღაც დაცხრა მასში.

ახალგაზრდა კაცს, რომელმაც „ენამყრალ ამბანაგებს" მიმართა, გიტარა ეჭირა და ხმადაბლა მღეროდა:

„... ახლო მაინც
გადმოსახლდი, გიწვდებოდეს შარა,
ყოველ კვირას
მოვალ შენთან, ყოველ კვირას გნახავ..."

— ე, შენ, სტილიაგავ! — მოისმა ერთ-ერთი მაგიდიდან. — რა გატირებს!? მარსელიეზა იმღერე! მარსელიეზა მინდა!

კაცი ტანმორჩილი იყო. ვეება, რქისვარაყიანი სათვალე ეკეთა, მელოტი თავი საგანგებოდ დაქლესილივით უბრწყინავდა.

მომღერალი კი იღიმებოდა და განაგრძობდა:

„... თორემ სანამ
გამოვიყვანთ გზას შენამდე, მანამ..."

რა ჰქონდა ამ ახალგაზრდას სტილიაგური? გახუნებული, წითელი ჰალ-სტუხი? ელვიანი ტყავის ჯუბა?

— შნიცელს მიირთმევთ? — შეეკითხა ელენეს ოფიციანტი.

— სიამოვნებით. ყველაფერს, ძალიან მში..., — უპასუხა მან.

— როგორ?.. — დაიყვირა მეზობელ მაგიდაზე ოცდახუთიოდე წლის კაცმა. — ეტყუვიარ? არა. მართალს ვამბობ, სტეფანემ თქვას! თუ ლაფეტზე ათ კუბომეტრზე ნაკლებია, ადგილიდან არ დაეიძვრები! ეს კტ-12-ა, გესმის, კტ-12. ეეეხ! — მან ტყავის თათმანი დაჰკრა მაგიდას.

ბოთლები და ჭიქები ახტნენ და ისევ ადგილზე დაეშვნენ ბზრიალითა და ტოკვით.

მებუფეტეს დახლზე დასტებად დაელაგებინა ნავაჭრი ფული. ითვლიდა. დროგამოშვებით საანგარიშოზე დაატარებდა თითებს.

სადღაც გულიანად გადაიხარხარეს. ელენემ ის მაგიდა იპოვნა და თვითონაც გაიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი ოთხნი იყვნენ. ერთი რაღაცას ყვებოდა, სხვები იცინოდნენ.

მათ ზემოთ კედელზე პეროვის „სამი მონადირის“ ასლი ეკიდა.

ელენემ საერთო იპოვნა სურათსა და მცირენარ კაცებს შორის. სიცილი ვეღარ შეიმაგრა.

— არაყი დავლიოთ? — შეეკითხა დიმიტრი. — თითო, რას იტყვით?

— დავლიოთ, ჯანი გავარდეს! — ელენე უკვე ნამდვილად თამამი, დარდიმანდი იყო. დიმიტრიც გაამხიარულა მისმა განწყობილებამ.

— ფერადი ლითონები? — დავობდა ვიღაც. — არის, დამიჯერე, აქ დავბერდი!

ოფიციანტი სწრაფად დაბრუნდა და საშველ-სასმელი გადმოალაგა.

ორთავენი დამშეულები იყვნენ და ჭამას მადიანად შეუდგნენ.

თითო ლუკმა ჩაყლაპეს. დიმიტრიმ არაყი დაასხა. ჭიქები მიაჭახუნეს და გადაკრეს: დიმიტრიმ ერთი ყლუპით გამოცალა ჭიქა, ელენემ მანკვით მოწრუპა. მერე ისევ საშველს მიჰყვეს ხელი.

— უკვე! უკვე ჩავწერე! — ამბობდა ლომისფაფარიანი მტვირთავი. — რას ერტყვიან ჩემი შვილიშვილის შვილიშვილები? იცით, რას იტყვიან? იტყვიან, რომ მათი პირდაპირი წინაპარი, ესე იგი მე... აი, ამ ხელებით...—მან ხელები გაშალა და ამაყად დაიხედა: დაკოჟრებული, მაგარი ხელები ჰქონდა. — ... აქ მხოლოდ ტაიგა იყო და ჭაობი. ასე! პირველმოსახლე ვარ! — დაიყვირა მან.

— პირველმოსახლე? — შეედავა ცალთვალახვეული მოსაუბრე. — შენმა თავის გახეთქამ, შენც რაღა ეროფეი პავლოვიჩ ხაბაროვი ხარ!..

— ვარ! — უპასუხა ლომისფაფარიანმა. — შენცა ხარ, ოღონდ შენ გამოტვინებული ხარ.

ელენე დაფიქრდა. აზრს ვერ მიუხვდა ლომისფაფარიანს.

— რაზე ლაპარაკობენ? — ჰკითხა მან დიმიტრის და მტვირთავებზე მიანიშნა.

დიმიტრიმ ყური მიუგდო:

— რა ჩაწერა, სად ჩაწერა? — იკითხა ისევ ელენემ.

— საგვარეულო დავთარში! აქ ზოგმა პირველმოსახლემ დავთარი დაარსა. შიგ თავისი მოკლე ბიოგრაფია შეაქვთ და თანამედროვეობის ღირსშესანიშნავი მოვლენები; ასევე მოიქცევიან შვილები, შვილიშვილები. ეს თავისებური მატიანეა.

— საინტერესოა! — ჩაუთრთო ელენემ.

— მე წავალ, ელენე, თქვენს მედიკამენტებს მოვძებნი. მალე მოვალ.

დიმიტრი ადგა, ქუდი დაიხურა და წავიდა. ელენემ ისევ მტვირთავებს მიაყურა.

— მომავალში აქ ქალაქი იქნება. დიდი ქალაქი. იქნებ რომელიმე ჩვენგანის სახელიც კი ერქვას, რა იცი? — ეჩიჩინებოდა ლომისფაფარიანი ცალთვალახვეულს. — მიდის კაცი ქუჩაში, ქვაფენილზე და ამ კაცმა იცის, რომ მისი პირდაპირი წინაპარი... ასი, სამასი წლის წინ, ყინვაში, აი, ამ ხელებით... გესმის? ის კაცი ძალან ღონიერი იქნება, ძალიან ღონიერი! სულელი ხარ, არაფერი არ გაგეგება. დავლიოთ ჩვენი შვილიშვილების შვილიშვილებისა! დამავიწყდა რა ჰქვია ამას?..

— შთამომავალი.

— ჰო, შთამომავალი. იმ მაგარი, ღონიერი შთამომავალისა დავლიოთ!

ელენემ ვიღაცის დაკონებული მზერა იგრძნო.

ცალთვალახვეული შემოსცქეროდა. ისე დაეძაბა და გაემახვილებინა თაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისფერი გუგა, რომ მეორე თვალზე აკრულ შავ ატლასსაც კი ჰქონდა რაღაც გამომეტყველება.

ელენემ უმალ აარიდა თვალი. დარბაზს გახედა, მაგრამ დაკონებულ მზერას გრძნობდა. მას აძრწუნებდა ეს მზერა. თავს ძალა დაატანა, შორიახლოს მსხდარი ახალგაზრდების საუბარს მიაყურა.

— ცოლი მაშინ, როცა ოცდაათ წელს გადავბიჯებ.

— იქამდე?..

— მარტოხელა კაცის ჭირიმე.

— დღისით მუშაობა, საღამოთი მეგობრები, ღამე სიყვარული!

— ასე ცოტას არავინ დაგჯერდება. მხოლოდ ღამე?

— მეტი წაიღოს, თუკი შეიძლებს.

ჭრიამულმა იმძლავრა და ახალგაზრდების საუბარი ჩაყურუა. ელენემ ვეღარაფერი გაიგონა, ისევ ის დაკონებული მზერა იგრძნო და უნებლიეთ იქით გახედა.

ცალთვალახვეული კვლავ ჯადონაკრავივით მოსჩერებოდა.

ელენეს თვალებში უკმაყოფილებამ იელვა. ჯერ მიაცქერდა, თითქოს გაუჯავრდა — რას ჩამომეკიდეო, მერე ისევ დარბაზში გადაიტანა მზერა.

ცალთვალახვეულმა კიდევ უკირკიტა ელენეს, ადგა და მისი მაგიდისაკენ გამოსწია.

— რას ელოდებით, ექიმო? — ჰკითხა მან ელენეს, სკამი მოიმარჯვა და მაგიდას მიუჯდა.

— გამგზავრებას, — მიუგო ელენემ გულგრილად.

— ცუდ დროს ჩამოხვედით. აქ ზაფხული კარგია. ტბა გვაქვს აქ. იცით, დიდი ტბა. თევზი! ზაფხული იყვეს, უეჭველად გაგასეირნებდით მოტორიანი ნავით. სითბო, მთვარე... ოჰ, როგორი მთვარე!.. ამ მაგიდისტოლა.

ელენეს არ მოეწონა ეს კაცი, არც მისი მოსვლა, არც ლაპარაკი, არც ამპარტაანული ღიმილი. შეზარხოშებულს ენა ეჩლირთებოდა, აბდაუბდას ლაყბობდა.

კაცმა მსუნაგი, აღვირახსნილი მზერა სჭიდა ელენეს.

ელენე ურცხვმა მზერამ გააწითლა.

— თქვენ ისე შემომყურებთ, თითქოს... მე არ მინდა! რა გინდათ აქ?

— მინდა გიყურო, გოგონავ, გიყურო!..

— მე არ მინდა მიყურო! — მოუჭრა ელენემ და განზე გაიხედა.

კაცს კადნიერი იერი ჰქონდა, აკეყიად იღიმებოდა.

— კატა მეფეს შეხედავს — მე შენ შემოგხედე. ბრაზობ, საყვარელო?

— წადი, ძმობილო, გამოიძინე. — უთხრა ელენემ.

ცალთვალა განრისხდა. იუკადრისა ასეთი მიმართვა. თვალებში ბოღმამ დაუარა. სიტყვაში ღვარძლი გაუჯდა.

— სიბრიყვეა, მაშ რა არის?!. სულ ერთნაირები ხართ ქალები. კაცი შემოგხედავთ, თვალს წყალი დაალევინოს... არც აციებთ, არც აცხელებთ, ცოლად გინდათ შეაჩეროთ თავი. იქნებ მე არ მინდა, ჰა? იქნებ არ მინდა?

ელენემ დაინახა, რომ კაცი დაუკრეფაში გადავიდა. არ გაბრაზებულა. პირიქით გაამხიარულა მისმა სირეგვნემ.

— ნეტავი მე! — თქვა მან და გულიანად გაიცინა.

— რას იღრიჭები! — კაცმა ხმას აუწია — ქალაჩუნა არ ეგონო. მე მამაკაცი ვარ! გინდა ახლავე გადაგკოცნო..

ცალთვალახვეული ადგა და თავზე წაადგა ელენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობელ მაგიდებთან ყურები სცქვიტეს.

ცალთვალას ისევ მსუნაგი ღიმილი აუთამაშდა სახეზე, თვალში ლამის ალი გაუჩნდა. ელენე დაიბნა, შიშით ამოჰყურებდა ატრუებულ მამაკაცს. ცალთვალა დაიხარა, დათვივით შემოჰხვია მკლავები და კოცნა დაუპირა. ელენე ფეხზე წამოდგა და რაც ძალა ჰქონდა, ხელი ჰკრა. კაცი მეზობელ მაგიდას მიაწყდა, ცოტას გადარჩა, კინაღამ ზღართანი გაიღო იატაკზე, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— სულერთია, გაკოცებ! — თქვა მან და ელენესაკენ დაიძრა ისევ.

მაგიდიდან მკლავში ხელი სტაცეს. დაუძვრა, არც მიუხედია უკან, გზა განაგრძო. ელენემ უნებლიეთ დაიხია და ლასტიკით აეკრა კედელს. კარის ჩახანი მოისმა. ქალმა ხმაურზე გაიხედა. მის სახეზე სიხარულმა იფეთქა.

დიმიტრი აუჩქარებლად, მშვიდად მოდიოდა, პირში ჩიბუხით, ცნობისმოყვარედ იღიმებოდა.

დიმიტრის იერმა უმალ დაამშვიდა ელენე. ახლა მას სჯეროდა, რომ საფრთხე თავიდან აცილებული იყო.

— შენ, ე, მუსუსო! — გაისმა საიდანღაც მძლავრი, ბოხი ხმა.—ფრთხილად, სანამ დამიზელიხარ! გაიგონე?

ცალთვალა მკვეთრად მიბრუნდა და დარბაზს შებღვირა. იგი ამ ხმის პატრონს დაეძებდა.

— მე ვიყავი, მე! — დაიძახა იმავე ბოხმა ხმამ, მაგიდას მოშორდა. შუქფარის ქვეშ დადგა სინათლეზე და დასძინა: — მოეშვი მაგ ადამიანს და გაეთრიე აქედან, სანამ დამიზელიხარ! — კაცს ვეებერთელა ლურჯი ყელსახვევი ეკეთა. ბეჭებზე გადაგდებული ბოლოებით.

ცალთვალამ ჩაიხითხითა და მისკენ დაიძრა, მაგრამ დიმიტრის შეეთვალა და შეჩერდა.

— რა მოხდა, გაწყენინა ვინმემ? — ჰკითხა დიმიტრიმ.

ცალთვალამ მზერა მიაცილა მას. დრო დასჭირდა, სანამ შეკითხვას მიხვედებოდა. მერე მეხსიერებაში პასუხს დაუწყო ძებნა.

— ჰა? ჰო, ვიღაცამ მითხრა, რა მიფხრა?.. — ისევ ელენე გაახსენდა, მისკენ მიტრიალდა და ჩაისისინა: — აი, ამ კახპამ...

— აბა! ზედმეტს ნუ იჭარტალებ! — შეაწყვეტინა დიმიტრიმ მკვახედ. ხმაში გაფრთხილება და მუქარა იყო.

ელენე კედელს მოსცილდა, ცალთვალას პირისპირ დაუდგა და ბოღმით ამოიოხვრა:

— რა თქვი, მაწანწალავ? — თვალებში სისხლმა აასხა. გამომეტყველება დაეძაბა. იმდენად მძაფრი, მრისხანე იერი დადო, რომ დიმიტრიც კი განცვიფრდა და ცალთვალამ ხომ უნებლიეთ უკან დაიხია ორიოდ ნაბიჯით. მაშინ ელენემაც გადადგა ნაბიჯი და მოულოდნელად სილა გააწნა ცალთვალას.

ტკაცუნმა ჟრუანტელივით დაუარა მიყუჩებულ დარბაზს და ჟრიამული წამოაგდო.

— სარტუკანშიც სწორედ ასე იყო!

— ხელფასი გამოუწერა, ხა, ხა, ხა�ა!

— ექიმების მუსუსია, ღმერთმანი!

— ერთიც, შენი ჭირიმე, ექიმო, ერთიც!

დარბაზში ერთი ხორხოც-ხარხარი ატყდა.

შემოსასვლელი კარის ზამბარამ დაიჭრიალა.

ზღურბლზე ვეება ტანის, ფაფახიანი კაცი გადმოვიდა. ხელები შავი ქურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქის ჯიბეებში ელაგა. შემთხვევის ადგილს გამოხედა. მერე დარბაზი მოათვალიერა.

პატარა, შეშალარავებული ულვაში ჰქონდა და დიდრონნი, შავი თვალები.

— ვინ არ ის აქ მტვირთავების ბრიგადირი!? — დაიძახა მან.

განაცვიარი, ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა. ვერავის ვერაფერი გააგონა ამ ხმაურში. არავის მიუხედია მისკენ.

ფაფახიანმა პასუხი რომ ვერ მიიღო, თვალი ისევ აყალ-მაყალზე შეაჩერა.

ელენემ თვალები დაუბრიალა ცალთვალას და თავის სკამზე დაჯდა. დიმიტრი გვერდით იდგა იმ განზრახვით, რომ ცალთვალა შეეკავებინა, თუკი გაანჩხლებოდა და ელენეზე გაიწვედა.

ცალთვალამ არავისზე არ გაიწია. ნასილაქარზე მოისვა ხელი და ფხიზელი ადამიანის სიმშვიდით მიმართა ელენეს:

— აი, ამ კაცმა, — მან დიმიტრიზე მიუთითა, — ათი წლის წინათ მასწავლა. ათი? — ჰკითხა მან დიმიტრის და თვითვე დაადასტურა — სწორია, ათი წლის წინათ!. ქალს არასოდეს არ სცემოო, გესმის? ნუ გეშინია, თოჯინავ, მე შენ ხელს არ გახლებ. გამარტყეს. მეც ხომ უნდა გავარტყა? მე ვიღაც გავარტყა?..

მან ხელი მოიქნია და დიმიტრის სტკიცა. დიმიტრი არ მოელოდა, გაშრა.

დარბაზი მყისვე გაინაბა. მოულოდნელობამ წამით ყველა ჩააჩუმა.

ფაფახიანი ისევ კარებთან იდგა, იგი განსაკუთრებული ყურადღებით მისჩერებოდა შემთხვევის ადგილს. სკამების რახირუხი მისწვდა მის ყურთასმენას. მან დარბაზს შემოურბინა თვალებით.

აღშფოთებულმა მამაკაცებმა წამოიწიეს რამდენიმე მაგიდიდან.

— დაასახიჩრებენ, ფეხით ჩაქოლავენ ამ უბედურს, ვიღაცაა! — დაასკვნა ფაფახიანმა ხმამაღლა.—რითიმე უნდა შეაჩეროს კაცმა ეს ხალხი...—იგი დაფიქრდა და დაიყვირა: — ამხანაგებო! — ხმამ უღალატა, მიუწყდა, ყვირილის ნაცვლად ხვხვი გამოუვიდა.

თითო-ოროლამ მოიხედა, ღირსშესანიშნავი ვერაფერი დაინახა და კვლავ შემთხვევაზე გადაიტანა თვალი.

— ქალმა გამარტყა! — თქვა ცალთვალამ, თითქოს თავს იმართლებდა: — მეც ხომ არ გავარტყამ ქალს?.. შენთან არის, შენთან ერთად... შენ გაგარტყი. ერა, მეც ხომ უნდა გამერტყა ვინმესთვის, რახან... ვინ? შენ, შენთან ერთად არის...

— მე ჯერ ის გასწავლე, რომ ჯობს დამნაშავეს აპატიო, ვიდრე უდანაშაულო დასაჯო! წადი ახლავე აქედან. გამოიძინე. ფხიზელს ნუახვ, მოგელაპარაკები, ლაწირაკო! — გაუცრა დიმიტრიმ, გზიდან ჩამოიშორა და თავის სკამზე დაჯდა.

ელენე ჯერაც ვერ დამშვიდებულიყო. სახე ალეწილი ჰქონდა, ხელში საშარილეს ათამაშებდა. დიმიტრის შესაქცეროდ დამნაშავე ბავშვივით.

— დიმიტრი, მაპატიეთ! — თქვა ელენემ. ისე გამოვიდა, ჩემი სილა თქვენ მოგხვდათ.

დიმიტრიმ გაიღიმა, არაფერიაო.

დარბაზი ახმაურდა.

— ხედავ, რა ქნა?

— გაადგეთ აქედან!

— წაარტყი მაგ მამაძაღლს, რას დაჯექი!? — მოისმა აქეთ-იქიდან.

— ახლა ნახე შენი საცოდაობა! — თქვა შალის ყელსახვევიანმა კაცმა და ცალთვალასაკენ წამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცები თითქმის ყველანი წამოიშალნენ.

ფაფახიანი კაცი კვლავ დარბაზს თვალიერებდა, სურდა როგორმე შეეჩერებინა ეს ამდენი აღგზნებული, გულმოსული მამაკაცი, მაგრამ ამ ღრიანცელში თავისი ჩახლეჩილი ხმით რას გახდებოდა... ანდა ვინ დაემორჩილებოდა.

„სტილიაგამაც“ მიაყუდა თავისი გიტარა და ცალთვალასაკენ გაემართა.

ფაფახიანმა მიიხედ-მოიხედა, რაღაცაზე შეაჩერა თვალი.

კედელთან, იქვე, ოფიციანტის მაგიდა იყო მიდგმული.

მაგიდაზე ᲭᲣᲠᲩᲔᲚᲘ ელავდა და ოცოიდე ცარიელი ბოთლი.

ფაფახიანს აღარ დაუყოვნებია, ამ მაგიდას ეცა, ბოთლებს მკლავები დაეხვია, აიტაცა და ღუმელის წინ დაგებულ ბეტონის ფილაზე დაანარცხა მთელი ძალღონით მკლავებში ჩაბღუᲯᲣᲚᲘ ბოთლები. დარბაზს ბოთლების მსხვრევის შყიფე ხმა მოედო და უმალ ჩაეკრო ღრიანცელი.

მთელი დარბაზი, უკლებლივ ყველა, ფაფახიანისაკენ შემობრუნდა და გაირინდა. მამისაფარიანმა საქციელმა თითქოს ენა მოჭკვეთა ყველას, აზროვნების უნარი წაჰგვარა, დაამუხრუჭა. საჩაიე წუთიერმა დაბნეულობამ აიტაცა.

ფაფახიანი შუქფარის ქვეშ დადგა და მშვიდად თქვა:

— მტვირთავების ბრიგადირი რომელი ხართ?

ლომისფაფარიანმა უნებლიეთ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი.

— მეოთხე საწყობთან მანქანა დგას სასწრაფო ტვირთით. დასაცლელია-მეჩქარება! — აუწყა ფაფახიანმა ლომისფაფარიანს.

ადამიანებს თითქოს ცივი წყლით სავსე სათლები დაეცალეს თავზე. ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, როგორიც ამ საჩაიეს არასოდეს მოსწრებია დღიდან დაარსებისა.

დიმიტრიმ მხარუკუღმა გადმოხედა ფაფახიანს და გაირინდა. სახეზე ფითრმა დაჭკრა. უმალვე მოსწყვიტა თვალი, ზურგი შეუქცია.

დაფიქრდა, კიდევ მიხედა და ჩაქინდრა თავი.

მებუფეტემ კაპასი თვალი ჭკერ ფაფახიანს, მერე ცალთვალას: შენ რომ არა, ხომ ამდენი ბოთლიც არ დაილწეებოდაო! ფულები ᲣᲯᲠᲐᲨᲘ ჩაბეტა გამალებით, დახლის კრიჭა ასწია და სირბილით გამოემართა ცალთვალასაკენ.

მისი ფეხსაცმლის ბაკაბუკი შეიჭრა სიჩუმეში.

მან კისერში სტაცა ხელი ცალთვალას და კიწოსკვრით გაიგდო კარისაკენ.

— აბა, გაიცურცლე აქედან, შე მამაძაღლო, შენა! აქ აღარ დაგინახო! ერთი შემოსულხარ, ისეთ დღეს დაგაყრი, ნაწილებად დაგშლი, ინკინერმა ვეღარ აგაწყოს, შე მაწანწალავ, ლოთო, გარეწარო, ჩხუბის თავო, ᲭᲐᲝᲑᲘᲡ ᲥᲐᲯᲝ!.. — უთათხანებდა მებუფეტე და კარისაკენ მიარბენინებდა ცალთვალას. ის კი ერავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა, საბრალოდ მობუზულიყო და კარისაკენ მიძუნძულებდა უხმოდ, მორჩილად, უნებლიეთ.

მებუფეტემ თავისი ტყეე ფაფახიანის გვერდით ჩაარბენინა და ᲢᲣᲥᲡᲕᲐᲢᲣᲥᲡᲘᲗ გაუძახა კარებში. გაძევებულს სიცილ-ხარხარი მიჰყვა თან.

ფაფახიანს ყურადღება არ მიუქცევია ცალთვალასთვის. იგი კვლავინდებურად იდგა ᲯᲘᲑᲘᲔᲑᲨᲘ ხელებჩაწყობილი, ელენეს გაჰყურებდა ღიმილით.

მტვირთავები წამოიშალნენ. კარისაკენ გაემართნენ.

ელენე ხელის დაქნევით მიესალმა ფაფახიანს და დიმიტრის უთხრა:

— ეს იმ მანქანის მძღოლია, მე რომ მოვდიოდი, არჩილი ᲰᲥᲕᲘᲐ. — ელენე პასუხს დაელოდა. მერე დიმიტრის შეხედა და სახე ეცვალა.

დიმიტრი გაფითრებული იᲯᲓᲐ. მაგიდას ჩასჩერებოდა.

მებუფეტემ კიდევ ერთი მუქარა მიაძახა ცალთვალას, დაბრუნდა და არჩილთან შეჩერდა.

რაღაცის თქმა უნდოდა. წინასწარ გაბრაზდა კიდეც, მაგრამ არჩილმა დაასწრო:

— უთხარით, მომიტანონ ცხელი საჭმელი და ერთი ბოთლი ქართული ღვინო; წინანდალი, თუ არის. ამ ბოთლების ფასიც მიანგარიშეთ. მე ახლავე დავბრუნდები. — თქვა არჩილმა მშვიდად, თითქმის ცივად, და მტვირთავებს გაჰყვა კარში.

ელენე ხან დიმიტრის შეჰყურებდა, ხან კარს, რომელშიც არჩილი გავიდა.

დიმიტრიმ ოფიციანტი მოიხმო.

ოფიციანტმა ანგარიში მაგიდაზე დადო, ფული მიითვალა და წავიდა.

— წავიდეთ, ელენე! — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ.

ელენე დაჰყვა. ჩაიცვეს. კარში გავიდნენ.

როდესაც დიმიტრიმ მანქანა დაძრა, მოედანზე არჩილი გამოჩნდა. იგი გაჩერდა და დიმიტრის მანქანას გააყოლა თვალი; იქამდე იდგა, ვიდრე მანქანა კუთხეს მიეფარებოდა.

მერე გზა განაგრძო და საჩაიეში შევიდა.

თავი მეოთხე

დიმიტრიმ ყამირგზაზე გაიყვანა მანქანა და ნაკვალევს გაჰყვა.

ნაღველი აწვა. მოშხამულ ფუნებაზე იყო. ფიქრში წასულმა ყინულის აპკიან ორმოს დროზე ვერ მოჰკრა თვალი და წინა ბორბალი ჭახანით ჩაეშვა შიგ.

— დაგწყეველოს ღმერთმა! — თქვა მან ბოღმით, დაავიანებით დაამუხრუჭა და უკანა ბორბალმაც ორმოში მოადინა თქფაანი, მაგრამ უფრო მსუბუქად.

კიდევ ცოტაოდენი მანძილი გაიარა. სანამ დაბის განაპირა სახლს მიაწევდა, სვლას უკლო და გაჩერდა. საჭეს დაადო იდაყვ-მკლავი, დაფიქრდა.

ძრავი ხმადაბლა ბურტყუნებდა, ხანდახან ჯაგრიანად წამოიხვნეშებდა ხოლმე. შეფიქრიანებული ელენე დიმიტრის შეჰყურებდა.

კაბინაში ჯერ კიდევ ცოდა, ძრავმა მისი შეთბობაც ვერ მოასწრო. დიმიტრის მაინც სცხელოდა, სახეზე ოფლმა გამოატანა. ხელსახოცით შეიმშრალა, კარი გააღო, ჩავიდა, ზურგიდან მოექცა მანქანას და ბოლთის ცემას შეუდგა.

ელენე გარინდებული იჯდა. მერე ღია კარისკენ გაიჩოჩა. საფეხურზე ჩადგა ფეხი, დიმიტრი მოძებნა, დაინახა, დააკვირდა.

დიმიტრიმ ჩიბუხს წაუკიდა და ბოლთა განაგრძო. ათი-თხუთმეტი ნაბიჯით დაშორდა მანქანას, სქელი კვამლი გამოუშვა. სიბნელეში ნაკვერჩხლმა იღვივა.

თოვლს ჩასჩერებოდა, ახალდაბარდნილ, გაუთელავ თოვლს.

ფეხით გადაქეცა: ქვეშ შემთხვევით შემორჩენილი, ჩალაფიანებული თოვლი იყო. ქუსლი ჩაჭკრა, ერთხელ, მეორედ, კიდევ. ძველი თოვლი გაყინული იყო, ძნელად ჩაიტკეპნა.

— როდემდის? ხომ უნდა გათავდეს როდისმე! — ჩაილაპარაკა მან და მტკიცედ დასძინა: — უნდა მივბრუნდე. — იყუჩა, ჩიბუხს მოქაჩა და ბოლს ამოაყოლა: — რა საჭიროა? ვნახოთ და... ბიჭი უპატრონოდ დარჩება. — იგი დაიძრა.

ელენემ კაბინას მიაშურა, შერცხვა, თვალთვალში არ მამხილოსო.

დიმიტრი მანქანას მიუახლოვდა და სდექნათურას დააკვირდა.

ფარანი ორ ფერად აშუქებდა: ზემოთ წითლად, ქვემოთ ბაც ყვითლად. დიდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილს ლაფის წინწკლებით დაეფარა მინები — წითელიც, თეთრიც. ფარანი ოდნაღა ბეუტავდა, უმწეოდ, უღიმღამოდ, თითქოს სადღაც შორს, ძლიერ შორს ენთო ნათურა.

დიმიტრიმ სდექნათურის მინების გაწმენდა განიზრახა, ნაბიჯი წადგა, დაიხარა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაქნია, რაღაც წაიჩურჩულა და კაბინისკენ წავიდა.

მანქანა კვლავ დაიძრა. ელენე დიმიტრის მღელვარებამ საგონებელში ჩააგდო, მაგრამ ახლა დამშვიდებული ეჩვენა იგი, მანქანაც უფრო რბილად, მდორედ მიდიოდა.

მანქანის მსუბუქმა რწევამ თავისი გაიტანა: ელენემ ჩასთვლიმა, მალე მაგარი ძილი წაეკიდა, საზურგეზე გადაცურდა და დიმიტრის მხარს მიასვენა თავი.

დიმიტრიმ მძინარე ქალიშვილს დახედა, გაიღიმა და ისევ გზას გაუყენა თვალი.

მთელი საათი იარა მანქანამ, ვიდრე მდინარეს მიადგებოდა. ზედ ნაპირზე წყდებოდა ულრანი და იწყებოდა ნალხვობი თოვლით დაფარული ყინული.

დაღმართი ჩაათავა. გაყინულ მდინარეს გაჰყვა. ყინულზე იმდენად ღრმა ალარ იყო ნაკვალევი, როგორც ყამირგზაზე, ტაიგაში. დიმიტრი ცდილობდა ნაპირთან ევლო. ხანდახან, როდესაც ნაზამთრალი კვალი ნაპირს შორს ჩაუდიოდა, დიმიტრი კვალიდან გადადიოდა და ზედ ნაპირ-ნაპირ მიჰყავდა მანქანა. ეკანკლედებს ხაზავდა, მაგრამ ასე უფრო უხიფათო იყო: კიდეც რომ ჩატყდებოდა ყინული, მანქანას მეტი-მეტი, ნახევრამდე ამოსწვდომოდა წყალი.

ელენეს დიდხანს ეძინა.

თორმეტს იყო მიახლოებული, როცა უკანა მარცხენა ბორბალი დარანში ჩავარდა, მანქანა უმალ შედგა და ადგილზე ხროტინს მოჰყვა.

დიმიტრიმ პირველი სისწრაფე ჩართო, ბოლომდე დაიყვანა აქსილირატორი, მაინც ვერ დაძრა ადგილიდან მანქანა. ვერც უკუსვლით უშველა რაიმე. მაშინ ბერკეტი უქმ სვლაზე გადაიყვანა, კარი გააღო და ძირს ჩავიდა.

ელენე უეცარმა შეჩერებამ გამოაღვიძა. ღია კარში შემოჭრილი ცივი ჰაერი ეცა სახეში და თვალი გაახილა. წამოიწია, შეიშმუშნა, მიიხედ-მოიხედა. თვითონაც დატოვა კაბინა და ყინულზე ხტუნვასა და ვარჯიშს შეუდგა.

— სადა ვართ, დიმიტრი? — იკითხა მან.

დიმიტრი დარანში ჩავარდნილ ბორბალსა და უკანა ხიდს ათვალიერებდა.

ბორბალი კარგა ღრმად იჯდა, მაგრამ უკანა ხიდი არ ეხებოდა ყინულის ზედაპირს, დიფერენციალის გარსაცმითაც კი.

— შუა გზაზე, — უპასუხა დიმიტრიმ. — დაახლოებით სამოცდაათი კილომეტრი გვაქვს გამოვლილი. ამ ადგილს ჰქვია „ბრტყელი ქვები“.

— „ბრტყელი ქვები“? რატომ? — შეეკითხა ელენე, ვარჯიშს თავი მიანება და დიმიტრის მიუახლოვდა.

— აქ კალაპოტი განიერია და შედარებით ნაკლები სიღრმისა. ზაფხულში საინტერესო სანახავია, ნაპირებთან ფსკერი ბრტყელთავა ლოდებით ‘არის დაფარული. ლოდებს შორის თევზი ირევა. ლოდებს მხოლოდ ოდნავ ფარავს წყალი. ქვიდან ქვაზე ხტუნაობით შეგიძლია ასი მეტრით დაშორდე ნაპირს და ფეხები კოუბამდეც კი არ დაისველო. იცით, ეს ლოდები მუქი ლურჯი ფერისა არის. კარგი სანახავია.

დიმიტრი წამოდგა, კაბინასთან მივიდა, სავარძელს ქვეშიდან გადასატანი ნათურა ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძრავის ხუფი ასწია, ნათურა დენის წყაროს მიუერთა. ჩამოხტა, მაგთული გაშალა, ჩავარდნილ ბორბალთან დაბრუნდა და მოაბათა.

— რა მოხდა? — იკითხა ელენემ.

— იმდენი არაფერი. ამ ქვებში ზამთრობით თევზი გროვდება, როგორც ორჩხში. ალბათ მონადირემ გამოიარა. ეშიებოდა. ყინულწრილი ამოუღია სათევზაოდ. ღამით ფსკერი გაიყინა. დღისით მზე იყო, ორმოში წყალი ჩაიწრიტა, პირთამდე აივსო. მერე ყინვამ მოუჭირა და აპკი წააკრა. თოვლმა შენიღბა. ამ დროს ჩვენც გამოვცხადდით, გამარჯობათ! ხედავთ, რამდენი იშრომა ბუნებამ ერთი მუხთალი ოხუნჯობისთვის?

ელენე ჩაჯდა. ჩავარდნილ საბურავებს მიაჩერდა.

დიმიტრიმ ყინულს ყური დაადო.

— ახლოა! — თქვა მან და ადგა.

— რა არის ახლო?

— წყალი. ყინული თხელია. ესე იგი ცულით ჭრა საშიშია, შეიძლება ჩაგვენგრეს, თორემ ბორბლის წინ არხს გავჭრიდი და ამოვდიოდით. არაფერია, ჯალამბარით ავწევ.

დიმიტრიმ კაბინიდან იარაღი მოიტანა, ზურგიდან მოუდგა მანქანას, ყინულზე ქურქი გაშალა, პირქვე დაწვა და ჯალამბარი უკანა ხიდს მიუცოცა.

— თქვენ კაბინაში ადით, კარი შეიკეტეთ. გაცივდებით, — მიმართა დიმიტრიმ ელენეს.

— არ მინდა. არა მცივა. მინდა რითიმე მოგეშველოთ.

— მაშინ ჩაიცვით ქურქი და მომინათეთ, — უთხრა დიმიტრიმ.

ელენემ კაბინიდან ქურქი მოიტანა, ჩაიცვა. წახნაგზე ჩამოკიდებული ნათურა ხელში აიღო, ჩაჯდა და სამუშაო ადგილს მიანათა.

დიმიტრიმ ფიცრის ნაჭერზე შედგა ჯალამბარი და ფიცრიანად მიუხოხა უკანა ხიდის მარცხენა კიდეს, ბორბლის დისკოსთან. ჯალამბარი დაბალი იყო, შექანიკური ტიპისა, ვერტიკალური, დაკბილული წიფხით. ჰორიზონტალური ბერკეტი ხელით აამძრავა, წიფხის კბილები ერთიმეორეს ამოჰყვნენ და საბრჯენი უნაგირი დანიშნულ ადგილს მიაწვა. ახლა უკვე შეუძლებელი იყო ბერკეტის დაძვრა ცარიელა ხელით და დიმიტრიმ ძალაკი მოიმარჯვა. სიმძიმემ ორმოში ჩავარდნილი ბორბლიდან ჯალამბარზე გადმოინაცვლა. ძალაკი მოკლე იყო და დიმიტრის ძალლონის უკიდურესი დაძაბვა უხდებოდა.

— დაიძრა, წამოვიდა! — თქვა სიხარულით ელენემ.

მართლაც, ძალაკის ყოველ სვლას საბურავის ახალი შრე ამოჰქონდა ორმოდან სინათლეზე. დაძირული ბორბალი ნელა, მტკიცედ იწევდა ზევით.

დიმიტრიმ შეისვენა და მდგომარეობა შეიცვალა; ასე უფრო მოხერხებული იყო, ვინაიდან უკანა ხიდის ქვეშ იწვა გულღმა და ძალაკის მოზიდვისას ფეხის ქუსლებით თოვლში ამოღრუტნულ საფეხურს ებჯინებოდა.

— მოდის, კარგად მოდის! — იმეორებდა ელენე დროგამოშვებით და გაფაციცებით შეჰყურებდა ორმოდან ამომავალ ბორბლებს.

რაც უფრო მეტად ჩნდებოდა საბურავები, მით მეტი კმაყოფილებით იღიმებოდა. ბოლოს იმდენად ამოიხედა ბორბალმა, რომ ჰაერში დაკიდებულს დაემსგავსა.

ელენეს ყურადღება ანაზდად რაღაც მოულოდნელმა მიიპყრო.

ქურქის ქვეშიდან, ჯალამბარისა და დიმიტრის სხეულს შორის შუალედიდან, დაკლაკნილმა ბზარმა გამოყო თავი ერთ გოჯზე და შეჩერდა. მერე კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მტკაველით წამოვიდა დაკლაკნილი ბზარი ხვრელიდან მომცურავი გველივით და ისევ გაირინდა.

ელენემ ქვეცნობიერად იგრძნო საშიშროება.

დიმიტრიმ ძალაკს მოსწია.

ბზარი ელვის სისწრაფით გამოცურდა, რაღაცამ ყრუ ტკაცანი გაიღო.

იმავე წამს დიმიტრიმ გაიბრძოლა მანქანის ქვეშიდან თავის დასაღწევად. მაგრამ ვერ მოასწრო: ჯალამბარის ქვეშ ყინული ჩაინგრა, ბორბალი ბათქანით ჩავარდა ორმოში და უწინდელზე ღრმად ჩაჯდა.

ელენემ შეჰკივლა, ყინულზე დავარდნილმა ნათურამ თქაფანი გაიღო და გასკდა. დაბნელდა.

მანქანის ქვეშიდან ყრუ წამოღმუვლება მოისმა. წამით ყველაფერი ჩაკვდა — მოძრაობაც, ხმაც. შემდეგ სხეული ამოძრავდა და ხმამაღალი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, უნებლიე კვნესა მოისმა, შეკრულ სუნთქვას რომ ამოარღვევს ხოლმე. ისეთი. სხეულის მოძრაობამ თანდათან იმატა. დიმიტრი აფართხალდა. თავწაგდებინებულმა ფრინველმა იცის ასე ძალუნი, განწირული კრუნჩხვა და ბორგვა.

სხეული ბორგავდა, უაზროდ, მაგრამ თავგანწირვით. მძლავრი და შეგუებული გმინვა ისმოდა.

ელენემ ისევ შეჰკივლა და პირქვე დაემხო.

ხელები სახეზე აიფარა, რომ ეს ამაზრზენი ფართხალი აღარ დაენახა, მაგრამ გმინვა... მაშინ თვითონაც აღმოხდა გმინვა, ოღონდ გრძელი, ხმამაღალი, გაჭიანურებული.

— ოოო! ოო! ოოოო!..

მანქანის ქვეშ თანდათან იკლო სხეულის ბორგვამ და შეწყდა. მერე ხელფეხი, ტანი მიზანდასახულად ამოძრავდა. ეს თავის დაღწევის ცდები იყო, გაზრდებული, შედარებით მშვიდი.

ელენემ იყუჩა. გაუბედავად, შიშნეულად ასწია თავი. მან ცვლილება ვერ შენიშნა სხეულის მოძრაობაში. მხოლოდ ის დაინახა, რომ იქ, მანქანის ქვეშ, კვლავ ბორგავდა რაღაც და ისევ მკლავებში ჩამალა სახე, აღარ ამოუგმინია, ხმადაბლა, გულამოჯდომით ატირდა.

სხეული დაწყნარდა, გაყუჩდა.

ელენემ იგრძნო, რომ სხეული დაშოშმინდა. ისევ წამოწია თავი.

სდექნათურის შუქი თრთოდა გაყინულ ჭყაპზე. ძრავი დუდუნებდა და მისი გამოზომილი მაჯისცემა დიდხანს, ძლიერ დიდხანს არ შეულახავს ადამიანის ხმას.

გულაღმა მწოლიარე დიმიტრის ზედ ყელზე ედო მანქანის უკანა ხიდი. მაგრამ ისე კი, რომ მზოლოდ ოდნავ აწვებოდა. თავი ხიდს აქეთ ჰქონდა, ძრავისკენ, სხეული ხიდს იქით, სდექნათურისკენ. იგი ღრმად, აშლილად სუნთქავდა, შეშინებული თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, ხელებს აფათურებდა მდგომარეობის გასარკვევად.

დიმიტრიმ ასანთი ამოიღო შარვლის ჯიბიდან. რამდენიმე წუმწუმა ერთად გაჰკრა, მანქანის ქვეშ ინათლა.

ელენეს მკრთალი ათინათი შეეთამაშა და ძრწოლა სიმუნჯემ შეცვალა მის გამომეტყველებაში. ეს არც განცვიფრება იყო, არც სიხარულის ელდა, არც სხვა რამ. წარბებს ქვემოდან მუნჯი თვალები იმზირებოდნენ.

დიმიტრიმ ხელით მოსინჯული და მოფიქრებული თვალით შეამოწმა, გაირინდა და როცა ასანთი ჩაქრა, ხმამაღლა, გრძლად გაიცინა.

— აი, ხაფანგიც ამას ჰქვია! — თქვა მან მხიარულად, როცა სიცილს მორჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმა ყრუ იყო და დახშული. ყელზე დაბჯენილი სიმძიმე ყღერადობას უმახინჯებდა, მაგრამ ეს მაინც ხმა იყო. ამან სიმხიარულე მოსცა და შემდგომ წამებში სიმშვიდეც, წონასწორობაც, საღი აზროვნების უნარიც.

— ელენე! — დაიძახა მან და პასუხის მოლოდინში ისევ გაჰკრა ასანთი.

ელენეს სახეც ისევ ინათლა. ახლა მასზე გულწრფელი, ოდნავ გულუბრყვილო სიხარული იყო აღბეჭდილი.

— რა? — წარმოთქვა მან, თითქოს უნებლიეთ.

— რატომ ჩაქრა ნათურა? ძრაგი მუშაობს.

— ნათურა? ნათურა, ჰო, რატომ ჩაქრა? — ჩაილაპარაკა ელენემ, დაფიქრდა და დასძინა: — გატყდა.

— კაბინაში უჯრა გამოსწიე. იქ მეორე არის. მომიტანე აქ. მე შევცელი.

— შენ შეცვლი? შენ შეგიძლია? — ელენე ზეზე წამოიჭრა და კაბინაში შეცურდა ხელოკავით.

ვერც ერთმა ვერ შენიშნა, როგორ უნებლიეთ და თავისთავად შემოიტანა ფათერაკმა მათ ურთიერთობაში შენაობა.

ელენემ ნათურა იპოვნა, მავთული მოზიდა, საზომი ხელსაწყოების მკრთალი განათებით ისარგებლა და კაბინაშიეე შეცვალა გატეხილი.

იგი ძრის გადმოვიდა, ჩაჯდა და დიმიტრის მიაშუქა.

ორთავემ დიდხანს ათვალიერეს ყველაფერი.

დიმიტრი თვალებს საგნებზე დაატარებდა, რასაც მისწვდებოდა, და ხიდს იქით დარჩენილ ხელებსაც იშველიებდა. ელენემ აქამდე ვერ გაართვა თავი იმ სიხარულს, რომელიც დიმიტრის გადარჩენამ მოჰგვარა. თან ეშვი ეპარებოდა, ვაი თუ არ ამხელს, ან ვერ გრძნობს, რომ დასახიჩრებულიაო.

— მგლის ხაფანგი მინახავს სწორედ ასე მოწყობილი, — თქვა დიმიტრიმ. გაიღიმა, დაფიქრდა და დასძინა: — მაგრამ იმ ხაფანგში დაჭერილი მგელი არ მინახავს.

— არაფერი არ გტკენია? — ჰკითხა ელენემ.

— თითქმის არაფერი. ეგ არის, კეფა დამარტყმევინა ყინულზე და... ძალიან შემეშინდა. ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია ასეთი შიში. არა, შენ უყურე, რანაირად გადავრჩი!? ყელის გარდა, სხეულის რომელი ნაწილიც უნდა მოხვედრილიყო ხიდის ქვეშ, გათავდა. აქამდე მაცახცახებს. კაი მშიშარა კი ვყოფილვარ! — დიმიტრიმ ისევ გაიცინა.—ყელზე მაწვება, ეს ოხერი, ძლივს ვსუნთქავ... არა, მოიცა, — უთხრა მან თავისთავს — მაინც როგორ გინდა დაიძვრინო აქედან თავი? ამისთვის აუცილებელია აიწიოს მანქანა. მაშასადამე, საჭიროა ჯალამბარი, რომელიც ახლა ფსკერზე ასვენია, საწყალი! მაშ რა უნდა ვიღონოთ?.. — დიმიტრი მცირე ხნით დადუმდა. — ელენე, მომიტანე კაბინიდან ერთი პაპიროსი. მოუკიდე და პირში ჩამიდე... ოღონდ მაგ მხარეს მოცილდი, ყინული არ ჩაგიტყდეს. აქედან, მარჯვნიდან მოდი.

ელენემ ნათურა წაიღო, მანქანას შემოუარა, ძირს მარჯვენა საგვერდულზე ჩამოკიდდა და პაპიროსის მოსატანად წაიდა.

— უჯრაშია. იქ ასანთიც არის, ორი კოლოფი! — მიაძახა დიმიტრიმ.

იგი ფიქრობდა. ფიქრობდა იმ ზომამდე დაძაბულად, რომ ფიქრი ტვინის ხორციელ ტკივილს იწვევდა თითქოს და ეს ხორციელი ტკივილი სახეზე, თვალებში, წარბ-წამწამში ჩანდა... მყისიერად ეცვალა სახე, ღიმილი მოეფინა, მიაგნო!

— ელენე!

— მოვდივარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წამოიღე ცული. კაბინაშია. ფეხებთან გდია.

ელენემ ცული და ანთებული პაპიროსი მოიტანა.

ცული ძირს დადო. პაპიროსი დიმიტრის ჩაუდო პირში.

დიმიტრიმ კვამლი ჩაისუნთქა. განზრახული გუნებაში შეამოწმა.

— სწორია! — თქვა მან. — აი რა, ელენე! შენ ამ ცულით უნდა ამოიღო არხი ჩემი თავ-კისრის ქვეშ. ასე, ხუთი თითის სიღრმისა და მტკაველი სიგანისა. ჩვენ ვერ აგწევთ მანქანას, მაგრამ ადვილად შეგვიძლია დაგწიოთ ჩემი თავ-კისერი, გესმის? მანძილი ყინულსა და ხიდს შორის გაიზრდება და გამოსვლას შევძლებ. გასაგებია?

ელენე სწრაფად მიხვდა. ცულს დაავლო ხელი.

— წყნარად, წყნარად! — შეაჩერა დიმიტრიმ. — აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. თუ კიდევ ჩაინგრა ყინული, ხომ იცი, რაც მოხდება!

ელენე დაფიქრდა, პირქვე დაწვა. ცული მოიმარჯვა, ნელა, ფრთხილად დაკრა ყინულს.

ორიოდე სანტიმეტრის სისქის ფილა აიცრცნა და ღრჭიალი მოისმა. განეიერებიდან დარტყმამ კიდევ აჰყარა ყინულის ნაფხვენი და ქვეშიდან მოლურჯო ფერის ქვამ ამოიხედა.

— ქვა! — თქვა დიმიტრიმ. იგი ვერაფერს ხედავდა. ცულის ღრჭიალმა ძიახვედრა: — ქვა დახვდა? — გაიმეორა მან.

— ქვა! — დაუდასტურა ელენემ და მუშაობა განაგრძო.

იგი სცემდა ცულს და განზე მიეხვეტებოდა ყინულის ნაფხვენს.

რამდენიმე წუთის მუშაობის შემდეგ ყოველივე ცხადი გახდა: დიფერენციალი ქვაზე იჯდა, ქვაზევე იწვა დიმიტრიც. ეს იყო დიდი, ბრტყელთავა ლოდი, რომელიც მთავრდებოდა ჩავარდნილი ბორბლებიდან ოცდახუთიოდე სანტიმეტრის მაშორებით. მერე იყო წყლის შუალედი და შემდეგ ისევ ლოდი, უფრო დაბალი, რომელზეც ჩავარდნილი ბორბალი იჯდა. ყინულის აყრამ ის მოიტანა, რომ დიმიტრის ყელს უკვე აღარ აწვებოდა უკანა ხიდი, მაგრამ თავის დაძრობაზე მაინც ზედმეტი იყო ფიქრი.

— ჰმ! ბრტყელი ქვები, — წაილაპარაკა დიმიტრიმ.

ელენე დაბნეული იჯდა.

შორიდან ტკაცანი მოისმა.

— ოჰო! ყინული სკდება. ხვალ აიყრება?—თქვა დიმიტრიმ და ცას აჰხედა.

ნაცრისფერი ღრუბლების სქელი ფენა მალავდა მთვარეს, მაგრამ მკრთალი ნაჭიატარი მაინც აღწევდა მიწამდე. ახლა შავი ღრუბელი მოცურდა საიდანღაც და ნაჭიატარიც დაფარა.

ელენემ მკლავებში ჩამალა თავი.

დიმიტრის ისევ დაუმძიმდა სახე. სილურჯემ გადაჰკრა. ღაწვი ოდნავ აუთრთოლდა. ჯერ მარცხნივ მიაბრუნა თავი: ქვაზე მჯდომი დიფერენციალი დაუხვდა თვალებთან, იმდენად ახლოს, რომ ლითონზე შეყინულმა ლაფმა დასავალზე. გადაშმული მთაგრეხილები მოაგონა წამით. მერე მარჯვნივ გაიხედა ჩავარდნილი საბურავებისაკენ. კარგა ხანს უმზირა, ისევ აღმა იიხედა, იყუჩა. ყელში გმინვა მოვარდა, თავს ძალა დაატანა, გზა გადაუკეტა, ჩაახშო, საბუდარში ჩააბრუნა. მაგრამ ის, რაც მან უკანვე ჩააბრუნა, არ დაცხრა, ძვალ-რბილს ეტაკა, სხეული აატოკა, აახმაურა.

ელენემ ტოკვის ყური მოჰკრა, წყვეტილი, მკვეთრი მოძრაობით წამოიწია და დიმიტრის დააცქერდა. მარწუხივით ჩაასო თვალები. ძალიან უნდოდა, ეთქვა რაიმე დიმიტრის, სწამდა, რომ იტყოდა კიდეც, უსათუოდ იტყოდა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ აგვიანებდა, რატომ არ ამბობდა?.. დიდხანს გაგრძელდა ასე, თითქოს საუკუნე.

— თფუ!! — დიმიტრიმ ბოლმიანად გადააფურთხა, ისევ ატოკდა და ფიქრი განაგრძო.

ქარმა გაყინული, მტკრად ქცეული თოვლი მოაქანა, სახეში და თმებში მიაყარა დიმიტრის. ქარი ცივი იყო. კი არ წოიდა, სისინებდა ზურგიდან წამოპარული მკვლელის სულივით. ელენემ დიმიტრის ქუდი იპოვნა, დაბერტყა, დაახურა.

— ყური მიგდე, ელენე! — თქვა დიმიტრიმ.

ელენე გაინაბა, ყურადღებად იქცა.

— ნაპირამდე ოციოდ ნაბიჯია, ჩამოტვირთე მედიკამენტები და შენი ხელბარგი. გიატანე ნაპირზე. მანქანის უკანა საგვერდული გადახსენი, ოღონდ ნუ ჩაუშვებ ბოლომდე; მანქანაში საკიდარები არის, ჩამოკიდე საგვერდული ისე, რომ ძარის იატაკის გაგრძელებას წარმოადგენდეს. მაშინ გაგიადვილდება ტვირთის ჩამოღება. შეძლებ?

— შეეძლებ. მინახავს. — მიუგო ელენემ.

— რაც გიატანო, ისეთ ადგილზე დაალაგე, რომ, თუ ვინიცობაა ხვალ ყინული აიყაროს და წყალი კალაპოტიდან ამოვიდეს, ტვირთს ვერ მიუდგეს, ვერ დააზიანოს. გესმის?

ელენე ძარაში აძვრა.

ტვირთსა და უკანა საგვერდულს შორის დარჩენილ ადგილში საკიდარები მოხელა. ყინულზე გადმოყარა და ძირს ჩამოხტა. დუნედ იქცეოდა, თითქოს სურვილის წინააღმდეგ მოქმედებდა.

საგვერდულის საკეტს უჭხიკინა დიდხანს, უგულოდ. როგორც იყო, მიჭედა როგორც იხსნებოდა. დანარჩენი ადვილად გააკეთა, მაგრამ ზანტად. როდესაც საგვერდული გადმოხსნილი იყო და საკიდარებზე ეკიდა, ცოტა დაფიქრდა, მხრები აიჩეჩა, ხელები გაასავსავა, თითქოს თქვა, არაფერი არ მესმისო, და უილაჯოდ აფოფხდა ძარაზე.

ხელბარგი და მედიკამენტები ჩამოალაგა. ყინულზე ჩამოხტა, ყუთი ზურგზე მოიგდო და ნაპირისკენ გასწია, ნელა, აუჩქარებლად.

— რისთვის მაკეთებინებს ამას? — ჩაილაპარაკა ელენემ თავისთვის, ყუთი ძირს დადო და წელაორევეით გამოემართა მანქანისაკენ.

დიმიტრი ძარის ფსკერს აჰყურებდა და ვინ იცის მერამდენედ ფიქრობდა ერთსა და იგივეზე, თავიდან ბოლომდე, დაკინებით.

ელენემ კიდევ წამოიკიდა ტვირთი.

— მანქანის აწევა ან ქვის ამომტვრევა არ შეგვიძლია! — წარმოთქვა დიმიტრიმ და დასძინა: — ასე, ხმამაღლა ფიქრი უკეთესია, უფრო ნათლად ვხედავ. რაიმე მანქანის მოლოდინიც ზედმეტია.

ელენემ ყური მოჰკრა ამ სიტყვებს.

— რატომ? — ჰკითხა მან.

— ხომ გითხარი, იქ, გადმოჯდომამდე. საბადოზე, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი მანქანაა. ეს მანქანა. ამ გზაზე სხვა არავინ დადის, მარტო მე დავდივარ.

ელენე ცოტა ხანს იდგა, ფიქრობდა. ისევ წაიღო ყუთი.

რამდენიმე გზა გააკეთა კიდევ. მედიკამენტები უკვე გატანილი ჰქონდა. ხელბარგიღა იყო საგვერდულზე.

— აქ, ახლომახლო, რაიმე დასახლებული პუნქტი არის? — იკითხა მან.

— მეთერთმეტე დაბიდან ჩრდილო-დასავლეთის საბადომდე — არც ერთი ჭოხი, არც ერთი ადამიანი, — მიუგო დიმიტრიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენემ თავისი საქმე განაგრძო.

კიდევ მოისმა ტაკაცანი. ამჯერად მშრალი, ხმამაღალი, ახლოს.

— ყინვა არც იმდენად დიდია, — დაილაპარაკა დიმიტრიმ. — თხუთმეტი გრადუსი, იქნებ ნაკლებიც. მაშ ყინულს რაღა აზარავს? ნუთუ ზემოწელში ყინულთსვლა დაიწყო? მაშინ ხვალ... ხვალ? კი, ხვალ აქაც აიყრება! — დიმიტრი დადუმდა. მერე მოუსვენრობა დაეტყო და ისევ ბოღმით გადააფურთხა.

ელენე თავჩაქინდრული მოემართებოდა მანქანისკენ, აუჩქარებლივ, ზანტად. უკმაყოფილება ემჩნეოდა.

— დაიღალე? — ჰკითხა დიმიტრიმ.

— არა. არ მესმის, რას მაკეთებინებ. რას მოგვიტანს ამ ბარხანის ნაპირზე გატანა?

—ბევრი დაგრჩა გასატანი?

— ერთი ნაჭერი, ლოგინი, — უპასუხა ელენემ და დაელოდა.

დიმიტრიმ იფიქრა. უნდოდა ეთქვა რაღაც და უმძიმდა, ყოყმანობდა, ვერ გადაეწყვიტა. რამდენიმეჯერ მოაბრუნა თავი ელენესკენ, თქმა დააპირა — გადაფიქრა.

— თქვი, რა გინდა!? — უთხრა ელენემ.

დიმიტრიმ გვიან უპასუხა:

— ამინთე კიდევ ერთი პაპიროსი!

ელენე კაბინისკენ წავიდა.

დიმიტრიმ თავი დაიმარტოხელა, ისევ აბორგდა. სინანულის ან წუწუნის ნატამალიც არსად იყო, ბრაზობდა, ბოღმა აღრჩობდა.

— ასეთი სუფელური, უაზრო სიკვდილი? — წაილაპარაკა მან ძლიერ ხმადაბლა და ძლიერ ბრაზიანად: — რატომ არ მიებრუნდი საჩაიეში?.. ბიჭი არ მყავდეს მაინც!

ელენემ ანთებული პაპიროსი მოიტანა. პირში ჩაუდო.

— რისი თქმა გინდოდა? — ჰკითხა ელენემ.

— გამოსავალი ერთადერთია! ჩაიცვი ქურქი, გაჰყევი მანქანის კვალს. მეთერთმეტე დაბაში გაადგებინე.

ელენემ თვალი თვალში გაუყარა დიმიტრის. ორივენი დუმდნენ.

ტაიგაში ქარმა აიწყვიტა. შერხეული ტყეების ძალუმი შრიალი მოისმა, ხანგრძლივი, მოამბოხე.

ელენემ თავი გაიქნია. ოდნავ, თითქოს მკილავად გაიღიმა.

— არსად არ წავალ, დიმიტრი! — მიუგო მან მშვიდად და მტკიცედ.

დიმიტრიმ ყურები სცქვიტა.

— რატომ?

— სამოცდაათი კილომეტრის გავლას, მეთერთმეტე დაბაში ფაციფუცს, დაბრუნებას — მთელი დღეღამე მოუნდება. შენს ამოყვანასაც ხომ დრო უნდა? ამ ხანში მანდ უსათუოდ გაითოშები... თუ სხვა არაფერი მოხდა უარესი. თაკიდან მიშორება, ვიცი. რატომ, რისთვის?

— წადი, ელენე, მე გთხოვ, ამისრულე ეს... პატარა სურვილი, — უპასუხა დიმიტრიმ რბილად.

— არ წავალ! — შეუტია ელენემ და თითქოს ესღა იყო საჭირო, რომ დიმიტრი აფეთქებულიყო.

— წადი, გამეცალე! რა გინდა ჩემგან? არაფერი გამოვა. ეს ჩიხია, ჩიხი! მე არ მჭირდება არც ნუგეშისმცემელი, არც მოწმე! შენ მიშლი. მე ჩინდა მარტო ვიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არსად არ წავალ, არაფერს არ გიშლი, პირიქით, უნდა აუცილებლად გიშველო. დაგტოვო, წავიდე!?

— გამიგონე, შენ ვერაფერს ვერ მიშველი. მე ასჯერ აეწონ-დაეწონე ყველაფერი. წადი!

— მე უფრო მაგარი მეგონე. წაილაჩრე თურმე!

— ეგ შენი პირადი აზრია. შეიძლება მართალიც ხარ. მე კი ვიცი, გამბედავს სიმართლისა არ ეშინია, თუნდაც ეს სიმართლე აუცილებელ სიკვდილს ნიშნავდეს. ჩემი მდგომარეობა გამოუვალია. ამ მდგომარეობის მხოლოდ შემსუბუქება შეიძლება. სხვა არაფერი.

— იქნებ მართალი ხარ. არ ვიცი. მე მაინც უნდა დავრჩე და ნახავ, გიშველი, გამოგიყვან მანდედან... თუ შენც დამეხმარება ამაში.

დიმიტრიმ ელენეს გადახედა და მწარედ ჩაიცინა.

— რამხელა თვითრწმენა გაქვს?! საიდან? რა გგიკეთებია ქვეყანაზე? რატომ ენდობი შენს თავს ასე მტკიცედ? აბა, მოიგონე და მითხარი.

ელენე დაიბნა. თავისი სიმტკიცე და რიხი, ერთი წუთით, საპნის ბუშტად ძოეჩვენა, საპნის ბუშტად, რომელიც სულის შებერვით გახეთქეს, მაგრამ მან ისევ მალე სძლია თავს.

— არ მახსოვს, მგონი მაგდაგვარი არაფერი... როდისმე ხომ უნდა მოხდეს ასე! შენ არ თქვი, ძლიერება ისწავლებაო? — ელენე ზეზე ადგა:—აბა, მითხარი, რითი დავიწყო?

დიმიტრიმ კვლავ გაიცინა.

— წარმოდგენა არა მაქვს. რომ ვიცოდე რა არის საჭირო, გეტყოდი. კიდევ ვიმეორებ, მე ვერ ვხედავ გამოსავალს. ვხედავ მხოლოდ მდგომარეობის შემსუბუქების გზას. შენ თუ წახვალ, უფრო თავისუფალ ვიგრძნობ თავს, უფრო ადვილად და უტანჯველად მოვკვდები და არც შენ დიტანჯები იმის ცქერით, თუ როგორ კვდება კაცი. ასე უკეთესი იქნება, გესმის?

— არ მესმის! მე მესმის მხოლოდ ის, რომ თუ წავალ, მთელი სიცოცხლე უნდა ვატარო დანაშაული: კაცი კვდებოდა, მეკატოვე, წავედი, არ დავეხმარე. მე უნდა ყველაფერი ვიღონო, რომ გადაგარჩინო; ყველაფერი, რისი ძალაც შემწევს. თუ შევძელი, ხომ კარგი, თუ ვერა — იმას მაინც ვიტყვი, რომ რაც შემეძლო — ვიღონე, თავი არ დავზოგე!

— მაგაში მართალი ხარ. ეგ არ გამითვალისწინებია.

— ხედავ, არ გაგითვალისწინებია? ვინ იცის, რამდენი რამ არის კიდევ გაუთვალისწინებელი? მოდი ვიფიქროთ...

— კარგი. ერთი რაიმეთი შეიძლება მდგომარეობის შემსუბუქება: კაცისა და მანქანის გადასარჩენად ჩვენ ვერაფერს ვიღონებთ, მაგრამ ტვირთის გადარჩენა შეიძლება, თუ ღონე გეყოფა და ნაპირზე გაიტან... ოღონდ, ნაპირზე გატანა აუცილებელია!

— რატომ არის აუცილებელი? — იკითხა ელენემ, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა. იგი სხვას ფიქრობდა.

— თუ ყინულზე გადმოცალე, ხვალ აიყრება, წყალი წაიღებს. უქმი ჯაფა გამოგივა. ჯობს ტვირთის ნაწილი ნამდვილად გადარჩეს, ვიდრე უქმად დაიხარჯოს ამოდენა შრომა.

— იცი რა? დაცლილი მანქანა იქნებ როგორმე უჯალამბაროდაც ავწიოთ! რა თქმა უნდა, უეჭველად მოხერხდება რაიმე... პაპიროსი გინდა?

— ჯერ არა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სპირტი? სპირტი მოგიხდება, გაგათბობს, ჰო, უნდა დაგაბურო. შეგფუთნო.

დიმიტრი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ელენეს. თითქოს ახალი, უჩვეულო რამ აღმოაჩინა მასში.

ელენემ მაფრაშა გახსნა, საბნები ამოიღო და დიმიტრის დაუფარა. ყოველი ეხრიდან შეუყარა, შეუფუთნა. თავისი ყელსახვევი მოიხსნა, დიმიტრის შემოახვია ყელზე. ქუდის ყურაკები ჩამოუწია, ბაფთი შეუკრა. მარდად მოქმედებდა, კარგ გუნებაზე დადგა — რაღაც წამოილუღლუღა კიდეც.

კაბინიდან ბოთლი მოარბენინა, დაალევინა და იქვე დაუდგა.

— აქ იდგეს. მამაკაცებს სასმელი გიყვართ. უყურე ბოთლს, გაგამხნევებს.

დიმიტრიმ გაუღიმა.

ელენე ძარაში აძვრა. საგვერდულზე ჩამოალაგა ყუთები, რამდენიც დაეტია. ეძნელებოდა მუშაობა. დაუჩვეველი იყო და ძალღონეც ღალატობდა, მაგრამ მაინც სწრაფად აკეთებდა საქმეს.

დიმიტრის მხოლოდ ხმები ესმოდა: ფეხის ხმა, ყუთების ადგილგადანაცვლებით გამოწვეული ხმაური, ხანდახან ელენეს მკერდიდან ამოკრილი ხვნეშაც.

— ქვეშ ოცკილოგრამიანი ყუთები აწყვია — სამოცი ცალი. ზემოდან ორმოცდაათკილოგრამიანი ყუთებია, ოცდაათი ცალი. სულ, დაახლოებით, სამი ტონაა. არ ვიცი, მაგ დიდ ყუთებს როგორ მოერევი, სამ ფუთზე მეტს იწონის თითო.

— მოვერევი, როგორც იქნება! — მოისმა ზემოდან.

ელენე ჩამოხტა, ყუთს ზურგი შეუყენა, ზედ წამოიმხო და გზას გაუდგა.

იგი სწრაფი ნაბიჯით მისდევდა თავის ნაკვალევს. გულს სიხარული უდუგდუგებდა სასიამოვნო, მსუბუქი იყო ეს ჩქროლვა და იმდენად ძალუმი, რომ მუხლის ღონეს იყოლიებდა და სამფუთიანი ტვირთის ქვეშ ფეხები სხარტად, ხალისიანად ითვლიდნენ მანძილს. სხეულში სასიამოვნო შინაგან სითბოს გრძნობდა, კუნთებში ძალას, მხნეობას და შეუპოვრობას. ტვირთის ზიდვა სიხარულს ჰგვრიდა, ხალისს უათკეცებდა.

ყუთი დანიშნულ ადგილზე დაუშვა და სირბილით გამოემართა მანქანისაკენ. მორბოდა თავისთავად, უნებლიეთ: რაღაც აღფრთოვანება გონების ჩაურევლად მართავდა მის მოქმედებას. მან ისევ წამოიდო ყუთი ზურგზე, ისევ გზას გაუყენა; ისევე მსუბუქად, აღგზნებულად.

დიმიტრი თვალს ვერ აშორებდა ელენეს. მასში სრულიად ახალი განწყობილების აღმოჩენამ გააკვირვა ჯერ; შემდეგ მისმა ძალღონემ მოიყვანა განცვიფრებაში. თითქოს ინტუიციით გადაედო ელენეს სულიერი განწყობილებაც, მხნეობაც, ფრთაშესხმული ხალისიც. თვალები გაუბრწყინდა, სახე დაუწყახარდა და ღიმილიც გაუჯდა ღაწვებში.

კარგა ხანს გაგრძელდა ასე. ელენეს ბარე ათი გზა ჰქონდა გაკეთებული, როცა დიმიტრი გამოელაპარაკა:

— იცი, რაზე ვფიქრობდი? რაღაც სასწაულმა თუ ჯადომ მიშველა; რაღა ყელზე დამეცა. ცოტა მეტი მომსელოდა — თავს შაურიანივით გამიბრტყელებდა. ნაკლები — გულის ფიცარს ჩამიმსხვრევდა და გამსარესდა. საოცარი დამთხვევაა... ეს რაღაცას ნიშნავს. ალბათ იღბალმა არ გამიმეტა და ახლა მჯერა, რომ არც გამიმეტებს, გადავრჩები, მაგრამ რა გზით, როგორ — ვერ მომისაზრებია.

— რა თქმა უნდა, გადარჩები! ჩვენ ორნი ვართ, აუცილებლად მივაგნებთ რასმე. ნახავ, თუ არა! ჯერ დავცალო. ხომ არაფერი გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრიმ ღიმილით გაიქნია თავი.

ელენე ძარაზე ავიდა. ყუთების ჩამოღებას შეუდგა.

დიმიტრიმ ძარიდან მომავალ ხმებს უსმინა ყურადღებით. შეფიქრიანდა, წარბი შეჭკრა.

— ელენე, მისმინე რა გითხრა! — თქვა მან, როცა ელენე ჩამოლაგებას მორჩა და ყინულზე ჩამოვიდა.

— რა გინდა? — იგი მიუახლოვდა და ჩაიკეცა.

ნათურა მკაფიოდ ანათებდა. ლოყები შესწითლებოდა ელენეს, ოფლიანი სახე ჰქონდა და გახშირებული სუნთქვა.

— ნუ ჩქარობ. დინჯად იმოქმედე. ასეთი მუშაობა ოფლში გაგწურავს და მალე გამოგაცლის ძალღონეს. ისე უნდა იმუშაო, რომ შეხურდე. მაგრამ ოფლი კი არ გამოგვიდეს. ოფლის მოსვლამდე! ეს მუშაობის ოქროს კანონია.

ელენე ყურადღებით უსმენდა.

— კარგი, დიმიტრი, შევეცდები, — თქვა მან მცირე დაყოვნების შემდეგ და საქმეს დაუბრუნდა.

შეგონებამ დაუყოვნებლივ იმოქმედა. ელენე ცდილობდა დინჯად ემუშავა. ხანდახან ფიქრი იტაცებდა და უნებლიეთ ისევ მოუჩქარებდა ხოლმე. კარგა ხანი დასჭირდა, სანამ კალაპოტში ჩაიყენებდა თავს. მაგრამ მაინც მიაგნო სასურველ ტემპს. ოცი ყუთი ჰქონდა გატანილი — ოფლი გამონელდა და სუნთქვაც დაუმშვიდდა.

დიმიტრიმ ისევ ელენეს აადევნა თვალი.

დაღლილობა შენიშნა. მძიმედ მიაბიჯებდა. არც ტვირთით, არც უკან გამობრუნებისას აღარ ჰქონდა პირვანდელი სიმსუბუქე და რიხი.

სამაგიეროდ ჰქონდა მედგარი, ჯიუტი, მტკიცე იერი და სახის გამომეტყველება.

— დაიღალე? — ჰკითხა დიმიტრიმ თანაგრძნობით.

ელენემ დარცხვენით გაიღიმა.

— სუსტი ვყოფილვარ. დავიღალე. ბეჭები მტკივა. რა მალე დავიღალე?! — იგი უკმაყოფილო იყო, საყვედურით ლაპარაკობდა, თითქოს ვინმე სხვა დაიღალა და არა თვითონ. — დიდ ყუთებს მოვრჩები და შევისვენებ.

— სპირტი მოსვი, ერთი ყლუპა! — ურჩია დიმიტრიმ. — ცოტათი გაჩოგაცოცხლებს...

— და მერე მთლად მომადუნებს! — დასძინა ელენემ, ყინულზე დაეშვა, ბოთლი ხელში აიღო, დააცქერდა და მოიყუდა.

მოსვა, ყინულის ნაკერი ჩაიდო პირში. დაიმანჭა, ტანიც კი მიეგრიხ-მოეგრიხა.

დიმიტრიმ გაიცინა.

ელენემ სული მოითქვა და ღიმილი შეაგება. მერე დიმიტრის მიატუჩა ბოთლი და თქვა:

— ოპო-ჰო-ჰო! მაგარი ლოთები შევიყარეთ, ღმერთმანი!

ორივემ ხმამაღლა გაიცინა.

ელენე ძნელად წამოდგა და ძარაში ავიდა.

დიმიტრიმ ცას ახედა.

მიმცურავი ღრუბლების სიმსხოში მკაფიო შარავანდედად მიაღწია მთვარემ. ღრუბელი ზოგი თეთრი იყო, ზოგი ნაცრისფერი, ზოგი რუხი. საითღაც მიეჩქარებოდათ მათ. თეთრებს ავარდისფერებდა მთვარე, ნაცრისფერებს ღაწვებს უწითლებდა, რუხებს მეწამულს წაჰკიდებდა ხოლმე წიბოებში. ხანგამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვებით კი ღრუბელს და ღრუბელს შორის ნაფლეთს გამოარღვევდა და ყინვით შეთოკილ ხეობას სინდიყისფერ შუქს გადმოაღვრიდა კოკისპირულივით. მაშინ წყვდიადისგან შეწუხებული ტყეები თითქოს ფრთებს იქნევდნენ სიხარულით — ფიჭვები გვირგვინებს არხევდნენ, ნაზამთრალი დარდების დასაყრელად თუ.

— იცი, რას ჰგავს მთვარე? — თქვა დიმიტრიმ.

— რას? — მოისმა ზემოდან და ხმაური შეწყდა.

— სიყვარულს.

— როგორ?

— არის რაღაც იდუმალი სიყვარულში. ისეთივე იდუმალი, როგორიც მთვარეში.

ელენემ გაიღიმა, ძირს ჩამოვიდა და ზიდვა განაგრძო.

შესვენებამ და სპირტმა მართლაც კარგად იმოქმედა, მაგრამ მეოთხე თუ მეხუთე ყუთზე ელენეს ისევ ქანცი გამოეცალა. ახლა იგი ძლივს მოძრაობდა, უილაჯოდ მილასლასებდა, ყოველი ნაბიჯის გადადგმა უჭირდა.

დიმიტრის ხმა შემოესმა ელენეს.

— რა თქვი? — შეეკითხა იგი და ტვირთიანად მობრუნდა.

— რანაირი რამ არის იმედი?! — შეჰღიმა დიმიტრიმ ელენეს. — სუნთქვა ტოვებს სხეულს, სითბოც, გრძნობებიც, ხუთივე, მაგრამ იმედი გვამში რჩება.

ელენე მიტრიალდა და გზა განაგრძო. სული უკვნესოდა, ხორცი უღონდებოდა, ძალებში სტეხდა.

ყელში მომდგარ სიმწრის ცრემლს დიდხანს ებრძოლა, აოკა, ახშო, მერე მხრებზე დაწოლილმა სიმძიმემ სძლია, თვალებიდან ცვარი გადმოადინა. ხმა ნებისყოფამ არ ამოუშვა, მაგრამ ცრემლს გზა უტია.

დიმიტრი ელენეს მიაყოლებდა მზერას.

— ამასაც იმედმა გადაატანინა ამსიმძიმე ტვირთი, — თქვა დიმიტრიმ. — მაგას ჰგონია, რომ დამიხსნის, თუკი დაცლას შეძლებს. ცოტა ხანს იყუჩა. — უჩვევია, ქალია, სუსტია, სამუდამოდ დაასნეულებს... აღარც ქალად ივარგებს, აღარც ადამიანად. რატომ თავის დროზე არ მივხვდი? უაზრო, გაუმართლებელი მსხვერპლია. — დიმიტრი დაღუმდა. იგი ფიქრობდა ელენეზე.

— ელენე, რომელი საათია? — ჰკითხა მან.

ელენემ მაჯა გადაიწია, შუქზე გამოიტანა საათი.

— ოთხს ათი აკლია.

— ბევრი დაგრჩა?

— ერთი დიდი, ორმოცდაათი პატარა.

— ძლიერ დაიღალე?

— ღამის დავეცე. ამ ერთ ყუთსაც გავიტან და დავისვენებ. სულ ცოტას. დაღლილობას გამოძანელებს.

— მერე?

— მერე გავიტან დანარჩენს და მანქანა ცარიელი იქნება.

— მერე?

— როგორ თუ მერე! ჩვენ ორნი ვართ, ავწევთ მანქანას.

— ჩვენ ვერაფერს ვერ ავწევთ, ძვრასაც ვერ ვუზამთ.

— ცარიელ მანქანას?

— გამიგონე, რა გითხრა! დაცლილი მანქანა მაინც იმსიმძიმეა, რომ მისი აწევა მხოლოდ ვეებერთელა აზარმაცის საშუალებით შეიძლება. აზარმაცი იმსიყვე და იმსიმძიმე სჭირია, რომ ორი კაციც ვერ მოერევა. უფრო წვრილი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსუბუქი კი მოიღუნება... ერთი სიტყვით, ეს შეუძლებელია. რაც შეეხება ტვირთს — მაგ ყუთებს — სულ ოთხი-ხუთი ათასი მანეთის ღირებულებას შეადგენს. ძვირფასი ტვირთი უკვე ნაპირზეა. ჯობს დაიღუპოს ხუთი ათასი მანეთი, ვიდრე დაიღუპოს ექიმი, რომელზეც ოცი ბავშვის სიცოცხლეა დამოკიდებული. გადი ნაპირზე. დაანთე დიდი ცეცხლი და მიუჯექი. დანარჩენი გამოჩნდება.

ელენეს ღაპალუპით გადმოსცვივდა ცრემლი.

— მაშ ტყუილად ვიწვალე? რატომ არ მითხარი დროზე!?

— სრულიადაც არა! განა ტყუილად წვალებაა ამოდენა ტვირთის გადარჩენა?

— ტვირთი, ტვირთი! რა შუაშია ტვირთი!? რისთვის ვიწვალე? რატომ არ მითხარი!

— რისთვის იწვალე? სამაგიეროდ დამშვიდებული იქნები, სამარის კარამდე: კაცი კვდებოდა. იღონე, რაც შეგეძლო.

ელენე ყინულზე დაეშვა. ხელები სახეზე აიფარა და ატირდა.

— არა! მე სულერთია დავცალ. უეჭველად დავცალ და ავწევთ მანქანას!— ქვითინებდა იგი და იმეორებდა ერთსა და იგივეს, თითქოს ეს ჯიუტი მოთქმა წუხილს უმსუბუქებდა, გულზე მალამოდ ედებოდა.

— აქამდე რწმენა გქონდა, რწმენა, რომ დამიხსნიდი აქედან. ახლა? აღარ გაქვს ის, რასაც დაღლილობა უნდა აეტანა და ამიტომაც ვეღარ დასცალ. ასე ჯობია. ჯანმრთელობა შეგრჩება, თუ უკვე გვიან არ არის. ორში ერთი მაინც დარჩება ცოცხალი.

ელენე მწარედ, უსიტყვოდ, გულამოჯდომით ქვითინებდა.

დიმიტრიმ ვეღარ გაუძლო სასოწარკვეთილი, სულერთად და ხორციელად დაცლილი ქალის მხარზურგისა და მკერდის ბორგვას. სახე დაემანჭა, თავი მიბრუნა, რომ არ დაენახა ეს საცოდაობა, მაგრამ ქვითინმა აღარ მოასვენა.

— ელენე! ნუ ტირი. ქალის ტირილს ვერ ვუძლებ. იმიტომ მინდოდა, წასულიყავი... უმაგისოდაც ძალიან აშლილი ვარ და ახლა შენი ქვითინიც...

ელენემ ხელები მოიშორა სახეზე, თვალებში ჩახედა დიმიტრის და გაჩუმდა. სლუკუნიღა ისმოდა. ამასაც ებრძოდა, ცდილობდა ჩაეხშო.

— კარგი. მე აღარ ვიტირებ! — თქვა მან და ძალისძალად გაიღიმა.

ეს ღიმილიც ძლიერ უხდებოდა მის ნატანჯ, ნამტირალევ სახეს.

თავი მესამე

დიდხანს იყო ტაიგა გაყუჩებული. აღარც ყინულს გაუღია ტკაცანი. მხოლოდ ძრავა თუხთუხებდა ხმადაბალი და გამოზომილად.

ელენე იდაყვებზე დანდობილი იწვა პირქვე და დიმიტრის დასცქეროდა. მის თვალებში აღტაცება ჩაბეჭდილიყო. რბილი, სასიამოვნო სითბო იღვრებოდა თვალების სილრმიდან. დიმიტრის ძარის ფიცრებში აებჯინა მზერა. იგი გრძნობდა ელენეს გატაცებულ, დაჟინებულ შემოხედვას. რამდენჯერმე თვალიც გაუსწორა და კვლავ ფიცრებს მიაცქერდა.

— მე არასოდეს არ მინახავს შენისთანა! — ჩაილაპარაკა ელენემ.

დიმიტრიმ გაიღიმა და თქვა:

— შენ გინდოდა გეთქვა: არასოდეს არ მინახავს ვინმე ასეთ მდგომარეობაში. მე აქ არაფერ შუაში ვარ. გარემოებაა საკვირველი.

— ღონიერი კაცი ხარ. — ელენე თითქოს თავისთავს ელაპარაკებოდა, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთი, ის კაცი რომ ამბობდა საჩაიეში. სამასი წლის შემდეგ... „ყინვაში, უდაბურ ტყეში. აი, ამ ხელებით...“ როგორი ხელები ჰქონდა, რკინისა.

დიმიტრის სიამოვნებდა, რომ ელენე ასე აღტაცებით ლაპარაკობდა.

— გაითოშე? — ჰკითხა ელენემ, პასუხს აღარ დაელოდა და სპირტის ბოთლი მიუტანა ტუჩებთან.

დიმიტრიმ თავი გადაქნია ჭირვეული ბავშვივით. ელენემ დააძალა, ეოთი ყლუპა მოასმევინა. მერე თვითონაც მოიყუდა, მაგრამ არ დაულევია, რაღაც ფიქრმა მოიტაცა ასე, ბოთლით ტუჩებზე. ბოთლი ჩამოიღო, სატუჩეს დახედა. დიმიტრის ტუჩებზე გადააცურა თვალი და უნებლიეთ საკუთარი ტუჩებიც შეამოძრავა. მათი თვალები ერთმანეთს ჩაეჭიდნენ. ელენეს თვალებში რაღაცამ მორჩილად ჩაქინდრა თავი. დიმიტრის თვალებიდან ვიღაცამ მკლავები გადმოწალა მკერდში ჩასაკრავად, გულში ჩასახუტებლად თუ თავზე ხელის გადასასმელად... და დიმიტრის სახეზე ანაზდად ბოღმამ იფეთქა, მიუწვდომელი. დაუკმაყოფილებელი სურვილის ბოღმამ. თვალებიდან გამოწვდილი მკლავები სივრცეში გაზავდა, გაქრა. დიმიტრიმ თავი გადაიქნია უარყოფის ნიშნად და განზე გაიხედა.

ისევ ადგა ქარი. ტყეებს ბოღმა დაანთხია და ხეობას მოაწყდა. მანქანას ჩამოუქროლა ზუზუნით. ყინულით სუნთქავდა ქარი, ყინულს აბნევდა, ყინულის ხორცი ჰქონდა.

ძრავამ უსწრამასწროდ დაითუხთუხა, ცხვირი დააცემინა და მიეყუდა. სინათლე ჩაქრა. ორთავემ სიცივე იგრძნო, თითქოს ეს პატარა ნათურა ათბობდა აქაურობას, მათს გულებს, მათს გამოხედვას.

— ძრავა დადგა! — თქვა დიმიტრიმ: — ალბათ საწვავი დაილია.

— სრულებით აღარ გვაქვს?

— კასრში ბლომად არის, ძარაში.

— ჩამოვასხამ.

— რა აზრი აქვს... მალე ინათლებს.

მთვარემ გამოანათა.

ღრუბლები ქარს გადაერეკა. ცა კრიალა იყო და ვარსკვლავებიანი.

ელენე ისევ დიმიტრის დასცქეროდა, მაგრამ ახლა მის მზერაში აღშფოთება, სიჯიუტე იგრძნობოდა.

— როგორ თუ რა აზრი აქვს!? აქვს აზრი, ყველაფერს აქვს აზრი! — იგი ზეზე წამოიჯრა:—სულერთია დავცლი! — იგი ძარაში ავიდა. ერთსა და იგივეს გაიძახოდა დიდხანს: — სულერთია დავცლი!

ისევ წამოვიდა ძარიდან ფეხის ბაკუნი და ყუთების ბრახიბრუხი. ისევ ძისწვდა დიმიტრის ელენეს ქშენა.

— რად გინდა, რატომ სჩადი მაგას! დაანებე თავი, მოეშვი! — დაიძახა დიმიტრიმ, მაგრამ ელენეს ყური არ უთხოვებია — ხმაური არ შეწყვეტილა.

ელენემ ისევ გაავსო ყუთებით უკანა საგვერდული, ძირს ჩახტა, ზურგზე მოიდო ერთი მათგანი და ნაპირისკენ წაიღო.

— სულერთია, დავცლი და იცი რას ვიზამ? ავიღებ ხელსაწყოს და სულ ნაწილებად დავშლი მთელ მანქანას, სულ ქანჩებად და ჭანჭიკებად ვაქცევ! ვერც მაშინ მოვერევი? აბა, ენახოთ თუ ვერ მოვერევი! აბა, ენახოთ. თუ არა აქვს აზრი! აბა, ენახოთ... — დანარჩენი აღარ გაუგონია დიმიტრის, ელენეს ლაპარაკი მიჩუმდა, იგი უკვე ნაპირთან იყო.

დიმიტრი ელენეს გაკაპასებულმა სიჯიუტემ დააფიქრა. იგი ეძებდა იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალას, რომელმაც კვლავინდებურად აანთო მხნეობა ამ ქალში და მისი ღონე-მიხდილი სხეული ტვირთის ზიდვად აიძულა.

ელენეს ძალღონის ნატამალიც აღარსად გაჩნდა, ფეხებმა დიდი ხანია მოქმედების უნარი დაკარგეს. ახლა მათში აღარ იყო ძალა სხეულის სატარებ-ლად. პირიქით, თითქოს თვით სხეულს მოჰქონდა ფეხებიც და ზურგზე გ-დებუ-ლი ყუთებიც.

— აბა, ვნახოთ, თუ არ დავშალო! მანქანებს ხომ ჩემისთანა ადამიანები აწყობენ, ხომ ცალკ-ცალკე ყოველი ნაწილის აწევა შეიძლება!? — ქაქანებდა ელენე. იგი ვიღაცას ედავებოდა, უნდოდა დაერწმუნებინა, რომ ეს სრულიად რეალურია, თავისთავად ცხადია, ნათელია და რატომ არის ის ვიღაც ასე ჯიუ-ტი, რომ არასგზით არ სურს დაეთანხმოს მას!?

— მართლაც და, იქნებ შესაძლებელია? — ჰკითხა დიმიტრიმ თავისთავს.

მან ახლა-ღა მიაქცია ყურადღება ელენეს აკვიატებულ აზრს. ცოტა იფი-ქრა: — დიფერენციალის გარსაცმის შემოხსნა რომ მოხერხდებოდეს! — თქვა მან და ისევ დაფიქრდა. ამჯერად კარგა ხანს იყო ჩუმად. — ეგ არის, სწორედ გარსაცმით ზის ლოდზე! აბა, ვიფიქრო, იქნება როგორმე სხვანაირად გაკეთ-დეს? — და ისევ საშუალების ძებნას მიჰყო ხელი.

ელენე კი ყუთების ტარებას განაგრძობდა.

ნაპირზე გავიდა, ყუთი დაუშვა, ზედ ჩამოჯდა. ზურგითაც ყუთებს მიენდო და თვალები მილულა. გადაქანცული კუნთები სასიამოვნოდ აუყუვლდნენ. ამ ყუთილმა განცხრომა მოჰგვარა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ყოველ კუნთს, სხეულის ყოველ ნაწილს დენის წყარო მიუერთდა და ღონე ეღუ-ლით ივსება სხეულში, გროვდება, თავს იყრის და ნაპირებიდან გადმოსვლას აპი-რებს. რამდენიმე ხანს გაყუჩებული იყო, მთელი მისი არსება უძრაობას შეე-პყრო. მერე თვალები გაახილა და ყურთასმენა გაამახვილა, რაღაც ხმაური ისმო-და. ლაობდა გარკვეულიყო — რა იყო ეს, და იყო თუ არა საერთოდ. იქნებ ეჩვენებოდა? ქარმა მოსტაცა ხმაური და თან წაიღო. ელენე ადგა. მანქანისაკენ წამოვიდა.

შუა გზაზე შეჩერდა, ისევ მიაყურა.

ახლა თითქოს ცხადად გაიგონა იგივე ხმაური, მაგრამ მხოლოდ წამით და კვლავ მიწყდა.

ელენემ პირდაპირ დიმიტრისაკენ გასწია. ყინულზე დაეშვა. მიაყურა.

აღარაფერი ისმოდა.

— არის ერთი გზა, — თქვა დიმიტრიმ, — ცდა ბედის მონახევრეა, მაგრამ ამას იმდენი შრომა სჭირდება! შენ ვეღარ შესძლებ.

ელენე ისევ სმენად იქცა. ისევ ის ხმაური ჩასწვდა ყურში და იმდენად გაიტაცა, რომ ვერც გაიგონა დიმიტრის ნათქვამი.

— შენ თუ ყუთებს გადმოალაგებ ძარის მარჯვენა მხარეზე, მაშინ სიმძიმე ამ საბურავებს დააწვება — მან ზემოთ დარჩენილ ბორბლებზე ანიშნა — და ორმოში ჩავარდნილი საბურავები დამსუბუქდება. ამის შემდეგ ჩვენ დავ-ჩუტავთ ზემოთ დარჩენილ საბურავებს, მანქანა მარჯვნივ გადაიხრება და ად-ვილი შესაძლებელია, რომ ჩავარდნილი საბურავები და, მაშასადამე, უკანა ბ-დის ის მხარე, რომელიც ყელზე მაწევს, რამდენადმე აიწიოს, გესმის?

ელენეს გულისყური ისევ სხვაგან იყო.

— იცი რა? — თქვა ელენემ ძლიერ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, ისევ მიაყურა და განაგრძო: — შეიძლება ჰალუცინაცია იყოს, ნერვული სისტემა გადამექანცა და ალბათ მღალატობს, მაგრამ... მგონი რაღაც ხმაური მესმის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშინია თქმა... — ელენემ ბაფთი შეუხსნა დიმიტრის და ქუდის ყურაკები აუწია: — აბა, მიუგდე ყური; არაფერი გესმის?

ქარმაც კი შეიკრა სუნთქვა. ღრმა, გაუტანელი სიჩუმე ჩამოწვა. ხმაური კვლავ მოისმა, უფრო ახლოს, უფრო მკაფიოდ.

— მანქანა! — წაიჩურჩულა დიმიტრიმ: — მანქანა! — დაუმატა მან ხმადაბლა—ჩუშ... მანქანა!—შესძახა მან სიხარულით და სიცილი წასკდა. იგი ბედნიერად, დაუოკებლად, ღიღხანს იცინოდა. ამ სიცილში გადმოიღვარა ყველაფერი, რასაც ბორკილი ედო, რაც ნებისყოფამ და ადამიანური ღირსების გრძნობამ ამუხრუჭა, დაახშო ოთხი, ხუთი საათის განმავლობაში სიკვდილთან პირისპირ დგომის დროს, რაც განწირული ადამიანის სულმდაბლობად უნდა გადმოღვრილიყო და ხასიათის სიმტკიცემ არ გადმოუშვა, რაც არასაკადრისი და სამარცხვინოა, მაგრამ მომაკვდავისათვის შვება, სიმსუბუქე მოაქვს.

ელენეს ჩუმი, უტყვი ცრემლები გადმოსცვივდა, დაიხარა, თვალებში ჩახედა დიმიტრის; ეს აღარც წუხილი იყო, არც ფიქრი, არც სიღრმე. მხოლოდ ზედაპირი ჩანდა და ზედაპირზე მოფრიალე უსაზღვრო სიხარული. ელენემ ღრმად ამოისუნთქა, მისი თვალებიდან ცრემლებს გადმოჰყვა რაღაც მძლავრი, ვნებიანი, უბედნიერესი და დიმიტრის თვალებშიც ღონიერი მხარმკლავი გადაშალა. მკლავები უხმობდნენ, ელოდნენ, სურდათ მკერდში ჩაეკრათ... და ისევ ანაზდეულად მოიქრა ცივი, მოსისინე ქარი. გაყინული თოვლი დაახნა, ყინულის თათი დაადო გაცხელებულ შუბლზე დიმიტრის; მან თვალი გაარიდა ელენეს, ოდნავ მიაბრუნა თავი და დაღონდა, შეფიქრიანდა, სახე დაუმძიმდა. ელენე გაშრა, უკან დაიწია და წამოჯდა, ისევ გადმოსცვივდა ცრემლები, მაგრამ ახლა ისინი შელახული თავმოყვარეობისა და შეურაცხყოფის შვილები იყვნენ.

მანქანის ხმაური უკვე მკაფიოდ ისმოდა. ცარიელი ძარის ოღროჩოღროებზე ხტუნაობის ხმაც კი მოდიოდა.

— ელენე! — დაარღვია სიჩუმე დიმიტრიმ. — ეს არჩილია. ამ გზაზე სხვა არავინ... უნდა მივბრუნებულიყავი. რატომ არ მივბრუნდი! დასწყევლოს ღმერთმა, სულერთია! ჰო, ეს მხოლოდ არჩილია. ის, შენი მძღოლი, ფაფახინი.

— ???

— მიგდე ყური! მომხადე ეს ძონძები და წაიღე ნაპირზე.

ელენემ დააყოვნა; შინაგან უძლაობას ვერ დააღწია თავი.

— დროზე, ელენე, მოახლოვდა მანქანა! ყველაფერი, რაც მახურავს!

მტკიცე კილომ იმოქმედა, ელენემ მანქანას შემოუარა, უსიტყვოდ აასრულა ყველაფერი. ნაპირისკენ წაიღო სანაბები.

მანქანა კალაპოტის მრუდს მოჰყვებოდა. მისი შუქი მდინარის იკანკლედებში ყვინთავდა. ხან ყინულს გადმოსცურავდა და წყვდიადში ზავდებოდა, ხან სანაპირო შიმალს შეაბნევდა სხივებს და ნაირფერად მოქარგავდა.

ელენე დაბრუნდა. მოახლოებული მანქანის შუქს გახედა.

— შედი კაბინაში. შეიკეტე კარი! — უბრძანა დიმიტრიმ, მაგრამ ელენე ადგილიდან არ დაძრულა.

მანქანამ უკანასკნელი იკანკლედი გამოირბინა, კალაპოტში შემოჭრილ კონცხს შემოუარა და დიმიტრის მანქანას მიაბჯინა აბრიალებული თვალები.

სვლას უკლო. ოციოდ ნაბიჯზე გააჩერა. მანქანა ადგილზე თუხთუხს მოჰყვა.

არჩილმა გულდასმით დაათვალიერა ყველაფერი, ელენეზე შეაჩერა მზერა. ცოტა ხანს იფიქრა და ყინულზე ჩამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი მიაჯახუნა. შარვლის უკანა ჯიბიდან რაღაც ამოიღო, ქურქის ჯიბეში ჩაიდო, ჯიბის ფარანი დაინათა და დმიტრის მანქანისაკენ დაიძრა.

გავლით დმიტრის ტანფეხს დახედა მანქანის ქვეშ. ძარის შუაწელთან გაჩერდა, სიგარეტს ცეცხლი მისცა.

— შენა ხარ? — იკითხა არჩილმა ცივად.

— მე ვარ, — მოისმა მანქანის ქვეშიდან. — რა გინდა?

— კოცნა მინდოდა შემომეთვალა. მგზავრი ვერ ვიპოვე და თვითონ წამოვედი. გამოდი!

— გამოვიდე? — თქვა დმიტრიმ და გადაიხარხარა. — მაგისთვის სრულიად არ არის საჭირო გამოვიდე. ტყვია ერთნაირად ხვდება ზეზე მდგომს და მწოლიარეს.

— დაგვიწყნია, მწოლიარეებს და ხეიბრებს არასოდეს ვერჩოდი.

— არ დამეწყნია, ვიცი. ზეზე მდგომს ვერ მნახავ, სამწუხაროდ.

— შიში გისწავლია! — არჩილმა ყრუდ, ზიზღით ჩაიხითხითა.

— სცდები. ამბობ და არ გჯერა.

— გამოდი! — შეუტია არჩილმა. — გამოდი, თორემ ფეხებით გამოგათრევ!

დმიტრიმ გაიცინა და უპასუხა:

— ერთ რამეს გირჩევ, თუ მენდობი...

— მე ერთხელ უკვე გენდე...

— არჩილ! — შეაწყვეტინა დმიტრიმ.—ჩაჯექი მანქანაში და წადი საიდანაც მოსულხარ. ეს საუკეთესო გამოსავალია!

— გამოხვალ მანდედან თუ არა! — შეუტია ისევ არჩილმა.

— ვერ გამოვალ!

არჩილი დაფიქრდა. ელექტროფარანი ჩართო, მარჯვენა ხელი ქურქის ჯიბეში ჩაიყო და დმიტრისაკენ დაიძრა.

— მანდ მოგკლავ, საცა ხარ! — თქვა არჩილმა მშვიდად.

— არჩილ! — შეჰყვირა ელენემ და გზა გადაუღობა.

ელენეს თვალებში მუდარა და ძრწოლა იყო. არჩილისაში — მრისხანება, სიცივე, დაუნდობლობა.

— გზა! — დაისისინა მან და ფარნიანი ხელით ჩამოიცილა ელენე.

ელენეს გააკრჭოლა, მუხლი მოეკვეთა, უნებლიეთ ჩაჯდა.

არჩილმა კიდევ ორი ნაბიჯი წადგა, მანქანის ქვეშ შეანათა, ჯერ ფეზზე მდგომმა დახედა დმიტრის, შემდეგ დინჯად ჩაეკეცა.

დმიტრის მშვიდი თვალები ჰქონდა. იგი, თითქოს არჩილის განწყობილებას სწავლობდა, თვალების სილრმეში ცდილობდა მისი შემდგომი ნაბიჯის ამოკითხვას. არჩილს კი წლობით ნაგუბარი ზიზღი და ბოღმა უდუღდა თვალებში. გუგებში, წარბების გრეხილში, წამწამების უძრაობაში სულიერი სიმტკიცე, გადაწყვეტილება ჩაბუდებულიყო.

დმიტრიმ ღიმა აბრუნა სახე და ძარის ფიცრებს მიაპყრო მზერა.

არჩილმა საგნებზე შემოატარა თვალი. შეფიქრიანდა.

მის თვალთახედვაში ერთიმეორეს მიჰყვა დიფერენციალის გარსაცმი, დმიტრის ყელზე დაბჯენილი უკანა ხიდი, სიპი ლოდი, ჩანგრეული ყინული და ღერძამდე ჩავარდნილი ბორბლები.

იგი გახვედა. თავი ჩაჰკიდა. იდაყვები მუხლებს დაანდო, ხელები საფეთქლებზე მიიდგა... ფარანის შუქი ზევით ამართულიყო და აქვე იბნეოდა. სანამ ძარის საგვერდულებს ასცდებოდა.

ელენე ცახცახებდა, ნიკაპი უთრთოდა, ერთიდან მეორეზე გადაჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზერა. სურდა რაიმე ეღონა, მაგრამ ეშინოდა, ყოყმანობდა, არც იცოდა, რით დაეწყო.

— გითხარი, წასვლა გერჩივნა! — მიმართა დიმიტრიმ.—ან ახლა, ან აღარასოდეს! ხედავ?

არჩილმა ხელები დაუშვა და დიმიტრის სახეს დახედა. არჩილი გაფითრებული იყო. ძლიერ მოხუცებული ჩანდა. ფაფახი მოიხადა რატომღაც. თმა მხოლოდ კეფასა და საფეთქლებზეღა შერჩენოდა არშიასავით.

— აღარასოდეს? — წარმოთქვა არჩილმა. — არა. ახლავე... როგორც დაჭრილი ცხენისთვის მისროლია...

არჩილმა დამბაჩა ამოიღო, დამცველი გადაწია ცერა თითით და შუბლში დაუმიზნა დიმიტრის. დიმიტრის მწარე ღიმილმა გადაჭარა. მან თვალები დახუჭა ტყვიის მოლოდინში. საიდანღაც ელენეს ხელი შემოტყორცდა, ლულას წაეფარა. არჩილმა მყისვე მოიხედა, ელენეს თვალებს შეეყარა.

— შენ თუ ვაჟკაცი ხარ, მაგას არ იზამ! — თქვა მან მტკიცედ და ხმამ უღალატა, აუკანკალდა: — შენ ჰკლავ, როგორც ლაჩარი, როგორც ჯალათი!.. მწოლიარეებს და ხეიბრებს არ ვერჩოდიო?

არჩილმა კარგა ხანს უყურა ელენეს. მერე სახეში სისხლმა აასხა, ბოღმამ დაუბერიცა ნაკვთები, დიმიტრის დახედა, იყუჩა და გასცრა:

— მართალს ამბობს ეს... დედაკაცი... როგორ გამომტაცა ხელიდან შენი თავი შემთხვევამ?! საიდან სად მოვედი და... — არჩილი ისევ დაფიქრდა.

— იღბალი ადამიანებზე გონიერია. — თქვა დიმიტრიმ დუმილის შემდეგ.— ხედავ, რა მოხერხებულად მოაწყო? გულიც მოგფხანა, ციხესაც აგაცდინა... წადი, გამეცალე აქედან!

არჩილი იჯდა, იგი დამბაჩას დასცქეროდა. ცერა თითით ხან გადახსნიდა დამცველს, ხან ისევ ჩაკეტავდა, თითქოს საქმე არაფერი ჰქონდა და ერთობოდა.

ცაზე ისევ გამოჩნდა ღრუბლების მიჯრილი მწყობრი. ჯერ მონაცრისფრო ნაფლეთი წაეფარა მთვარეს, მერე თეთრი ქულა გადაეფარა თივთიკის ფთილივით, ცოტა ხანს დაჰყო და ქარს მისცა თავი. ხარვეზში სახეგაბრწყინებულმა მთვარემ გამოიხედა, თავისუფლად აძოისუნთქა, სუნთქვას სიმსუბუქე და სიხარული ამოაყოლა, მაგრამ კუპრივით შავმა ღრუბლებმა წაასწრო, კაეშანი შეუყენა და ხეობასაც გაუტანელი წყვდიადი დააწვა.

არჩილი მძიმედ წამოიწია და ადგა.

— გიწია ცოდვამ! — ესროლა მან დიმიტრის და სწრაფი ნაბიჯით გაემართა თავისი მანქანისაკენ.

ელენემ თვალი გააყოლა.

არჩილი თავის მანქანას უახლოვდებოდა.

— არჩილ! — დაიყვირა ელენემ, ზეზე წამოიჭრა და გამოუდგა.

როცა ელენე მიიჭრა, არჩილს უკვე კარის სახელურზე ედო ხელი.

— რას აპირებ!? — თქვა ელენემ და ზურგით კაბინის კარს მიაწვა.

— წასვლას! — უპასუხა არჩილმა ცივად.

— როგორ თუ წასვლას? თავს ანებებ?.. არ დაეხმარები?..

— მინდოდა, შენ არ დამაცადე.

— არ დაგაცადე? როდის? — გაოცდა ელენე.

— როცა სროლას ვაპირებდი. ჩემგან სხვანაირი დახმარება მაგას **არ ეკუთვნის!** მხოლოდ ასეთი...

— საზიზღარო! ნადირო! თფუჰ! — შეუყვირა ელენემ და სახეში მიაფურთხა.

არჩილი ერთიანად აიმღვრა და აცახცახდა.

— რას მერჩი, რა გინდა ჩემგან?! — ამოიხრიალა მან. მზად იყო ხელი ეტაცა ამ ენაჭა გოგოსათვის და შუაზე გაეხლიჩა, მაგრამ... მამაკაცი ყოფილიყო, ორი მამაკაცი, ათი, ასი!.. არჩილს უმწეობისა და შეურაცხყოფის ბოლმაჰ ყელი დაუხუთა, ხმა წაჰგვარა, ენა მოსჭრა, ცრემლი მოაყენა თვალში. — რა გესმის შენ? — აღმოხდა მას და ვეღარ განაგრძო. ელენემ თავი დაშნაშავედ იგრძნო. შერცხვა, ეუხერხულა.

— მაპატიე, არჩილ, მე ქალი ვარ, უცხო ვარ... მე მართლაც არაფერი არ ვიცი!.. მაპატიე. — მან ცხვირსახოცი ამოაცურა ჯიბიდან, სახე შესწმინდა და ლოყაზე აკოცა არჩილს. — მაპატიე, ძალიან გთხოვ...

არჩილი კბინის საფეხურზე დაეშვა. ღრმად ამოისუნთქა. ბოლმამ გადაუარა; იმიტომ, რომ ქალის კადნიერება მის საფიქრალთან არაფერი იყო, თუ იმიტომ, რომ ქალის მორჩილებას ყოველგვარი დანაშაულის გამოსყიდვა ძალუძს!.. ყოველ შემთხვევაში იგი უკვე აღარ ფიქრობდა ელენეს საქციელზე.

— შენ რა იცი, რა მიყო მაგან? — თქვა არჩილმა ხმადაბლა. — ჩვენ ერთად დავიზარდეთ, ბავშვობიდან... მერე ომი იყო. მე წასვლა მომიხდა. სანამ დავბრუნდი, ჩემი ფეხმძიმე ცოლი მოატყუა, წამართვა. გამეპარა... შევეხედი, თოთხმეტი წლის შემდეგ, დღეს... როგორც იყო და... ეს ორმო, რაღაც ორმო!.. შენ კი... რა გესმის, ქალი ხარ...

— დიმიტრიმ? — წაიჩურჩულა ელენემ.

არჩილმა თავის დაქნევით დაუდასტურა. ახლა მის სახეზე ბოლმა და სინანული იყო.

— ნუთუ მართლა?.. შეუძლებელია!

არჩილმა მკილავად გაიღიმა.

— ეს პირველი შემთხვევაა, ვფქი და ვერ ვასრულებ! თოთხმეტი წელიწადი ამაზე ვფიქრობდი.

— არ ვიცი. იქნებ მართალიცა ხარ... — თქვა ელენემ, დადუმდა და დასძინა: — ხვალ-ზეგ ყინული აიყრება. მანქანა, ტვირთი, საბადოზე ეპიდემია. ავადმყოფი ბავშვები. მედიკამენტები, ექიმი სპირიათ. კაცი? ადამიანი, რომელიც განსაცდელშია? გესმის?

სიჩუმე ჩამოვარდა. არჩილი ფიქრობდა.

საგრძნობლად დათბა. ხეობაში თბილი ჰაერის ნაკადი შემოიჭრა. ყინულს მიეპარა და ცვარი დაადენინა. ეს სითბო ვერაგი იყო, მუხთალი. ალერსით ეწადა ყინულის გულის მოლღვობა. ჯერ მოეფერებოდა, თავზე ხელს გადაუსვამდა. მერე ბზარს მისცემდა. დახეთქავდა, მზეს წამოიშველებდა დღისით, ერთიანად აპყრიდა ყინულს, აახორავებდა, წყალს გაატანდა, საწადელს აისრულებდა.

— დასახჩრებულია? — დაარღვია სიჩუმე არჩილმა.

— არა, — უპასუხა ელენემ.

— ფეხზე ადგომას შეძლებს?

— რა თქმა უნდა! არაფერი არ დაშავებია.

არჩილმა სიგარეტი ჩაიდო პირში, ცეცხლი მისცა, წუმწუმა მოისროლა.

კიდევ კარგი ხანს იჯდა. სიგარეტს ექაჩებოდა და წყვდიადში იყურებოდა. მერე ადგა და ოდნავ გაიღიმა.

ძარაზე ავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯალამბარი გადმოაგდო. სქელი, განიერი, ორმეტრიანი ფიცარი გადმოაყოლა და ძირს ჩამოვიდა.

ახლა კაბინაში, საჯდომის ქვეშ მოქექა, რაღაც ხელსაწყო ამოარჩია, ელენეს გაუწოდა. ჯალამბარი იღლიაში ამოიდო და დიმიტრისაკენ გაეშურა.

მოტანილი საგნები ჩაეარდნილ ბორბალთან დაყარა. დიმიტრის კაბინაში ავიდა.

ხელსაწყოებს დახედა. უკმაყოფილოდ გადაიქნია თავი. დაფიქრდა და ძირს ჩავიდა.

საკარძლის ქვეშიდან რეზინის წელა ამოიღო. ძარაში ბოთლი მოძებნა. ბენზინის კასრი წაქცია. საცობი მოხსნა. სათლი ელენეს დააკავებინა და ბენზინი ჩხრიალით ჩაეშვა სათლში.

ცოტა ხნის შემდეგ ავზი სავსე იყო.

ისევ კაბინაში ავიდა, ძრავა ამუშავდა. საგვერდულზე ჩამოკიდებული გადასატანი ნათურა აინთო.

ნათურა ხელში აიღო. მანქანას შემოუარა, რიგიანად დაათვალიერა, იფიქრა, ნათურა მარცხენა საგვერდულზე ჩამოკიდა, ცულს დააელო ხელი და ნაპირისკენ გასწია.

დიმიტრი თვალს აღევნებდა არჩილის მოქმედებას, რამდენადაც მდგომარეობა აძლევდა ამის საშუალებას, და ფიქრობდა. ორჯერ თუ სამჯერ შეტოკდა კიდეც, თითქოს მდგომარეობის გამოცვლას შეეცადა, მაგრამ ყელზე დაბჯენილი უკანა ხიდი საშველს არ აძლევდა.

ელენეც აფორიაქებული იყო. მოუსვენრობა ეტყობოდა. საგვერდულს მიეყრდნო ზურგით, თავი ჩაქინდრა. მერე რამდენიმე ბოლთა დაკრა და იმავე ადგილზე შეჩერდა, საიდანაც დაიძრა. რაღაც აწუხებდა, თვითონაც ვერ გაეგო — რა?

ყინულზე დაეშვა. დიმიტრის დააცქერდა. ხმადაბლა, მორიდებით ჰკითხა:

— მართალს ამბობს?..

დიმიტრის მისკენ არ მოუხედია, ისე უპასუხა:

— მართალს ამბობს. მაგრამ... — დიმიტრიმ იფიქრა და განაგრძო: — მე და იმას გვიყვარდა ერთმანეთი იქამდე, სანამ არჩილს გავაცნობდი, სანამ არჩილს შეუყვარდებოდა. მერეც, ყოველთვის გვიყვარდა.

ნაჯახის ხმა მოისმა ნაპირიდან, მძლავრი და დინჯი. დიმიტრიმ მიაყურა.

— ხესა სჭრის, — წაილაპარაკა მან. — ომი, მეგობრობა, ჭაბუკური აღფრთოვანება, მცდარად გაგებული სულგრძელობა... ვალდებულად ჩავთვალე თავი ჩამოშორებოდი ნინოს არჩილის გულისათვის, არჩილისათვის. იტანჯებოდა. თავდავიწყებით უყვარდა არჩილს. საერთოდ ეს კაცი უკიდურესობების კაცია ყველაფერში. ალბათ ახლაც უყვარს, თავისებურად. ორივეს ისე მოვაჩვენე, ვითომ გული ამიცარუდა, ვითომ აღარ მიყვარდა ნინო. მაგრამ არჩილმა იცოდა სიმართლე, იცოდა, რომ მიყვარდა და მაინც მიიღო მსხვერპლი. შევთავაზე შეერთო ცოლად, თუკი ნინოსაც შეუყვარდებოდა. ეს, სამწუხაროდ, არ მოხდარა, ნინოს არასოდეს ჰყვარებია არჩილი და გაჰყვა მაინც... ჩემი ჯიბრით გაჰყვა. ქალიშვილები ხშირად მიჰყვებიან ვაჟებს, რომელთა მიმართ მსუბუქი გატაცების მეტს არაფერს გრძნობენ და ამას სჩადიან იმის ჯიბრით, ვინც ნამდვილად უყვართ... მერე არჩილს წასვლა მოუხდა. ჩვენ ერთად დავრჩით, ერთ ქალაქში — მე და ნინო. აღმოჩნდა, რომ მე არ შემეძლო მხოლოდ ოჯახის მეგობარი ვყოფილიყავი, ნინოს არ შეეძლო ყოფილიყო მხოლოდ ჩემი მეგობრის ცოლი, მხოლოდ ჩემი მეგობარი. ისეთი ძალით, ისე მძლავრად იფეთქა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენმა სიყვარულმა, რომ მე არ დავერიდე მეღალტა არჩილისათვის. ნინომაც... არჩილისაგან ფეხმძიმემაც კი ჩემთან არჩია ყოფნა. ჩვენ ცოლი და ქმარი გავხდით... სად იყო გონება! მერე იმ ასაკში!?..

ნაპირიდან ტკაცანი მოისმა. ხე მიწას დაენარცხა. ტოტების მსხვრევის ხმაურმა მოაწია. სიჩუმე ჩამოწვა და ისევ ამუშავდა ცული.

— ტოტებს აკაფავს... — თქვა დიმიტრიმ. — ...იმის შემდეგ კიდევ ბევრი რამ მოხდა. თითმხვერი წელიწადი გავიდა. სად, როგორ პირობებში შევხვდით ერთმანეთს! ძველკის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს შეცდომები... არჩილი... თუ თქვა რაიმე, აუცილებლად ასარულებს, ამაშიც უკიდურესობის კაცია. ყველაფერში. იქნებ გამოიცვალა? რამდენი დრო გავიდა! არა, ესმის კია, რომ ახლა ეს ზედმეტია?.. თფუ!

— ელენე! — მოისმა ნაპირიდან არჩილის ხმა.

— ჰო! — გასძახა ელენემ.

— ჩემს ძარაში თოკია. მოიტანე აქ.

ელენემ არჩილის მანქანას მიაშურა. ისევ აწუხებდა ფიქრები, მაგრამ იმდენი იყო საფიქრალი, იმდენად რთული და მძიმე, რომ თავბრუ ესხმოდა, ლამობდა რომელიმე მათგანზე, ერთ-ერთზე შეეჩერებინა გულისყური, სათითაოდ გადაესინჯა და გაეგო — რომელი ერთი აწუხებდა და უწიწკნიდა სულს. რომელმა უქცია სასიხარული სამწუხაროდ? ვერ მოეხერხებინა ეს.

— აქეთ, აქეთ! — ხმა მისცა არჩილმა.

ელენე მივიდა, თოკი გადასცა. სამოდ მეტრიანი ფიჭვის მორი გამოეკრა არჩილს. მორი მომსხო იყო, თითქმის თანაბარი სისქისა თავსა და ბოლოში. თოკი გამოაბა მორს. ცალი ფა მხარზე გადაიგდო, მეორე ელენეს მიაწოდა.

— აბა, გაგწიოთ! — თქვა არჩილმა და მორი ხრიალით მოწყდა ადგილს.

ნიადაგი მშრალი იყო. ალგ-ალაგ ყინულის აპკიც გადაჰკვროდა. მორი შედარებით ადვილად მიცურავდა. მდინარის ყინულზე ხომ უფრო დამჩატდა, უფრო მორჩილად დაჰყვა ძალას, უფრო რბილი ხმა გამოიღო ქერქის ხრიალმა.

ელენე მთელი ძალღონით ეჭიდებოდა თოკს და არჩილს შეჰყურებდა. ბნელოდა. თოვლიდან ასხლტილ შუქს საკმაო ძალა არ გააჩნდა, რომ რიგიანად გაენათებინა სახეები.

— დაიღალე? შევისვენოთ? — იკითხა არჩილმა. ელენე ფიქრით იყო გართული, პასუხი შეაგვიანა. არჩილმა სიჩუმე დასტურად მიიღო და შეიგა.

დიმიტრი ვერ ხედავდა მათ; დიფერენციალი და ბორბლები ეღობებოდნენ. ძარის ფსკერს აჰხედა ისევ.

— ...არ ვიცი, რა ვიცი! ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ, გამოჩნდება, — თქვა დიმიტრიმ ხმადაბლა. — ერთი რამ არის მთავარი: მოვიქცე ისე, რომ დღევანდელმა დღემ მომავალში არ გამაწითლოს. პირიქით, სიამაყე მაგრძნობინოს ხოლმე ... მომავალში? იქნებ არ არის მომავალი? იქნებ ახლა თავდება... სულერთია! სიმშვიდე — ესაა მთავარი. ამაზე ნუღარ ვიფიქრებთ?.. მაშ რაზე ვიფიქროთ?... ჰო, იმაზე, მსოფლიოში სამი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს... არა, ორმილიარდნახევარი, სულერთია. რამდენი ადამიანია ახლა ჩემნაირ მდგომარეობაში? ათი მაინც იქნება. ათი? იქნებ ოცი, იქნებ ასი? იქნებ არც ეოთი? არც ერთი? არა, ორნახევარ, სამ მილიარდში ვინმე მაინც იქნება, ერთი მაინც იქნება! ერთი რომ იყოს, ხომ უკვე ალარ ვარ მარტო? იმასაც ექვს ჩემსავით იმედი, რომ... გადარჩება? მაინც რატომ მაქვს ასეთი რწმენა? — ლაპარაკი მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისმა. დიმიტრი სმენად იქცა.

— რას ამბობ? რას მოვიმოქმედებთო? — არჩილმა დააყოვნა და თქვა: — ოქმში ეს ასეთი სახით ჩაიწერება: გადაეწყვიტე მიმეღო ყოველგვარი ზომა, რაც ჩემს ძალთ იყო, რათა გადამერჩინა განსაცდელში მყოფი ადამიანი! როგორია?

ელენე გაფაციცებით უსმენდა.

— აბა, ერთიც გავწიოთ! — თქვა არჩილმა და მორი კვლავ დაიძრა.

მანქანას შემოუარეს და მორი ჩავარდნილი ბორბლის გასწვრივ გაიჩერეს.

არჩილმა ცული აიღო. ყინულში არხის გაპრას მიჰყო ხელი. ელენე გულხელდაკრეფილი იდგა. მისი გონება რაღაც გამოცანას ებრძოდა. რა თქმა უნდა, არა იმას, თუ რაში სჭირდებოდა არჩილს ყინულში ამოკრილი არხი, — უფრო რთულსა და მნიშვნელოვანს.

ცოტა ხნის შემდეგ ჩავარდნილი ბორბლის გასწვრივ სწორედ იმისაკენ არხი იყო ამოკრილი, რომ მოთრეული მორი მკვიდრად ჩამჯდარიყო და საიმედო საყრდენი შეექმნა ჯალამბაროს დასადგმელად.

— ამოწმინდე! — ესროლა არჩილმა ელენეს, ცული დაადგო და თავისი მანქანისაკენ წავიდა რაღაცის მოსატანად.

ელენემ დააყოვნა, თითქოს შეყოყმანდა—გავაკეთო თუ არაო და უნ�ობლად შეუდგა მუშაობას.

როცა არჩილი მობრუნდა, არხი ამოსუფთავებული იყო. მან კიდევ ჩაასწორა არხის კიდეები, ზოგ ალაგას სიღრმეშიც შეიტანა ცვლილება. შემდეგ მორს მოაწვა და არხში ჩააგდო. იგი უსწორმასწორო ნაპირებმა არ ჩაუშვეს ფსკერამდე. არჩილი არც შეცდილა მორის დაყენას ძირამდე. ჯერ ჯალამბარის დასადგმელი სიბრტყე გათალა მორზე და მერეღა ჩათალა ყინული იმ ადგილებში, რომლებიც მორის ფსკერზე დაჯდომას აბრკოლებდნენ. მაშინ მორი ჩაიწია და მუდიროდ ჩაჯდა არხში. არჩილმა გთლილ სიბრტყეზე ჯალამბარი დადგა.

ჯალამბარი ბორბლისაკენ იყო გადახრილი ოდნავ და როდესაც არჩილმა ბერკეტი აამოძრავა, ამწევი წიფხი ბორბლის ფერსოს შეებჯინა ირიბად ძიყენებული საბრჯენიეით. ახლა ყველაფერი მზად იყო.

არჩილი ზეზე ადგა. ქუჩი გაიძრო, იქვე მიაგდო ყინულზე, სიგარეტს წაუკიდა, მოეჩაჩა და გაირინდა.

იგი ფიქრობდა. წარმოდგენაში რაღაც ბედნიერ აზრს, ჭკუამახვილ მიგნებას შეჰღიმოდა. კმაყოფილი, მაგრამ ცივი გამომეტყველება ჰქონდა. ელენეს გადახედა. მზერა ბორბლებზე გადაიტანა, ჩაჯდა, ძალაკი ბერკეტში შეიყვანა და ისევ გაირინდა.

ელენე კვლავინდებურად რაღაცას ჩაჰკირკიტებდა და ღელავდა.

— მიგდე ყური, არჩილ! — მოისმა მანქანის ქვეშიდან.

არჩილი გაინცა და მიაყურა.

— მე ვიცი, რასაც ამბობ. შენ გინდა დამიხსნა აქედან და მერე მესროლო. ჩემთვის თითქმის სულერთია, როგორ მოვკვდები. იქნებ ტყვეიით სიკვდილი სჯობდეს კიდეც აყრილ ყინულებში ჩახრჩობას, ანდა გათოშვით სიკვდილს, შენთვის კი ეს არ არის სულერთი. რას მოგიტანს გასროლა ხანგრძლივი პატიმრობის მეტს? წარსულში მრავალი შეცდომა დავუშვით სამთავემ. შენ გიხდა მესროლო. ეს დამაგვირგვინებელი შეცდომა იქნება. კმარა! ახლა მაინც გამოვიჩინოთ კეთილგონიერება... მოეშვი მაგას, წაიღე შენი ჯალამბარი და წადი, გამეცალე. ერთი, ასე თუ ისე, კვდება. რა საჭიროა მეორეს ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხეში ამოჰხდეს სული, მერე სამარის კარამდე უსამართლო საქციელმა ტანჯოს? წადი, სანამ გვიან არ არის!

არჩილმა ძალაკა მოსწია და თქვა:

— მე შევეცდები შენი რჩევა-დარიგების გარეშე ავიცილო თავიდან ციხე და პატიმრობა. განა ხარ იმის ღირსი, რომ შენი გულისთვის კაცი იჯდეს? — ძალაკა მოძრაობა განაგრძო.

— აიცილო? — წარმოთქვა ელენემ, არჩილს მიუახლოვდა და მის გვერდით ჩაჯდა.

არჩილმა ძუშაობა შეწყვიტა.

— აიცილო? — გაიმეორა ელენემ. — როგორ თქვი, როცა მორი მოგვკონდა? ოქმში ეწერება: „გადავწყვიტე მიმეღო ყოველგვარი ზომა, რათა დამეხსნა ადამიანი". ოქმში ეწერებაო. — ეს მან დიმიტრის გაუმეოოა. — შენ იცი, რას ამბობ? ოდნავ ასწევს მანქანას, ისევ ჩამოგდებს და დაგაღრჩობს. გარსაცმი, უკანა ხიდის გარსაცმი დაგაღრჩობს! შენც გაგისწორდება და არც პასუხს აგებს: ადამიანის გადარჩენა სურდა, იღონა, რაც შეეძლო, მაგრამ მანქანა შემთხვევით მოწყდა ჯალამბრიდან და ადამიანი დაიღუპა! გასაგებია?

არჩილი გაშრა. ენა წაერთვა. ასეთი სიმდაბლისა და მუხანათობის ეშვე შეიტანეს მასში?.. ყელში ბოღმა მოაწვა, სახეში სისხლმა ასახა.

დიმიტრიმ თავი გადაიქნია. ეს იყო მტკიცე, დარწმუნებული უარყოფა იმისა, რომ არჩილს ამგვარი მუხანათობა შეეძლო.

— გამეცალე აქედან, პირმყარალო. უნამუსო დედაკაცო! — გასცრა არჩილმა და მკლავით გაიშორა ელენე. — შენ გგონია...—დაყოლა მან ხმაღალა, წყრომით და უეცრად სათქმელი ბაგეზე შეახმა. კარგა ხანს ეცადა რაღაცის თქმას, სიტყვის გამოშვებას, ვერ ახერხებდა, მერე როგორც იყო მოითქვა სული და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ვნახოთ და მართლა დამივარდეს, მომიწყდეს ჯალამბრიდან? მაშინ?

სიჩუმე ჩამოწვა, არც ერთს არ ამოუღია ხმა, სანამ ისევ არჩილმა არ დაილაპარაკა:

— ვნახოთ და მართლა?.. რამდენჯერ მომწყვეტია? ეს ხომ ციხეზე უარესი იქნება! ეს დედაკაცი უსათუოდ იტყვის — განზრახ ჩაიდინაო... ვინ დამიჯერებს!?

მთვარემ რამდენიმე წამით გამოიჭიატა და კვლავ მიიმალა. ძრავას რათრაცი გაეფიოდა. უფრო მოშორებით მეორე თუნთუნებდა, თითქოს მოძახილს ეუბნებოდა პირველს.

— ნუთუ ნინოც დაიჯერებს?.. — ჩაილაპარაკა არჩილმა.

— ნინო? ვერაფერს დაიჯერებს ნინო... — მიუგო დიმიტრიმ.

— როგორ?

— ნინო ორმოცდაოთხში დაიღუპა! — თქვა დიმიტრიმ ხმადაბლა.

— ორმოცდაოთხში დაიღუპა! — გაიმეორა არჩილმა უნებლიეთ. გაფითრდა. გაიცრაცა. — ორმოცდაოთხში? არაუგვიანეს ოთხი თვისა დღიდან ჩემი წასვლისა? არაუგვიანეს ორი თვისა იმ ბარათის შემდეგ? ორმოცდაოთხში დაიღუპა... როგორ თუ დაიღუპა? რას ნიშნავს დაიღუპა? დაბომბვაში? ბომბიარრამას გადაჰყვა?...

— ავარიაში, ავტომანქანაში! — თქვა დიმიტრიმ. ლაპარაკი უჭირდა, ეძნელებოდა.—ბიჭი უკვე ერთი თვისა იყო. მე მიმყავდა მანქანა. ეზოდან პატარა გოგო გამოხტა, ავარიდე... კედელში შევეჯერი. გოგო უვნებელი დარჩა. ნინო... სამ დღეს იცოცხლა. ტვინის შერყევა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილმა გმინვას დამუწული ტუჩები დაუხვედრა. ნესტოებიდან გამოატანა ხმამ.

— მბუუუ! — საფეთქლებზე მიიბჯინა მუშტები და გაყუჩდა.

— ეჰ! — დაარღვია სიჩუმე დიმიტრიმ. — შენ ნინო აქამდე... ამდენი... მოგაყენა და მაინც... დრო? დროც ბევრი გავიდა და მაინც...

არჩილს არ გაუგონია დიმიტრის ნათქვამი. გაშეშებული იყო კარგა ხანს. მერე დინჯად წამოიწია, საგვერდულიდან ნათურა ჩამოხსნა და გულმოდგინედ დაათვალიერა არხში ჩამჯდარი მორი, ბორბლის ფერსოზე მიყენებული ჯალამბარი, მორზე გათლილი სიბრტყე, რომელზედაც ჯალამბარი იდგა. ისევე ჩამოკიდა ნათურა და ჯალამბარს ჩაუჯდა.

— არ უნდა დამივარდეს! არაფრის გულისათვის! — არჩილი კიდევ დაფიქრდა, თათმანები გაიძრო, ორმოში ჩაყო ხელები და სახეზე წყალი შეისხურა.

ამას თითქოს გამოაფხიზლა; გამომეტყველება დაუდინჯდა, დაუცხრა. ცხვირსახოცით შეიმშრალა პირსახე.

— ახლავე! — თქვა მან.

არჩილმა ძალაკს მოსწია ნელა და ღონივრად. წიფხის ყაირი ბორბლის ფერსოზე მიყენულ ლაფში ჩაჯდა და ნაფხვენი ჩამოაყრევინა. ბორბალი დინჯად, მძიმედ წავიდა ზევით.

დიმიტრიმ თავი მოაბრუნა, ელენეს შეხედა.

ელენე არჩილის ქურქს დასცქეროდა. წამით დიმიტრის ესროლა მზერა და ისევე ქურქს დაეჩერდა.

ყინულზე მიგდებული ქურქის ჯიბიდან არჩილის დამბაჩის ლულა იყურებოდა, სევადი, მრგვალი, მრისხანე.

არჩილი შეჩერდა:

— ბიჭი იყო, თუ?.. — იკითხა მან. — გადარჩა, თუ?..

— გადარჩა. ბიჭი. არჩილი, — უპასუხა დიმიტრიმ.

ელენემ ყურები ცქვიტა, არჩილისაკენ მოიწია, სმენა გაამახვილა.

— სად არის? — ისროლა არჩილმა.

დიმიტრი დუმდა. ელენეს თვალი ხან ერთზე იყო მიპყრობილი, ხან მეორეზე. ხან ქურქის ჯიბიდან მომზირალ დამბაჩას აცხრებოდა.

არჩილი პასუხს ელოდა, სიმშვიდე ღალატობდა.

— ახლა? არ ვიცი! — ძალისძალად თქვა დიმიტრიმ. — მე ექვსი წელიწადი ვიჯექი, სასჯელს ვიხდიდი. ბიჭი საბავშვო სახლში იყო. განვთავისუფლდი. იქ აღარ დამიხვდა. იშვილეს ვიღაცეებმა. არ ვიცი ვინ.

ელენე განცვიფრდა. ყბა დაუვარდა უნებლიეთ.

არჩილმა თავი ჩახარა. სიჩუმე გაგრძელდა, გაჭიანურდა, აუტანლად დამძიმდა. როცა თავი აიღო, სახეზე კვლავ სიმშვიდე და განურჩევლობა ჰქონდა აღბეჭდილი. ადარც ღელვა შეეძლო, ადარც მრისხანებისთვის შესწევდა ძალა. ბოღმაზე, მრისხანებაზე, აფეთქებაზე უფრო სახარელი სიცივე მოდიოდა მისგან, ამპარზენი, ყრუანტელის მომგვრელი.

— რამდენი ბოროტება ჩაიდინა! — ჩაილაპარაკა მან გაკვირვებით. — სინდისის ქენჯნამ მაინც როგორ არ მიგასაკლავა! — იგი დადუმდა. ნერე ნათურა ჩამოიღო, ისევ გულდასმით მოათვალიერა ყველაფერი: — აქ არაფერი არ მოწყდება. მანქანა აიწევა... უმტკივნეულოდ! — თქვა არჩილმა მტკიცედ. ნათურა დაკიდა და ძალაკს მოსწია.

ელენემ სწრაფად, შეუმჩნეველად ამოაცურა დამბაჩა არჩილის ქურქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბიდან და უბეში მიჩქმალა. ჯერ არჩილს შეხედა, ხომ არ დამინახაო, მერე დიმიტრის.

დიმიტრი ოდნავ იღიმებოდა და თავს აქნევდა უარყოფის ნიშნად.

ელენე ვერ მიუხვდა საფადელს, თვალებით ჰკითხა, რას მეუბნებიო.

— ჩადე, დაიბრუნე თავის ადგილზე! — თქვა დიმიტრიმ.

არჩილი ძალაკს ძოეშვა. ჯერ დიმიტრის შეხედა, მერე ელენეს. ელენე დაიბნა, გაკბუნდა. ყოყმანი დაეტყო.

— ჩადე, შენ გეუბნები! — თქვა დიმიტრიმ გადაჭრით.

ელენემ ნელა, ყოყმანით, უნდობლად აასრულა დიმიტრის ნება: დამბაჩა გამოაცოცა უიიდან და ქურქის ჯიბეში ჩააბრუნა.

არჩილი გაოცებული იყო. მან დიმიტრის გადახედა.

სიმტკიცე და მკვიდრი სიმშვიდე დახვდა არჩილს დიმიტრის თვალებში. ქორის კლასკებივით ბჭიდე მზერა ჰქონდა მას.

ისინი დიდხანს შეჰყურებდნენ ერთმანეთს. დიმიტრიმ გაარიდა თვალი. არჩილმა ღვარძლიანად გაიღიმა, დამბაჩას დასწვდა, შარვლის ჯიბეში შეიხახა და ძალაკს დაუბრუნდა.

დიმიტრის გვერდულად ედო თავი. ყელზე დაბჯენილ უკანა ხიდს შეჰყურებდა თვალმოუწყვეტლივ. არჩილი ფრთხილად მუშაობდა. ღერძი ძლიერ ძნელად იწევდა ზევით, მაგრამ მაინც თვალსათლივ ჩანდა მისი მოძრაობა. დიმიტრიმ ღერძსა და ყელს შორის სალოკი თითი შეაცურა. ჯერ კიდევ მეჩიდროდ იჯდა თითი. მერე მოფინდა. კიდევ ცოტა და შუა თითიც შეეტია, ახლა ყელსა და გარსაცმს შორის ორი თითი იყო. დიმიტრის დასცხა, ოფლიც კი იგრძნო, გულმა დაგადუგი ატეხა. უკიდურესმა ღელვამ საოცარი ღიძალი მოჰგვარა.

ელენე მოჯადოებულივით შეჰყურებდა სურათს.

ღერძი ნელა, მტკიცედ იწევდა ზევით და, რაც უფრო შორდებოდა ყინულის ზედაპირს, მით მეტად ინაბებოდა ელენე.

არჩილსაც ეცვალა სახე. თანდათან აიღწა და აღიგზნო, სუნთქვას უხშირა. ძალაკის მოზიდვაშიც სულიერმა ღელვამ იმჟღავნა.

დიმიტრიმ მესამე თითი მიაზომა მანძილს.

სამი თითი!..

თვალები დახუჭა, ქურქი დაბღუჯა ხელებით, ერთიანად აიკრიფა, დაიჭიმა, როგორც ნადირი გადაშწყვეტი ნახტომის წინ.

ელენე ზეზე ადგა და გაინაბა.

დიმიტრის უფრო მკვიდრად შეეკრა უპეები. ნიკაპზე, შუბლზე, საულვაშეზე წვრილი, ოფლიანი წვეთები ასხდა... ოთხი თითი მიაზომა მანძილს და ფრთხილად გაცურდა...

არჩილი ადგა. ორი ნაბიჯით დაიხია უკან. დამბაჩა ამოიღო, დამცველი გადახსნა.

მანქანის უკანიდან დიმიტრი გამოჩნდა. ძარის კუთხეში გაჩერდა. მარჯვენა ხელი გადახსნილ საგვერდულზე ჩამოდო, მარცხენათი დოინჯი შემოიყარა და შავად მზირალ ლულას ჩააშტერდა.

ლულა აიწია, გასწორდა, თვალებში მიებჯინა დიმიტრის.

ელენემ აუჩქარებლად გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, არჩილს გადაეღობა და გულხელი დაიკრიფა. დამბაჩა თვალებში შეჰყურებდა. თვალები ლითონისა ჰქონდა ელენეს, ისეთივე ერგვალი, მკაცრი, ფეხმოუცველელი, როგორც ლულა.

— მოწყდი აქედან! — გაუცინა არჩილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მანქანა, ტვირთი, მედიკამენტები... ავადმყოფი ბავშვები მელიან!... ადამიანს კლავ, ნაძირალავ, მკვლელო!

— გამეცალე! მე მივიყვან მანქანას ტვირთიანად, მედიკამენტებიანად, შენიანად. კაცი... დახსნილია! მე მოვალე ვარ ვესროლო!

ელენე ეცა, დამბაჩის წართმევა დააპირა. არჩილმა ხელი აარიდა, მეორე ხელი მკლავში სტაცა. გადაუგრიხა, ყინულზე ჩააჩოქა.

არჩილმა ისევ დაუმიზნა დიმიტრის. ელენე იწევდა, ხელიდან დასხლტომას ლამობდა, დამიზნების საშუალებას ართმევდა.

დამბაჩა ტოვადა. ხელი ვერ გაჩერებულიყო. თითი მაინც დაწვა ჩახმახს.

— ბიჭი ჩემთან არის. საბადოზე! — თქვა წყნარად დიმიტრიმ, იგი იქვე, ისევ დოინჯშემოყრილი, კვლავინდებურად მშვიდად იდგა.

ელენე გაინაბა. არჩილს დიმიტრიზე მიეცივებინა დამბაჩა... მოკუტული თვალი გაახილა. ერთხანს უმზირა დიმიტრის და მკაცრად, უილაჯოდ იკითხა:

— ვინ ბიჭი?

— ბიჭი თოთხმეტი წლის ბიჭი. არჩილი. ნინოსი და შენი... ჩემი ბიჭი...

არჩილი გაოცდა. ხელებში სისუსტე იგრძნო. უნებლიეთ მოეფონა ჯერ მარცხენა ხელი და ელენე ისევ ზეზე ადგა. მერე მარჯვენა და დამბაჩამ ყინულზე დაიხედა. მერე წარბი შეკრა, ელენეზე გადმოაცურა მზერა. მიაშტერდა, თითქოს ახლიდა დაინახა ეს ქალი, თითქოს რაღაც საოცარი, დამარეტიანებელი შენიშნა მასში. იფიქრა, დიდხანს იფიქრა. დიმიტრის მოუბრუნდა. რაღაც მოძრაობა გააკეთა დამბაჩიანი ხელით, თითქოს სროლა განიზრახა და გადაიფიქრაო, თავი ჩაქინდრა.

— წამოვიყვან?.. სად წავიყვან, ციხეში?.. — ჰკითხა მან ჩურჩულით თავისთავს და ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

ბუნებამ სუნთქვა შეკრა. ხეობა გაინაბა. დაღლილი მთვარე მთაგრიხილებში ჩაწვა. ღრუბლები თან გაჰყვნენ, სულთამხუთავები. ლურჯი კაბადონიდან აქა-იქ მიმობნეული ვარსკვლავები იყურებოდნენ და აღმოსავლეთს ბაცი შეაპარა შორიდან მომავალმა განთიადმა.

არჩილმა ხელისგული გაშალა, იარაღს დაეჭერდა. დიმიტრის ახედა, თვალი თვალში გაუყარა... დამბაჩა ნელა, ზანტად ჩაცურდა, გადაკარდა, ყინულზე დაეცა, არჩილმა ფეხი ჰკრა დამბაჩას, ბორბალთან ორმოში ჩააგდო.

რამდენი ხანი გავიდა?

— მომცემ? — ჰკითხა არჩილმა დიმიტრის ხმადაბლა, მშვიდად.

დიმიტრი დაფიქრდა.

— წაიყვან განა? — უპასუხა მან.

ახლა კი შიში და მუდარა დაინახა არჩილმა დიმიტრის თვალებში. შიში და მუდარა, რომელიც საყვედურად, წამებად უნდა ქცეულიყვნენ...

არჩილი თვალებში შესცქეროდა დიმიტრის.

— იყოს ჩემთან... — ჩაილაპარაკა დიმიტრიმ. ხმა მოსწყდა, მეტი ველარ მოახერხა.

კარგა ხანი გავიდა. არჩილს უკვირდა: დიმიტრის მთელი ღამის განმავლობაში ერთხელაც არ გაუმეღვნებია სინანული ან მუდარა. ახლა? ახლა მის ხმაში, იერში შებრალების ხვეწნა ისმოდა პირდაპირ, მკაფიოდ.

— ექვსი წელი მაგ ბიჭზე დარდმა... — წარმოთქვა დიმიტრიმ ხმადაბლა. — რვა წელიწადია ერთად ვართ. სხვა არავინა მყავს. ეგ ბიჭია... იყოს ჩემთან, — ხმის სიმტკიცე დაუბრუნდა.

— იცის, როგორც არის... სიმართლე? — იკითხა არჩილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა. საჭირო არ იყო. — მიუგო დიმიტრიმ, იყუჩა და ისევ შესთხოვა: — იყოს ჩემთან, ნუ წამართმევ!..

— ნუ წაგართმევ? მე... წაგართმევ? — შეაწყვეტინა არჩილმა. — შენ წამართვი, ყველაფერი წამართვი და..

— მე წაგართვი, ყველაფერი წაგართვი! — მიაგება დიმიტრიმ მშვიდად. — შენც იგივე შეცდომა უნდა გაიმეორო?

არჩილს სიტყვა პირში გაეხირა. ელენეს მიხედა, თითქოს იქიდან ელოდა წამოშველებას.

ელენემ მზერა აარიდა და უმალვე თავი დახარა, ყინულს დააჩერდა.

— ეს კაცი მუდამ მართალს ამბობს და მუდამ მტყუანი კია, — თქვა თავისთვის არჩილმა და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დასძინა: — ახლა ბავშვი, თვითონ ბიჭი? ვუნდივარ, მამად მიგულებს?

აღმოსავლეთს უფრო მძაფრად მოაწვა ნაცრისფერი. კუნაპეტი თავგამოდებით ერკინებოდა მომძლავრებულ ალიონს, მაგრამ რას გახდებოდა — დრომ უწია. ეგ არის, ალიონი ლაქვარდისფერი როდი იყო, ტყვიის სიმძიმე ჰქონდა. ტყვიისავე ფერი..

— ამას ფიქრი უნდა, ბევრი ფიქრი! — თქვა არჩილმა. დაიხარა, ქურქს დასწვდა, მხრებზე წამოიგდო ნაბადივით.

იგი დინჯად, ამაყად მიაბიჯებდა. მანქანის შუქზე მეტისმეტად ტანზორბა, დიდი, უზარმაზარი ჩანდა არჩილი.

დიმიტრი და ელენე უხმოდ გაჰყურებდნენ მიმავალს... კაბინის კარის ჩახანი მოისმა. ძრავი არატრატდა.

ჯერ ბორბლების ხმაური მისუსტდა და მიწყდა. მერე ძრავის ბუზღუნმაც იკლო იმდენად, რომ დიმიტრის მანქანის ძრავის ხმამ ჩაახშო მთლიანად.

— მე უნდა წავიძინო ნახევარი საათი, ოცოიდე წუთი მაინც! — თქვა დიმიტრიმ, ბარბაცით მივიდა კაბინამდე, ძლივსძლივობით ავიდა, საჯდომზე დაემხო პირქვე და წაილუღლუღა: — სამ მილიარდამდეა. რამდენი ვიქნებით? ათი, იქნებ მეტი! ისინიც გადარჩნენ?

მეტი აღარაფერი უთქვამს. ღრმა ძილმა წაიღო.

ელენე საფეხურზე დაეშვა.

— მეტი სიმშვიდეა საჭირო! — ჩაილაპარაკა ელენემ, თითქოს დიმიტრის პასუხად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურმან ლებანიძე

ფიქრები

I

გაველურებული მაჟალო და პანტა!
ასკილი შავი
და ასკილი ჩვეულებრივი!
დაბერებული ყორე და ქვიტკირი
და შიგ ყორეში ამოსული
და წაფერდილი
ჩემთვის
საყვარელი კუნელი.

მე დავამტკრიე
უტკბილესი ჩემთვის ტოტები,
და ახლა, აგერ თორმეტი დღეა,
როგორც ფეოდალს,
მონადირეს, კომისიონერს,
ჩემი სენაკის მყუდრო კედელზე
მიკიდია
ირმის რქებივით.

და დამცქერიან
მონაცრისფრო
დაკბილულ ფოთლებიდან
თვალდაჭყეტილი
უნაბისფრად წვრილი მარცვლები,
ვით ღინჭილები
უხსოვარი ფერადი შუშის,
ვით სახსოვრები
ძველმესხური ნასახლარების
და გრილ საღამოს,
ტკბილ საღამოს არ მავიწყებენ...
ბებერ ყორესთან
სუფრას შლიდა ტურფა ბაია —
ჩვენი ნატიფი,
ჩვენი სათნო დიასახლისი —
და გვიამბობდა:
საუკუნეთა მრავალთა წინათ,
ამ ნანგრევებთან,
ალბათ, ეახშამს ასევე შლიდა.
საღამოს ბინდში,
მესხის ქალი —
სახელად — ასმათ.

შემდეგ —
დუმდნენ ირგვლივ შავი ტევრები.
შემდეგ —
უსხდნენ სუფრას ცისკარიშვილები,
იღველფებოდნენ
და ოხრავდნენ მუგუზლები,
ტბორებად ეჩვეოდა
ბინდი ნასახლარებს
და მესხურ მიწას
ჩავცქეროდით ფიქრის თვალებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო სულ იქვე,
ორიოდ ვერსზე, — საოცარ იყო,
იდგნენ კორტოხებზე
კოშკი მზისა და კოშკი მთვარის...

დავიწყებოდათ დედამიწა
და ცას შესცქერდნენ
გაფაციცებით —
ასტრონომები!

II

„თამარ!“ —
ბუტბუტებს აბასთუმნის ვეება მთვარე
და ფიჭვის ტევრში ეპარება ხავსიან ნანგრევს.
ერთიმეორის მიყოლებით აქრობენ სანთლებს
და იძულებით აძინებენ ავადმყოფ ქალაქს.
ჩაღამდნენ თეთრი პალატები. არ გეძინება.
დახუჭავ თვალს და წარმოიდგენ, რომ სადღაც ახლოს
დუმილი ფარფატებს თეთრ კედლებზე,
საყვარელ შუბლზე გარინდულად პაწია „ჩოლკა“
საყვარელ შუბლქვეშ ფუსფუსებენ ფიქრები შენზე...
და
საყვარელ ქალივით
მთელი ღამე ბუზღუნებს ოცხე.

III

მივდი-მოვდივარ აჩემებულ ჭალაში,
ჩვენი პაწია და ბუზღუნა მდინარის პირად,
წყალგაღმა გხედავ — შავით მოსილ თუშს,
წყალგაღმა გხედავ — სხვა დროის კაცს
და შენზე ვფიქრობ, ცისკარიშვილო!
შენსავით მგლური სიარული მინდა ვისწავლო
და ტკბილ-ქართული მასლაათი, ჩემო გიორგი.
იმაზე მეტს მე არ ვინატრი, —
უყვარდეს ქართველს საქართველო,
როგორც შენ გიყვარს!
იმაზე მეტს მე არ ვინატრი, —
სიკეთეს ჩემთვის, ვიდრე, ძმაო,
მე შენთვის მინდა!
თოთხმეტი თვეა, ღია ჭრილობით დახვალ —
თოთხმეტი თვეა — გრძელი თოთხმეტი თვე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ღმერთებო, კუდმაკრატელებო!“ —
დრო და დრო ახედავ ცას...
დგახარ და ელი! და მტკიცეა შენი მოლოდინი!
შენი ნერვიული ნაბიჯი მიყვარს,
შენი ნერვიული და გიჟური ბორიალი!
ასე მგონია,
ოცხეს პირად კი არა,
კრწანისის ველზე დაბატტებ დაკრილი თუში
და გულისცემას უსინჯავ მკვდრებს...

მივდი-მოვდივარ აჩემებულ ჭალაში,
ჩვენი პაწია და ბუზღუნა მდინარის პირად,
წყალგაღმა გხედავ — შავით მოსილ თუშს,
წყალგაღმა გხედავ — სხვა დროის კაცს
და შენთვის ვფიქრობ, ცისკარიშვილო!

IV

თუ შეყოყმანდი,
და თუ შეკრთი,
და თავის დროზე,
თუ მოქცევისას არ შედი ზღვაში —
მიიქცევიან ბუზღუნით ზღვები...

შენ რომ მოგწონდა ცისფერი ბავშვი,
ჩაუსხდებიან მას ნავში სხვები...

შენ რომ გინდოდა აშენება მშვენიერ სახლის,
ააშენებენ იმ კორდზე სხვები...

თვალდახელშუა წავა ცხოვრება —
მიიქცევიან ბუზღუნით ზღვები...

თუ შეყოყმანდი,
და თუ შეკრთი,
და თავის დროზე,
მოქცევისას არ შედი ზღვაში...

V

ცხოვრებაში, ძმაო, — შიშველი მკლავები!
ეგვიპტური მკლავები — ხორციანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს —
ყოველდღიურ ცხოვრებაში, ელგუჯავ ჩემო!
ხოლო სიღრმეში ქართული გულის,
ხოლო სიღრმეში ქართული სულის —
მე ვენაცვალე
კოჭებამდე და მაჯებამდე
განფენილ სამოსს ქართვლის დედისას!

ნიავი რაა, ისიც არ იძვრის,
მივყვები პროსპექტს, სიცხისაგან რომელიც იწვის,
ზედ არ შევხედავ მე შიშველ მკლავებს,
ავხედავ მხოლოდ, თბილისის თავზე,
ნათ, გასაოცრებს — ამ სიცხეში მაჯამდე შეკრულთ,
რომელთაგან ერთს —
სტუმრისათვის უპყრია თასი,
რომელთაგან სხვას —
სატევარი ჩაუბღუჯნია,
და,
შენზე ვფიქრობ, ჩემო ელგუჯა.

რომ არ ყოფილიყვნენ ამაშუკლები,
რომ არ შობილიყო ბიჭი ამაშუკეთს,
რომ არ დაერქმიათ ბიჭისთვის ელგუჯა,
არ წასულიყო ერთ დღეს ურმით
ელგუჯას ბიძა,
არ ამოეტანა შროშიდან მიწა —
წითელი მიწა,
რომელსაც ჰფენენ,
ზედ შესდგება დიდი და მცირე,
რომელსაც ზელენ,
უსაშველოდ, პლასტილინივით,
და მერე უხვად
ძერწავენ კეცებს...
მომჭერით თავი,
მომჭერით თავი —
თუ გვექნებოდა
ეს ქართვლის დედა!..

ძმაო, ელგუჯა!
ვკოცნით, ვკოცნით ჩვენ შიშველ მკლავებს,
თუ შევეყარეთ როსმე შემთხვევით,
ხოლო მანდილს და
კაბის კალთას ქართვლის დედისას,
ვით რესპუბლიკის დროშას —
ვემთხვევით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI

ის გამოვარდა
გოგონების გუნდიდან უცებ,
შეკყვირა ერთი
და კისერზე ჩამომეკიდა.
მე გონს მოვდივარ
და ნელ-ნელა ვათვალიერებ
მის ნატიფ სახეს
და ლილისფერ პოლონურ ბლუზას.
იგი მიამბობს
ევროპის ამბებს,
რაც თვალის ერთი გადავლებით —
დიდებულია!
მე მიხარია,
რომ მან უკვე ევროპა ნახა.
მას უხარია,
მხნეს და ჯანმრთელს
რომ მხედავს ისევ.
შემდეგ ვიცინით,
შემდეგ ვდუმვართ,
მე ვეძებ სიტყვას,
თითის აწევით და ღიმილით
ვარიგებ ჭკუას.
ვიცინით ისევ —
უმიზეზოდ მგონი ამჯერად,
და ვეთხოვებით...
მიაბიჯებს ტოლების გვერდით...
ის მიაბიჯებს
ნატიფი და ჰაეროვანი —
ასული ძმის და
უსაყვარლეს ქართველი მგოსნის...
ჰოი, მანანავ, იარე, შვილო,
იფრინე, შვილო,
მამაშენის მსუბუქი ფრთებით —
ის
ქართულ მიწას
არ ამძიმებდა!

1960

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა მრევლიშვილი

გულისა

გასულა ვადა სადღეგრძელოთა,
დამდგარა ჟამი წყევლა-კრულვისა.
გულს კი,
გულს შენი სადღაც სჯეროდა.
ბოლოს დამნებდა.
შენი გულისა!
. . . . . .
შებრუნდა ეტლი, გაძლეთ, ღერძებო,
გაუძლეთ ქროლას გაზაფხულისას!
ამ ვარდფურცლობას,
ამ სადღეგრძელოს
გულს...
ვეღარ ვუმხელ.
შენი გულისა!

ცხელი ლოყა

სიბნელეში ხელმა ფრთხილად იფათურა
და ცხელ ლოყას წაეტანა ხელი...
ეს — მაგიდის
თავდახრილი ელნათურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემეფეთა, — წეღანდელი ცხელი!
ჩავრთე ისევ...
ძილს არ ვაცლი წარამარა...
პირველ ფიქრებს ამ ცალთვალას ვუმხელ.
მიჩვეულა, — თეთრი ფურცლის ანაბარა
კალმის წვერზე დაგვათენდა წუხელ.
... მელნის ლანდმა ძერასავით გადმოცურა,
ნისკარტს იწვდის — დავაპირეთ
წერა.

მწვანე ქინქლა
გონზე ჯერაც არ მოსულა,
ულვაშს არხევს და მიბღვერის ცერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგუდაშვილი

წეროები

ხიროსიმას პეგლს შემოვლებული აქვს ატომური გამოსხივებისაგან დაავადებულ ბავშვთა მიერ გამოჭრილი წეროების გირლიანდები.

გადუფრინეს განთიადზე
წეროებმა ცხრათვალა ცას,
ერთი,
ორი...
ათი...
ასი...
ბოლო არ აქვს სათვალავსა.
მოფრინავენ წეროები,
ფრთებით მოჰყავთ გაზაფხული.
გამოცოცხლდნენ მდელოები
რძიან მიწას ხაზავს ხნული.
ვით მზის სადღეგრძელოები,
მოფრინავენ წეროები.
აბრუნა სხივთა მორგვი
მიწამ ალვის წვეროებით,
მაგრამ, ნეტავ, მძიმე ბორგვით
რას ამბობენ წეროები?..

ესიკო...
ესიკო...
ეს იყო ერთი გოგონა
იაპონელი,
ხიროსიმიდან —
ერთი ჩამქრალი ჭიაკოკონა,
ერთი ჩონგური ჩამწყდარ სიმითა.
დაიბადა და
არტახები ტანჯვით დაკვნიტა,
სისხლის ცრემლები ჩაუდგა თვალში,
ვეღარ ჩამოდგა ფეხი აკვნიდან.
და სარეცელზე დაბერდა ბავშვი;
ბავშვი კი არა — ღია ჭრილობა,
ერთი პატარა ხიროსიმელი...
მან ვერ იხილა მშობლის ღიმილი,
ვერც ცის, ვერც მიწის
ფერთაჭრელობა...
ღარ შეხორცდა.
არ შეხორცდა იგი ჭრილობა,
ნორჩი სხეული იდაგება ალმოდებული...
დაიბადა და
იმ წუთშივე სიკვდილს ეშვილა
სიცოცხლისათვის დაბადებული...
და ბოლოს, როცა ღარაფრით ღარ
ეშველა,
მას მიუტანეს ქაღალდები და
მაკრატელი,
უთხრეს:
— გამოსჭერ ათასი წერო
და მორჩებიო...
მაშინ ჩაუდგა სულ პირველად თვალში
ნათელი,
იმედის შუქი, ცის ლურჯი ჩერო.

...ერთი,
ორი...
სტკივა თითები დაწყლულებული...
სამი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი...
კვლავ ჯიუტად სჭრის
სიცოცხლეზე დარწმუნებული.
ასი...
ორასი...
როდის იქნება მეათასე, ნატავი,
როდის?..
მეხუთასეა,
მეშვიდასე,
შვიდასერთია...
ის მეათასეც რა ჩქარა მოდის!
მაგრამ რა ხდება?
ღმერთო, სად ხარ?..
წაერთვა ძალი,
მერვეასეზე საუკუნოდ დახუჭა თვალი.

წევს სარეცელზე გაცივებული.
გასიებული ღია ჭრილობა;
მიწაო, მაღლა ასწიე გული,
მასზეც წყლულები წვანან ჩრდილებად
კაცნი სატკივარს ვერ იშუშებენ,
ატომი შხამის ფრთებს ადარ ჭეცავს,
თვალები — ლურჯი ფერის ნუშები,
მდურვით შესცქერენ მოლურჯო ზეცას!
წერონი ფრთებით ცას ეხლებიან,
იმ მეხის ტყდომა თითქოს დღეს იყოს,
იბადებიან, ტანჯვით კვდებიან
და უამრავი კვნესის ესიკო.

ესიკო, ესიკო!
შეხედე, ტირის
შენი იმედის რვაასი წერო...
— როდემდე სთიბავს ეგ ბასრი პირი,
სიბედისწერო ატომის ცელო?..
მკვდარ ქალალდებმა გამოსცეს ხმები,
ჰოსპიტლის მძიმე ჩრდილი დაფლითეს,
სული ჩაედგათ, შეესხათ ფრთები
და ხიროსიმის ძეგლზე დაფრინდნენ.

ცხრებზე არ ადგას ცისარტყლის ხიდი,
ხიროსიმაში ძეგლი დგას დიდი, —
ძეხდაკრულ ქვეყნის ტკივილი კუშტი...
ძეგლი კი არა, მრისხანე მუშტი
ალუმართია თვით დედამიწას!
ეს ის გუგუნებს ფოლადის ენით
— კაცობრიობავ, სიფხიზლე შენი
არ მოადუნო ერთი წამითაც!
კაცობრიობავ, ის ჯოჯოხეთი
არ დაივიწყო ერთი წამითაც!
შენი მშობელი დამიცავ მკერდით,
დამიდარაჯე შენს დედამიწას!

ხიროსიმაში ძეგლია დიდი,
მას არ ამშვენებს ცისარტყლის ხიდი.
იმ რკინის ძეგლზე სხედან წერონი
უდიმილონი,
უსიმღერონი —
მტკივან თითებით გამოჭრილები...
და მაშინ, როცა ბრმა ბავშვი ჩნდება,
როცა კვნესიან ტანჯვით ჩვილები,
მაშინ, როს ვინმე ესიკო კვდება
აფრინდებიან მოთქმით და ზარით,
მიჰქრიან ქვეყნის ოთხივე კუთხით
ერთი,
ორი...
ათი...
ასი...
— ხალხო, ჩააქრე ატომის თვალი,
სიცოცხლეს ფესვებს ასე რომ უთხრის!

ესიკო, ესიკო!
პატარა ქალო,
ატომის ქარით ჩამქრალო კვარო,
თვალწინ მიდგახარ პატარა ბავშვი
და შევცქერ ზეცას ფიქალ-ბრონლიანს,
ნაცნობ წეროებს ჩემს მშობელ
ქართლში
ის შენი წეროც გამოჰყოლია.
გამოჰყოლია, მათაც გაანდო,
მათ კი მე მამცნეს შენი ამბავი;
მიწა ატომმა აღარ გაადნოს,
არ დაიბზაროს ზეცის ლანგარი,
გულში არ გვედგას შავი ჩრდილები! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყაროს თავზე ჰქრიან წერონი,
შენი ხელებით გამოჭრილები,
ულიმილონი,
უსიმღერონი...

ერთი,
ორი...
ათი...
ასი...
ბოლო არ აქვს სათვალავსა,
გადიფრინეს განთიადზე
წეროებმა ცხრათვალა ცა.
დე, სულ ჰქროდნენ წეროები,
ვით მზის სადღეგრძელოები;
ასე ალარ ყაშყაშებდნენ,
არ გვამცნობდნენ კაცის ტკივილს,
სიცოცხლის მზე კაშკაშებდეს,
სიყვარულის ენთოს სხივი.
სულ ჰყვაოდნენ მდელოები
ყეთილ გუთნით გადახნული,
მოფრინავდნენ წეროები,
ფრთით მოჰყავდეთ გაზაფხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ᲗᲐᲕᲘ XXXIII

შეანელა თუ არა მილანის სადგურში შესვლისას მატარებელმა სვლა, ჩამოვხტი. თენდებოდა. ლიანდაგი გადავჭერი, სახლებს შორის გავძვერი და ქუჩაში დავეშვი. ერთი სასაუზმე ვნახე ღია, და ყავის დასალევად შევიდი. ადრიანი დილის სუნი იდგა, უკვე ახვეტილი მტვრის სუნი. საყავე ჭიქებში კოვზები ეწყო, ღვინარს ჭიქებს მაგიდაზე სველი წრეები დაეჩნია. პატრონი დახლში იდგა. ერთ-ერთ მაგიდას ორი ჯარისკაცი მისჯდომოდა. მე დახლს მივადექი, ჭიქა ყავა დავლიე და ერთი ნაჭერი პური შევატანე. ყავა რძეს გაენაცრისფერებინა და მე პურის ნატეხით მოვაცილე ნაღები. სასაუზმის პატრონი მე შემომცქეროდა.

— ერთ ჭიქა გრაპას არ დალევთ?

— არა, გმადლობთ.

— ჩემს ხარჯზე, — თქვა მან, პატარა ჭიქა შეავსო და ჩემსკენ მოსწია.— ფრონტზე რა ამბებია?

— არ ვიცი.

— ეგენი მთვრალები არიან, — მითხრა მან და თითი იმ ორი ჯარისკაცისაკენ გაიშვირა. ადვილი დასაჯერებელი იყო, სიმთვრალე ზედვე ეტყობოდათ.

— მიამბეთ, — თქვა მან, — რა ამბებია ფრონტზე?

დასასრული. იხ. „ცისკარი", № 9, 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფრონტისა არაფერი ვიცი.

— მე დაგინახეთ, როგორ დაეშვით. მატარებლიდან ჩამოხტით.

— უკანდახევას ბოლო არ უჩანს.

— გზეთებს ვკითხულობ. ახალი რა ხდება? აღარ თავდება?

— არა მგონია.

დაბალი ბოთლიდან გრაპა დასხა. — თუ რამე გასაჭირი გადგათ, — მითხრა მან, — მე შეგიფარებთ.

— არაფერი გასაჭირი არ მადგას.

— თუ გასაჭირი გადგათ, ჩემთან დარჩით.

— ძაინც სად?

— ჩემს სახლში. ბევრნი არიან ჩემთან. ვისაც კი გასაჭირი დაადგება, ჩემთან გამორბის.

— ბევრს ადგას გასაჭირი?

— გასაჭირს გააჩნია. სამხრეთ ამერიკელი ხართ?

— არა.

— ესპანური იცით?

— ცოტათი.

დახლი გადასწმინდა.

— ძალიან გაძნელდა საზღვრის გადალახვა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

— საზღვრის გადალახვა არც მიფიქრია.

— მანამ მოგწყინდებოდეთ, შეგიძლიათ ჩვენთან იყოთ. თქვენ თვითონ ნახავთ, რა კაცია ვარ.

— ახლა უნდა წავიდე, მაგრამ თქვენი მისამართი მეცოდინება.

თავი გაქნია. — თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ აღარ დაბრუნდებით. მე მეგონა მართლა გასაჭირი გადგათ.

— გასაჭირი არ მადგას, მაგრამ მეგობრის მისამართი მაინც დასაფასებელია.

ათლირიანი დაედე დახლზე, ყავის საფასური.

— გრაპაზე დამეწვიეთ.

— ნუ შეწუხდებით.

— თითო ჭიქა.

ორი ჭიქა გაავსო.

— გახსოვდეთ, — მითხრა მან, — პირდაპირ აქ მოდით. სხვას ნურავის გაეცნობით. აქ არაფერი გაგიჭირდებათ.

— მჯერა.

— მართლა გჯერათ?

— დიახ.

სერიოზულად შემომხედა. — მაშ ერთ რამეს გეტყვით: ამ ტუნიკით ნუღარ იქლით.

— რატომ?

— სახელოზე თვალნათლივ გაჩნიათ ვარსკვლავების ანაგლეჯი. სულ სხვა ფერი ადევს.

არაფერი მიპასუხნია.

— საბუთებსაც მოგიხერხებთ, თუ არა გაქვთ.

— რა საბუთებს?

— შვებულებისას.

— საბუთები არა მჭირდება. მაქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგი, — თქვა მან, — მაგრამ თუ რამე საბუთი დაგჭირდეთ, ყველაფერს გიშოვით.

— რა დაჯდება ეგეთი საბუთები?

— საბუთს გააჩნია. ძვირს არ ფასობს.

— ამჟამად არა მჭირდება.

მხრები აიჩეჩა.

— ყოველგვარი საბუთი მაქვს.

გარეთ რომ გამოვდიოდი, მომაძახა: „არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი მეგობარი ვარ".

— არა.

— ისევ გნახავთ, — თქვა მან.

— კეთილი, — მე ვუპასუხე.

ქუჩაში გამოსულმა, სადგურს გვერდი ავუქციე, სამხედრო პოლიციას არ გადავეყარო-მეთქი, და პატარა ბაღთან ეტლი დავიქირავე. მეეტლეს ჰოსპიტლის მისამართი მივეცი. პირაპირ შვეიცრის ოთახისაკენ გავემართე. შვეიცრის ცოლი გადმეხვია. ქმარმა ხელი ჩამომართვა.

— დაგვიბრუნდით! კარგადა ხართ!

— დიახ.

— ისაუზმეთ?

— ვისაუზმე.

როგორ გიკითხოთ, Tenente? როგორა ხართ?—მკითხა ცოლმა.

— მშვენიერად.

— საუზმეზე არ დაგვეწვევით?

— არა, გმადლობთ. ერთი ეს მითხარით, მისს ბარკლი ამჟამად ჰოსპიტალშია?

— მისს ბარკლი?

— აი, ინგლისელი მოწყალების და.

— ამისი გოგო, — უთხრა ცოლმა. მკლავზე ხელი გადამისვა და გამიღიმა.

— არა, — მიპასუხა შვეიცარმა, — წასულია.

გული ჩამწყდა. — ნამდვილად? მაღალ-მაღალ ქერა ინგლისელ ქალიშვილს ვეკითხებით!

— ნამდვილად. სტრეზას გაემგზავრა.

— როდის წავიდა?

— ორი დღის უკან. ისა და მეორე ინგლისელი გოგო.

— რა გაეწყობა, — ვთქვი მე, — ერთ რამესა გთხოვთ: ნურავის ეტყვით, რომ მნახეთ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

— არავის არ ვეტყვი, — აღმითქვა შვეიცარმა. ათლირიანი მივაჩეჩე, უკანვე გადმომიგდო.

— პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არავის ვეტყვი-მეთქი, — მითხრა მან, — ფული რათ მინდა.

— რითი შეგვიძლია გიშველოთ Signor Tenente? — მკითხა ცოლმა.

— მხოლოდ ამით, — ვუპასუხე მე.

— პირში წყალს ჩავიგუბებთ, — მითხრა შვეიცარმა, — შემატყობინეთ, და რაც კი შემიძლია, ყველაფერს გაგიკეთებთ.

— უსათუოდ, — ვუთხარი მე, — ნახვამდის. კიდევ გნახავთ.

კარებში იდგნენ და შემომყურებდნენ.

ეტლში ჩავჯექი და მეეტლეს სიმონსის მისამართი მივეცი. აი, იმ ნაცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, სიმღერას რომ სწავლობდა.

სიმონსი ქალაქის ბოლოში ცხოვრობდა, პატარა მაჯენტას მახლობლად. მე რომ მივედი, ჯერ ისევ იწვა და ეძინა.

— რა ადრე დგებით, ჰენრი, — მითხრა ალი.

— დილის მატარებელს ჩამოვყევი.

— ეს უკანდახევა რაღა უბედურებაა? ფრონტზე იყავით? სიგარეტს არ მოსწევთ? კოლოფშია, მაგიდაზე.

დიდი ოთახი იყო. ერთ კედელთან საწოლი იდგა, მეორესთან როიალი, აქვე ედგა ერთი ტუალეტის და მეორე დიდი მაგიდა. მე სკამზე ჩამოვჯექი, საწოლთან. სიმონსი ბალიშს მიეყრდნო და პაპიროსი გააბოლა.

— ცუდ დღეში ვარ, სიმ, — ვუთხარი მე.

— მეც, — თქვა მან, — ან კი როდის ყოფილა ჩემი საქმე კარგად. არ მოსწევთ?

— არ მინდა, — ვუთხარი მე, — შვეიცარიაში წასვლისათვის რა არის საჭირო?

— თქვენთვის? იტალიელები არ გაგიშვებენ.

— ეგ მეც ვიცი. შვეიცარიელები? არც ისინი მიმიღებენ?

— ისინი დაგაკავებენ.

— ვიცი. მაგრამ ამ საქმის მექანიკა ამიხსენი.

— დიდი არაფერი. სულ უბრალო საქმეა. სადაც მოგეპრიანებათ, წახვალთ. ღონდ, მე მგონი, აღრიცხვაზე უნდა გატარდეთ. დამაცა, პოლიცია ხომ არ მოგდევთ?

— ჯერ გაურკვეველია ეს.

— თუ გული გეთანაღრებათ, ნურც მეტყვით. თუმცა საინტერესო კია. აქ ყველაფერი ძველებურადაა. პიაჩენცაში თავიან-ფეხებიანად ჩავფლავდი.

— ძალიანა მწყინს.

— მაშა... ცუდად წამივიდა საქმე. კარგად კი ვიმღერე. ახლა აქ უნდა ვცადო ბედი, ლირიკულში.

— ნეტა მეც შემეძლოს მოსმენა.

— რა თავაზიანი ხართ! მართლა ცუდად ხომ არა გაქვთ საქმე?

— არ ვიცი.

— თუ გული გეთანაღრებათ, ნუ მეტყვით. აქ როგორღა მოხვდით? იმ დასაქცევ ფრონტს როგორ დაუძვერით?

— კმარა-მეთქი, გადავწყვიტე!

— ყოჩაღ. ბუდამ ჭკვიან კაცად მიმაჩნდით. შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?

— ძალიან მოუცლელი რომ ხართ!

— სულაც არა, რას ამბობთ, ჩემო ძვირფასო ჰენრი. სულაც არა. ნეტა კი დაგეხმაროთ და!..

— ჩვენ თითქმის ერთი სიმაღლისა ვართ. ვერ გამეგზავნებით და სამოქალაქო ტანსაცმელს ვერ მიყიდით? ტანსაცმელი კი მაქვს, მაგრამ რომში დავტოვე.

— აჰ, თქვენც ცხოვრობდით იქა! მაგისთანა საზიზღარი ქალაქი მეორე არ იქნება! როგორა სძლებდით?

— მინდოდა არქიტექტორი გავმხდარიყავი.

— მერე და, სად რომი და სად არქიტექტურა! ტანსაცმლის ყიდვა რად გინდათ! მე მოგცემთ, რაც დაგჭირდებათ. ისე გამოგაწყოთ, რომ შემოხვდეაც ვერ გაგიგდონ. აგერ საგარდერობოში შედით და რაც მოგეწონოთ კარადაში, ჩამოიღეთ. ყიდვა რათ გინდათ, ჩემო ძვირფასო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მაინც ყიდვა მირჩევნია, სიმ.

— მე კიდევ, წასვლას და ყიდვას, მირჩევნია ჩემი ტანსაცმელი დაგითმოთ, ჩემო კარგო. პასპორტი გაქვთ? უპასპორტოდ ფეხსაც ვერ მოიცვლით.

— კი. ძველი პასპორტი მაქვს.

— მაშ, ჩაიცვით, ჩემო კარგო, და ძველი ჰელვეციისკენ გაემგზავრეთ.

— ეგ არც ასე ადვილია. ჯერ სტრეზას უნდა ჩავიდე.

— დიდებულია, ჩემო ძვირფასო მეგობარო! იქ ნავში ჩაჯდებით და იალა! სცენაზე გამოსვლას რომ არ ვაპირებდე, მეც წამოვიდოდი. წამოვალ კიდეც.

— იქ ოდელურზე გადახვალთ.[1]

— ნამდვილად, ჩემო ძვირფასო მეგობარო. განა არ შემიძლია. უცნაური არ არის!

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ კარგად იმღერებთ.

კედელს მიეყრდნო და კიდევ გაიბოლა.

— დიდ სანაძლეოს ნუ ჩამოხვალთ. თუმცა სიმღერა მართლაც შემიძლია. სასაცილოა, მაგრამ ასეა. მიყვარს სიმღერა. აბა, მომისმინეთ, — ღრიალი აეოუ-შვა, „აფრიკელი ქალიდან“ მღეროდა რაღაცას. კისერი გაუსივდა, ძარღვები დაებერა.

ფანჯარაში გადავიხედე.

— ჩავალ და ეტლს გავუშვებ.

— მალე ამოდი და ვისაუზმოთ, ჩემო ძვირფასო.

ლოგინიდან ჩამოვიდა, გაიმართა, ღრმად ჩაისუნთქა, ვარჯიშს მოჰყვა. მე ღ ბალა ჩავედი და მეეტლეს ქრა გადავუხადე.

თავი XXXIV

სამოქალაქო ტანსაცმელი რომ ჩავიცვი, თავი მასკარადზე მეგონა. ძალიან დიდხანს მეცვა სამხედრო მუნდირი და ახლა მეჩოთირა, გამოწკეპილი რომ არ ვიყავი. შარვალი თითქოს ჩამოფანთხული მქონდა. მილაწში სტრეზას ბილეთი ვიყიდე. ახალი ქუდის ყიდვაც დამჭირდა. სიმის ქუდი ვერ ვიგუე. ტანსაცმელი კი კარგად მომერგო. თამბაქოს სუნი ასდიოდა, და კუპეში რომ ვიჯექი და ფანჯრიდან ვიყურებოდი, ასე მეგონა ჩემი ახალი ქუდი ძალიან ახალი ჩანს და ტანსაცმელი კი ძალიან ძველი-მეთქი. ისეთივე მოწყენილი ვიყავი, როგორც ეს ნესტიანი ლომბარდიის ბუნება, რასაც მე ფანჯრიდან ვავცქეროდი. კუპეში რამდენიმე მფრინავი იყო, რომელთაც თავიდანვე ამრეზით შემომხედეს. ჩემი ხნის კაცს რომ სამოქალაქო ტანსაცმელში მხედავდნენ, ზიზღს მაგრძნობინებდნენ. მე არ მიგვრძნია შეურაცხყოფილად თავი. უწინ კარგად გამოგილანძოვადით და ჩხუბსაც ავტეხდი. გალარატეში ჩავიდნენ და გამეხარდა, მარტო რომ დავრჩი. გაზეთი კი მქონდა, მაგრამ არ წამიკითხავს, აღარ მინდოდა ომის ამბების კითხვა. ვცდილობდი, დამეივიწყებინა ომი. სეპარატული ზავი დავდე. საშინელი მარტოობა ვიგრძენი და გამეხარდა, როცა მატარებელი სტრეზას მიადგა.

სადგურზე სასტუმროების დალაქებს ვნახავდი მეგონა, მაგრამ ერთიც არ გამოჩენილა. სეზონი დიდი ხნის გასული იყო და მატარებელს კაცისშვილი არ დახვედრია. ჩამოვხტი ჩემი ჩემოდნით, — ეს იყო სიმის ჩემოდანი, ძალიან მსუბუქი, რადგან ორი პერანგის მეტი შიგ არაფერი დებულა, — და მატრებლის წასვლამდე სადგურის სახურავქვეშ გადავიყუდრე. ვაგზლის თანამშრომელმა ჩაიარა და ვკითხე, ხომ არ იცით, ახლა რომელი სასტუმრო მუშაობს-მეთქი.

[1] გამყიანი ხმით მღერა, ე. წ. ტიროლური ფალცეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრანდ ოტელი აღმოჩნდა ღია, აგრეთვე გეზილ ბორომე და სხვა წვრილ-წვრილი სასტუმროები, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ღიაა. წავიღე ჩემი ჩემოდანი და ამ წვიმაში დეზილ ბორომესაკენ გავსწე. ქუჩაში მიმავალი კარეტა დავინახე და გამიჩერე-მეთქი, მეეტლეს ვანიშნე. კარეტით მისვლა სჯობდა. მიეხოიგინდით დიდი ოტელის შესასვლელთან და ხელადვე ქოლგიანი შეეიცარი გამომეგება, ძალიან თავაზიანად შემხვდა.

კარგი ნომერი დავიჭირე. დიდი იყო, ნათელი, და ტბას გადაჰყურებდა. ახლა ღრუბლები ჩამოსწოლოდა ტბას, მაგრამ მზიან ამინდში მშვენიერი სანახავი იქნებოდა. ცოლს ველოდები-მეთქი, განეუცხადე. დიდი, ორმაგი საწოლი იდგა, letto matrimonicale [1], და ზევიდან ატლასის საბანი იყო გადაფარებული. დიდებული სასტუმრო იყო. გრძლად გადაჭიმულ დერეფანს დავუყევი, ფართო კიბეები ჩავიარე და ვესტიბიულიდან პირდაპირ ბარში შევედი. ბარმანს ვიცნობდი, მაღალ ტაბურეტზე დავჯექი, და დამარილებული ნუში და შეკწვარი კარტოფილი მოვატანინე. მარტინი გრილი და ანკარა იყო.

— ეს Borglese [2] რას ნიშნავს? — მკითხა ბარმანმა, როცა მეორე მარტინიც მომიმზადა.

— შვებულებაში ვარ. გამოსაჯანსაღებელი შვებულება მაქვს.

— აქ კაცის ჭაჭანებაც აღარ არის. რატომ არ დაკეტავენ ამ ოტელს, ვერ გაგიგია.

— ბევრი ითევზავეთ?

— მშვენიერი კალმახები დავიჭირე. ამ დროს იცის ხოლმე კარგი კალმახები.

— ჩემი გამოგზავნილი თამბაქო თუ მიიღეთ?

— დიახ. ჩემი ბარათი არ მიგიღიათ?

გამეცინა. თამბაქო ვერ ვუშოვე. ამერიკული ჩიბუხის თამბაქო მთხოვა, მაგრამ ჩვენებს აღარ გამოუგზავნიათ, ან იქნებ გზაში დაკავეს. ერთი სიტყვით, აღარ მიმიღია.

— გიშოვით სადმე, — ვთქვი მე, — ერთი ეს მითხარით, ორი ინგლისელი ქალი ხომ არ შეგინიშნავთ ქალაქში? გუშინწინ ჩამოვიდნენ.

— სასტუმროში არ მინახავს.

— მოწყალების დები არიან.

— ორი მოწყალების და კი შევნიშნე. დამაცადეთ, ახლავე მოგიძებნით.

— ერთი იმათგანი ჩემი ცოლია, — ვუთხარი მე, — სწორედ მის სანახავად ჩამოვედი.

— მეორე კიდე ჩემი ცოლია.

— არ გეხუმრებით.

— მაპატიეთ, ბრიყეული ხუმრობა გამომივიდა, — თქვა მან, — კარგად ვერ გაგიგეთ.

გავიდა და კარგა ხანს აღარც დაბრუნებულა. მე ზეთის ხილს, დამარილებულ ნუშსა და შემწვარ კარტოფილს შევექცეოდი და თან სარკეში, რომელიც დახლის უკან იდგა, ჩემს თავს ვათვალიერებდი სამოქალაქო ტანსაცმელში. ბარმანი დაბრუნდა.

— პატარა სასტუმროში არიან, ვაგზლის მახლობლად, — მითხრა მან.

— სენდვიჩი არ გექნებათ?

---

[1] ცოლქმრის სარეცელი (იტალ.).

[2] სამოქალაქო ტანსაცმელი (იტალ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლავე დავურეკავ. აქ აღარაფერი გვაბადია, ხომ ხედავთ, ხალხი აღარ დადის.

— მართლა არავინ არის?

— ძალიან ცოტა.

სენდვიჩი მოიტანეს. სამი ცალი შეეჭამე და ორი მარტინი დავაყოლე. ასე გრილი და საამური ჯერაც არაფერი დამელია. თავი ისევ ცივილიზებულ ადამიანად წარმომადგენინა. სულ შავი ღვინით, პურით, ყველით, საზიზღარი ყავითა და გრაპით ვიყიპებოდი. ახლა კი, აგერ, მომაღლოდ ვიჯექი ტაბურეტზე. ირგვლივ მშვენიერ წითელ ხეს, მოოქროვილ ბრინჯაოსა და სარკეებს შევყურებდი და არაფერზე არა ვფიქრობდი. ბარმანმა რაღაც მკითხა.

— ომს ნუღარ მიხსენებთ, — ვუთხარი მე.

ომი სადღაც შორს იყო. იქნებ არავითარი ომიც არ არსებულა. აქ ნამდვილად არ იყო ომი. და ახლაღა მივხვდი, რომ ჩემთვის იგი დამთავრდა. თუმცა ისეთი გრძნობაც არა მქონია, თითქოს მართლა დამთავრებულიყოს. პატარა ბიჭივით ვიყავი, რომელიც სკოლიდან გაპარული და ფიქრობს—ნეტა ახლა სკოლაში რა ხდებაო.

ქეთრინი და ჰელენ ფერგიუსონი ვახშმობდნენ, როცა მე მათთან მივედი სასტუმროში. დერეფნიდანვე შევნიშნე მაგიდასთან. ქეთრინი ჩემკენ ზურგით იჯდა და მე ვხედავდი მისი თმის მოხაზულობას, ღაწვებს, მის ლამაზ კისერსა და მხრებს. ფერგიუსონი ლაპარაკობდა. მე რომ შევედი, გაჩუმდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა მან.

— ჰელო! — მივმართე მე.

— შენ ხარ?! — წამოიძახა ქეთრინმა. სახე გაებადრა. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ, ეტყობოდა, არა სჯეროდა. ვაკოცე. ქეთრინი წამოფაკლდა, მეც მიეუჯექი სუფრას.

— ლამის თავგზა ამებნეს, — თქვა ფერგიუსონმა, — აქ რა გინდათ?

— ჭამეთ რამე?

— არა.

ოფიციანტი გოგო შემოვიდა და თეფში მომიტანე-მეთქი, ვუთხარი. ქეთრინი სულ მე შემომყურებდა, თვალები ბედნიერებით უცემცემებდა.

— ეს მუფტი რაღას ნიშნავს? — მკითხა ფერგიუსონმა.

— კაბინეტში ამირჩიეს.

— ცუდი ხომ არა შეგემთხვათ რა?

— გამხიარულდით, ფერჯი. გახსენით შუბლი.

— სულ არ მახარებს თქვენი დანახვა. ვიცი, რა ღღეშიაც ჩააგდეთ ეს გოგო. თქვენი შეხვედრა არავითარ სიხარულს არა მგვრის.

ქეთრინმა გაიღიმა და მაგიდის ქვეშ ფეხი წამკრა.

— არავისაც არ ჩავუგდივარ ცუდ ღღეში, ფერჯი. მე თვითონ ჩავიგდე ჩემი თავი.

— ვეღარ ვიტან, — თქვა ფერგიუსონმა, — დაგღუპათ თავისი გაიძვერული იტალიური ხრიკებით და მეტი არაფერი. ამერიკელები იტალიელებზე უარესები არიან.

— პატიოსნება შოტლანდიელებისა იკითხე! — თქვა ქეთრინმა.

— მაგას არ გეუბნები. მე მაგის იტალიურ გაიძვერობაზე მოგახსენებდი.

— გაიძვერა ვარ, ფერჯი?

— ხართ. გაიძვერობა კიდევ ცოტაა. გველი ხართ. იტალიურ მუნდირში გამოწყობილი გველი. გარედან კი ლაბადა შემოგიხვევიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ხომ აღარ მაცვია იტალიური მუნდირი.

— ეგეც თქვენი გაიძვერობის ნიშანია. მთელი ზაფხული სიყვარულობანას თამაშობდით და ბავშვი აჰკიდეთ ამ გოგოს, ახლა კი ალბათ გაილალებით.

ქეთრინს გაეღიმე და მანაც გამიღიმა.

— ჩვენ ორივენი გავილალებით, — თქვა მან.

— რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს ტოლს არ დაუდებთ, — თქვა ფერგიუსონმა. — შენს მაგივრ მე მრცხვენია, ქეთრინ ბარკლი. სირცხვილი შენ არ გაქვს და ნამუსი, რა გაიძვერაც ეგა ბრძანდება, შენც ისა ხარ.

— ნუ, ფერჯი, — უთხრა ქეთრინმა და მუხლზე ხელი გადაუსვა. — ნუ გამომთათხე. შენც ხომ იცი, რომ ერთმანეთი გვიყვარს.

— ხელი აიღე, — შეჰყვირა ფერგიუსონმა. სახეზე სულ წამოჭარხლებულიყო, — სირცხვილის ნატამალი რომ შეგრჩენოდეს, კიდევ ჰო! უფალმა უწყის, რამდენი თვის ორსული ხარ და მაინც ხუმრობა გგონია ყველაფერი. კიდევ ღიმილად იღვრება, რა არის — შემცდენელი დამიბრუნდაო! არც სირცხვილი გაქვს და არც გული!

ტირილი აუვარდა. ქეთრინი ადგა და ხელი მოხვია. ფერგიუსონის მოსაფერებლად რომ ადგა, მაშინ დავაკვირდი — ტანზე არაფერი ცვლილება არ შემიმჩნევია.

— მე რა მენაღვლება, — ზლუქუნებდა ფერგიუსონი, — მაგრამ ეს საშინელებაა.

— ნუ, ნუ, ფერჯი, — ამშვიდებდა ქეთრინი, — ნახე, თუ არ ჩავვარდე სირცხვილში! ნუ სტირი, ფერჯი, ნუ სტირი, ჩემო კარგო ფერჯი!

— არა ვტირი, — ზლუქუნებდა ფერგიუსონი, — სულაც არა ვტირი. მაგრამ სხვა რაღა დამრჩენია. როცა გავიხსენებ, რა საშინელებაში გაეხვევე, — ძე შემოხვიდა, — ძმულხართ, — მითხრა მან, — ამანაც ვერ მომაბრუნებინა თქვენზე გული. თქვე ბილწო და გაიძვერა გიატალიელებულო ამერიკელო, — ტირილისაგან თვალები და ცხვირი დაუწითლდა.

ქეთრინმა გაიღიმა.

— მე ხელსა მხვევ და იმას უცინი, ხომ!

— შენ სულელი ხარ, ფერჯი!

— ეგ მეც ვიცი, — ამოიზლუქუნა ფერგიუსონმა, — მაგრამ ჩემს სიტყვებს ყურშიაც ნუ შეუშვებთ. ავდელდი. სულელი ვარ. განა არ ვიცი. მინდა, რომ ბედნიერები იყოთ.

— ვართ კიდეც ბედნიერები, — მიუგო ქეთრინმა, — ჩემი საყვარელი ფერჯი!

ფერგიუსონი ისევ აქვითინდა. — ეს რა ბედნიერებაა! ჯვარს რად არ იწერთ? სხვა ცოლი ხომ არა გყავთ, ჰა?

— არა, — ვუთხარი მე, ქეთრინმა გაიცინა.

— სულაც არ არის სასაცილო, — თქვა ფერგიუსონმა, — რამდენსა ჰყავს სხვა ცოლი!

— დავიწერთ ჯვარს, ფერჯი, — უთხრა ქეთრინმა, — შენ თუკი გაგეხარდება.

— ჩემს გასახარად არა. შენ თვითონვე უნდა გინდოდეს ჯვარის დაწერა.

— ძალიან მოუცლელი ვიყავით.

— როგორ არა. ვიცი. ბავშვების კეთებაში იყავით გართული და მოცლა არა გქონდათ. — მეგონა, ისევ ტირილს ამოუშვებდა, მაგრამ ახლა კბენა დაიწყო. — ალბათ ამაღამვე გაჰყვები, არა!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა თქმა უნდა, — მიუგო ქეთრინმა, — თუკი თვითონ მოისურვებს.

— მე რაღას მიშვრება?

— მარტო დარჩენისა გეშინია?

— ჰო, მეშინია.

— მაშინ შენთან დავრჩები.

— არა, გაჰყევი. ახლავე გაჰყევი. ერთად რომ გიყურებთ, გული მერევა.

— ბარემ სადილს მოვრჩეთ.

— არა. ახლავე წადით.

— ფერჯი, რას სულელობ!

— ახლავე წადით-მეთქი. ორივენი წადით.

— ავდგეთ და წავიდეთ, — ვთქვი მე. თავი მომაბეზრა ფერჯიმ.

— აი ეგ გინდოდათ. უნდა მიმატოვოთ და სადილიც კი მარტოკას შემაჭამოთ. რამდენი ხანია იტალიური ტბის ნახვას ვნატრობ და აჰა, რა მივიღე. ოჰ, ოჰ, — აწლუქუნდა, მერე ქეთრინს შეხედა და ტირილისაგან სუნთქვა შეეკრა.

— ერთად ვისადილოთ, — უთხრა ქეთრინმა, — და თუ ჩემი აქ ყოფნა გინდა, არც მიგატოვებ. მარტოკას არ დაგტოვებ, ფერჯი.

— არა, არა. მე მინდა, რომ წახვიდეთ. მე მინდა, რომ წახვიდეთ, — თავლები ამოიწმინდა, — რა სულელი ვარ! ყურს ნუ მათხოვებთ.

ოფიციანტი გოგო ძალიან აღელვა ამდენმა ტირილმა. ახლა კი, მეორე თავი საშველი რომ მოგვიტანა და დაშშმინებული გვნახა, ეტყობოდა გულზე მოეშვა.

ღამე სასტუმროში. ჩვენი ოთახი. ოთახს იქით გრძელი დერეფანი. დერეფანში, კარებთან, ჩვენი ფეხსაცმელები. იატაკზე სქელი ნოხი და ფანჯრებს ძილმა წვიმა. ოთახში კი სინათლე, მყუდროება და სიხარული. მერე სინათლე ქრება და რბილი ზეწრები გადიზიანებს. ლოგინიც საამურია, ააე გგონია — შინ დავბრუნდიო, მარტოკა აღარა ხარ, ღამით გაიღვიძებ და ისიც იქვე გყავს, არსად გამქრალა. სხვა აღარაფერი არსებობს ქვეყნად. დავიღლებოდით, ჩაგვეძინებოდა, და თუ გამოვიღვიძებდით, მეორეც გაიღვიძებდა, რომ მარტოობა არ გვეგრძნო. ხშირად კაცს მარტოობა მოუნდება ხოლმე, ქალსაც მოუნდება მარტოობა, და თუკი ერთმანეთის სიყვარული აქვთ, ამის გამო ერთიმეორეზე ეჭვიანობენ. ჩვენ ეს არასოდეს არ დაგვმართნია. როცა ერთად ვიყავით, სწორედ მაშინ ვგრძნობდი თავს მარტოდ, სხვებისაგან განცალკევებულად. ეს პირველად ვიგრძენი. რამდენ ქალთან ვყოფილვარ და ყოველთვის მარტოობა მიგრძვნია, ყველაზე საშინელი მარტოობა ეგ არის. ჩვენ კი არასოდეს არ შევუწუხებივართ მარტოობას, და ერთადყოფნის შიშიც არა გვქონია. ვიცი, რომ ღამე სხვაა და დღე სხვა: ყველაფერი გადასხვაფერებული გეჩვენება, ღამით მომზდარს დღისით ვერ ახსნი, რადგან დღისით ამისთანა რამე არ არსებობს და თუკი კაცს მარტოობის გრძნობა დაეუფლა, მისთვის ყველაზე საშინელი სწორედ ღამე იქნება. ქეთრინისათვის კი დღეც კარგი იყო და ღამეც, იმ განსხვავებით, რომ ღამე კიდევ უფრო უკეთესი იყო. როცა ხალხი ამდენ მამაცობას სჩადის ქვეყნისათვის, წუთისოფელმა ისინი უსათუოდ უნდა მოჰკლას და გასტეხოს, და ჰკლავს კიდეც. წუთისოფელი ყველასა სტეხს და ბევრს მერე ეს გადატეხილი ადგილი უფრო უმაგრდება. ვისაც ვერ გასტეხს, ჰკლავს ხოლმე. განურჩევლად ჰკლავს ყველაზე კეთილებს, ყველაზე ნაზებსა და ყველაზე მამაცებს. თუ არც ერთი არ ხარ, არ ხეინად ბრძანდებოდე, მაინც მოგკლავს, ოღონდ ისეთი აჩქარებით არა.

მახსოვს დილით გამოღვიძება. ქეთრინს ეძინა, ფანჯრიდან მზე შემოდიოდა. წვიმას გადაეღო, მე ლოგინიდან გამოვძვერი და ფანჯარასთან მივედი. დაბლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაღები იყო, მართალია ამჟამად გაძარცული, მაგრამ, კოხტად დაგეგმილები, მაინც ლამაზი ჩანდა, — ხვინჭამოყრილი ბილიკები, ხეები, ტბის გასწვრივ ქვის ქედელი და მზის სხივებზე აელვარებული ტბა, რომლის გადაღმა მთები აღმართულან. ვიდექი ფანჯარასთან და ვიყურებოდი, ხოლო როცა მოვბრუნდი, ქეთრინს უკვე გაპლეძიებოდა და მე შემომყურებდა.

— როგორა ხარ, გენაცვალე? — მკითხა მან. — რა მშვენიერი დღეა, არა?

— შენ როგორღა ხარ?

— ძალიან კარგად. მშვენიერი ღამე იყო.

— საუზმე არ გინდა?

უნდოდა საუზმე. მეც მინდოდა, და ლოგინშივე ვისაუზმეთ, ფანჯრიდან ნოემბრის მზე იჭყიტებოდა და საუზმის ლანგარი მუხლებზე მედო.

— გაზეთი არ გინდა? ჰოსპიტალში მუდამ კითხულობდი ხოლმე.

— არა, — ვუთხარი მე, — ახლა აღარ მინდა.

— ნუთუ ისე ცუდი იყო, რომ წაკითხვაც აღარ გინდა?

— წაკითხვაც აღარ მინდა.

— ნეტა მეც შენთან ვყოფილიყავი და მენახა, რა გადაგხდა თავს.

— გიამბობ ოდესმე, თუკი ყველაფერი დავალაგე თავში.

— ხომ არ დაგიჭერენ, უმუნდიროდ რომ ვნახონ?

— ალბათ დამხვრეტენ კიდეც.

— მაშ აქ ნუღარ გაჩერდებით. გავეცალოთ აქაურობას.

— მაგაზე მეც ვფიქრობ.

— წავიდეთ, გენაცვალე. საალაბედოდ რათ უნდა გავიხადოთ საქმე! მითხარი, მესტრედან — მილანში როგორ მოხვდი.

— მატარებლით ჩავედი. მაშინ მუნდირი მეცვა.

— საშიში არ იყო მაშინ?

— არც ისე. ძველი ნებართვა მქონდა. მესტრეში თარიღი გადავასწორე.

— აქ ყოველ წუთს შეუძლიათ დაგიჭირონ, ძვირფასო. არ მინდა ასე. აბა რა სისულელეა! რომ დაგიჭირონ, რა უნდა ვქნათ?

— მაგაზე ნუღარ ვიფიქრებთ. დამღალა მაგაზე ფიქრმა.

— რას იზამ, დასაჭერად რომ მოვიდნენ?

— ვესვრი.

— ხედავ, რა სულელი ხარ! მანამ აქა ვართ, ფეხს არ გაგადგმევინებ სასტუმროდან.

— მაინც საით ვაპირებთ?

— ასე ნუ დაიწყებ, გენაცვალე. საითაც იტყვი, იქით წავალთ. ოღონდ ისეთი ადგილი შეარჩიე, რომ ახლავე შეიძლებოდეს წასვლა.

— შეიცარია ამ ტბის ბოლოშია, იქ წავიდეთ.

— რა კარგი იქნება!

ისევ ჩამოწვა ღრუბლები და ტბა ჩააბნელა.

— ნეტა სულ ასე ბოროტმოქმედივით არა გრძნობდე თავს კაცი! — ვთქვი მე.

— ასე ნუ დაიწყებ, გენაცვალე. რა დიდი ხანია, ბოროტმოქმედივით რომ ცხოვრობ! სულ ასე ხომ არ ვიქნებით; წინ ისეთი კარგი ცხოვრება გველის!

— ბოროტმოქმედი მგონია თავი. ჯარის დეზერტირი ვარ.

— გონს მოდი, ძვირფასო. ეს რა ჯარის დეზერტირობაა. ეს ხომ იტალიის არმიაა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეცინა. — რა კარგი გოგო ხარ! ისევ ჩავწვეთ. ლოგინში თავს მშვენივრადა ვგრძნობ.

ცოტა ხნის შემდეგ ქეთრინმა მკითხა: — ახლა ხომ აღარ გგონია თავი ბოროტმოქმედი?

— არა, — მივუგე მე, — შენთან რომ ვარ, არა.

— რა სულელი ბიჭი ხარ, — თქვა მან, — მაგრამ მე მოგიელი. ხომ კარგია, გენაცვალე, რომ დილაობით გული აღარ მერევა ხოლმე.

— დიდებულია.

— რა კარგი ცოლი გყავს და შენ არც კი აფასებ. არა უშავს. ისეთ ადგილას წაგიყვან, რომ ვეღარ დაგიჭირონ და მერე ტკბილად ვიცხოვრებთ.

— ახლავე წავიდეთ.

— ახლავე, ძვირფასო. სადაც გინდოდეს და როცა გინდოდეს.

— ნუღარ ვიფიქრებთ ნურაფერზე.

— აგრე იყოს.

თავი XXXV

ქეთრინი ტბის სანაპიროს შეჰყვა პატარა სასტუმროსკენ, ფერგიუსონის სანახავად, მე კი ბარში დავჯექი და გაზეთების კითხვა დავიწყე. მშვენიერი ტყავის სავარძლები იდგა ბარში, მეც ერთ სავარძელში მოვიკალათე და ბარმანის მოსელამდე ვკითხულობდი. არმია ტაგლიამენტოსთან როდი შეჩერებულიყო. პიაველსკენ დაეხიათ. პიაველ გამახსენდა. სან დონას მახლობლად ჰკვეთდა რკინიგზა და ფრონტისკენ მიემართებოდა. ამ ადგილას ღრმა და ნელი იყო, და ძალიან ვიწრო. უფრო ქვემოთ ჭაობები და არხები იწყებოდა. რამდენიმე კოხტა ვილასაც შეხვდებოდი. ერთხელ, ომის დაწყებამდე, კორტინა დამპეტოში მივდიოდი და რამდენიმე საათი პიაველ ნაპირ-ნაპირ ვიარე, მთებში. ზემო წელში ჩქარა მოედინებოდა და, ეტყობოდა, კალმახი ეცოდინებოდა. ალაგალაგ, კლდეების ჩრდილში, გუბეებიც გაჩენილიყო. იქიდან გზა კადორესაკენ უხვევდა. ნეტა იქიდან ჯარი როგორ უნდა დაეშვას-მეთქი, ვფიქრობდი. ბერმანი შემოვიდა.

— გრაფმა გრეფიმ გიკითხათ.

— ვინა?

— გრაფმა გრეფიმ. მოხუცი კაცი არ გახსოვთ, წინა ჩამოსელაზე რომ მოვიდა აქა?

— აქ არის?

— აქ არის, თავის ძმისწულთან ერთად. თქვენზე ვუთხარი, ჩამოვიდა-მეთქი. ბილიარდის თამაში სურს თქვენთან.

— სად არის?

— სასეირნოდ გავიდა.

— როგორ არის?

— გაახალგაზრდავებულია. წუხელ, სადილის წინ, სამი კოკტეილი შესვა შამპანურით.

— ბილიარდში როგორა აქვს სქმე?

— კარგად. მე მიგებს. თქვენი ჩამოსელა რომ ვუთხარი, ძაან გაეხარდა. ისეთი აღარავინ არის, რომ ეთამაშოს.

გრაფი გრეიფი მეტერნიხის მომსწრე იყო, ოთხმოცდათოთხმეტი წლის ჭაღარა წვერულვაშიანი მოხუცი. ლამაზი მანერები ჰქონდა. ადრე ავსტრიისა და იტალიის დიპლომატიურ სამსახურში ემუშავნა და ახლა მისი ყოველი დაბადების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე მთელი მოვლენა იყო მილანის ცხოვრებაში. ას წლამდე ცხოვრებას აპირებდა და ისეთის ღაღი მოქნილობით თამაშობდა ხოლმე ბილიარდს, რომ მისი ხნის კაცისათვის წარმოუდგენელი იყო. ერთხელ სეზონის მიწურულს შეეხვდი სტრეზაში და თან ბილიარდს ვთამაშობდით, თან შამპანურსა ვსვამდით. ძალიან მომეწონა ეს ჩვეულება. ასში თხუთმეტი ქულა მომცა და მოიგო.

— რატომ არ მითხარით, აქ თუ იყო?

— დამავიწყდა.

— სხვა ვინ არის აქა?

— სხვებს არ იცნობთ. სულ ექვსი კაცია.

— ახლა რას აკეთებთ?

— არაფერს.

— სათევზაოდ წავიდეთ.

— ერთი საათით შემიძლია.

— წავიდეთ. ანკესი წამოიღეთ.

ბარმანმა პალტო ჩაიცვა და გავსწიეთ. ნაპირზე ნავში ჩავსხედით. მე ნიჩბებს ეუსვამდი, ის კი კიჩოზე დაჯდა და ტბის კალმახის საჭერი ანკესი გადაუშვა, რომელსაც მძიმე საძრავი ტყვია ება. ნაპირის გასწვრივ მივცურავდით. ბარმანს ანკესის ძაფი ეჭირა ხელში და ხანგამოშვებით შეარხევდა ხოლმე. ტბიდან სულ დაცარიელებული ჩანდა სტრეზა. მოსჩანდა გატიტვლებული ხეების გრძელი მწკრივები, დიდი სასტუმროები და გამოკეტილი ვილები. იზოლა ბელასკენ მივმართე ნავი და ზედ მივადექი კედელს, სადაც ტბა ერთბაშად ღრმავდება და გამჭვირვალე წყალში კარგად ამჩნევ ირიბად შეკრილ ქვის კედელს. მერე შემოვბრუნდი და მეთევზის კუნძულისაკენ ავიღე გეზი. მზე ღრუბელში იმალებოდა, ჩამუქებული წყალი გლუვი და ძალიან ცივი იყო. ერთხელაც არ წამოეგო ანკესზე, მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე რამდენჯერმე გაკეთდა თევზისაგან წრე.

მეთევზის კუნძულს გავუპირდაპირდი. ნაპირზე ათრეული ნავები ჩანდა. იქვე მეთევზეები ბადეებს კერავდნენ.

— არ დაელიოთ?

— დაელიოთ.

ნავი ქვის ხიმინჯს მივაყენე, ბარმანმა ანკესის ძაფი ამოიღო, დაახვია და ნავის ფსკერზე დასდო, სპინერი კი ქიმს გამოაბა. გადავხტი და ნავი მივაბი, პატარა კაფეში შეველით, ხის ტიტველ მაგიდას მივუჯექით და ვერმუთი დავუკვეთეთ.

— ნიჩბის სმამ არ დაგღალათ?

— არა.

— იქითობისას მე მოვუსვამ ,— თქვა მან.

— მიყვარს ნიჩბის სმა.

— იქნებ თქვენ გაგიმართლოთ, ანკესს რომ დაიჭერთ.

— აგრე იყოს.

—ერთი ეს მითხარით, ომის საქმე როგორ მიდის?

— საშინლად.

— მე არ მეკუთვნის წასვლა. ბერიკაცი ვარ, გრაფ გრეფისავით.

— იქნებ თქვენც მოგიწიოთ.

— გაისად ჩემს თანრიგსაც გაიწვევენ, მაგრამ მე არ წავალ.

— რანაირად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საზღვარგარეთ გადავიხვეწები. ომში რა წამიყვანს. ერთხელ უკვე ვიყავი, აბისინიის ომში. მორჩა! თქვენ რაღამ წაგიყვანათ?

— არ ვიცი. სულელი ვიყავი.

— კიდევ დავლიოთ?

— დავლიოთ.

აქეთობისას ბარმანი უსვამდა ნიჩბებს. სტრეზას გავცდით და უკანვე დავბრუნდით, ნაპირს კი დიდად არ დავშორებივართ. ხელში ანკესის კანაფი მეჭირა. ვგრძნობდი მბრუნავი სპინერის სუსტ ფეთქვას და გავცქეროდი უკაცრიელ ნაპირსა და ნოემბრის ჩამუქებულ ტბას. ბარმანი უფრო მაგრად უსვამდა და რამდენჯერაც წინ გაეარდებოდა ნავი, ანკესის კანაფი იმდენს ატოკდებოდა. ერთხელ მოედო კიდეც, კანაფი დასჭიმა და უკან დასწია. მე ამოთრევა დავიწყე და თითქოს ვიგრძენი კალმახის ცოცხალი სიმძიმე, მაგრამ ისევ აცახცახდა კანაფი. გამექცა.

— დიდი ჩანდა?

— კარგა მოზრდილი.

— ერთხელ მარტოკა ვთევზაობ და კანაფი კბილებით მიჭირავს, დასწია უცებ და ლამის პირი გამომგლიჯა.

— ყველას სჯობია, ფეხზე დაიმაგრო, — ვთქვი მე, — იგრძნობ კიდეც და კბილებსაც არ დაჰკარგავ.

წყალში ჩავყავი ხელი. ძალიან ცივი იყო. თითქმის გავუპირდაპირდით სასტუმროს.

— უნდა წავიდე, — თქვა ბარმანმა, — თერთმეტი საათისთვის იქ უნდა ვიყო, L' heure du cocktai [1].

— წადით.

კანაფი ამოვათრიე და ორივე ბოლოში დაკბილულ ჯოხზე დავახვიე. ბარმანმა პატარა ხიმინჯზე მიაბა ნავი, კედელში, ჯაჭვით დაამაგრა და ბოქლომი დაადო.

— როცა კი მოგინდეთ, გასაღებს მოგცემთ, — მითხრა მან.

— გმადლობთ.

ავიარეთ სასტუმროს კიბე და ბარში შევედით. ასე ადრიანად მეტი დალევა აღარ მინდოდა და ჩვენი ოთახისაკენ გავემართე. დამლაგებელ ქალს ის იყო დაემთავრებინა ოთახის დალაგება, ქეთრინი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ლოგინზე წამოვწექი და ვცადე არაფერზე მეფიქრა.

ქეთრინი რომ დაბრუნდა, ისევ გახალისდა ყველაფერი. დაბლა ფერგიუსონი გველოდებაო. საუზმეზე წამოსულიყო.

— ვიცოდი რომ არ გეწყინებოდა, — მითხრა ქეთრინმა.

— რას ამბობ?!

— რა მოგივიდა, ძვირფასო?

— მე თვითონ არ ვიცი.

— მე ვიცი. საქმე არაფერი გაქვს. ერთადერთი მე გყავარ, და მეც მიგატოვე.

— მართალი ხარ.

— მაპატიე, გენაცვალე. წარმომიდგენია, რა საშინელება იქნება — უცებ მოიხედავ და აღარაფერი შეგრჩენია.

— მთელი ჩემი ცხოვრება სულ ფაცაფუცში ვიყავი ხოლმე, — ვთქვი მე, — ახლა შენ თუ ჩემთან არა ხარ, სხვა აღარაფერი დამრჩენია ქვეყნად.

[1] კოკტეილის საათი, დრო (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ მე ხომ მუდამ შენთან ვიქნები. სულ ორი საათით წავედი. ვერაჯერს მოიგონებ, რომ გაერთო?

— ბარმანს გავყევი სათევზაოდ.

— კარგი იყო?

— კი.

— როცა არა ვარ, ჩემზე ნუ ფიქრობ.

— ფრონტზე ვცდილობდი ხოლმე ამას. მაგრამ იქ საქმეს რა გამომილევდა.

— საქმე გამოელია ოტელოს, — გამომაჯავრა მან.

— ოტელო ზანგი იყო, — მე ვუპასუხე, — თანაც, მე ეჭვიანი როდი ვარ. ისე შემიყვარდი, რომ სხვა აღარაფერი არსებობს ჩემთვის.

— ხომ კი ბიჭი იქნები? ფერგიუსონს ხომ კარგად მოექცევი?

— როდის მოვქცევივარ ცუდად, მანამ თვითონ არ დამიწყებს წყევლას!

— კარგად მოექეცი. აბა წარმოიდგინე — ჩვენ ყველაფერი გვაქვს, იმას კი არაფერი.

— არა მგონია, მაგასაც ის უნდოდეს, რაც ჩვენ გვაქვს.

— რა ჭკვიანი ბიჭი ხარ და მაინც რამდენი რამე არ იცი, გენაცვალე.

— კარგად მოვეპყრობი.

— მაგის იმედი მაქვს. შენ ისეთი საყვარელი ბიჭი ხარ!

— ოღონდ, მერე არ დარჩება, ხომ?

— არა. მე მოვიშორებ.

— და აქ ამოვალთ, ხომ?

— რა თქმა უნდა. აბა რა გეგონა!

დაბლა ჩავედით, რათა ფერგიუსონთან ერთად გვესაუზმა. ძალიან მოსწონებოდა სასტუმრო და რესტორნის მდიდრული მორთულობა. კარგად ვისაუზმეთ, ორი ბოთლი თეთრი კაპრიც დავლიეთ. რესტორანში გრაფი შემოვიდა და თავი დაგვიკრა. თან ძმისწული ახლდა, რომელიც ბებიაჩემს მაგონებდა. ქეთრინსა და ფერგიუსონს გრაფის მთელი თავგადასავალი ეუამბე და ფერგიუსონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამხელა სასტუმრო, ასე დიდებული, სულ ცარიელი იყო, მაგრამ საჭმელი გემრიელი ჰქონდათ, ღვინოც საამური, და საბოლოოდ ღვინომ მშვენიერ გუნებაზე დაგვაყენა. თუმცა ქეთრინს რათ უნდოდა გუნების გამოსწორება. ძალიან ბედნიერი იყო. ფერგიუსონი გალაღდა და გახალისდა. მეც მშვენიერ გუნებაზე დავდექი. ნასაუზმევს ფერგიუსონი თავის სასტუმროში დაბრუნდა. საუზმის შემდეგ ცოტა ხანს უნდა წამოვწეო.

ნაშუადღევს, მოგვიანებით, ვიღაცამ კარებზე დაკაკუნა.

— ვინ არის?

— გრაფსა სურს გაიგოს, ბილიარდის თამაშს ხომ არ ინებებთო?

საათს დავხედე. ადრევე მქონდა მოხსნილი და ბალიშის ქვეშ ამოდებული.

— უნდა წახვიდე, ძვირფასო? — წამჩურჩულა ქეთრინმა.

— მგონი ასე აჯობებს. — ხუთის თხუთმეტი იყო. ხმამაღლა გავძახე: „გრაფს მოახსენეთ, რომ სრულ ხუთ საათზე საბილიარდოში ვიქნები“.

ხუთს რომ თხუთმეტი აკლდა, ქეთრინს ვაკოცე გამოსამშვიდობებლად და საბაზანაში შევედი ჩასაცმელად. ყელსახვევს რომ ვისკვნიდი, სარკეში ჩემივე თავი მეჩოთირა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. კიდევ უნდა ვიყიდო პერანგები და წინდები-მეთქი, გავიფიქრე.

— დიდი ხნით მიდიხარ? — მკითხა ქეთრინმა. ლოგინში ლამაზი ჩანდა. — ჯაგრისს ვერ მომაწოდებ?

შეკცქერდი, როგორ ივარცხნიდა თმას. თავი ისე გადაღრიცა გვერდზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მთელი თმა ერთ მხარეს ჩამოეშალა. გარეთ ბნელოდა და საწოლის თავში მდგარი სინათლე თმაზე, კისერსა და მხრებზე ეცემოდა. მივედი და ვაკოცე, ჯაგრისიანი ხელი დავუჭირე და თავი ისევ ბალიშზე დაუგორდა. კისერი და მხრები დავუკოცნე. ისე მომერია სიყვარული, რომ თავბრუ დამესხა.

— არ მინდა წასვლა.

— არც მე მინდა, რომ წახვიდე.

— მაშ არ წავალ.

— არა. წადი. აკი ცოტა ხნით მიდიხარ და ისევ მალე დაბრუნდები.

— აქ ვისადილოთ.

— ნუღარ ყოვნდები და ისევ დაბრუნდი.

გრაფი სბილიარდოში დამხვდა. თავისთვის ვარჯიშობდა და ბილიარდის თავზე დაშვებული სინათლის შუქზე ძალიან განაზებული მეჩვენა. იქვე ბანქოს მაგიდაზე, კუთხეში, ვერცხლის საყინულე ვედრო იდგა, და ყინულებიდან ორი შამპანური ბოთლის ყელი და საცობები ამოჩრილიყო. ბილიარდს რომ მივუახლოვდი, გრაფი გასწორდა და ჩემკენ გამოემართა. ხელი გამომიწოდა.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ აქა გხედავთ. დიდი პატივი დამდეთ, სათამაშოდ რომ ჩამოხვედით.

— თქვენც დიდად დამავალეთ, რომ მომიპატიჟეთ.

— ხომ კარგადა ხართ? იზონცოზე დაიჭრაო, მითხრეს. იმედი მაქვს, გამოჯანმრთელდებოდით.

— უკვე კარგადა ვარ. თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით?

— ო, მე მუდამ კარგადა ვარ. მაგრამ ვბერდები. უკვე ვგრძნობ სიბერის ნიშნებს.

— ვერ დავიჯერებ.

— ნამდვილად. ერთ ნიშანს გეტყვით, თუ გნებავთ. უკვე იტალიურად ლაპარაკს ვამჯობინებ. თავს ძალას ვატან, მაგრამ როცა დავიღლები, იტალიური გაცილებით უფრო მიადვილდება. ისე რომ, ვბერდები და ეგ არის.

— მაშ იტალიურად ვილაპარაკოთ. ცოტათი მეც დავიღალე.

— აჰ, თუ დაიღალეთ, თქვენთვის უფრო იოლი ინგლისური იქნება.

— ამერიკული.

— დიახ, ამერიკული. ამერიკულად ილაპარაკეთ. მომხიბლავი ენაა.

— თითქმის ვეღარ ვხვდები ამერიკელებს.

— მოგენატრათ, არა. ხელად მოგენატრება ხოლმე შენი ქვეყნის კაცი, განსაკუთრებით ქალი. მე თვითონ გამომიცდია. ვითამაშოთ თუ ძალიან დაიღალეთ?

— სულაც არ დაეღლილვარ, ეს ისე ხუმრობით გითხარით. ჰენდიკაპს რას მაძლევთ?

—ძალიან ბევრს თამაშობდით?

— სულაც არა.

— თქვენ ძალიან კარგად თამაშობთ. ათი ქულა იყოს?

— ქათინაურებს მეუბნებით.

— თხუთმეტი?

— კარგი იქნება, მაგრამ მაინც მომიგებთ.

— ფულზე ვითამაშოთ? თქვენ სულ ფულზე თამაშობდით ხოლმე.

— მე მგონი აჯობებს.

— ძალიან კარგი. თვრამეტს გაძლევთ. თითო ქულა — თითო ფრანკი.

შესანიშნავად ითამაშა და ჰენდიკაპის მიუხედავად, ორმოცდაათზე მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი ქულით ვიყავი წინ. გრაფმა კედელზე ზარის ღილაკს დაჭირა თითი, ბარმანს მოუხმო.

— ერთი ბოთლი გაგვიხსენით, გეთაყვა, — უთხრა მან და მერე მე მომიბრუნდა, — გუნებას გამოგვიკეთებს. — ღვინო ყინულივით ცივი იყო, მშრალი და სასიამოვნო.

— იტალიურად ვილაპარაკოთ? ძალიან ხომ არ გეწყინებათ? ახლა ეს არის ჩემი დიდი სისუსტე.

განვაგრძეთ თამაში. შიგადაშიგ ღვინოს ვწრუპავდით და იტალიურად ვლაპარაკობდით. მაგრამ, საერთოდ, ცოტას ვლაპარაკობდით, მთელი გულისყური თამაშისკენ გექონდა. გრაფმა მეასე ქულა ჩაადო, მე კი, ჩემი ჰენდიკაპის მიუხედავად, ოთხმოცდათოთხმეტს ძლივს მივაღწიე. გამილიმა და ბეჭებზე ხელი მომითათუნა.

— ახლა მეორე ბოთლიც დავლიოთ და თქვენ ომის ამბებს მომიყევით, — დამელოდა, მანამ დავჯდებოდი.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, — ვუთხარი მე.

— ომზე ლაპარაკს ერიდებით? კეთილი. ამ ცოტა ხანში რა წაიკითხეთ?

— არაფერი, — ვუთხარი მე, — ალბათ, სულ გამოვლენჩდი.

— კარგით, ერთი! მაგრამ უნდა იკითხოთ.

— მაინც რა დაიწერა ომის დროს?

— Le Feu [1]. ერთი ფრანგისა გახლავთ, ბარბიუსის. მერე, „მისტერ ბრიტლინგი ყველაფერს ხედავს“.

— ვერაფერიც.

— როგორ ვერაფერიც?

— ვერაფერსაც ვერ ხედავს. ეს წიგნები ჰოსპიტალში გექონდა.

— მაშ წაგიკითხავთ!

— დიახ, მაგრამ ვერაფერი შვილია.

— მე კი მგონია, რომ „მისტერ ბრიტლინგში“ კარგად არის ნაჩვენები საშუალო ინგლისელის სული.

— სულისა არაფერი გამეგება.

— საბრალო ბიჭი. სულისა ვის რა ესმის. Croyant [2] ხართ?

— ღამღამობით.

გრაფმა გაიღიმა და ჭიქა თითებით შეატრიალა.

— რაც ხანში შევალ, უფრო ღვთისმოსავი გავხდები-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება, — თქვა მან, — ძალიან სამწუხაროა.

— არ გინდათ სიკვდილის შემდეგაც იცოცხლოთ? — ვკითხე მე და მაშინვე ვიგრძენი, რომ სისულელე მომივიდა — სიკვდილი ვახსენე. მაგრამ იმას აინუნშიაც არ ჩაუგდია.

— გაჩნია, რა სიცოცხლე იქნება. ეს სიცოცხლე ძალიან ტკბილია. ნეტა, მარადიულად ვიცოცხლებდე, — გაიღიმა, — თითქმის მივაღწიე კიდეც ამას.

ტყავის დიდ სავარძელში ვისხდით და შუაში შამპანურიანი ყინულის ვედრო და ჭიქები გვედგა, მაგიდაზე.

— ჩემოდენა თუ მოიყარეთ, ბევრი რამ უცნაურად მოგეჩვენებათ.

— სულაც არა ჰგავხართ მოხუცს.

— სხეული ბერდება. ზოგჯერ შემეშინდება, თითი არ წამატყდეს-მეთქი,

---

[1] ცეცხლი (ფრანგ.).

[2] მორწმუნე (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცარცს წასტეხენ ხოლმე წვერს. სული არ ბერდება, არც სიბრძნეს აძენს.

— თქვენ ხომ ბრძენი ხართ!

— არა. ეს დიდი გაუგებრობაა — ბერიკაცის სიბრძნე ვინა სთქვა! სიბრძნე როდი ემატებათ — უფრო ფრთხილი ხდებიან.

— იქნებ სიბრძნეც ეგ იყოს.

— ვერაფერი სახარბიელო სიბრძნეა. ყველაზე უფრო რას აფასებთ?

— ვინც მიყვარს.

— მეც ასე ვარ. ეს რა სიბრძნეა. სიცოცხლეს თუ აფასებთ?

— ვაფასებ.

— მეც. იმიტომ, რომ ესღა შემრჩა... და კიდევ დაბადების დღეები, — გაეცინა, — თქვენ ალბათ ჩემზე უფრო ბრძენი ხართ. დაბადების დღეებს არ იხდით.

ორივემ შეესვით.

— ომზე რა აზრისა ხართ? — ვკითხე მე.

— ჩემის აზრით, სისულელეა.

— ვინ მოიგებს?

— იტალია.

— რატომ?

— უფრო ახალგაზრდა ერია.

— მუდამ ახალგაზრდა ერი იგებს ომს?

— ერთხანს აქვს ამის უნარი.

— მერე?

— მერე უფრო ხანდაზმული გახდება.

— აკი ბრძენი არ ვარო!

— ეს რა სიბრძნეა, ჩემო ძვირფასო ჭაბუკო, ეს ცინიზმია.

— მე კი დიდ სიბრძნედ მეჩვენება.

— არც მაგდენი სიბრძნეა. შემეძლო საწინააღმდეგო მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითებიც ჩამომეთვალა. მაგრამ ეგეც კმარა. სულ გავთავეთ შამპანური?

— თითქმის.

— კიდევ დაველოთ? მერე წავალ და ჩავიცვამ.

— მეტი აღარ უნდა იყოს საჭირო.

— მართლა არ გნებავთ?

— არა. — იგი წამოდგა.

— ვისურვებ, რომ ძალიან იღბლიანი, ძალიან ბედნიერი და ძალიან, ძალიან ჯანმრთელი ყოფილიყოთ!

— გმადლობთ. თქვენც მარადიულ სიცოცხლეს გისურვებთ.

— გმადლობთ. მაინც ასე გამოდის. თუ ვინიცობაა, ღვთისმოსავი გახდეთ, ჩემთვისაც ილოცეთ, როცა მოკვდები. რამდენიმე მეგობარს უკვე ვთხოვე ეს. მეგონა, მე თვითონ გავხდებოდი ღვთისმოსავი, მაგრამ ვერ გავხდი. — მომეჩვენა თითქოს სევდიანად გაეღიმა. მაგრამ ვერ დავიჯერებ: სიბერისაგან ისე დანოჭებული ჰქონდა სახე, და გაღიმებისას იმდენი ხაზი უნდა შერხეოდა, რომ გარდამავალი ელფერი იკარგებოდა.

— იქნებ ძალიანაც ღვთისმოსავი გავხდე, — ვთქვი მე, — ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის ვილოცებ.

— მეც სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ღვთისმოსავი გავხდები-მეთქი. ჩემს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარში ისე არავინ მომკედარა, ღვთისმოსავი არ ყოფილიყოს. მაგრამ რატომღაც მე ვერ ვეღირსე.

— ჯერ ძალიან ადრეა.

— იქნებ ძალიანაც გვიან იყოს. მე ალბათ მოვინელე ჩემი რელიგიური განცდანი.

— მე კი მარტო ღამით მეწვევიან.

— თქვენ შეყვარებულიცა ხართ. ნუ გავიწყდებათ, რომ ეგეც რელიგიური გრძნობაა.

— ასე გგონიათ?

— რა თქმა უნდა, — მაგიდისკენ გადადგა ნაბიჯი, — დიდი პატივი დამდეთ, რომ მეთამაშეთ.

— ჩემთვისაც დიდი სიამოვნება იყო.

— ერთად ავიდეთ ზემოთ.

თავი XXXVI

ღამით ქარიშხალი ამოიკრა, და ფანჯრის მინებზე წვიმის ტყლაშუნმა გამომაღვიძა. ღია ფანჯარაში პირდაპირ ასხამდა. ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა. ფრთხილად მივედი კარებთან, ქეთრინი რომ არ გამეღვიძებინა, და გავაღე. ბარმანი იყო. პალტო ეცვა და სველი ქუდი ხელში ეჭირა.

— შეიძლება მოგელაპარაკოთ, Tenente?

— რა ამბავია?

— ძალიან სერიოზული საქმეა.

მივიხედ-მოვიხედე. ოთახში ბნელოდა. ფანჯარასთან წყალი შევნიშნე იატაკზე, — შემოდით, — ვუთხარი მე. ხელი გამოვდე და საბაზანოში შევიყვანე. კარი ჩავიკეტე და სინათლე ავანთე. აბაზანის ძგიდეზე ჩამოვჯექი.

— რა მოხდა, ემილიო? ხომ არაფერი შეგემთხვათ?

— მე არა. თქვენ, Tenente.

— მაინც რა?

— დილით დაპატიმრებას გიპირებენ.

— რას ამბობთ?!

— ამის სათქმელად მოვედი. ქალაქში ვიყავი და კაფეში მოვჰკარი ყური.

— გასაგებია.

იდგა გალუმპული, ხელშიაც სველი ქუდი ეჭირა და ხმას არ იღებდა.

— რისთვის მაპატიმრებენ?

— რაღაცას ომს უკავშირებენ.

— არ იცით, რას?

— არა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრე აქ ოფიცრად გიცნობდნენ, ახლა კი ფორმა არ გაცვიათ. ამ უკანდახევის შემდეგ ყველას იჭერენ.

ერთის წუთით დავფიქრდი.

— რა დროს უნდა დამიჭირონ?

— დილით. არ ვიცი, რომელ საათზე.

— რას მირჩევთ, რა ვქნა?

ქუდი პირსაბანზე ჩამოსდო. სულ გაწუწული იყო და წყალი პირდაპირ იატაკზე იღვრებოდა.

— თუ გული არ გეთანაღრებათ, მაშინ დიდი არაფერი. თუმცა დაჭერა არასოდეს არ არის სასურველი — მით უმეტეს ახლა.

— არ მინდა, რომ დამიჭირონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ შვეიცარიაში უნდა წახვიდეთ.

— რანაირად?

— ჩემი ნავით.

— ქარიშხალი რომ არის! — ვთქვი მე.

— უკვე ჩადგა. ღელვა კი იქნება ცოტათი, მაგრამ თქვენ არ გაგიჭირდებათ

— როდის უნდა გავემგზავროთ?

— ახლავე. იქნებ გათენებისას მოგაკითხონ.

— ბარგს რაღა ვუყო?

— ჩაალაგეთ. ქალბატონმა ჩაიცვას. ბარგს მე მოვუვლი.

— თქვენ სად იქნებით?

— აქვე დაგიცდით. არ მინდა, ვინმემ მნახოს დერეფანში.

კარი გამოვაღე, ისევ მიეხურე და საწოლ ოთახში გავედი. ქეთრინს ეღვიძა.

— რა ამბავია, გენაცვალე?

— არაფერი, ქეთ, — ვუთხარი მე, — არ გინდა, ახლავე ჩავიცვათ და ნავით შვეიცარიაში გავემგზავროთ?

— შენ გინდა?

— არა, — მივუგე მე, — მე მირჩევნია, ისევ ლოგინში ჩავწვე.

— რა მოხდა?

— აგერ ბარმანი მეუბნება, დილით დაჭერას გიპირებენო.

— ხომ არ შეიშალა?

— არა.

— მაშინ ვიჩქაროთ, ძვირფასო, ჩავიცვათ და წავიდეთ ბარეშ, — ლოგინზე ჩამოჯდა. ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, — ეს ბარმანი საბაზანოშია?

— ჰო.

— მაშ აღარ დავიბან. იქით მიიხედე, გენაცვალე, და ხელად ჩავიცვამ.

ღამის პერანგი რომ გაიხადა, მისი თეთრი ზურგი დავინახე და მერე მივბრუნდი, რადგან ასე სურდა. უკვე დაეტყო ცოტათი მუცელი, და მარიდებდა ხელმე. ვიცვამდი და თან ფანჯრიდან წვიმის ხმა მესმოდა. ჩასალაგებელი ბევრი არაფერი მქონია.

— ჩემი ჩემოდანი თითქმის ცარიელია, ქეთ, თუ დაგჭირდეს.

— მეც უკვე ჩავალაგე, — თქვა მან, — ძალიან სულელი ვარ, გენაცვალე, მაგრამ მითხარი, ბარმანს საბაზანოში რა ესაქმება?

— ჩუ-უ. ჩვენ გველოდება, ბარგი უნდა ჩაიტანოს.

— რა კაი კაცი ყოფილა.

— ძველი მეგობარია, — ვუთხარი მე, — ერთხელ ჩიბუხის თამბაქო კინაღამ გამოვუგზავნე.

ღია ფანჯრიდან გავხედე ბნელ ღამეს. ტბა არ ჩანდა, მარტო წვიმასა და სიბნელეს ვხედავდი, ქარი ცოტათი დამცხრალიყო.

— მე მზადა ვარ, გენაცვალე, — თქვა ქეთრინმა.

— ძალიან კარგი, — საბაზანოში შევედი, — ჩემოდნები მზად არის, ემილიო, — ვუთხარი მე. ბარმანმა ჩემოდნები აიღო.

— რა პატივი დაგვდეთ, რომ დაგვეხმარეთ! — უთხრა ქეთრინმა.

— მაგდენიც არაფერი, ქალბატონო, — მიუგო ბარმანმა, — ჩემთვისაც სასიამოვნოა, დაგეხმაროთ, ოღონდ ისე, რომ თვითონვე არ გავეხვიო ფათერაკში. მომისმინეთ, — მომმართა მე, — მე ამ ჩემოდნებს უკანა კარებიდან გავიტან და პირდაპირ ნავისკენ გავსწევ. თქვენ კი დინჯად ჩამოდით, თითქოს სასეირნოდ მიდიოდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაი სასეირნო ღამე კია, — თქვა ქეთრინმა.

— ღამე მართლაც ვერ არის რიგიანი.

— კიდევ კარგი, ქოლგა მაქვს, — თქვა ქეთრინმა.

დერეფანი გავიარეთ და სქელნოხგადაფარებულ ფართო კიბეზე დავეშვით. კიბის ძირში, კარებთან, შვეიცარი იჯდა. ჩვენ რომ დაგვინახა, სახტად დარჩა.

— ქუჩაში უნდა გაჩვიდეთ, სერ? — მკითხა მან.

— ჰო, გავივლით, ტბაზე ქარიშხალს ვნახავთ, — ვუთხარი მე.

— ქოლგა არა გაქვთ, სერ?

— არა, ჩემი პალტო წვიმას არ ატარებს.

დაეჭვებით შემათვალიერა. — ქოლგას მოგართმევთ, სერ. — თქვა მან. გავიდა და დიდი ქოლგა მოიტანა. — ცოტა არ იყოს, დიდი კია! — ათლირიანი ვაჩუქე. — ო, თქვენ ძალიან კეთილი ხართ, სერ. დიდ მადლობას მოგახსენებთ. — კარი გაგვიღო და ჩვენ წვიმაში გავედით. ქეთრინს გაუღიმა და ქეთრინმაც გაუღიმა. — დიდხანს ნუ გაჩერდებით ქარიშხალში, — მოგვაძახა — დასველდებით, სერ და ლედი, — დამხმარე შვეიცარი იყო და ინგლისურში ჯერ კიდევ ვერ გაწაფულიყო — იტალიურიდან პირდაპირ თარგმნიდა გაღოთქმებს.

— მალე მოვბრუნდებით, — ვუთხარი მე.

გავშალეთ ვეებერთელა ქოლგა და ბილიკს დავადექით, მერე სველი, ჩაბნელებული ბაღი გადავჭერით და გზაზე გავედით, იქიდან კი, კვლავ ბილიკით, მესერშემოვლებულ ტბის სანაპიროს დავუყევით. ქარი ახლა ნაპირიდან უბერავდა. ნოემბრის ცივი, ნესტიანი ქარი იყო და ვიცოდი, რომ მთებზე უკვე დათოვდა. ჩავუარეთ ჯაჭვებით მიბმულ ნავებს და ვარაუდით მივადექი იმ ადგილს, საცა ჩვენი ბარმანის ნავი მეგულებოდა. წყალი ქვაზეადაც უფრო მავი იყო. ხეივნიდან ბარმანი გამოვიდა.

— ჩემოდნები ნავშია.

— ნავის ფული უნდა გადაგიხადოთ, — ვუთხარი მე.

— რამდენი გაქვთ ფული?

— არც ისე ბევრი.

— მაშ მერე გამომიგზავნეთ. ასე აჯობებს.

— რამდენი?

— რამდენიც მოგეგუნებოთ.

— მაინც რამდენი?

— თუ მშვიდობით ჩახვედით, ხუთასი ფრანკი გამომიგზავნეთ. ოღონდ მშვიდობით იმგზავრეთ, და მაგისი დარდი ნუ შეგაწუხებთ.

— კეთილი.

— ამაში სენდვიჩებია, — პაკი გადმომცა, — მეტი აღარაფერი მქონდა ბარში. სულ აქ არის. აგერ ერთი ბოთლი კონიაკი და ბოთლით ღვინოც. — ჩემს ჩემოდანში ჩავაწყვე.

— ამის ფული მაინც გადამახდევინეთ.

— როგორც გნებავთ — ორმოცდაათი ლირა მიბოძეთ.

გადავუხადე. — კარგი კონიაკია, — თქვა მან, — თამამად შეგიძლიაო თქვენს ქალბატონს დაალევინოთ. ბარემ ჩაბრძანდეს ნავში. — ნავი დაიჭირა, რომელიც ხან მაღლა ამოიწევდა, კედლის გასწვრივ, ხან ისევ დაენარცხებოდა, მე ქეთრინს მივაშველე ხელი. კიჩოზე ჩამოჯდა და ლაბადაში გაეხვია.

— გზას ხომ გაიგნებთ?

— აღმა უნდა შევყვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადამდე?

— მანამ ლუინოს გავცდებოდე.

— ლუინო, კანერო, კანობიო, ტრანცანო. ბრისაგოდან იწყება შვეიცარია. მონტე თამარაც უნდა გაიაროთ.

— რომელი საათია? — იკითხა ქეთრინმა.

— ჯერ თერთმეტია, — ვუთხარი მე.

— თუ შეუჩერებლივ იცურეთ, დილის შვიდი საათისთვის მიაღწევთ.

— ასე შორსაა?

— ოცდათხუთმეტი კილომეტრი.

— როგორ გავიკვლევთ გზას? ამ წვიმაში კომპასი მაინც მოგვცა.

— რათ გინდათ. იზოლა ბელასკენ აიღეთ გეზი. იზოლა მაღრეს რომ გასცდებით, ქარს მიჰყევით. ქარი პალანცაში მიგიყვანთ. სინათლეებს დაინახავთ. მერე კი ნაპირს გაჰყევით.

— ქარი თუ შეიცვალა?

— არ შეიცვლება, —თქვა მან, — სამ დღეს ასე იქროლებს. მატარონედან უბერავს. აგერ ჯამიც, წყლის ამოსახაპად.

— ცოტას მაინც გადაგიხდით ნავის საფასურს.

— არა. მირჩევნია ასე საალაბედოდ დარჩეს. მშვიდობით თუ გაიღწევთ, ბარემ ერთბაშად გადამიხადეთ.

— კეთილი.

— არა მგონია, დაიხრჩოთ.

— ღმერთმა ნუ ქნას.

— ქარის მიმართულება აიღეთ, შედმა.

— კარგი, — ნავში ჩავხტი.

— სასტუმროს ფული დასტოვეთ?

— დიახ. კონვერტში ჩავდე და ოთახში დავტოვე.

— მაშ ასე. ბედნიერი მგზავრობა, Tenente.

— ბედნიერად. ათას მადლობას გიძღვნით.

— მადლობა მაშინ იკითხეთ, თუ დაიხრჩვით.

— რაო? — მკითხა ქეთრინმა.

— ბედნიერი მგზავრობაო.

— თქვენც ბედნიერად იყავით, — უთხრა ქეთრინმა, — დიდი მადლობა.

— მზადა ხართ?

— კი.

დაიხარა და ხელი გვკრა. ნიჩაბი წყალში ჩავუშვი და ცალი ხელი დავუქნიე. გაფრთხილდიო, ხელით მანიშნა. სასტუმროს სინათლეებს გავხედე და ნიჩბები მოვუსვი, მანამ თვალს არ მიეფარნენ, სულ პირდაპირ მიმყავდა ნავი. ირგვლივ ნამდვილი ზღვა ბობოქრობდა, მაგრამ ჩვენ ქარის მიმართულებას მივჰყვებოდით.

თავი XXXVII

სიბნელეში ვუსვამდი ნიჩბებს და სახე ქარისთვის მქონდა მიშვერილი. წვიმა გადაიღო. მხოლოდ ხანდახან თუ წამოუშენდა ქართან ერთად. ძალიან ბნელოდა და ცივი ქარი ჰქროდა. ქეთრინს შევყურებდი კიჩოზე, წყალს კი, როძელშიც ნიჩბებს ვუშვებდი, ვერა ვხედავდი. გრძელი ნიჩბები იყო და დასამაგრებელი ღვედები არა ჰქონია. ჩავუშვებდი წყალში, ამოვწევდი, წინ გადავიხრებოდი, ამოვჰკრავდი, ისევ ჩავაყურყუმალავებდი და ისევ ამოვჰკოავდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება მსუბუქად მემოძრავებინა. რაკი ქარი მეხმარებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ბრტყელად მოსმა აღარ დამჭირვებია. ვიცოდი, რომ ხელისგულები, როცა იქნებოდა, გადამეყვლიფებოდა, და ვცდილობდი, რაც შეიძლება გვიან მომსვლოდა. ნავი მსუბუქი იყო და კარგად მომყვებოდა. მივაპობდი და მივაპობდი ჩამუქებულ წყალს. ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ პალანცას მალე გავუპირდაპირდებოდი.

მაინც ვერ ვეღირსეთ პალანცის ნახვას. ზენა ქარი უბერავდა და ისე ჩავუარეთ კონცხს, რომელიც პალანცას ფარავს, რომ სინათლეები არ დაგვინახავს. როცა ბოლოსდაბოლოს რაღაც სინათლეები გამოჩნდა, ოღონდ გაცილებით უფრო შორს და თითქმის ზედ ნაპირზე, ეს უკვე ინტრა იყო. მაგრამ ეს შემდეგ. ადრე კი ისე გაიარა კარგა ხანმა, ერთი სინათლისათვის არ შეგვეცალა თვალი, არც ნაპირი დაგვინახავს, გულმოდგინებით ვუსვამდით ამ სიბნელეში ნიჩბებს და აზვირთებულ ტალღებსა ვსერავდით. ზოგჯერ ტალღა მაღლა შეისროდა ხოლმე ნავს და სიბნელეში ნიჩბებს ტყუილუბრალოდ ვატრიალებდი ჰაერში. ტბა ბობოქრობდა, მაგრამ კვლავ შეუსვენებლივ განვაგრძობდი ნიჩბების მოსმას. წყალში შემოზრდილ კლდეს კინაღამ შევენარცხეთ; ზვირთები მაგრად ეხეთქებოდა ამ შვერილს, ჰაერში სხლტებოდა და უკანვე ეცემოდა. მე მაგრად დავაწექი მარჯვენა ნიჩაბს, მარცხენა სწრაფად დავატრიალე და ისევ ტბის სიღრმეში გავედით. შვერილი თვალს მიეფარა და ჩვენც გზა განვაგრძეთ.

— უკვე გადასცილეთ ტბა, — ვუთხარი ქეთრინს.

— აკი პალანცა უნდა გაგვეელო?

— გვერდზე ჩამოვიტოვეთ.

— შენ როგორა ხარ, ძვირფასო?

— დიდებულად.

— ცოტა ხნით მეც შემეძლო ნიჩბის მოსმა.

— არა. მშვენივრადა ვარ.

— საწყალი ფერგიუსონი, — თქვა ქეთრინმა, — დილით მოგვაკითხავს სასტუმროში და წასულები დაეხვდებით.

— ეგ დიდად არ მაწუხებს, — ვთქვი მე, — შენ ისა სთქვი, შეეიცარიის სანაპირო ხაზს როგორ მივაღწიოთ გათენებამდე, რომ საბაჟოს გუშაგებმა არ შეგვნიშნონ.

— კიდევ შორს არის?

— ოცდაათამდე კილომეტრი.

მთელი ღამე მივცურავდით. ბოლოს და ბოლოს ისე გადამეყვლიფა ხელები, რომ ნიჩბებს ძლივს ვუჭერდი. რამდენჯერმე ნაპირს კინაღამ მივენარცხეთ. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ახლოს ეყოფილიყავი ხმელეთთან, მეშინოდა, გზა არ ამებნას და დრო არ დავკარგო-მეთქი. ზოგჯერ ისე მივუახლოვდებოდით, რომ სანაპიროს ხეივანსა და გზასაც კი ვხედავდი, რომელთაც მთები გადმოჰყუდებოდნენ. წვიმა გადაიღო, ქარმა ღრუბლები გადაჰყარა, მთავარემ გამოანათა და უკან რომ მივიხედე, კასტანოლას გრძელი, ჩამუქებული კონცხი დავინახე, წამოქოჩრილი ზვირთები თეთრად ელავდნენ და მთის მაღალ მწვერვალებზე მთვარე შემმჯდარიყო. მერე ისევ ჩამოეფარა მთვარეს ღრუბლები და მთაცა და ტბაც გაქრა, ოღონდ ახლა უწინდელზე გაცილებით უფრო მეტი ნათელი იდგა და ნაპირი ჩანდა. ძალიან გარკვეეთაც კი ჩანდა, და ცოტა უფრო ღრმადაც შევედი — ვაი თუ პალანცას გზაზე საბაჟოს გუშაგები იყვნენ და არ შეგვნიშნონ-მეთქი. როცა ისევ გამოჩნდა მთვარე, ჩვენ დავინახეთ მთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალთებზე შეფენილი თეთრი ვილები და ხეებს შორის მოკიაფე თეთრი გზა. ვუსვამდი და ვუსვამდი ნიჩბებს, ერთხელაც არ შემისვენია.

ტბა თანდათანობით გაფართოვდა და იქითა მხარეს, მთის ძირში, სინათლეები დავინახეთ. ეს ლუინო უნდა ყოფილიყო. გაღმა, მთებს შორის, პალოსებური ნაპრალი შევნიშნე და გადავწყვიტე, ნამდვილად ლუინოა-მეთქი. თუ მართლა ლუინო იყო, კარგი გზა გამოგვივლია. ნიჩბები ნავში ამოვათრიე და უკან გადავწექი. ქანცი გამწყდა. მკლავები, ზურგი, მხრები სულ მტკიოდა და ხელებიც გადაყვლეფილი მქონდა.

— მოდი, ქოლგას გავშლი, — თქვა ქეთრინმა, — ქარს მივუშვიროთ და თავისთან წავალთ.

— მართვა იცი?

— მე მგონი კი.

— ამ ნიჩაბს მკლავით გადააწექი, ნავის გვერდს მიეკარ და ისე მართე, მე კი ქოლგას დავჭერ.

კიჩოსკენ გადავინაცვლე და ვაჩვენე, როგორ უნდა სჭეროდა ნიჩაბი. ძერე, შვეიცარმა რომ მომცა, ის დიდი ქოლგა ავიღე, ნავის ჭვინტისკენ მივბრუნდი და გავშალე. ქოლგამ გაიწკაპუნა. ტარი სკამზე მივაბი, ზედ გადავაჯექი და აქეთ-იქით ხელები ჩავსჭიდე. პირდაპირ შიგა სცემდა ქარი. და ნავიც გაქანდა. რაც ძალი და ღონე მქონდა, მაგრად მეჭირა ხელებით, რადგან ქარი მტაცებდა. სწრაფად გაცურდა ნავი.

— დიდებულად მივდივართ, — თქვა ქეთრინმა. ქოლგის წკირების მეტს ვერაფერს ვხედავდი. ქოლგა დაიჭიმა, გაიბერა და თითქოს ჩვენც მასთან ერთად მივქროდით. ფეხები გავჩაჩხე და ქოლგის ნაპირები კიდევ უფრო მაგრად გადავჭიმე. ერთბაშად გაიღუნა და წკირმა შუბლზე გადამიტკაცუნა. ვცადე წვეროსთვის წამეელო ხელი, რომელსაც ქარი ღუნავდა, მაგრამ უცებ ყველაფერი ამოტრიალდა, მე ტარზე დავრჩი გადამჯდარი, ხოლო ქარით გაბერილი იალქანი, რომელსაც ხელებით ძლივს ვამაგრებდი, ნაფლეთებად იქცა. ტარი მოეხსენი, ქოლგა ჭვინტზე დავაგდე და ქეთრინისკენ გადავედი ნიჩბისათვის. იგი იცინოდა. ხელში ჩამჭიდა ხელი და იცინოდა და იცინოდა.

— რა მოგვივდა? — ნიჩაბი ავიღე.

— ისე სასაცილოდ იყავი გადაჩაჩხული!

— წარმომიდგენია.

— კი ნუ გამიბრაზდი, გენაცვალე. ისე სასაცილო იყო! ოცი ფუტის სიგანეზე მაინც იყავი გადაჩაჩხული, და ისე გამწარებით ჩაფრენოდი ქოლგას... — სიცილით სუნთქვა შეეკრა.

— ისევ ნიჩბებს დავიჭერ.

— ცოტა დაისვენე და დალიე. დიდებული ღამეა და კარგა ძალიც გავიარეთ.

— ნავი უნდა შევაბრუნო ტალღების მიმართულებით.

— ბოთლს ამოგიღებ, მერე კი ცოტა დაისვენე, გენაცვალე.

ნიჩბები ავიღე, ტალღებზე რწევა დაგვაწყებინა. ქეთრინი ჩემოდანს აღებდა. კონიაკის ბოთლი მომაწოდა. საცობი ამოვაძრე ჯიბის დანით და კარგა ბევრი გადავყლურწე. ცხარე და სასიამოვნო იყო, მთელს ტანში დამიარა, გამათბო და გამახალისა. — მშვენიერი კონიაკია, — ვთქვი მე. მთვარე ისევ ღრუბლებში იყო, მაგრამ ნაპირს ვხედავდი. წინ კვლავ გამოჩნდა ტბაში გრძლად შეჭრილი კლდის შვერილი.

— თბილადა ხარ, ქეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდებულად ვარ. ოღონდ ცოტათი ფეხები დამიბუჟდა.

— წყალი ამოხაპე და თავისუფლად გაშლი ფეხებს.

ისევ დავიწყე მუშაობა, მესმოდა ნიჩბების ჭრაჭუნი და თუნუქის სახაპავის ფხაკუნი კიჩოს სკამის ქვეშ.

— სახაპავი მომაწოდე, წყალი უნდა დავლიო, — ვუთხარი მე.

— საშინლად ჭუჭყიანია.

— არა უშავს, გამოვავლებ.

გავიგონე, როგორ გამოავლო წყალი ქეთრინმა. მერე წყლით სავსე მომაწოდა. კონიაკმა მომაწყურა, და ყინულივით იყო წყალი, ისე ცივი, რომ კბილები ამიკაწკაწა. ნაპირს გავხედე. გრძელ შვერილს ვუახლოვდებოდით. ყურეში სინათლეები მოსჩანდა.

— გმადლობ, — ვუთხარი მე და თუნუქის სახაპავი გადავეცი.

— თქვენთვის არაფერი არა გვშურს, — თქვა ქეთრინმა, — იქნებ კიდევ ინებოთ!

— არა გშია?

— არა. მალე მომშივა, და იმ დროისათვის გამოვიზოგოთ.

— აგრე იყოს.

შორიდან რომ კლდის შვერილი გვეჩვენებოდა, კარგა გრძელი და მაღალი კონცხი გამოდგა. ღრმად შევიჭერი ტბაში, რომ გვერდი ამექცია. ტბა გაცილებით დავიწროდა. მთვარე ისევ გამოჩნდა. Guardia di Finanza [1] თუ გამოიხედავდნენ ნაპირიდან, ჩვენს ნავს ადვილად შენიშნავდნენ.

— როგორა ხარ, ქეთ? — ვკითხე მე.

— კარგად. სადა ვართ?

— რვა მილზე მეტი აღარ უნდა გვქონდეს დარჩენილი.

— რამდენი ხანია არ შეგვისვენია! საწყალი ჩემი ბიჭი. არ მოკვდი?

— რას ამბობ! მშვენივრადა ვარ. ოღონდ ეს არის, ხელები გადამეყვლიფა.

ისევ აღმა მივცურავდით. მარჯვენივ მთაგრეხილი გაწყვეტილიყო და თანდათანობით დაბლდებოდა ნაპირი. ჩემის ფიქრით, ეს უნდა ყოფილიყო კანობიო. ისევ ღრმად შევიჭერი ტბაში, რადგან ამ ადგილებიდან მეტი შიში გვმართებდა, უფრო ადვილად შეგვნიშნავდნენ გუშაგები. მეორე ნაპირზე, ცოტა მოშორებით, მაღალგუმბათიანი მთა გამოჩნდა. დავიქანცე. ბევრი აღარ გვქონდა გასავლელი, მაგრამ არაკათი რომ გამოგელევა, ცოტაცკი ბევრი მოგეჩვენება. იმ მთასაც რომ გავცდებოდით, შვეიცარიაში მისვლამდე, სულ ცოტა, ხუთი მილი მაინც დაგვრჩებოდა გასავლელი. მთვარე ჩასვლაზე იყო, მაგრამ მანამ ჩავიდოდა, ცა ისევ ღრუბლებით დაიფარა და ჩამოსკვარამდა. მე კვლავ ღრმად ვიყავი შეჭრილი ტბაში, დროდადრო შევისვენებდი ხოლმე და ნიჩბებს ისე ამოვწევდი, რომ ჭარი პირდაპირ მოხვედროდა.

— ცოტა ხნით შეგვშველები, — მითხრა ქეთრინმა.

— არა მგონია, შენთვის შეიძლებოდეს.

— რა სისულელეა. მომიხდება კიდეც. ხელ-ფეხი აღარ დამიბუჟდება.

— არა მგონია, შეიძლებოდეს, ქეთ.

— რა სისულელეა. ძალიან არ უნდა გადაიქანცო, თორემ ნიჩბების ზომიერი მოსმა სასარგებლოც კია ფეხმძიმე ქალისთვის.

— კარგი, მაშ ზომიერად მოუსვი. მე შენს ადგილს დავიჭერ, შენ კი მერე აქეთ გადმოდი. ოღონდ ნავს ჩასჭიდე ხელი გადმოსვლისას.

[1] საბაჟო გუშაგები (იტალ.).

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

კიჩოზე ვიჯექი, პალტოს საყელო აწეული მქონდა, და ქეთრინის მოძრაობას შეეჰყურებდი. ძალიან მარჯვედ უსვამდა, მაგრამ ნიჩბები მეტისმეტად გრძელი იყო და ცოტათი ხელს უშლიდა. ჩემოდანი გაეხსენი, ორი სენდვიჩი შეეჭამე და კონიაკი დავაყოლე. ერთბაშად გამოვცოცხლდი და ცოტა კიდევ მოვსვი.

— რომ დაიღალო, მითხარი.—და ცოტა ხნის მერე დავსძინე: — ფრთხილად, ნიჩბები მუცელში არ იკრა.

— ასე რომ მოხდეს, — სვენებ-სვენებითა თქვა ქეთრინმა, — ცხოვრება გაცილებით უფრო გამარტივდებოდა.

კიდევ მოვსვი კონიაკი.

— როგორაა საქმე?

— კარგად.

— რომ მოგწყინდეს, მითხარი.

— გეტყვი.

კიდევ მოვსვი კონიაკი, ნავის ნაპირებს ჩავჭიდე ხელი და წინ გადავიცვლე.

— არ მინდა. შესანიშნავად ვარ.

— კიჩოზე გადადი. მე დიდებულად დავისვენე.

ერთხანს კონიაკის წყალობით, მსუბუქად და კარგად მივაცურებდი ნავს. მერე, თანდათანობით, ხელები ამებლანდა და არეულად ვიწყე მოსმა, პირში ნაღვლის მწარე გემო ვიგრძენი. ეს იმიტომ, რომ კონიაკს შემდეგ ერთბაშად მაგრად ვიმუშავე.

— ცოტა წყალს ვერ დამალევინებ?

— ადვილი სამსახურია, — მითხრა ქეთრინმა.

გათენების წინ წამოეინქიღლა. ქარი ჩადგა, ან იქნებ მთები გვიფარავდა, რომლებიც ტბის უსწორმასწორო ნაპირს შემორტყმოდნენ. დღის მოახლოება რომ ვიგრძენი, კარგად მოვეწყე და ნიჩბები მაგრად ავამუშავე. არ ვიცოდი, სად ვიყავით და მინდოდა, ჩქარა მიმეღწია შვეიცარიის საზღვრამდე. როცა ინათლა, ნაპირთან სულ ახლოს ვიყავით. კარგად ვხედავდი კლდოვან ნაპირსა და ხეებს.

— ეს რა არის? — თქვა ქეთრინმა. ნიჩბები გავაჩერე და დავაყურადე. ტბაზე მოტორიანი ნავი მიქოთქოთებდა. ჩვენი ნავი ზედ ნაპირს მივაყენე და გავიტრუნეთ. მოტორიანი ნავის დადგა კიდევ უფრო მოახლოდა. მერე თვითონ ნავიც დავინახეთ კიჩოს მხარეს, წვიმაში, ჩვენგან ცოტათი მოშორებით. ოთხი guardia di finanza ჩამოჯდარიყო კიჩოზე, თავიანთი alpini შუბლზე ჩამოფხატოდათ, მაზარის საყელოები წამოეწიათ და კარაბინები ზურგზე მოეგდოთ. ძილმორეულები ჩანდნენ ამ დილაადრიან. ქუდზე ყვითელი რაღაც ებნიათ და საყელოებზედაც ყვითელი ნიშნები მოუჩანდათ. ნავმა ჩაგვიარა და ქოთქოთით მიეფარა თვალს.

ისევ გავედით ტბაში. საზღვარი აქ სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო და არავითარი სურვილი არა მქონდა სასაზღვრო გუშაგებს შეეჩერებინეთ. იმ სიშორეზე გავედით, რომ ნაპირი თვალთაგან არ დაგვკარგოდა, და სამი მეოთხედი საათი კიდევ ვიცურეთ წვიმაში. ისევ გავიგონეთ მოტორიანი ნავის ხმა, და მანამ გუგუნი არ მიწყდა, გატრუნულები ვიდექით.

— მგონი შვეიცარიაში უნდა ვიყოთ, ქეთ.

— მართლა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დანამდვილებით ძნელია თქმა, მანამ შვეიცარიის არმიას არ დავინახავთ.

— ან შვეიცარიის ფლოტს.

— შვეიცარიის ფლოტს ნუ ეხუმრები, ბოლოს რომ მოტორიანი ნავის ხმა გავიგონეთ, ალბათ ის იქნებოდა შვეიცარიის ფლოტი.

— თუ მართლა შვეიცარიაში ვართ, ბარემ რიგიან-პირიანად ვისაუზმოთ. საუცხოო ფუნთუშები, კარაქი და მურაბა იციან შვეიცარიაში.

უკვე კარგად გათენდა და კარგა გვარიანადაც წვიმდა. ქარი ისევ უბერავდა ნაპირიდან და ტბა თეთრად აიქოჩრა. ეჭვი აღარ იყო, რომ შვეიცარიას მივაღწიეთ. ნაპირზე, ხეებს უკან, სახლები გამოჩნდა, ცოტა უფრო მოშორებით — მთელი სოფელი, სულ ქვის სახლები, გორაკებზე ვილები და ეკლესია. ნაპირის გასწვრივ გაკეთებულ გზას გავხედე, გუშაგები ხომ არ არიან-მეთქი, მაგრამ არავინ დამინახავს. გზა ზედ ტბასთან მოვიდა და მე გზისპირა კაფედან გამოსული ჯარისკაცი შევნიშნე. მონაცრისფრო-მოძწვანო ფორმა ეცვა და ისეთივე ჩაჩქანი ეხურა, როგორსაც გერმანელები ატარებენ. სახეზე ჯანიანი ბიჭი ჩანდა, კბილის ჯაგრისისნაირი ულვაშები ჰქონდა. შემოგვხედა.

— ხელი დაუქნიე, — ვუთხარი ქეთრინს. ქეთრინმა დაუქნია. ჯარისკაცმა დარცხვენილად გაიღიმა და თვითონაც დაქნია ხელი. მე შევანელე სვლა. სოფლის გასწვრივ მივცურავდით.

— ეტყობა, კი ხანია, რაც საზღვრებში შემოვედით, — ვთქვი მე.

— კარგად უნდა გავიგოთ, გენაცვალე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ საზღვრიდან უკანვე გაგვაბრუნონ.

— საზღვარი უკვე შორსა გვაქვს მოტოვებული. ეს ალბათ საბაჟო ქალაქია. დარწმუნებული ვარ, ბრისაგო იქნება.

— მერე, იტალიელები არ იქნებიან აქა? საბაჟო ქალაქებში ორივე ქვეყნის ხალხი ირევა ხოლმე.

— ომის დროს ასე არ არის. არა მგონია, იტალიელები შემოუშვან.

კოპწია ქალაქი იყო. ნავსადგომი მეთევზეთა ნავებს გაეჭედა, ხირხალებზე ბადეები ჰქონდათ გაფენილი. ცრიდა ნოემბრის წვიმა, მაგრამ აქ წვიმაშიაც კი სიფაქიზე და სიხალისე იგრძნობოდა.

— მაშინ იქნებ ნაპირზე გადავსულიყავით და გვესაუზმა.

— გადავიდეთ.

მარცხენა ნიჩაბს დავაწექი და ნაპირს მივუახლოვდი, მერე, ზედ ნავსადგომთან, ისევ გავასწორე ნავი და გვერდით მივადექი. ნიჩბები ამოვზიდე და ნავში ჩავყარე, რკინის რგოლი ავიღე, სველ ქვას დავადგი ფეხი და შვეიცარიაში ამოვჰყავი თავი. ნავი ხიმინჯს მივაბი და ქეთრინს გავუწოდე ხელი.

— გადმოდი, ქეთ, დიდებულ გუნებაზე ვარ.

— ჩემოდნებს რა ვუყოთ?

— ნავში დატოვოთ.

ქეთრინმა გადმოაბიჯა, და ახლა ორივენი შვეიცარიაში ვიყავით.

— რა ლამაზი ქვეყანაა! — თქვა მან.

— ხომ დიდებულია?

— წავიდეთ, ვისაუზმოთ.

— ხომ მართლა დიდებული ქვეყანაა? ფეხს რომ ადგამ, რაღაც სასიამოვნო გრძნობა მოგიცავს ხოლმე.

— მე ისე მაქვს ფეხები დაბუჟებული, რომ ვეღარაფერსა ვგრძნობ. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც ბრწყინვალე ქვეყანა ჩანს. წარმოგიდგენია, რას ვეღირსეთ, გენაცვალე! აქა ვართ! ძლივს არ მოვშორდით იმ ოხერ ქვეყანას!

— მართლაც რას ვეღირსეთ! ასეთი შვება ჯერაც არ მიგრძვნია!

— აბა სახლებს შეხედე. მშვენიერი მოედანი არ არის?! აი იქ უნდა ვისაუზმოთ?

— წვიმაც ხომ მშვენიერია? იტალიაში სად ნახავ ამისთანა წვიმას. ხალისიანი წვიმაა!

— და ჩვენც აქა ვართ, გენაცვალე! წარმოგიდგენია? აქა ვართ!

კაფეში შევედით და ხის სუფთა მაგიდას შემოვუსხედით. მთვრალებივით ვიყავით ატაცებული. წინსაფარაკრული საუცხო სუფთა ქალი გამოვიდა და გვკითხა, რას ინებებთო.

— ფუნთუშები, მურაბა და ყავა, — უთხრა ქეთრინმა.

— მაპატიეთ, მაგრამ ომია და ფუნთუშები არა გვაქვს.

— მაშინ პური იყოს.

— ხრაშუნა კვერებს დაგიცხობთ.

— კეთილი.

— ერბო-კვერცხიც მინდა.

— რამდენი კვერცხისა ნებავს ბატონს?

— სამი იყოს.

— ოთხი დაუკვეთე, გენაცვალე.

— ოთხი კვერცხი.

ქალი გავიდა. მე ქეთრინს ვაკოცე და მაგრად მივიკარი მისი ხელი. ხან ერთმანეთს შეეხედავდით, ხან აქეთ-იქით ვიყურებოდით.

— გენაცვალე! ხომ კარგია, გენაცვალე?

— დიდებულია, — ვუთხარი მე.

— რა ვუყოთ, რომ ფუნთუშები არა აქვთ, — თქვა ქეთრინმა, — მთელი ღამე ფუნთუშები მელანდებოდა. მერე რა მოხდა. მაინც არ დამწყვეტია გული. სულაც არ დამწყვეტია გული.

— ალბათ მალე დაგვიჭერენ.

— მერე რა მოხდა, გენაცვალე. ჯერ ვისაუზმოთ. ნასაუზმევს თუ დაგვიჭერენ, არა უშავს რა. ეგეც რომ არ იყოს, რას დაგვაკლებენ! მე ბრიტანეთის ქვეშევრდომი ვარ, შენ — ამერიკისა. ყველაფერი რიგიანად გვაქვს.

— პასპორტი გაქვს?

— რა თქმა უნდა. ეჰ, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ბედნიერები ვიყოთ.

— ამაზე მეტი ბედნიერი როგორღა უნდა გავხდე. — ვთქვი მე. კუდაპრეხილმა მსუქანმა ნაცრისფერმა კატამ ოთახი გადმოსჭრა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, ჩემს ფეხთან მოიკლაკნა და რამდენს გამეხახუნებოდა, იმდენს კრუტუნს ამოუშვებდა. დავიხარე და ხელი გადავუსვი. ქეთრინმა ბედნიერად გამიღიმა. — ყავაც მოაქვთ, — თქვა მან.

ნასაუზმევს დაგვიჭირეს. სოფელში გავისეირნეთ ცოტაზე და ნავსადგომში მივედით ჩემოდნების წამოსაღებად. ჩვენს ნავთან ჯარისკაცი დაეყენებინათ.

— თქვენი ნავია?

— დიახ.

— საიდან მოდიხართ?

— გალიდან.

— მაშ გთხოვთ, გამომყვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემოდნებს რა ვუყოთ?

— შეგიძლიათ წამოიღოთ.

მე ჩემოდნები მიმქონდა, ქეთრინი გვერდზე მომყვებოდა, ჯარისკაცი კი უკან მოგვდევდა. ძველ სამაჯოში მივედით, სადაც მეტისმეტად გამხდარმა და მხედრულად გამოჭიმულმა ლეიტენანტმა დაგვკითხა.

— რა ეროვნებისა ხართ?

— ამერიკელი და ინგლისელი.

— პასპორტები მიბოძეთ.

მე ჩემი პასპორტი მივეცი, ქეთრინმა თავისი ამოიღო ხელჩანთიდან.

დიდხანს ათვალიერებდა.

— ასე რატომ შემოხვედით შვეიცარიაში, — ნავით?

— მე სპორტსმენი ვარ,— მივუგე მე, — ნიჩბოსნობა ყველაფერს მირჩევნია. როგორც კი მოვახელთებ, მუდამ ნავში ვზივარ ხოლმე.

— აქ რატომ მოხვედით?

— ზამთრის სპორტში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. ტურისტები ვართ.

— აქ ზამთრის სპორტს რა უნდა?!

— ვიცი, და ჩვენც იქით უნდა წავიდეთ, სადაც ზამთრის სპორტია.

— იტალიაში რას აკეთებდით?

— მე არქიტექტურას ვსწავლობდი, ჩემი ბიძაშვილი — ხელოვნებას.

— რატომ წამოხვედით იქიდან?

— ზამთრის სპორტში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. არქიტექტურას თავი ვიღასა აქვს.

— ცოტა ხანს აქ მოითმინეთ, — გვითხრა ლეიტენანტმა. უკანა ოთახში გავიდა და პასპორტებიც თან გაიტანა.

— რა დიდებული რამა ხარ, გენაცვალე! — მითხრა ქეთრინმა. — ასევე განაგრძე. ზამთრის სპორტისთვის ჩამოხვედი.

— შენ თუ გაგეგება რამე ხელოვნებისა?

— რუბენსი.

— ზონზროხა და მსუქანი, — ვუთხარი მე.

— ტიციანი, — თქვა ქეთრინმა.

— ტიციანის თმა! — ვუთხარი მე. — მანტენი იცი?

— ძნელ კითხვებს ნუ მაძლევ, თუმცა ეგ კი ვიცი. საშინელი რამეა.

— ძალიან. სულ ლურსმნით დაჩხვლეტილი.

— ხომ ხედავ, რა კარგი ცოლი გეყოლება, — მითხრა ქეთრინმა, — შენს კლიენტებს ხელოვნებაზე საუბარს გაუუბამ.

— აჰა, მოდის, — ვთქვი მე. გამხდარი ლეიტენანტი უკანა ოთახიდან გამოვიდა და ჩვენი პასპორტები გამოიტანა.

— ლოკარნოში უნდა გადაგაგზავნოთ, — გვითხრა მან, — შეგიძლიათ ეტლი დაიქირავოთ, ჯარისკაციც გამოგყვებათ.

— კეთილი, — ვუთხარი მე, — ნავს რაღა ვუყოთ?

— ნავი ჩამოგერთმევათ. ამ ჩემოდნებში რა გაქვთ?

გაგვიჩხრიკა ჩემოდნები და პატარა ბოთლი კონიაკი ამოაძრო.

— იქნებ დამეწვიოთ?

— არ, გმადლობთ. — იგი გაიჭიმა. — ფული რამდენი გაქვთ?

— ორი ათას ხუთასი ლირა.

ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. — თქვენს ბიძაშვილს რამდენი ფული აქვს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთრინს ათას ორასზე მეტი აღმოაჩნდა. ლეიტენანტი კმაყოფილი დარჩა ჩვენს მიმართ ქედაღლობაც ცოტათი გაუნელდა.

— საზამთრო სპორტი თუ გინდათ, — თქვა მან, — ვენგენია ზედგამოჭრილი. მამაჩემს მშვენიერი სასტუმრო უდგას ვენგენში. ზამთარ-ზაფხულ ღია აქვს.

— დიდებული საქმეა, — ვთქვი მე, — მისამართს ვერ მომცემთ?

— ახლავე დაგიწერთ, — დიდის მოწიწებით გადმომცა ბარათი.

— ჯარისკაცი გაგაყვებათ ლოკარნოში. პასპორტებიც მას ექნება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. დარწმუნებული ვარ, ან ვიზას მიიღებთ ლოკარნოში, ან პოლიციის ნებართვას.

ჯარისკაცს გადასცა პასპორტები, ჩვენ ჩემოდნები ავიღეთ და ეტლის დასაქირავებლად სოფლისკენ გავსწიეთ.

— ეი! — გამოსძახა ლეიტენანტმა ჯარისკაცს და რაღაც უთხრა გერმანულ დიალექტზე. ჯარისკაცმა თოფი მხარზე მოიგდო და ჩვენს ჩემოდნებს დასტაცა ხელი.

— დიდებული ქვეყანაა! — ვუთხარი მე ქეთრინს.

— რა კარგი საცხოვრებელია!

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, — მივმართე ლეიტენანტს. მან ხელი დაგვიქნია.

— მზად ვარ, გემსახუროთ! — თქვა მან. ჩვენ ჯარისკაცს გავჰყევით სოფელში.

ლოკარნოში ეტლით გავემგზავრეთ, ჯარისკაცი მეეტლეს მოუჯდა კოფოზე. არც ლოკარნოში წასულა ურიგოდ საქმე. დაკითხვით დაგვკითხეს, მაგრამ ძალიან თავაზიანად გვექცეოდნენ, რადგან პასპორტებიც გვქონდა და ფულიც. არა მგონია, ჩვენი ნათქვამი თუნდაც ერთი სიტყვა დაეჯერებინოთ, და სასულელეა-მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ სასამართლოსავით იყო. არავითარი ჭკვიანური მსჯელობა საჭირო არ იყო — ისე, ფორმალურად ასრულებდნენ მოვალეობას და ბევრი განმარტებაც არ დაგვჭირვებია. ჩვენ გვქონდა პასპორტებიც და ფულიც, რომელიც უნდა დაგვეხარჯა. ასე რომ, დროებითი ვიზები მოგვცეს. როცა მოესურვებოდათ, შეეძლოთ უკანვე წაეღოთ ეს ვიზები. სადაც კი მივიდოდით, ყველგან პოლიციაში უნდა გამოეცხადებულიყავით.

ყველგან წასვლის უფლება გვაქვს? დიახ. მაინც სად ვაპირებთ?

— საით აპირებ, ქეთ?

— მონტრეში.

— ძალიან ლამაზი ადგილია, — თქვა მოხელემ, — ალბათ, თქვენც მოგეწონებათ.

— ლოკარნოც ძალიან ლამაზი ქალაქია, — თქვა მეორე მოხელემ, — დარწმუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებათ ლოკარნო. ძალიან მომხიბლავი ქალაქია ლოკარნო.

— ჩვენ იმისთანა ადგილი გვინდა, საცა ზამთრის სპორტია.

— მონტრეში რა ზამთრის სპორტია!

— უკაცრავად! — შეესიტყვა მეორე მოხელე, — მე თვითონ მონტრელი ვარ. მონტრე-ობერლანდ-ბერნუას რკინიგზის ხაზზე მშვენიერი ადგილებია ზამთრის სპორტისათვის! თქვენგან ამის უარყოფა არაკეთილსინდისიერება იქნება.

— მე არ უარვყოფ. მე მხოლოდ ისა ვთქვი, მონტრეში ზამთრის სპორტს არ მისდევენ-მეთქი.

— ვერ დაგეთანხმებით, — შეესიტყვა მეორე, — მაგაში ვერ დაგეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი ამას ვამტკიცებ.

— ვერ დავეთანხმებით. მე თვითონ მილუგავნია მონტრეს ქუჩებში. ერთჯერ და ორჯერ კი არა. ლუგაობა ზამთრის სპორტია, აბა რა არის.

ახლა მე მომიბრუნდა მეორე მოხელე.

— თქვენ ლუგაობა გნებავდათ, სერ? დამერწმუნეთ, რომ მშვენივრად მოეწყობით ლოკარნოში: ჰაკა — ჯანსაღი, ბუნება — მომხიბლავი. ძალიან მოგეწონებათ.

— ბატონმა თვითონვე გამოთქვა მონტრეში წასვლის სურვილი.

— ლუგაობა რას ნიშნავს? — ვიკითხე მე.

— ხომ ხედავთ, პირველად ესმის ლუგაობა.

ამან დიდი შეება აგრძნობინა მეორე მოხელეს. ძალიან კმაყოფილი დარჩა.

— იგივე ტობოგანია, — მითხრა პირველმა.

— ნურას უკაცრავად, — თავი გააქნია მეორემ, — ისევ უნდა შემოგვდაკოთ. სად ტობოგანი და სად ლუგი. ტობოგანს კანადაში ბრტყელი თამასებისაგან აკეთებენ, ლუგი კი ჩვეულებრივი მარხილია, ოღონდ კავები აქვს გვერდებზე, აქ სიზუსტეა მთავარი.

— ტობოგანებით ვერ ვისრიალებთ? — ვიკითხე მე.

— როგორ არა, — მიპასუხა პირველმა, — დიდებულად იცურავებთ. მონტრეშივე იშოვნით შესანიშნავ კანადურ ტობოგანებს. ძმები ოქსები ვაჭრობენ ტობოგანებით. თვითონვე შემოაქვთ გასასყიდად.

მეორე მოხელე შებრუნდა. — ტობოგანს, — თქვა მან, — საგანგებო piste სჭირდება. მონტრეს ქუჩებში ტობოგანებით სრიალი სად თქმულა. აქ სად გაქვთ ბინა?

— ჯერ არ ვიცით, — ვუპასუხე მე, — ეს არის, ბრისაგოდან ჩამოვედით. ეტლი გარეთ გველოდება.

— მონტრეში წასვლას არ ინანებთ, — თქვა პირველმა მოხელემ, — თქვენ თვითონვე ნახავთ, რომ მშვენიერი და საამური ჰავაა. ზამთრის სპორტისთვისაც შორს წასვლა არ დაგჭირდებათ.

— თუ მართლა ზამთრის სპორტი გაინტერესებთ, — თქვა მეორე მოხელემ, — ენგადინში უნდა წახვიდეთ, ან მიურენში. აქ მონტრეში წასვლას გირჩევენ, ზამთრის სპორტისათვის, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ.

— მონტრეს თავზე, ლეზ-ავანში, შესანიშნავი ადგილებია ყოველნაირი ზამთრის სპორტისათვის! — მონტრეს პატრიოტმა თავის მეტოქეს გადაუბღვირა.

— ბატონებო, — ვთქვი მე, — სამწუხაროდ, უნდა წავიდეთ. ჩემი ბიძაშვილი საშინლად დაღლილია. ჯერ მონტრეს მოვსინჯავთ.

— მოგილოცავთ! — პირველმა მოხელემ ხელი ჩამომართვა.

— მერწმუნეთ, რომ ინანებთ ლოკარნოდან წასვლას, — მითხრა მეორე მოხელემ, — ყოველ შემთხვევაში, მონტრეს პოლიციაში უნდა გამოცხადდეთ.

— პოლიციაში არავითარი უსიამოვნება არ შეგხვდებთ, — გამამხნევა პირველმა, — თქვენი თვალით ნახავთ, რა თავაზითა და მეგობრობით შეგხვდებიან იქაურები.

— განუზომელ მადლობას მოგახსენებთ ორივეს, — ვთქვი მე, — დიდად ვაფასებ თქვენს რჩევას.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, — თქვა ქეთრინმა, — თქვენი დიდი მადლობელი ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარებამდე მოგვაცილეს და თავი დაგვიკრეს, ლოკარნოს პატრიოტმა ცოტა არ იყოს, ცივად. კიბეებზე დავეშვით და ეტლში ჩავსხედით.

— ღმერთო ჩემო! — ამოიხვნეშა ქეთრინმა, — მანდედან ცოტა უფრო ადრე წამოსვლა არ შეიძლებოდა? — მეეტლეს იმ სასტუმროს მისამართი მივეცი, სად დაბინავებაც ერთ-ერთმა მოხელემ გვირჩია. მან სადაევები მოსწია.

— არმია სულ გადაგვიწყდა! — მითხრა ქეთრინმა. ჯარისკაცი ეტლთან იდგა. ამოვიღე და ათლირიანი ვაჩუქე. — შვეიცარული ფული ჯერ არა მაქვს,— ვუთხარი მე. მადლობა გადამიხადა, სამხედრო სალამი მომცა და წავიდა. ეტლი აიძრა და მალე სასტუმროს მივადექით.

— მონტრე რაში გაგახსენდა? — ვკითხე ქეთრინს. — მართლა ხომ არ გინდა იქ წასვლა?

— სხვა ვერაფერი მოვიფიქრე უცებ, — თქვა მან, — ცუდი ადგილი როდია. სადმე მთაში დავბინავდეთ.

— გეძინება?

— უკვე მძინავს.

— გეთოზე გამოვიძინებთ. საბრალო ქეთ, რა საშინელი ღამე გაათენა წუხელ!

— მშვენიერი დრო გავატარე, — თქვა ქეთრინმა, — განსაკუთრებით, ქოლგაზე გადაჩაჩხულს რომ გიყურებდი.

— არა მჯერა, რომ შვეიცარიაში ვარ.

— მე კიდევ მეშინია — რომ გავიღვიძეს, ვაითუ სიზმარი გამოდგეს-მეთქი.

— მეც.

— მაგრამ ხომ სინამდვილეა, გენაცვალე?! მილანის ვაგზლისკენ ხომ აღარ მივდივართ, შენს გასაცილებლად!

— არა მგონია.

— ასე ნუ ლაპარაკობ. ნუ მაშინებ. იქნებ მართლა შენს გასაცილებლად მოვდიოდე!

— მთვრალივითა ვარ და მე თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ, — ვუთხარი მე.

— აბა ხელები მაჩვენე.

ხელები გავუშვირე. სულ გადაყვლეფილი მქონდა.

— ოღონდ გვერდში არა მაქვს ჭრილობა, — ვთქვი მე.

— ნუ მკრეხელობ!

დაღლილობისაგან თავბრუ მესხმოდა. ყველაფრის ხალისი წამერთო. ეტლი ქუჩაში მირახრახებდა.

— საწყალი ხელები! — თქვა ქეთრინმა.

— ხელი არ დამაკარო, — ვუთხარი მე, — ღმერთმანი, არც კი ვიცი, სადა ვართ. სად მივდივართ, მეეტლე? — მეეტლემ ცხენი შეაჩერა.

— მეტროპოლში. ასე არ მითხარით?

— ჰო, — ვთქვი მე, — ყველაფერი მოგვარებულია, ქეთ.

— არა უშავს, გენაცვალე. დამშვიდდი. კარგად გამოვიძინებთ და ხვალ აღარ იქნები მთვრალივით.

— მაგარი მთვრალი ვარ, — ვთქვი მე, — ნამდვილი კომიკური ოპერა იყო ღღეს. იქნებ მშია.

— დაღლილი ხარ და მეტი არაფერი, გენაცვალე, ისევ კარგად გახდები. — ეტლი სასტუმროს წინ გაჩერდა. ვიღაც გამოვიდა ჩემოდნების წასაღებად.

— უკვე კარგადა ვარ, — ვთქვი მე. მოკირწყლულ ბილიკზე ვიდექით და სასტუმროში შევდიოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიცი, რომ კარგად გახდები. გადაიქანცე. არ გამოგიძინია.
— რაც მთავარია, აქა ვართ!
— ჰო, ნამდვილად აქა ვართ!
ბიჭი, რომელსაც ჩვენი ჩემოდნები მიჰქონდა, სასტუმროში შეგვიძღვა.

ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

ᲗᲐᲕᲘ XXXVIII

თოვლმა ძალიან დაიგვიანა იმ შემოდგომაზე. ჩვენი წაბლისფერი ხის საბლი ფიჭვებში იყო ჩადგმული, მთის კალთაზე. ღამღამობით ყინავდა და დილით, პირსაბანთან, დოქებში წყალს სიფრიფანა ყინული ჰქონდა მოდებული. მისის გუტინგენი დილაადრიან შემოადებდა ხოლმე ჩვენი ოთახის კარებს, ფანჯრებს დაკეტავდა და ფაიფურის მაღალ ღუმელში ცეცხლს გააჩაღებდა. ფიჭვის შეშა ტკაცა-ტკუცით ისროდა ნაპერწკლებს და მალე ღუმელი აგუგუნდებოდა. მეორედ რომ შემოვიდოდა მისის გუტინგენი, მსხვილ ნაპობ შეშასა და დოქით ცხელ წყალს შემოიტანდა; გათბებოდა ოთახი, და საუზმესაც მოგვართმევდნენ. წამოვჯდებოდით ლოგინში, საუზმეს შევექცეოდით და გავჰყურებდით ტბასა დ. გაღმა, ტბის გასწვრივ, საფრანგეთის სანაპიროზე აღმართულ მთებს. მთის მწვერვალებზე თოვლი იდო და ტბას მორუხო-მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა.

გარეთ, ზედ შალეს წინ, მთის გზა გადიოდა. ურმის ნაკვალევი და თოვლ-ბისაგან ამოზნექილი მიწა ყინვას რკინასავით გაემაგრებინა, გზა მტკიცედ მიძერებოდა ზემოთ, ველზე გადამდგარ ტყესა ჰკვეთდა, მთას ირგვლივ ერტყმოდა, გაივლიდა ტყისპირ მდელოებში ჩადგმულ ქოხმახებს და ველს ერთვოდა. ველი ჩაღრმავებული იყო და შუაში მდინარე ჩასდიოდა, რომელიც შემდეგ ტბას ერთვოდა. როცა ველს ქარი ჩამოუქროლებდა, ჩვენამდეც აღწევდა ქვებზე მდინარის რაკრაკი.

ზოგჯერ გზიდან გადაეუხვევდით და ბილიკს ფიჭვნარში შევყვებოდით. მიწა რბილი იყო ტყეში, ყინვას გზასავით ვერ გაემაგრებინა. მაგრამ გზის სიმაგრე ჩვენ სულაც არ გვანაღვლებდა, რადგან ფეხსაცმლის ლანჩებსა და ქუ:ლებზე ლურსმნები გვეკრა, ლურსმნები გაყინულ ნაკვალევში ესობოდა და სასიამოვნო იყო გზაზე სიარული, ერთგვარად გვამხნევებდა კიდეც. არც ტყეში გაცლა ყოფილა ნაკლებ მომხიბლავი.

ჩვენი სახლიდან მთა ციცაბოდ ეშვებოდა ტყისპირა პატარა მდელოზე. მზე რომ გამოანათებდა, სახლის აივანზე გამოვიდოდით და გადავჰყურებდით მთის კალთაზე დახვეულ გზას, უფრო დაბალი მთის ფერდობზე ტერასებად გაშენებულ ვენახს. ზამთარს ერთიანად გაეხმო ვაზი. მინდვრები ყორეებით ყოფილი. ვენახს ქვემოთ, ტყისპირა ვიწრო ველზე ქალაქი იწყებოდა. ტბაში პატარა კუნძული იყო და ორი ხე მეთევზეთა ნავების იალქნებივით მოსჩანდა ამ კუნძულზე. გაღმა მთები ციცაბო და წაწვეტებულები იყვნენ, ტბის ბოლოში, ორ მთაგრეხილს შორის, რონის ხეობა მიემართებოდა, სულ ზემოთ კი, საცა ხეობას მთები ეზღუდებოდა, დან-დიუ-მიდი მოსჩანდა — მაღალი თოვლიანი მთა, რომელიც მთელს ხეობაში ბატონობდა, მაგრამ ისე შორს იყო, რომ ჩრდილს არა ქმნიდა.

მზიან ამინდში აივანზე ვსაუზმობდით, სხვა დროს კი—ზემოთ, პატარა ფიცრულ ოთახში, რომელსაც ერთ კუთხეში დიდი ბუხარი ჰქონდა ამოყვანილი. ქალაქში წიგნები და ჟურნალები ვიყიდეთ, აგრეთვე ჰოილი და ათასნაირი კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის თამაში ვისწავლეთ. დღისით იმ პატარა, ბუხრიან ოთახში ვიყავით ხოლმე. აქ იდგა ორი მშვენიერი სავარძელი და წიგნებისა და ჟურნალების მაგიდა, კარტს სასადილო მაგიდაზე ვთამაშობდით, როცა აალაგებდნენ. მისტერ და ლისს ᲒᲣᲢᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘᲡ დაბლა ცხოვრობდნენ, და ღამით ზოგჯერ მათი მუსაიფი გვესმოდა ქვემოდან. ისინიც ძალიან ბედნიერები იყვნენ. კაცი ადრე უფროსი ოფიციანტი იყო თურმე და ქალსაც იმავე სასტუმროში ემსახურნა დამლაგებლად, ფულს თანდათანობით ზოგავდნენ და მერე ეს კარმიდამო შეიძინეს. ერთი შვილი ჰყოლიათ და ისიც უფროსი ოფიციანტის ხელობასა სწავლობდა, ციურიხის ერთ-ერთ სასტუმროში. ქვემოთ ოთახი ჰქონდათ საგანგებოდ, სადაც ღვინოსა და ლუდს ჰყიდდნენ. საღამოობით, ზოგჯერ, გვესმოდა ხოლმე, როგორ გაჩერდებოდა ᲭᲘᲨᲐᲙᲘᲗᲐᲜ ეტლი, მამაკაცები კიბეებს ამოვლიდნენ და ღვინის სახუხაკად იმ ოთახში შედიოდნენ.

დერეფანში, ჩვენი პატარა ოთახის პირდაპირ, დიდი ყუთი იდგა, შეშით სავსე, და ცეცხლი რომ განელდებოდა, შეშა იქიდან შემომქონდა. მაგრამ ადრე ვწვებოდით. ჩვენს დიდ საწოლ ოთახში სინათლეს არც კი ვანთებდით, სიბნელეში შევიდოდით, გავიხდიდი ტანსაცმელს, ფანჯარას გამოვაღებდი, გადავხედავდი ღამეს, ცივ ვარსკვლავებს, ფანჯრის ქვემოთ მდგარ ფიჭვის ხეებს, და ხელადვე ლოგინში შევძერებოდი. სასიამოვნო იყო ლოგინში წოლა, რადგან ირგვლივ ცივი და სუფთა ჰაერი იდგა, ფანჯრის იქით კი ღამეს გავცქეროდით. მაგრად გვეძინა, და თუ გამომეღვიძებოდა, ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთი რამის გამო: ᲑᲣᲛᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲚᲘ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ გადავწვედი — ქეთრინი არ გავაღვიძომეთქი, და ისევ შევწვებოდი, თბილად და ლაღად ვიყავი თხელ საბანში. ომი ისევ შორს გვეჩვენებოდა, როგორც ფეხბურთის თამაში რომელიღაც კოლეჯში. მაგრამ გაზეთებიდან ეტყობილობდი, რომ ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, რადგან თთაში ჯერაც არ მოსულიყო თოვლი.

ზოგჯერ მთიდან დავეშვებოდით და მონტრეში ჩავიდოდით. ბილიკიც ჩადიოდა, მაგრამ მეტისმეტად შვეული იყო და ჩვენ ყინვისაგან გამაგრებული ფართო გზით ჩასვლას ვარჩევდით, გადავკეთავდით მინდვრებს, ყორეებით შემოზღუდულ ზვრებს გავსცდებოდით და სოფლებში გავივლიდით. ს�ი სოფელი იყო: შერნე, ფონტანივანი და მესამის სახელი აღარ მახსოვს. იქიდან გასულები მთის შვერილზე აღმართულ ქვის ძველებურ ციხე-სიმაგრეს ჩავუვლიდით, ტერასებზე გაშენებულ ვენახებს შორის, სადაც ყოველი ვაზი ჭიგოზე იყო მიკრული, — ვაზები გამხმარ-გამურულები იყო, მიწა თოვლს ელოდა. ხოლო ქვემოთ, ტბა გლუვი და ფოლადივით რუხი გამხდარიყო. ციხე-სიმაგრიდან გზა თავქვე ეშვებოდა, ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნივ უხვევდა და აქედან მონტრემდე, — ყველაზე უფრო შვეული ნაწილი გზისა, — მოკრწყლული იყო.

ნაცნობები არა გვყოლია მონტრეში. დავუყვებოდით ტბას და შევჭყურებდით გედებს, ურიცხვ თოლიებსა და ქარიშხალებს, რომლებიც ჩვენს მიახლოებებზე წამოფრინდებოდნენ და როცა ზემოდან დახედავდნენ წყალს, ჩხავილით იქაურობას იკლებდნენ. შორს, ტბის სიღრმეში, იხვების გუნდები მოსჩანდა, პატარები და შავები იყვნენ და ცურვის დროს წყალზე კვალსა სტოვებდნენ. ქალაქში მთავარ ქუჩას გავყვებოდით და მაღაზიების ვიტრინებს ვათვალიერებდით. აქ იყო ბევრი დიდი სასტუმრო, რომლებიც ახლა დეკეტით, მაღაზიების უმრავლესობა კი ღია იყო და ჩვენი დანახვა ყველგან უხაროდათ. ერთი კარგი საპარიკმახერო იყო და ქეთრინი იქ იკეთებდა ხოლმე თმას. დიასახლისი ძალიან ხალისიანი ქალი ჩანდა და მთელს ქალაქში ის იყო ჩვენი ერთადერთი ნაცნობი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანამ ქეთრინი საპარიკმახეროში იჯდა, მე ზემოთ ავუხვევდი და ლუდხანაში შევიდოდი, ცივამდი შავ მიუნხენურ ლუდს და გაზეთებს ვათვალიერებდი. კეთხულობდი Corriera della Sera-ს და პარიზიდან მიღებულ ინგლისურ-ამერიკულ გაზეთებს. განცხადებები სულ საღებავით იყო გათხუპნული, ალბათ შიშობდნენ მტერთან ამით კავშირი არ დაიჭირონო. კარგი არაფერი ეწერა გაზეთებში. ყველგან შავად მიდიოდა საქმე. ვიჯექი კუთხეში, ხელში შავი ლუდით სავსე დიდი ტოლჩა მეჭირა, იქვე ქალალდის პარკიდან ნამცხვარს ვიღებდი და ვჭამდი, რადგან პრეტცელის მომლაშო გემო მომწონდა, ლუდს ძალიან უხდებოდა, თან ათასნაირი უბედურების ამბავს ვკითხულობდი. მეგონა ქეთრინი გამომიელიდა, მაგრამ არ გამოიარა. ასე რომ გაზეთები ისევ თაროზე დავაწყე, ლუდის ფული გადავიხადე და ქეთრინისაკენ გავემართე. ზამთრის ცივი და ბნელი დღე იყო, სახლის ქვეშიც კი ცივი ჩანდა. ქეთრინი იქვე დამხვდა. პარიკმახერი ქალი თმას უხვევდა. მეც ჩამოვჯექი და ქეთრინს დავუწყე ყურება. ბაღელვებდა მისი ცქერა და ქეთრინს გაეღიმა, გამომელაპარაკა, აღელვებისაგან ხმა, ცოტა არ იყოს, ჩამეხრინწა. თმის დასახვევი სასიამოვნოდ ტკაცუნებდა, სამ სარკეში ვხედავდი ქეთრინს, ოთახში ბნელოდა და საამური სამყოფი იყო. პარიკმახერმა მოათავა თავისი საქმე, ქეთრინმა სარკეში ჩაიხედა და ცოტათი შეისწორა თმა, ზოგან ამოძარო და ზოგან დაიმაგრა სარჭი. მერე წამოდგა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ დიდხანს გალოდინე.

— Monsieur დიდი ინტერესით გიყურებდათ. ხომ Monsieur? — ქალმა გაიღიმა.

— დიახ, — მივუგე მე.

გამოვედით და ქუჩას დავუყვეთით. ნამდვილი ზამთრის სიცივე იდგა, ქარიც ქროდა. — ო, როგორ მიყვარხარ, ძვირფასო, — ვუთხარი მე.

— რა კარგად მოვეწყვეთ, არა? — თქვა ქეთრინმა, — მოდი, ჩაის მაგიერ, სადმე შევიდეთ და ლუდი დავლიოთ. პატარა ქეთრინს ძალიან არგებს. მეტისმეტად არ გაიზრდება.

— პატარა ქეთრინი, — ვთქვი მე, — დიდი უქნარა ვინმეა!

— ძალიანაც კარგია, — თქვა ქეთრინმა, — სულ არ გვაწუხებს. ექიმმა მითხრა, ლუდი შენც გარგებს და ბავშვის ზრდასაც ხელს შეუშლისო.

— თუ მართლა ასე პატარა შეინარჩუნე და ბიჭი გამოდგა, იქნებ ჟოკეი გახდეს.

— ბავშვი თუ დაგვებადა, მართლა ვიქორწინოთ, — თქვა ქეთრინმა. ჩვენ ლუდხანაში ვისხედით, კუთხეში. გარეთ ჩამობნელდა. ჯერ არ იყო ასე გვიან. მაგრამ საერთოდ მოღუშული დღე იდგა და ბინდი ადრე ჩამოწვა.

— ბარემ ახლავე ვიქორწინოთ, — ვუთხარი მე.

— არა, — თქვა ქეთრინმა, — ახლა უხერხულია. აშკარად მატყვია. ასე სად უნდა გამოვჩნდე.

— ნეტა, ადრევე გვექორწინა.

— მართლაც აჯობებდა, მაგრამ მაგისი თავი სადა გექონდა, გენაცვალე?!

— არ ვიცი.

— ერთი რამ კი ვიცი. ასე ჯვრისდასაწერად ვერ გამოვჩნდები, შვილებით დაყურსულ დედაკაცსა ვგავარ.

— დედაკაცს აბა რა გიგავს?!

— ნამდვილი დედაკაცი ვარ, გენაცვალე. პარიკმახერმა მკითხა, პირველი შვილიაო? მე ვუთხარი, კიდევა მყავს ორი გოგო და ორი ბიჭი-მეთქი.

— როდისღა ვიქორწინოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა გინდა, ოღონდ ჯერ გავხდე. დიდებული ქორწილი უნდა გადავიხადოთ. რა ერთიმეორეზე უკეთესი ახალგაზრდები არიანო, ყველა ამას უნდა ვიქრობდეს!

— ჰო, მაგრამ, არ გაწუხებს ეს?

— რატომ უნდა მაწუხებდეს, ჩემო კარგო? ერთადერთი, მილაწში შევიქენი ცუდად, თავი რომ კახპად წარმოვიდგინე, სულ შვიდ წუთს მქონდა ასეთი გრძნობა. და მაშინაც ოთახის მორთულობამ იმოქმედა. რა, არა ვარ კარგი ცოლი?

— მშვენიერი ცოლი ხარ.

— ჰოდა, რაღა ფორმალობას გამოვეკიდოთ. ძველებურადვე გავხდები თუ არა, მაშინვე ვიქორწინოთ.

— აგრე იყოს.

— რას იტყვი, კიდევ დავლიო! ექიმმა მითხრა, მენჯი ცოტათი ვიწრო გაქვს და რაც უფრო პატარა იქნება მეორე ქეთრინი, ის აჯობებსო.

— სხვა რა გითხრა?

— არაფერი. საუცხოო სისხლის წნევა მაქვს, ჩემო კარგო. აღფრთოვანებული იყო ჩემი წნევით.

— ვიწრო მენჯი რომ გაქვს, ამაზე რა გითხრა?

— არაფერი. სულ არაფერი. თხილამურებზე ნუ შედგებიო.

— სწორია.

— აქამდე თუ არ გივლია, ახლა დაწყება მეტისმეტად დაგვიანებულიაო. თხილამურზე შედგომა კი შეიძლება, ოღონდ დაცემა არ შეიძლებაო.

— კაი ხუმარა ექიმი ყოფილა.

— მართლაც მშვენიერი კაცია. ბავშვის დაბადების დროსაც ის მოვიყვანოთ.

— თუ ვიქორწინოთო, ეს აღარ ჭკითხე?

— არა. ოთხი წლის ჯვარდაწერილები ვართ-მეთქი, ვუთხარი. მაინც სულ ერთია, გენაცვალე. შენ თუ მოგთხოვდი, ამერიკის ქვეშევრდომი უნდა გავხდე, ხოლო ამერიკული კანონის მიხედვით, როცა არ უნდა იქორწინო, ბავშვი კანონიერად ითვლება.

— საიდან გაიგე?

— ნიუ-იორკის „უორლდ ალმანაკი“ ვნახე ბიბლიოთეკაში.

— რა კარგი გოგო ხარ!

— ძალიან მიხარია, რომ ამერიკელი გავხდები და ამერიკაში წავალთ. ხომ წავალთ, საყვარელო? ნიაგარის ჩანჩქერი მინდა ვნახო.

— რა კარგი გოგო ხარ!

— კიდევ მინდოდა რაღაცის ნახვა, მაგრამ ვეღარ მომიგონებია.

— სასაკლაო?

— არა. აღარ მახსენდება.

— ვულვორთის ცათამბჯენი?

— არა.

— დიდი კანიონი?

— არა. მაგრამ ეგეც კი მაინტერესებს.

— მაინც რა იყო?

— ოქროს ჭიშკარი! გამახსენდა. სად არის ოქროს ჭიშკარი?

— სან ფრანცისკოში.

— წავალთ. სან ფრანცისკოს ნახვა ისედაც მინდა.

— კარგი, წავიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი მთის მწვერვალზე ავიდეთ. კარგი?

— ხუთზე და რაღაც წუთებზე მატარებელი იქნება.

— მაგ მატარებელს გავყვეთ.

— გავყვეთ. ერთი ღუდი კიდევ დავლიოთ.

გარეთ რომ გამოვედით და სადგურის კიბეებზე შევდგით ფეხი, სიცივემ აგვიტანა. რონის ხეობიდან მსუსხავი ქარი უბერავდა. მაღაზიების ვიტრინები განათებული იყო. ჯერ მეტისმეტად შვეული კიბით სხვა ქუჩაზე გავედით, იქიდან კი მეორე კიბით პირდაპირ სადგურში ამოვყავით თავი. სულ მთლად გაჩახჩახებული ელექტრომატარებელი გასვლას ელოდა. გამოკრულ ციფერბლატზე გასვლის დრო იყო ნაჩვენები. დახატული ისრები ექვსის ათ წუთს უჩვენებდა. სადგურის საათს შევხედე. ხუთ წუთში გავიდოდა. ვაგონში რომ შევდიოდით, მემანქანე და კონდუქტორი დავინახე, სადგურის ბუფეტიდან გამოვიდნენ. დავსხედით და ფანჯრები გავაღეთ. მატარებელს ელექტროენერგიით ათბობდნენ და შეხუთული ჰაერი იდგა, მაგრამ ფანჯრიდან ცივი ნიავი შემოიჭრა.

— დაიღალე, ქეთ? — ვკითხე მე.

— არა, მშვენივრად ვარ.

— მალე მივალთ.

— მიყვარს მატარებელი, — მითხრა მან, — ჩემზე ნუ სწუხარ, გენაცვალე. მშვენივრადა ვარ.

შობამდე სამი დღე-და იყო დარჩენილი, თოვლი რომ მოვიდა. ერთ დილას გამოგვეღვიძა და თოვდა. ერთხანს აღარ ავმდგარვართ ლოგინიდან, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ჩვენ კი ვიწექით და თოვლის ცვენას შეგყურებდით. ძისის გუტინგენმა საუზმის ლანგრები აალაგა და ცეცხლს შეუკეთა. ეს იყო ნამდვილი ქარბუქი. შუაღამისას ამოვარდაო, მისის გუტინგენმა გვითხრა. წამოვდექი და ფანჯრიდან გადავიხედე, მაგრამ გზის იქით ვერაფერი გავარჩიე. გამწარებით ქროდა და თოვდა. ისევ ლოგინში შევძვერი და მუსაიფი გავაბით.

— ნეტა თხილამურებით სრიალი შემეძლოს, — თქვა ქეთრინმა, — რა გულდასაწყვეტია, რომ თხილამურებზე შედგომა არ შემიძლია!

— ბობსლეი ვიშოვოთ და გზაზე დავეშვათ. ეს შენთვის მანქანით მგზავრობაზე საშიში არ იქნება.

— არ დამანჯღრევს?

— ვნახოთ.

— ნეტა არ დამანჯღრიოს.

— ცოტა ხნის შემდეგ თოვლში გავისეირნოთ.

— საუზმის წინ, — თქვა ქეთრინმა, — მადის მოსაყვანად.

— მე მუდამ მშია ხოლმე.

— მეც.

გავედით თოვლში, მაგრამ ისე მოაყარა ნამქერი, რომ ფეხი არ მოგვაცვლევინა. სადგურისაკენ გავემართეთ, მე წინ მივდიოდი, გზასა ვკვალავდი, მაგრამ მანამ მივაღწევდით, დიდი ხანი გავიდა. ისე მოჰქონდა ქარს თოვლი, რომ თვალი არ გაგვახელინა. პატარა სამიკიტნოში შევედით, სადგურთან ახლოს, ცოცხით ჩამოვფერთხეთ ერთმანეთს თოვლი, მაგიდას მოვუსხედით და ვერმუთი მოვატანინეთ.

— დიდი ქარბუქია, — თქვა ოფიციანტმა ქალმა.

— მაშა.

— ძალიან დაიგვიანა თოვლმა წელს.

— მაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შოკოლადის ფილა ხომ არ შევჭამო? — იკითხა ქეთრინმა. — თუ საუზმის დროც მოახლოვდა? სულ მშია და მშია.

— ერთი ფილა შეჭამე, — ვუთხარი მე.

— თხილით შეჭამ, — თქვა ქეთრინმა.

— ძალიან გემრიელია, — თქვა გოგომ, — მეც ყველაფერს მირჩევნია.

— მე მეორე ვერმუთს გადავკრავ.

გარეთ რომ გამოვედით და უკან დავბრუნდით, ჩვენი ნაფეხურები სულ ჩაეჩუმქრა, აქა-იქ თუ შენიშნავდი ოდნავ ჩაღრმავებულ ნაკვალევს. თოვლი ცხვირ-პირში გვცემდა და თვალებს ძლივძლივობით ვახელდით. თოვლი ჩამოვიფერთხეთ და სასაუზმოდ შევედით. საუზმე მისტერ გუტინგენმა მოგვართვა.

— ხვალ სათხილამურო ამინდი იქნება, — თქვა მან, — დადიხართ თხილამურებით, მისტერ ჰენრი?

— არა. მაგრამ ვისწავლო მინდა.

— თქვენ სულ ადვილად ისწავლით. ჩემი ბიჭი ჩამოდის საშობაოდ და ის გასწავლით.

— დიდებულია. როდის ჩამოვა!

— ხვალ საღამოს.

ნასაუზმევს პატარა ოთახში ვისხედით ბუხართან და ფანჯრიდან თოვას ვუყურებდით. უცებ ქეთრინმა მითხრა:

— იქნებ უჩემოდ გაემგზავრო სადმე, ძვირფასო, და მამაკაცებთან ერთად ითხილამურო!

— არა. რად მინდა!

— ზოგჯერ იქნებ უჩემოდაც გინდოდეს-მეთქი ხალხში გასვლა.

— შენ გენატრება ხოლმე სხვა ხალხის ნახვა?

— არა.

— არც მე.

— ვიცი. მაგრამ შენი მდგომარეობა მაინც სხვა არის. მე ბავშვი უნდა გამიჩნდეს და ამით ვსულდგმულობ. განა მე კი ვერა ვგრძნობ, რომ სულ გამოტუტუცდი და ენად გავიკრიფე?! იქნებ აჯობოს, ცოტ-ცოტა ხნით წახვიდე და ჩემგან მოისვენო.

— შენ გინდა, რომ წავიდე?

— არა. მე მინდა, სულ ჩემთან იყო.

— მეც ასე ვაპირებ.

— ჩემთან მოდი, კოპი უნდა გაგისინჯო, — მითხრა მან, — რამხელა კოპია! — თითებით მოსინჯა, — არ გინდა რომ წვერი მოუშვა, გენაცვალე?

— შენ გინდა, მოვუშვა?

— ისე, გასართობად. მინდა, წვერიანი გნახო.

— კარგი. მოვუშვებ. ახლავე, ამ წუთშივე დავიწყებ მოშვებას. რა კარგი რამე მოიფიქრე! საქმე გამიჩნდება.

— მოგწყინდა ხომ უსაქმოდ?

— სულაც არა. მირჩევნია კიდეც. დიდებულად ვგრძნობ თავს. შენ?

— მეც დიდებულად. მაგრამ, ასე რომ გავიბერე, ვაითუ თავი მოვაწყინე-მეთქი!

— ო, ქეთ. შენ არც კი იცი, გაგიჟებით მიყვარხარ!

— ასეთიც?

— სწორედ ასეთი, ახლა რომ ხარ. დიდებულად ვგრძნობ თავს. ხომ კარგია ასე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან. მაგრამ ხანდახან თითქოს მოსვენებას კარგავ.

— არა. ზოგჯერ ფრონტი და ნაცნობი ხალხი გამახსენდება, მაგრამ არაფერია. დიდხანს საერთოდ არაფერზე არ ვფიქრობ.

— მაინც ვინ გაგონდება?

— რინალდი, მღვდელი... და ათასი ვინმე. მაგრამ დიდხანს არ ვფიქრობ ხოლმე. ომზე ფიქრს ვერიდები. აღარაფერი მესაქმება ომთან.

— ახლა რაზე ფიქრობ?

— არაფერზე.

— არა, რაღაცაზე ფიქრობდი. მითხარი.

—მე იმას ვფიქრობდი, რინალდის მართლა სიფილისი ხომ არ სჭირდამეთქი.

— სულ ეგ იყო?

— სულ.

— სიფილისი სჭირს?

— არ ვიცი.

— რა კარგია, რომ შენ ,რა გჭირს. შენ ხომ არაფერი გჭირვებია ამნაირი?

— გონორეა მჭირდა.

— გაგონებაც არ მინდა. ძალიან მტკივნეული იყო, გენაცვალე?

— ძალიან.

— ნეტა მეც მჭირვებოდა.

— მაგას გულით არ ამბობ.

— გულით ვამბობ. შენი სატკივარი მეც მინდა მქონდეს. მინდა, თავი მოვუყარო იმ ქალებს, ვისაც შენ ოდესმე შეხვედრიხარ, და შენივე თანდასწრებით მასხრად ავიგდო.

— კარგი სანახავი კი იქნება!

— აბა ის არის კარგი, გონორეა რომ გჭირდა?

— ვიცი. შეხედე, როგორ თოვს.

— მე მირჩევნია, შენ გიყურო. რატომ თმას არ გაიზრდი, გენაცვალე?

— როგორ თუ გავიზრდი?

— ცოტა რომ დაიგრძელო!

— ისედაც ჩამომგრძელდა.

—არა, ცოტათი დაიგრძელე, მე ჩემსას შევიჭრი და ორივეს ერთნაირი თმა გვექნება, ოღონდ ერთისა ქერა იქნება, მეორესი — შავი.

— მე კიდე, არ დაგანებებ თმის შეჭრას.

— სასაცილო იქნება. თავი მომაბეზრა, გულს მიწყალებს ღამით, ლოგინში.

— მე თუკი მომწონს.

— შეპრილი არ მოგეწონება?

— შეიძლება მომეწონოს. მაგრამ ასე მირჩევნია.

— იქნებ შეპრილი უფრო მომიხდეს. ორივეს ერთნაირი თმა გვექნება. ო, ჩემო ძვირფასო, ისე მიყვარხარ, რომ მინდა ერთ არსებად ვიქცეთ.

— მაგას რაღა ნატერა უნდა. ერთი არსება არა ვართ!

— ვიცი. ღამით მართლაც ერთი არსება ვართ.

— ღამე დიდებულია.

— ნეტა სულ ერთმანეთში ვიყოთ გათქვეფილი. განა მართლა მინდა შენი წასვლა. ეს ისე გითხარი. შენ თუ გინდა, წადი. მაგრამ მალევე დაბრუნდი. როცა ჩემთან არა ხარ, ასე მგონია, არც ვსულდგმულობ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არსადაც არ წავალ, — ვუთხარი მე, — უშენოდ არ ვარგივარ, ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეს არა ჰგავს.

— მე კი მინდა, რომ სიცოცხლე გქონდეს. ნამდვილი, მშვენიერი სიცოცხლე. მაგრამ ეს ხომ ჩვენი საერთო სიცოცხლეც იქნება, არა?

— ბარემ მითხარი, მოვუშვა წვერი თუ შევაჩერო?

— მოუშვი, გაიზარდოს. დაგშვენდება. იქნებ საახალწლოდაც გაგეზარდოს.

— ჯადრაკი არ ვითამაშოთ?

— სხვანაირი თამაში მირჩევნია.

— არა. ჯადრაკი ვითამაშოთ.

— და მერე ის, არა?

— თანახმა ვარ.

დაფა გადმოვიღე და ფიგურები დავაწყე. გარეთ კი თოვდა და თოვდა.

ერთხელ ღამით გამომეღვიძა და ვხედავ, ქეთრინსაც ღვიძავს. გარეთ მთვარე ანათებდა და ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილი ლოგინს ეცემოდა.

— გღვიძავს, ჩემო საყვარელო?

— მღვიძავს. ძილი გაგიკრთა?

— ეს არის გავიღვიძე და ვფიქრობდი, რა გიჟივით ვიყავი-მეთქი, პირველად რომ შეგხვდი. გახსოვს!

— ცოტათი მართლაც გავდი გიჟს.

— ახლა ის აღარა ვარ. ახლა დიდებული ქალი გავხდი. შენ გიყვარს ხოლმე ამ სიტყვის თქმა და ძალიან გიხდება. სთქვი „დიდებული“.

— დიდებულია.

— ო, ჩემო საყვარელო. ახლა უკვე აღარა ვარ გიჟი. ახლა ძალიან, ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ.

— დაიძინე, — ვუთხარი მე.

— კარგი. ორივემ დავიძინოთ.

— კარგი.

მაგრამ ვერ გამოგვივიდა. კიდევ დიდხანს მეღვიძა და ათასი ფიქრი მიტრიალებდა, თან ძძინარე ქეთრინს შევყურებდი, სახეზე მთვარის სხივები დასთამაშებდა. მერე მეც ჩამეძინა.

თავი XXXIX

შუა იანვრისათვის წვერი უკვე წამომეზარდა. დადგა ნამდვილი ზამთარი — ცივი, მოწმენდილი დღეები და სუსხიანი ღამეები. ისევ გამოვვედით შარაგზაზე. მარხილებმა და მთიდან ჩამოცურებულმა მორებმა თოვლი გატკეპნეს და გაალბეგრეს. ირგვლივ სულ თოვლი იდო, თითქმის მონტრემდეც უწევდა. ტბის ბაღმა მთები თეთრად გადაპენტილიყო და რონის ველიც თოვლს დაეფარა. ჩვენ კარგა შორს გავსწევდით ხოლმე სასეირნოდ, ბაღმა მთაზე, ბენ-დე-ლალიზამდე ავდიოდით. ქეთრინი დალურსმნულ ფეხსაცმელებს ჩაიცვამდა, ლაბადას ძოსხამდა და ხელში რკინის ბუნიკიან ჯოხს დაიჭერდა. ლაბადაში გახვეულს ფეხძძიმობა აღარ ეტყობოდა. ძალიან ჩქარა არ დავდიოდით. როცა დაიღლებოდა, შევდგებოდით და გზის პირას მორებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე.

ბენ-დე-ლალიზში ერთი სამიკუნი იდგა, შიგ ხეებში ჩაფლული. აქ ტყის ძუშები მოდიოდნენ და ღვინოსა სვამდნენ. ჩვენც მოვუსხდებოდით ხოლმე მაგიდას ღუმელით გაღუღუნებულ ოთახში და ლიმონითა და სანელებლით შეზავებულ ცხელ წითელ ღვინოს ვწრუპავდით. Clühwein-ს ეძახდნენ ამგვარად დამზადებულ ღვინოს და კარგიც იყო — გასათბობადაც და ისე თავშესაქცევადაც. ჩაბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელებული სამაკიტნო კვამლით იყო გამოვსებული, და გარეთ რომ გამოვიდოდით, ცივი ჰაერი ფილტვებს გვიჩხვლეტდა, ჩასუნთქვისას ცხვირი ერთიანად გვეთოშებოდა. უკან გავხედავდით ხოლმე სამაკიტნოს და განათებულ ფანჯრებს დავინახავდით, ტყის მუშების ცხენები წარამარა თავს აქიცინებდნენ და ტორებსა სცემდნენ, რომ ცოტათი მაინც გამთბარიყვნენ. ჩიჩვირის ბეწვებზე ორთქლი შეჰყინოდათ, და ცხენების ამონაფშვინი ჰაერშივე იყინებოდა. შინისკენ რომ გავსწევდით, გზა ერთხანობას ლეუვი და სლიპი იყო, ცხენების შარდისაგან თოვლს ფორთოხლის ფერი დასდებოდა. მოსახვევიდან კი, საცა მორების დასაცურებელი ბილიკი გვერდზე უხვევდა, გზა ფიფქი თოვლით იყო დაფარული და ტყეში გადიოდა. შინ დაბრუნებულებმა, სადმო ხანს ერთი-ორჯერ მელასაც მოკვარით თვალი.

მშვენიერი სოფელი იყო და მუდამ ხალისით გამოვდიოდით ხოლმე გასაელელად.

— ბრწყინვალე წვერი გაქვს, — მითხრა ქეთრინმა, — ნამდვილი ტყის მჭრელი ხარ. ის კაცი თუ ნახე, პატარა ოქროს საყურეებიანი?

— ქურციკებზე მონადირეა, — ვთქვი მე, — საყურეებს იმიტომ ატარებენ, რომ ასე უფრო კარგად გვესმისო, ამბობენ.

— მართლა? არა მჯერა. მე მგონი თავმოსაწონებლად ატარებენ — შეგვხვედეთ, ქურციკებზე მონადირეები ვართო. აქ ახლომახლო არის ქურციკები?

— არის, დან-დე-ჟანამის გადაღმა.

— რა კარგი იყო, მელა რომ ვნახეთ.

— ძილის დროს კუდში გაეხვევა ხოლმე, და ჩათბუნებულია.

— რა სასიამოვნო გრძნობა იქნება!

— ნეტა იმისთანა კუდი მქონდეს-მეთქი, ვნატრობდი ხოლმე. სასაცილო არ იქნება, მელიას კუდები რომ გამოგვებას?

— ტანსაცმლის მორგება აღარ გინდა?!

— საგანგებო ტანსაცმელს შევიკერავდით, ან ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრებდით, სადაც სულ ერთი იქნებოდა ყველაფერი.

— იმისთანა ქვეყანაში ეცხოვრობთ და ეგ არის. ხომ დიდებულია, რომ არაევისა ვხვდებით. შენ ხომ არავისი ნახვა არ გსიამოვნებს, ძვირფასო?

— არა.

— რა იქნება, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ! ძალიან დავიღალე.

მორზე ჩამოვსხედით, ერთმანეთს მიხუტებულნი. ამას იქით გზა ტყეში უხვევდა.

— ის სულაც არ შეგვიშლის ხელს, ხომ? ჩვენი პატარა გოგო.

— არა. მაგის ნებას ვინ მისცემს!

— ფულის საქმე როგორა გაქვს?

— ფული ჩეჩქივით არის. უკვე გავინაღდე უკანასკნელი ქვითარი.

— თქვენები ძებნას არ დაგიწყებენ? ხომ გაიგეს, რომ შვეიცარიაში ხარ!

— ალბათ. რამეს მივწერ.

— ჯერ არ მიგიწერია?

— არა. მარტო ქვითარი გავაგზავნე ხელმოსაწერად.

— მადლობა ღმერთს, რომ მეც შენი ნათესავი არა ვარ.

— დეპეშას გავუგზავნი.

— სულაც არ გენაღვლებიან?

— ადრე მენაღვლებოდნენ, მაგრამ მერე იმდენი ვიჩხუბეთ, რომ გულიც გაცივდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე კი მგონია, რომ შემიყვარდება ისინი. ალბათ, ძალიან შემიყვარდება.

— მოდი, მოვეშვათ იმათზე ლაპარაკს, თორემ ახალი საფიქრალი ამეშლება, — ცოტა ხნის შემდეგ დაეძინე, — თუ დაისვენე, წავიდეთ ბარემ.

— დავისვენე.

განვაგრძეთ გზა. უკვე ბნელოდა და ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნობდა. ღამე იყო მშრალი, ცივი და მოწმენდილი.

— შენი წვერი შემიყვარდა, — მითხრა ქეთრინმა, — დიდი მიღწევაა. როგორი მაგარი და ჩხვლეტია ჩანს, და ძალიან რბილი და სასიამოვნო კია.

— ასე სჯობს თუ უწვეროდ?

—მგონი, ასე სჯობს. იცი რა, გენაცვალე, პატარა ქეთრინის დაბადებამდე თმას აღარ შევიჭრი. ისე დავსჭელდი, რომ ნამდვილ დედაკაცს დავემსგავსე. ბავშვი რომ დაიბადება, ისევ გავხდები, თმასაც შევიკრეჭ და სულ სხვა, ახალი, მშვენიერი გოგო გეყოლება. ერთად წავიდეთ შესაჭრელად. ან არა და, მარტო წავალ და სიოუპარიზს გაგიმზადებ.

არაფერი მიპასუხნია.

— შენ ხომ არ დამიშლი?

— არა. ალბათ, ამაღელვებს კიდეც.

— რა საყვარელი ხარ! იქნებ უფრო გავლამაზდე, გენაცვალე, ისეთი გამხდარი და ომახიანი ვიქნები, რომ სულ თავიდან შემიყვარე და შემიყვარე.

— ღმერთო ჩემო, — ვთქვი მე, — ისედაც მაგრად მიყვარხარ. მეტი რაღა გინდა? თავგზა უნდა ამიბნიო?

— ჰო, თავგზა უნდა აგიბნიო.

— კარგი, — ვუთხარი მე, — მეც სწორედ ეგ მინდა.

თავი XL

მშვენიერი ცხოვრება გვქონდა. ასე გავატარეთ მთელი იანვარი და თებერვალი. ზამთარიც მშვენიერი იყო და ჩვენც ბედნიერები ვიყავით. ზოგჯერ თბილი ქარი წამოუქროლებდა, თოვლი გარბილდებოდა, ჰაერში გაზაფხულის სუნთქვა დატრიალდებოდა, იწყებოდა დნობა, მაგრამ ისევ იმძლავრებდა სუსხი, ცა მოიწმინდებოდა და კვლავ ზამთარი ბრუნდებოდა. პირველად მარტში გატყდა ზამთარი. ღამით წვიმა დაიწყო. დილითაც წვიმდა, თოვლი ატალახდა, მთები მოიღუშნენ, ტბასა და ველებს ღრუბლები ჩამოწვა. მაღლა მთებში წვიმდა. ქეთრინმა მძიმე კალოშები წამოიცვა, მე მისტერ გუტინგენის რეზინის ჩექმებში ჩავყავი ფეხები, ხელში ქოლგა დავიჭირეთ და ამ თოვლუყაპსა და ლანქერში, რომელიც ყინულს რეცხდა გზაზე, ფეხით გავსწიეთ სადგურის მახლობლად მდებარე სამაკიტნოსკენ, რათა საუზმის წინ თითო ჭიქა ვერმუთი დაგველია. გარედან წვიმის ხმა შემოდიოდა.

— რას იტყვი, ქალაქში ხომ არ გადავბარგდეთ?

— შენ თვითონ რაღას იტყვი? — მკითხა ქეთრინმა.

— თუკი ზამთარი გავიდა და ასეთი წვიმები დაიჭირა, აღარაფერი სასიამოვნო არ იქნება აქ. პატარა ქეთრინის მოსვლას რამდენი აკლია?

— თითქმის მთელი თვე. იქნებ ცოტა მეტიც.

— შეგვიძლია მონტრეში ჩავინაცვლოთ.

— რატომ ლოზანეში არა? საავადმყოფო ხომ ლოზანეშია!

— ლოზანეში იყოს. ვიფიქრე, ძალიან დიდი ქალაქია-მეთქი.

— დიდ ქალაქში კიდევ უფრო განცალკევებული ვიქნებით და ლოზანეში ალბათ ისედაც კარგად მოვეწყობით.

— როდის წავიდეთ?

— ჩემთვის სულ ერთია. როცა შენ გინდოდეს, გენაცვალე. სულაც ნუ წავალთ, შენ თუ აქ გირჩევნია.

— ამინდს დავუცადოთ.

მთელი სამი დღე იწვიმა. სადგურს ქვემოთ, მთის კალთაზე, სულ ჩარეცხა თოვლი. გზა ატალახებული თოვლ-ჭყაპის ნიაღვრად იქცა. გარეთ საშიანელი ხესტი და ტალახი იყო. წვიმის დაწყებიდან მესამე დილას ქალაქს გამგზავრება გადავწყვიტეთ.

— რასა ბრძანებთ, მისტერ ჰენრი, — მითხრა გუტინგენმა, — წინასწარ გაფრთხილება რა საჭირო იყო. ამინდი რომ შეიცვალა, არც კი მიფიქრია, აქ გაჩერდებიან-მეთქი.

— ხომ იცით, ქალბატონის გამო საავადმყოფოსთან ახლოს უნდა ვიყოთ, — ვუთხარი მე.

— მესმის, — თქვა მან, — მერე იქნებ თქვენი პატარათი გვესტუმროთ?

— რა თქმა უნდა, თუკი ოთახს მოგვიხერხებთ.

— გაზაფხულზე ისევ კარგი ამინდები დაგვიდგება და მობრძანდით, მშვენიერი სამყოფელია. თქვენს პატარასა და ძიძას დიდ ოთახში დავაბინავებთ, თქვენ და ქალბატონი კი ისევ იმ ოთახში მოეწყობით, ტბას რომ გადაჰყურებს.

— წინასწარ მოგწერთ, — ვუთხარი მე. ჩავალაგეთ ბარგი და ნასაუზმევს რომ მატარებელი გადიოდა, იმას გაჰყევით. მისტერ და მისის გუტინგენმა სადგურამდე გაგვაცილეს. ჩვენი ბარგი გუტინგენმა ჩააცურა ტლაპოში მარხილით. იდგნენ წვიმაში ბაქანზე და გამოსამშვიდობებლად ხელს გვიქნევდნენ.

— სასიამოვნო ხალხია, — თქვა ქეთრინმა.

— კარგად გვეპყრობოდნენ.

მონტრეალან ლოზანეს მატარებელს გაჰყევით. ჩვენს ძველ სახლს გავხედეთ, მაგრამ არაფერი ჩანდა, მთა ღრუბლებში გაგეფულიყო. მატარებელი ვეევეი გაჩერდა, მერე ისევ განაგრძო გზა, ერთ მხარეს ტბა მოსჩანდა, მეორე მხარეს — წყლით გაბუყუყებული მურა ველები, გატიტვლებული ტყეები და სველი სახლები. ჩავედით ლოზანეს და ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდით. გავიარეთ ქუჩები და სასტუმროში ისე მივედით, წვიმას არ გადაუღია. კონსიერჟი ქურთუკზე გამობმული თითბრის გასაღებებით, ლიფტი, იატაკებზე ნოხები, თეთრი პირსაბანები და მისი ბრჭყვიალა მოწყობილობანი, რკინის საწოლი და დიდი კეთილმოწყობილი ოთახი — ეს ყველაფერი გუტინგენების შემდეგ დიდ ფუფუნებად მოგვეჩვენა. ფანჯრები გადაჰყურებდა ნაწვიმარ ბაღს, რომელსაც ჯ.ლანი ერტყა, გალავნის თავზე კი რკინის მესერი გასდევდა. მეორე მხარეს, შეუღლად დაკიდული ქუჩის გადაღმა, ასეთივე გალავან და მესერშემოვლებული სხვა სასტუმრო იდგა. ფანჯარასთან ვიდექი და გავჰყურებდი, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები შადრევნის აუზში.

ქეთრინმა, რაც კი სინათლე იყო, სუფველა გააჩახჩახა და ბარგის ამოლაგებას შეუდგა. მე სოდიანი ვისკი დავუკვეთე, ლოგიზე წამოვწექი და სადგურში ნაყიდი გაზეთები გავშალე. 1918 წლის მარტი იდგა და გერმანელები საფრანგეთს უტევენენ. მანამ ქეთრინი ბარგს ალაგებდა და ოთახში დადუსფუსებდა, მე სოდიან ვისკის ვწრუპავდი და გაზეთებს ვკითხულობდი.

— იცი, რა უნდა მოვამზადოთ, ძვირფასო?—მითხრა ქეთრინმა.

— რა?

— ბავშვის ჩასაცმელები. იშვიათად თუ შეხვდები ქალს, რომ ასეთ დროს ბავშვის რამეები მომზადებული არა ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყიდვა შეიძლება.

— ვიცი. და ხვალვე ვიყიდი კიდეც. ჯერ უნდა გავიგო, რა არის საჭირო.

— ეგ ისედაც უნდა იცოდე. შენ ხომ მოწყალების და ხარ.

— მართალია, მაგრამ ჯარისკაცებს იშვიათად უჩნდებოდათ ბალღები ჰოსპიტალში.

— მე ხომ გამიჩნდა.

ბალღი ჩამარტყა და სოდიანი ვისკი სულ დამიღვარა.

— ახლავე მოვატანინებ, — მითხრა მან, — მაპატიე, რომ დაგიღვარე.

— ცოტაღა იყო დარჩენილი. აქ მოდი, ჩემთან.

— არა. ჯერ ეს ოთახი დაემსგავსოს რამეს.

— მაინც რას?

— ჩვენს სახლს.

— ანტანტის დროშები გამოკიდე.

— კარგი, ერთი, ენა დაიმოკლე.

— აბა, გაიმეორე.

— ენა დაიმოკლე.

— ისე მორიდებით ამბობ, თითქოს ფრთხილობ, არავის ვაწყენინოო.

— არაფერიც.

— მაშ, ჩემთან მოდი, ლოგინში.

— კარგი, — მოვიდა და ლოგინზე ჩამომიჯდა, — ვიცი, რომ უკვე აღარა ვარ შენი მოსაწონი, გენაცვალე. ფქვილის კასრს დავემსგავსე.

— სულაც არა. ისეთი ლამაზი და კარგი ხარ.

— რამ შეგართვევინა ასეთი მოლიღებული დედაკაცი!

— არაფერიც. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მშვენიერდები.

— მაგრამ ისევ მალე გავხდები.

— ახლაც გამხდარი ხარ.

— შენ დაგილევია.

— ერთი ჭიქა სოდიანი ვისკი.

— მეორე ჭიქასაც ახლავე მოიტანენ, — თქვა მან, — მერე კი სადილი ამოვატანინოთ.

— კარგი იქნება.

— გარეთ გასვლა აღარ დაგეჭირდება, ხომ? საღამოს შინ გავატარებთ.

— და ვითამაშებთ. ვთქვი მე.

— მე ცოტა ღვინო უნდა დავლიო, — თქვა ქეთრინმა, — არაფერიც არ ნომიგა. იქნებ აქაც ჰქონდეთ ჩვენი თეთრი კაპრი.

— უსათუოდ ექნებათ, — ვუთხარი მე, — ამისთანა სასტუმროებში მუდამ აქვთ ხოლმე იტალიური ღვინოები.

ოფიციანტმა კარზე დააკაკუნა. ჭიქით ყინულიანი ვისკი მოიტანა და იმავე ლანგარით სოდაც მოაყოლა, პატარა ბოთლში.

— გმადლობთ, — კუთხარი მე, — აქ დადგით. იქნებ სადილიც აქ ამოგვიტანოთ და ორი ბოთლი ყინულში ჩაცივებული თეთრი კაპრი.

— სუპს ხომ არ მიირთმევდით?

— გინდა სუპი, ქეთ?

— იყოს.

— ერთი სუპი მოიტანეთ.

— გმადლობთ, სერ. — გავიდა და კარი გაიხურა. მივუბრუნდი ისევ გაზეთებს, და ომს — გაზეთების ფურცლებზე. თან სოდას ნელ-ნელა ვისხამდი ვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიან ჭიქაში. უნდა გამეფრთხილებინა, ყინულს ჭიქაში ნუ ჩააგდებთ-მეთქი. ცალკე უნდა მოიტანონ. გეცოდინება მაინც, რამდენი ვისკია ჭიქაში და სოდით აღარ გააწყალებ. ბოთლით უნდა ვიყიდო ვისკი, სოდას და ყინულს კი აქ მოვატანინებ. ეს უფრო ჭკვიანური იქნება. ძალიან სასიამოვნოა კარგი ვისკი. ერთ-ერთი საიამოვნო რამე ცხოვრებაში.

— რაზე ფიქრობ, ჩემო ძვირფასო?

— ვისკიზე.

— მაინც?

— კარგია-მეთქი ვისკი.

ქეთრინი გამეჭყანა, — კარგი, — თქვა მან.

სამი კვირა გავატარეთ ამ სასტუმროში. და კმაყოფილებიც ვიყავით. რესტორანი მუდამ ცარიელი იყო, და საღამოობით, ხშირად, ჩვენს ოთახშიც ვსადილობდით. ვსეირნობდით ქალაქში, უჩინი ტრამვაით დავდიოდით და ტბის სანაპიროზეც გავივლიდით ხოლმე სასეირნოდ. დათბა და გამოზაფხულდა. ერთი პირობა, ენატრობდით კიდეც, ნეტა ისევ მთებში აგვიყვანაო, მაგრამ სულ რამდენიმე დღეს ვასტანა გაზაფხულის ამინდებმა, ისევ დაგვიბრუნდა გატეხილი ზამთრის ნესტიანი სიცივე.

ქეთრინმა ბავშვისთვის რაც კი რამ იყო საჭირო, ყველაფერი იყიდა ქალაქში. მე გიმნასტიკის დარბაზში დავდიოდი სხეულის გასავარჯიშებლად. კრივში ვვარჯიშობდი ხოლმე. დილ-დილაობით დავიარებოდი, მანამ ქეთრინი ლოგინში იწვა. კრივისა და ზხაპის შემდეგ, ამ ადრეულ გაზაფხულზე ძალიან სასიამოვნო იყო ქუჩებში გავლა, ვისუნთქავდი გაზაფხულის ჰაერს, კაფეში შევივლიდი, დავჯდებოდი, ვერმუთს ვწრუპავდი, გაზეთებს ვკითხულობდი და ხალხს ვათვალიერებდი, მერე სასტუმროში ვბრუნდებოდი და ქეთრინთან ერთად ვსაუზმობდი. ვარჯიშის მასწავლებელი, ულეგაშა კაცი, ძალიან მოქნილი იყო და ზუსტი მოქნეა იცოდა, მაგრამ შენ თუ გადახვიდოდი შეტევაზე, შიშით თავგზასა ჰკარგავდა ხოლმე. ძალიან სასიამოვნო კი იყო სავარჯიშო დარბაზში ყოფნა. საუცხოო ჰაერი, სინათლე... მაგრადაც ვვარჯიშობდი — თოკზე ხტომა, თავდაცვა, შეტევა, მუცლის კუნთების ვარჯიში იატაკზე გაწოლით, ღია ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე; მერე მასწავლებლის დაფრთხობა კრივში. პირველად მიჭირდა თავდაცვაში ვარჯიში მაღალი და ვიწრო სარკის წინ, რადგან მუშტმოღერებულ წვერიან კაცს რომ დავინახავდი, მეხამუშებოდა. მერე კი შევეჩვიე და მეცინებოდა. თავში, კრივი რომ დავწყე, წვერის მოპარსვა დავაპირე, მაგრამ ქეთრინმა არ დამანება.

ზოგჯერ მე და ქეთრინი ეტლში ჩავსხდებოდით და ქალაქგარეთ გავისეირნებდით. სასიამოვნო იყო კარგ ამინდში გასეირნება, და ორ საუცხოო ადგილსაც მივაგენით, სადაც საუზმის ჭამა შეიძლებოდა. ქეთრინს უკვე უშირდა სიარული და ძალიან მსიამოვნებდა მასთან ერთად ეტლით გასეირნება. როცა კარგი დარი იდგა, ბრწყინვალედ ვატარებდით დროს, და არც მახსოვს, უკმაყოფილო დაბრუნებულიყოთ. ვიცოდით, რომ ბავშვი სულ ახლოს იყო და ისეთი გრძნობა მოგვიცავდა, თითქოს რაღაც გვაჩქარებს და დროის დაკარგვა აღარ შეიძლება— რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვიყოთ ერთმანეთთანო.

თავი XLI

ერთხელ, დილის სამი საათი იქნებოდა, რომ გამომეღვიძა და ვნახე, ქეთრინი ლოგინში წრიალებდა.

— ცუდად ხომ არა ხარ, ქეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თითქოს ტკივილები დამეწყო, გენაცვალე.

— რეგულარულად?

— არა, არც ისე.

— ოდნავ მაინც რეგულარულად თუ გრძნობ, საავადმყოფოში უნდა წავიდეთ.

ისევ ძილმა წამართვა თავი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამომეღვიძა

— იქნებ ექიმის გამოძახება იყოს საჭირო, — მითხრა ქეთრინმა, — მგონი უნდა მეწყებოდეს.

ტელეფონთან მივედი და ექიმს დავურეკე. — რა სიხშირით წამოუკლის ტკივილები? — მკითხა მან.

— რა სიხშირით წამოგიკლის ტკივილები, ქეთ?

— დაახლოებით ყოველ თხუთმეტ წუთში.

— ახლავე უნდა წახვიდეთ საავადმყოფოში, — თქვა ექიმმა. — მეც ჩავიცვამ და პირდაპირ იქ მოვალ.

მილი დავკიდე და მერე გარაჟში დავრეკე, სადგურთან ახლოს, ტაქსი გამომიგზავნეთ-მეთქი. დიდხანს არავის გაუცია ხმა. მერე ვიღაც კაცმა გამაგონა და აღმითქვა, ახლავე გამოგიგზავნიო. ქეთრინი იცვამდა. ჩემოდანში უკვე ჩალაგებული ჰქონდა ყველაფერი, რაც საავადმყოფოში დასჭირდებოდა მასა და ბავშვს. დერეფანში ლიფტს დავურეკე. არავინ მიპასუხა. დაბლა ჩავედი. ღამის დარაჯის შეტი, კაცმენილი არ იყო. მე თვითონ ავიყვანე ლიფტი, ქეთრინის ჩემოდანი შიგ შევიტანე, ქეთრინიც შემოვიდა და დავეშვით. ღამის დარაჯმა კარი გაგვიღო, ჩვენ გარეთ გამოვედით და ტაქსის მოლოდინში კიბეზე ჩამოვჯექით. მოწმენდილი ღამე იყო, ცა — ვარსკვლავებით მოქედილი. ქეთრინი ძალიან ღელავდა.

— მადლობა ღმერთს, რომ დაიწყო, — თქვა მან, — ცოტა კიდევ და ყველაფერი გათავდება.

— შენ ყოჩაღი გოგო ხარ.

— სულაც არ მეშინია. ოღონდ მოვიდეს ბარემ ტაქსი.

გავიგონე კიდევ მანქანის ხმა, და მაშინვე სინათლემაც მოგვანათა. ჩვენთან ჩამოდგა. მე ქეთრინს ხელი მივაშველე, შოფერმა ჩემოდანი გვერდზე მოიდო.

— საავადმყოფოში, — ეუთხარი მე.

მანქანა მობრუნდა და აღმართს შეუდგა.

საავადმყოფოსთან რომ მივედით, მე ჩემოდანს დავავლე ხელი და შევედით. დაბლა, მაგიდასთან ქალი იჯდა, რომელმაც დავთარში ჩაიწერა ქეთრინის გვარი, წლოვანება, მისამართი, ნათესაური მდგომარეობა და რელიგიასთან დამოკიდებულება. არც ერთ რელიგიას არ ვეკუთვნიო, ქეთრინმა უთხრა, და ამ ქალმა ამ კითხვის გვერდით ხაზი გაუსვა. გვარი — ჰენრი ჩააწერინა, ქეთრინ ჰენრი.

— ახლა თქვენს ოთახში აგიყვანთ, — თქვა ქალმა. ლიფტით ავედით. ქალმა ლიფტი დააყენა, გამოვედით და დერეფანს დავუყევით. ქეთრინი მკლავში მყავდა ჩაფრენილი.

— აი, თქვენი ოთახი, — თქვა ქალმა, — გაიხადეთ და დაწექით. ეს ღამის პერანგი.

— მე ჩემი ღამის პერანგი მაქვს, — უთხრა ქეთრინმა.

— ეს გირჩევნიათ, უფრო ხალვათია.

მე გარეთ გამოვედი და დერეფანში სკამზე ჩამოვჯექი.

— შეგიძლიათ მობრძანდეთ, — კარის ზღურბლიდან დამიძახა ქალმა. ქეთრინი ვიწრო საწოლზე იწვა, ეცვა უბრალო, კვადრატულად გამოჭრილი ღამის პერანგი, ისე გეგონებოდა, ხამი ზეწრიდან გამოუკერავთო. გამიღიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უკვე მაგრად წამომიარა, — თქვა მან. ქალს მისი მაჯა ეჭირა და შეტევების სიხშირეს საათზე ამოწმებდა.

— ახლა მაგარი შეტევა ძმრნდა, — თქვა ქეთრინმა. სახეზეც შევატყვე.

— ექიმი სადღაა? — ეკითხე ქალს.

— დაბლა სძინავს. ამოვა, როცა საჭირო იქნება. ახლა რადაც უნდა გავუკეთო ქალბატონს, — თქვა მომვლელმა ქალმა, — ცოტა ხნით ვერ გაბრძანდებით?

დერეფანში გავედი. სავსებით ცარიელი იყო დერეფანი. ორი ფანჯარა ჰქონდა დატანებული და კარები თავიდან ბოლომდე სულ დაკეტილი. საავადმყოფოს სუნი იდგა. სკამზე ჩამოვჯექი, იატაკს ჩავაშტერდი და ქეთრინზე ლოცვას მოვჰყევი.

— შეგიძლიათ შემობრძანდეთ, — გამომძახა მომვლელმა. შევედი.

— მოხვედი, გენაცვალე! — მითხრა ქეთრინმა.

— როგორ არის საქმე?

— სულ უფრო და უფრო მიხშირდება.

სახე დაემანჭა. მერე გამიღიმა.

— ეს კი ნამდვილი იყო. ისევ ვერ დამიჭიმავთ ხელს ზურგზე?

— თუკი დაგიამებთ... — მიუგო მომვლელმა ქალმა.

— შენ წადი, გენაცვალე, — მითხრა ქეთრინმა, — წადი და რამე ჭამე. აგერ ექთანი ამბობს, იქნებ ძალიან გაჭიანურდესო.

— პირველი მშობიარობა საერთოდ გრძელდება ხოლმე, — თქვა მომვლელმა ქალმა.

— წადი და რამე ჭამე, გენაცვალე, — მითხრა ქეთრინმა, — მე კარგადა ვარ, მართლა.

— ცოტას დავიცდი.

ტკივილები უკვე თანაბარი სიხშირით დაეწყო. მერე ცოტათი შეუნელდა. ქეთრინი ძალიან ღელავდა. როცა მაგრად წამოუვლიდა, კარგიაო, ამბობდა. როცა შეუნელდებოდა, გული დასწყდებოდა და შეწუხდებოდა.

— წადი, ძვირფასო, — თქვა მან, — ასე მგონია, შენთან უფრო უხერხულად ვარ-მეთქი. — სახე დაეღმიჭა. — აი, ეს უკეთესი იყო. როგორ მინდა კარგი ცოლი ვიყო და ისე, უცერემონიოდ, გავაჩინო ბავშვი. წადი. ისაუზმე, გენაცვალე, და მერე ისევ მოდი. არ მოვიწყენ უშენოდ. აგერ, მომვლელი ისეთი მშვენიერი შემხვდა!

— საუზმისთვის ბევრი დრო გაქვთ, — მითხრა მომვლელმა.

— მაშ წავალ. ნახვამდის, ძვირფასო.

— ნახვამდის, — თქვა ქეთრინმა, — კარგად ისაუზმე, ჩემ მაგიერაც.

— სად შეიძლება კაცმა ისაუზმოს? — ვკითხე მომვლელს.

— ამ ქუჩას დაუყევით და მოედანთან, კაფე გახლავთ, — მითხრა მან, — ღია იქნება, მგონი.

თენდებოდა. ცარიელ ქუჩას გავყევი და კაფეს მივადექი. ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა. შევედი და თუთიაგადაკრულ დახლს მივადექი. მოხუცმა ჯაცმა ერთი ჭიქა თეთრი ღვინო და ბრიოში მომიტანა. გუშინდელი ბრიოში იყო. ღვინოში ჩავაწე და მერე ყავა დავაყოლე.

— ამ უთენია რამ გამოგიყვანათ? — მკითხა ბერიკაცმა.

— ცოლი მშობიარობს საავადმყოფოში.

— აჰა. მშვიდობით მორჩენილიყოს.

— კიდევ დამისხით ერთი ჭიქა ღვინო.

ერთბაშად გადმოსწია ბოთლი და ღვინო თუთიის დახლზე დაიღვარა. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ჭიქაც დავლიე, ფული გადავიხადე და გამოვბრუნდი. ქუჩაში, ყოველი სახლის წინ, სანაგვე თუნუქები იყო გამოდგმული, მენაგვის მოლოდინში. ერთ თუნუქაში ძაღლს ჩაეყო ცხვირი.

— რას ეძებ? — ეკითხე მე და თუნუქაში ჩავიხედე, თუ რამეა ამის საკბილო, ამოვუღებ-მეთქი. ყავის ნალექისა, ნაგვისა და მკვდარი ბუზების მეტი ზემოდან არაფერი ჩანდა.

— არაფერი ყოფილა, ძაღლო, — ვთქვი მე. ძაღლი იქითა მხარეს გადავიდა. საავადმყოფოში ფეხით ავჰყევი კიბეებს, დერეფანი გავიარე და ქეთრინის ოთახს მივადექი. კარზე დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. შევაღე კარი. ოთახი ცარიელი იყო; მარტო ქეთრინის ჩემოდანი იდო სკამზე და ხალათი კედელზე ეკიდა. დერეფანში ავიარ-ჩავიარე, იქნებ ვინმე ენახო-მეთქი. ერთ ექთანს შევხვედი.

— ქალბატონი ჰენრი სად არის?

ახლახან გაატარეს ვიღაც ქალი სამშობიაროს კენ.

— სამშობიარო სადღაა?

— ახლავე გაჩვენებთ.

დერეფნის ბოლოში მიმიყვანა. სამშობიაროს კარი შეღებული იყო. დავინახე ქეთრინი, მაგიდაზე იწვა და ზეწარი ეხურა. აქეთ ექთანი იდგა, იქით კი, რაღაც ცილინდრებთან — ექიმი. ცალ ხელში მილაკზე მიმაგრებული რეზინის ნიღაბი ეჭირა.

— ხალათს მოგცემთ და შედით. — მითხრა მომცლელმა ქალმა, — აქეთ მობრძანდით.

თეთრი ხალათი ჩამაცვა და უკან ინგლისური ქინძისთავით შემიკრა.

— შეგიძლიათ შებრძანდეთ, — მითხრა მან. შეევედი.

— მოხვედი, გენაცვალე! —დაძაბული ხმით მითხრა ქეთრინმა, — აღარ მადგება საშველი.

— მისტერ ჰენრი ბრძანდებით? — მკითხა ექიმმა.

— დიახ. როგორ არის საქმე, ექიმო?

— ძალიან კარგად, აქ გადმოვიყვანეთ, რომ შეტევების დროს გაზი მიეცეთ.

— მომეცით ბარემ, — თქვა ქეთრინმა. ექიმმა რეზინის ნიღაბი სახეზე დააფარა და ციფერბლატი გადასწია, ვხედავდი, როგორ ღრმადა და სწრაფად სუნთქავდა ქეთრინი. მერე მოიგლიჯა ნიღაბი. ექიმმა მაშინვე გამორთო.

— ეს უფრო ნაკლები იყო. ამის წინ ძალიან ძლიერი მქონდა. ექიმი ცდილობს, არც კი მაგრძნობინოს. ხომ, ექიმო? — უცნაური ხმა გაუხდა. „ექიმი“ უფრო ხმამაღლა წარმოთქვა.

ექიმს გაეღიმა.

— კიდევ მომეცით, — თქვა ქეთრინმა. მაგრად მიიკრა ნიღაბი სახეზე და სუნთქვას უხშირა. გავიგონე, როგორ წამოიკვნესა. მერე მოიგლიჯა ნიღაბი და გაიღიმა.

— ახლა ძლიერი იყო, — თქვა მან, — ძალიან ძლიერი იყო. შენ ნუ სწუხარ, გენაცვალე. წადი. წადი და კიდევ ისაუზმე.

— დავიცდი, — ვთქვი მე.

დილის სამი საათი იქნებოდა, საავადმყოფოში რომ მივედით. შუადღისას ისევ სამშობიარო ოთახში იყო ქეთრინი. ტკივილები კვლავ შეუნელდა, ძალიან დაღლილი და გაწამებული ჩანდა, მაგრამ ცდილობდა მხნედ ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვარგებულვარ, გენაცვალე, — თქვა მან, — რა ღმერთი მიწყრება! მეგონა, ადვილად მოვიშორებდი. მაგრამ... აჰა, ისევ.. — ნიღაბს გადასწვდა და სახეზე დაიდო. ექიმმა ციფერბლატი გადასწია და ქეთრინს დააკვირდა. მალე გადაუარა.

— არც ეს იყო ძლიერი, — თქვა ქეთრინმა. გაიღიმა. — ამ გაზზე ვგიჟდები. საუცხოო რამეა.

— სახლშიაც წავიღოთ ცოტაოდენი, — ვთქვი მე.

— ისევ მეწყება, — სულმოუთქმელად თქვა ქეთრინმა. ექიმმა ციფერბლატი გადასწია და საათზე დაიხედა.

— რა სიხშირით მოსდის? — ვკითხე მე.

— წუთგამოშვებით.

— საუზმე არ გინდათ?

— ახლავე წავალ და ვისაუზმებ.

— რამე უნდა შეჭამოთ, ექიმო, — თქვა ქეთრინმა, — რა მომდის, ასე როგორ გამიჭიანურდა. ჩემი ქმარი ვერ მომაწოდებს გაზს?

— თქვენი ნებაა, — თქვა ექიმმა, — ორიანზე უნდა დააყენოთ.

— ვხედავ,— ვუთხარი მე, — ციფერბლატზე ისარი იყო და პატარა ღილაკით უნდა გადაგეტრიალებინა.

— კიდევ მინდა, — თქვა ქეთრინმა. მჭიდროდ მიიკრა ნიღაბი სახეზე. ისარი ორიანზე დავაყენე და ქეთრინმა რომ მოიგლიჯა ნიღაბი, ისევ გადმოვწიე. დიდი სიკეთე მიყო ექიმმა, რომ საქმე გამიჩინა.

— შენ მომეცი გაზი, გენაცვალე? — მკითხა ქეთრინმა. მაჯაზე ხელი გადამისვა.

— მე მოგეცი.

— რა კარგი ხარ.

გაზმა ცოტათი დაათრო.

— მე გავალ და მეორე ოთახში ვისაუზმებ, — მითხრა ექიმმა, — რამე რომ იყოს, იმ წუთში დამიძახებთ.

ვხედავდი როგორ ჭამდა, ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ წამოწვა და პაპიროსი გააბოლა. ქეთრინი სულ უფრო და უფრო იქანცებოდა.

— როგორ გგონია, ვეღარ გავაჩენ ამ ბავშვს?

— რა თქმა უნდა, გააჩენ.

— რაც შემიძლია ვცდილობ. ვიჭინთები და ვაწვები, მაგრამ გვერდზე სხლტება. აჰა, მ ე წ ყ ე ბ ა. მ ო მ ე ც ი.

ორ საათზე წავედი და ვისაუზმე. კაფეში რამდენიმე კაცი დამხვდა. მაგიდაზე ყავა და კირში ედგათ ჭიქებით. ერთ-ერთ მაგიდას მივუჯექი.

— არაფერს მომიტანთ? — ვკითხე ოფიციანტს.

— საუზმის დრო უკვე გავიდა.

— გამზადებული არაფერი გაქვთ?

— შუკრუტს მოგართმევთ.

— შუკრუტი და ლუდი.

— ნახევარი თუ მთელი ტოლჩა?

— ნახევარი იყოს, ღია ფერისა.

ოფიციანტმა მომიტანა კომბოსტოს წნილი ლორის თხელი ნაჭრით, და სოსისი ღვინოში დამბალი ჩაშუშული კომბოსტოთი. ვუპეპე და ლუდი დავაყოლე. ძალიან მოშივებული ვიყავი. მაგიდასთან მომსხდარ ხალხს გადავხედე. ერთ მაგიდაზე კარტს თამაშობდნენ. მეზობელ მაგიდასთან ორი კაცი საუზმობდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაპიროსს აბოლებდა. კაფე კვამლით იყო გამოსებული. თუთიის დახლში, სადაც მე დილით ვისაუზმე, ახლა სამნი იდგნენ: ის ბერიკაცი, ჩასუქებული ქალი, რომელიც სალაროსთან იჯდა და თვალყურს ადევნებდა, მაგიდებზე რა კერძები მიაქვთო, და წინსაფრიანი ბიჭი. გავიფიქრე, ნეტა იმ დედაკაცს რამდენი შვილი ჰყავს და როგორ გაჩინა-მეთქი.

შუკრუტს რომ მოვრჩი, საავადმყოფოში დავბრუნდი. ქუჩები უკვე დაესუფთავებინთ, ჭიშკრებთან აღარ იდგა სანაგვე თუნუქები. ღრუბლიანი დღე იყო, მაგრამ მზე გამოჭყეტას ცდილობდა. ლიფტით ავედი, დერეფანი გავიარე და ქეთრინის ოთახში შევედი, აქ თეორი ხალათი მჭონდა დატოვებული. ჩავიცვი და კისერთან ქინძისთავით შევიკარი. სარკეში ჩავიხედე და გავიფიქრე, წვერმოშვებულ ყალთაბანდ ექიმს გგავარ-მეთქი. ისევ დერეფაში გამოვედი და სამშობიაროო ოთახისკენ გავსწიე. კარები მიკეტილი იყო და დავაკაკუნე. არავის უპასუხნია. კარის სახელური გადავსწიე და შევედი. ექიმი ქეთრინის მახლობლად იჯდა. ექთანი ოთახის მეორე კუთხეში რაღაცას აკეთებდა.

— აგერ, ქმარიც მოგვიდათ, — თქვა ექიმმა.

— ო, გენაცვალე, რა შესანიშნავი ექიმი მყავს! — ძალიან უცნაური ხმითა თქვა ქეთრინმა. — რაღაც საოცარ ამბავს მომიყვა, ხოლო ტკივილმა რომ ძალიან წამომიარა, ისე დამიიამა, თითქოს არაფერიო. შესანიშნავი კაცი ხარ, ექიმო!

— შენ დაითვერი, — ვუთხარი მე.

— მეც ვიცი, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ მაგისი გახსენება რაღა საჭიროა! — მერე:—ჩქარა, ჩქარა მომეციო.—ნიღაბს ჩააფრინდა და წყვეტილ-წყვეტილი, აჩქარებული სუნთქვა დაიწყო, რესპირატორს ტკაცანი ეცა-წყებინა. ბოლოს ამოიხვნეშა და ექიმი მარცხენა ხელით გადასწვდა, ნიღაბი აიცალა.

— ახლა ძალიან ძლიერი იყო, — თქვა ქეთრინმა. ძალიან უცნაური ხმა გაუხდა. — აღარ მოვკვდები, გენაცვალე. სიკვდილის პირას ვიყავი, და მორჩა, გაიარა. არ გიხარია?

— ნუღარ მიხვალ სიკვდილის პირას.

— აღარ მივალ. თუმცა, არც მეშინია. არ მოვკვდები, გენაცვალე.

— მაგისთანა სისულელეს თქვენ არ იზამთ, — უთხრა ექიმმა, — არ მოკვდებით, ქმარს არ დასტოვებთ!

— აჰ, არა. არ მოვკვდები. რათ უნდა მოვკვდე! სიკვდილი სისულელეა. ისევ მეწყება. ჩქარა მომეციო.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა მითხრა: — რამდენიმე წუთით გაბრძანდით, მისტერ ჰენრი, უნდა გავსინჯო.

— უნდა ნახოს, როგორ არის საქმე, — თქვა ქეთრინმა, — მერე ისევ შეგიძლია შემოსვლა. ხომ, ექიმო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ექიმმა, — მე თვითონ შევუთვლი და მოვაყვანინებ.

დერეფაში გამოვედი და იმ ოთახისკენ გავსწიე, სადაც ქეთრინი უნდა შეეყვანათ, ბავშვის დაბადების შემდეგ. სკამზე ჩამოვჯექი და ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ჯიბეში გაზეთი მქონდა, სასაუზმოდ რომ წავედი მაშინდელი ნაყიდი, და იმ გაზეთის კითხვა დავიწყე. უკვე ბინდი ჩამოწვა და სინათლე ავანთე. ცოტა ხნის შემდეგ კითხვას თავი გავანებე, სინათლე ჩავაქრე და ფანჯრიდან დავიწყე ბზერა, როგორ თანდათანობით ბნელდებოდა. ნეტა, ექიმმა რატომ არ შემომითვალა. იქნებ ჩემი იქ არყოფნა ჯობდა. ალბათ განგებ გამომშვა. საათს დავხედე. ათ წუთში თუ არ შემომითვალა, ავდგები და მე თვითონ წავალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი საბრალო ქეთ. რა ძვირი დაგიჯდა ლოგინში ერთად ძილი. აპა, რა სცოდნია ხაფანგის ასხლეტას. რა სცოდნია ერთმანეთის სიყვარულს. მადლობა ღმერთს, გაზი მაინც არის. აბა უწინ რა იქნებოდა, მანამ ანესთეზიას მოიგონებდნენ? რაკიდა ერთხელ დაიწყებოდა, თითქოს დოლაბში მოპყოლიხარო. ქეთრინს კარგი ორსულობა ჰქონდა. არა უშავდა რა. გულისრევა თითქმის არც კი ჰქონია. უკანასკნელ დღემდე ისე ძალიან არც შეწუხებულა. მაგრამ ბოლოს მაინც უწია. ტყუილია, ისე ვერ დაადწევ თავს. ჯოჯოხეთს ვერ დაუძვრები! ორმოცდათვერ რომ გვექორწინა, ბოლო მაინც ეგ იყო. რომ მოკვდეს?! არ მოკვდება. დღეს მშობიარობას ვინ მოუკლავს. ასე ფიქრობენ ხოლმე ქმრები. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ მოკვდება. რა ვუყოთ, რომ ცუდ დღეშია. პირველმა მშობიარობამ ასეთი გაჭიანურება იცის. ცუდ დღეშია და ეგ არის. მერე გავიხსენებთ რა ცუდ დღეში ვიყავითო, ქეთრინი მაინც იტყვის, მაგდენიც არაფერი ყოფილაო. მაგრამ მართლა რომ მოკვდეს? არ შეიძლება მოკვდეს. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არაბეთქი, არ შეიძლება. რასა ჩმახავ! რა ვუყოთ, რომ ცუდ დღეშია. კაცი წამებისათვის არის გაჩენილი. პირველი მშობიარობაა და ასე იმიტომ გაჭიანურდა. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ შეიძლება მოკვდეს. რად უნდა მოკვდეს? რა მიზეზით. უბრალოდ, ბავშვი უნდა დაიბადოს — მილანში გატარებული ტკბილი დამების უნებური ნაყოფი. ეაი-უბედურებაში ჩაგაგდებს, დაიბადება, მერე ზედ უნდა გადაყვე და იქნებ შეგიყვარდეს. მაგრამ რომ მოკვდეს? არ მოკვდება. რა სჯერს სასიკვდილო. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ შეიძლება, მოკვდეს. და მაინც რომ მოკვდეს? ჰო, მაშინ, მაშინ? რას იზამ, რომ მოკვდეს?

ოთახში ექიმი შემოვიდა.

— ექიმო, რა პირი უჩანს საქმეს?

— არაფერი პირი არ უჩანს, — მიპასუხა ექიმმა.

— მაინც?

— ისე. გავსინჯე... — დაწვრილებით განმიმარტა გასინჯვის შედეგები. — მერე დაველოდე. მაგრამ არაფერი გამოდის.

— რას მირჩევთ?

— ორი გზა გვაქვს. ან მაყაშები უნდა ვიხმაროთ, რაც ბავშვისთვისაც საეჭვოთო იქნება და, გ-ნსაკუთრებით, ქალისთვის — შეიძლება ყველაფერი დაადგლეჯოს — ანა არა და კეისრული კვეთა.

— კეისრული კვეთა საეჭვოთოა?

რომ მოკვდეს?!

— ჩვეულებრივ მშობიარობაზე საშიში არ არის.

— თქვენ თვითონვე გააკეთებთ?

— დიახ. სულ ერთი საათი მომინდება მოსამზადებლად და დამხმარე ხალხის მოსაყვანად. იქნებ ამდენიც არ დამჭირდეს.

— თქვენის აზრით, რომელი აჯობებს?

— მე კეისრულ კვეთას გირჩევთ. ჩემი ცოლი რომ იყოს, კეისრულს გავუკეთებდი.

— რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

— არავითარი. ნაკრილობევი დაჩნდება.

— ინფექცია?

— მაყაშებით გამოყვანის დროს მეტი საშიშროებაა.

— რომ არაფერი გავაკეთოთ და კიდევ ველოდოთ?

— ადრე იქნება თუ გვიან, რამე მაინც უნდა ვიღონოთ. მისის ჰენრიმ ისედაც დიდი ენერგია დაჰკარგა. რაც უფრო ჩქარა გავკეთავთ, მით უფრო უხიფათო იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, ეცადეთ ჩქარა გაუკეთოთ, — ვუთხარი მე.

— ახლავე წავალ და თავდარიგს დავიჭერ.

სამშობიარო ოთახში შევედი. მომვლელი ქალი იქვე დამხვდა. ქეთრინი იწვა მაგიდაზე, ილაჯწართმეული და გადატეტკილი, ზეწრის ქვეშ დიდი მოსჩანდა.

— მიეცი ნება? — მკითხა მან.

— ჰო.

— კარგი გიქნია. ერთ საათში ყველაფერი გათავდება. აღარაფრის თავი არა მაქვს, გენაცვალე. სულ მოვიშალე. მომეცით, თუ ღმერთი გწამთ. აღარ მშველის. ვაი, აღარ მშველის.

— ღრმად ჩაისუნთქე.

— ვსუნთქავ. ვაი, სულ აღარ მშველის. აღარ მშველის.

— მეორე ცილინდრი მომეცით, — ვუთხარი მომვლელს.

— ეს ახალია.

— რა სულელი ვარ, გენაცვალე, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ სულ აღარ მშველის. — ტირილი წასკდა. — როგორ მინდოდა ეს ბავშვი გამეჩინა, არავინ არ შემეწუხებინა, მაგრამ მორჩა. სულ მოვიშალე. ეგეც აღარ მშველის. ვაი, სულ აღარ მშველის, გენაცვალე. ოღონდ კი გამიყუჩდეს და თუნდა მოვკვდე, აღარ დავეძებ. ო, თუ ღმერთი გწამთ, გამიყუჩეთ, გამიყუჩეთ, იწამეთ ღმერთი. აბა, წამომიარა. ოჰ, ოჰ, ოჰ! — სლუკუნით სუნთქავდა ნიღაბქვეშ. — აღარ მშველის. აღარ მშველის. აღარ მშველის. ჩემზე ნუ დარდობ, საყვარელო. ნუ სტირი, თუ ღმერთი გწამს. ჩემზე ნუ დარდობ. მე სულ მთლად მოვიშალე და ეგ არის. ჩემო საბრალო, ჩემო საყვარელო. როგორ მიყვარხარ! ისევ გავმაგრდები. ახლა კი გავმაგრდები. მეტი არაფერი აქვთ, რომ მიშველონ? იქნებ მიშველონ რამე!

— ისე დავაყენებ, რომ გიშველის. ბოლომდე გადავწევ.

— აბა მომეცი.

ბოლომდე გადავწიე ისარი, და ღრმადა და მაგრად რომ ჩაისუნთქა, ნიღაბზე ჩაშიდებული ხელი მოუდუნდა. გაზი დავკეტე და ნიღაბი ავაცალე. სადღაც ძალიან შორიდან დაბრუნდა.

— რა მშვენიერი იყო, გენაცვალე! ო, რა კარგი ხარ!

— ცოტა უფრო ყოჩაღად. მუდამ ბოლომდე კი ვერ გადავწევ. ამან შეიძლება მოგკლას.

— რაღა ყოჩაღად! გავტყდი. გამტეხეს.

— ყველას ასე ემართება.

— ჰოი რა საშინელებაა. მანამ არ გაგტეხენ, არ მოგეშვებიან.

— ერთი საათიც და ყველაფერი გათავდება.

— რა კარგია! ხომ არ მოვკვდები, გენაცვალე, ხომ არა?

— არა. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ არა.

— არ მინდა მოვკვდე და მარტო დაგტოვო. მაგრამ ძალა აღარა მაქვს და ასე მგონია, ნამდვილად მოვკვდები.

— სისულელეა. ყველას ასე ჰგონია.

— ზოგჯერ გავიფიქრებ, მოვკვდები-მეთქი.

— ეგ არ მოხდება. არას დიდებით.

— რომ მოვკვდე?

— მე არ დაგანებებ.

— ჩქარა! ჩქარა მომეცით!

და ცოტა ხნის შემდეგ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ მოკვდები. მე თვითონვე არ დავანებებ ჩემს თავს.

— რა თქმა უნდა, არ მოკვდები.

— შენ ხომ ჩემთან იქნები?

— ოღონდ არ შემოგხედავ.

— არა, ისე იყავი.

— ვიქნები. ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ო, რა კარგი ხარ. აჰა! მომეცი. ცოტა მოუმატე. არა მშველის!

ისარი ჯერ სამზე დავაყენე, მერე ოთხზე. ექიმის დაბრუნება მეჩქარებოდა. ორიანზე ზევით გადაწევისა მეშინოდა.

ბოლოს ვიღაც ახალი ექიმი მოვიდა და ორი მომვლელი ქალი მოჰყვა. ქეთრინი გორგოლაჭებიან ჯალამბერზე დააწვინეს და დერეფანში გაიყვანეს. სწრაფად გაატარეს დერეფანი და ჯალამბერი ლიფტში შეაგორეს. კედლებს აეკრა ყველა, რათა ადგილი დაეთმო; ლიფტი ზემოთ ავიდა, მერე კარები გაიღო, გამოვედით, რეზინის გორგოლაჭებიანი ჯალამბერით დერეფანი გაატარეს და საოპერაციოში შეიყვანეს. ნიღაბაკრული და ჩაჩიანი ექიმი ვეღარ ვიცანი. იქვე იყო მეორე ექიმი, სხვა მომვლელი ქალებიც.

— მიშველონ, რამე მომცენ! მომეცით რამე, იწამეთ ღმერთი! ექიმო. იმდენი ჩამასუნთქეთ, რომ მიშველოს.

ერთ-ერთმა ექიმმა სახეზე ნიღაბი დაადო. ოთახში რომ შევიხედე, საოპერაციოს პატარა, ნათელი ამფითეატრი დავინახე.

— მეორე კარებიდან შედით და იქ დაბრძანდით, — მითხრა მომვლელმა ქალმა.

მოაჯირს იქით მერხები იდგა, რომლებიც თეთრ მაგიდასა და ლამპებს გადმოჰყურებდა. ქეთრინს შევხედე. სახეზე ნიღაბი ეფარა და ახლა დამშვიდებული ჩანდა. ჯალამბერი წინ გამოაგორეს. გამოვბრუნდი და დერეფანში გავედი. გალერიის შესასვლელისაკენ ორი მომვლელი მიეშურებოდა.

— კეისრულია, — თქვა ერთმა, — კეისრულს აკეთებენ.

მეორემ გაიცინა, — კარგ დროს მოვსულვართ. ბედი გვქონია! — გალერიის კარებში შევიდნენ.

ახლა სხვა მომვლელი გამოჩნდა. ისიც მოეშურებოდა.

— შედით, ბარემ, შედით, — მითხრა მან.

— გარეთ ვიქნები.

სწრაფად შევიდა. დერეფანში დავიწყე წრიალი. შიგ შესვლისა მეშინოდა. ფანჯარაში გადავიხედე. ბნელოდა, მაგრამ ფანჯრიდან გაჭრილი შუქით გავარჩიე, რომ წვიმდა. დერეფანს დავუყევი და სულ ბოლო ოთახში შევედი. მინის კარადაში ეტიკეტიანი ბოთლები შევათვალიერე. მერე გამოვედი, დერეფანში დავდექი და საოპერაციოს კარებს მივაშტერდი.

ექიმი გამოვიდა და მომვლელი ქალი გამოჰყვა. ექიმს ახალგატყავებული კურდღლის მსგავსი რაღაც მოჰქონდა, სწრაფად გადასჭრა დერეფანი და მეორე კარებში შევიდა. მეც იქითკენ გავემართე, ახალდაბადებულ ბავშვს დასტრიალებდნენ. ექიმმა ასწია და დამანახვა. ჭუსლებით ეჭირა, ხელი მოუთათუნა.

— კარგად არის?

— დიდებული ბიჭია. ხუთი კილო გამოვა.

არავითარი გრძნობა არ აღმძვრია. თითქოს არაფერი მაკავშირებდა მასთან. ძამობრივი გრძნობა არ განმიცდია.

— არ ამაყობთ თქვენი ბიჭით? — მკითხა მომვლელმა. ჰბანდნენ და რაღაცაში ხვევდნენ. დავინახე პატარა შავი სახე და შავი ხელები, მაგრამ მისი არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცირვა შემომჩნევია, არც ხმა გამიგონია. ექიმი კიდევ უტრიალებდა. შეწუხებული ჩანდა.

— არა, — ვუთხარი მე, — დედა კინაღამ მოჰკლა.

— მერე რა პატარა საყვარელი ბიჭის ბრალია. ბიჭი არ გინდოდათ?

— არა, — ვთქვი მე. ექიმი ისევ საქმეში იყო გართული. ქუსლებით ასწევდა და ხელს უთათუნებდა ხოლმე. იქ აღარ გავჩერებულვარ. ისევ დერეფანში გამოვბრუნდი. ახლა შემეძლო შესვლა და ნახვა. კარებში შევედი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. მოაჯირთან მჯდარმა მომგლელებმა ხელით მანიშნეს, აქ მოდიო. მე თავი გავაქნიე. აქედანაც კარგად ვხედავდი.

მეგონა, ქეთრინი მკვდარი იყო. მკვდარსა ჰგავდა. სახეზე, — იმ ნაწილზე რასაც მე თვალი მოვჰკარი, — მიწის ფერი ედო. ქვემოთ, სინათლის შუქზე, ექიმი კერავდა გრძლად გადაჭიმულ, ჩქიფებით გადახლეჩილ ჭრილობას. მეორე, ნიღაბაკრული ექიმი ნარკოზს აძლევდა. ორი ნიღაბაკრული მომგლელი ქალი ინსტრუმენტებს აწვდიდა. ინკუბიციის სურათსა ჰგავდა. ვიცოდი, რომ თავიდანვე შემეძლო მეყურებინა, და კიდევ კარგი, არ ვუყურე. ალბათ ვერ გავუძლებდი გაკვეთის ცქერას, ახლა კი შეეყურებდი, როგორ შეჰკრა ჭრილობამ პირი და ამოზნექილი ნაწიბური გაჩნდა, რა სწრაფად ედებოდა ნაკერი, თითქოს მეჩექვე მუშაობსო, — და კმაყოფილი ვიყავი. ამოკერვა რომ დამთავრდა, დერეფანში გამოვედი და ისევ ალმა-დალმა წრიალს მოვყევი. ცოტა ხანში ექიმიც გამოვიდა.

— როგორ არის?

— კარგად. ნახეთ?

დაქანცული ჩანდა.

— ამოკერვას ვუყურე. ძალიან გრძელი ჩანს ჭრილობა.

— ვითომ?

— დიახ. ნაწიბური გაუსწორდება?

— რა თქმა უნდა?

რამდენიმე ხნის შემდეგ ჯალამბერი გამოაგორეს და სწრაფად გააქანეს ლიფტისაკენ. მე გვერდზე გავყევი. ქეთრინი კვნესოდა. დაბლა ჩაიყვანეს და თავის ოთახში დაწვინეს. მე სკამზე ჩამოვჯექი, საწოლის ბოლოში. მომგლელიც ოთახში იყო. მერე ავდექი და ლოგინთან დავდექი. ოთახში ბნელოდა. ქეთრინმა ხელი გადმოსწია.

— აქა ხარ, ენაცვალე! — თქვა მან. დაღლილი და მისუსტებული ხმა ჰქონდა.

— აქა ვარ, ჩემო საყვარელო.

— როგორი ბავშვია?

— ჩ-ჩუ-უ... ნუ ლაპარაკობთ, — თქვა მომგლელმა.

— ბიჭია. გრძელი, ზორბა და შავგვრემანი.

— კარგად არის?

— კარგად, — ვუთხარი მე, — მშვენიერი ბიჭია.

შვენიშნე, რომ მომგლელმა ქალმა გაკვირვებით გადმომხედა.

— სულ გავსავათდი, — თქვა ქეთრინმა, — ყველაფერი მტკივა. შენ კარგადა ხარ, ენაცვალე?

— მშვენივრად. ნუ ლაპარაკობ.

— რა კარგი ხარ, ო, რა საშინლად მტკივა ყველაფერი. როგორი ბიჭია?

— გატყაევებულ კურდღელს ჰგავს და ბერეიკის დაპრანჭული სახე აქვს.

— ახლა წაბრძანდით, — მითხრა მომგლელმა, — ქალბატონ ჰენრის ლაპარაკი არ შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარეთ ვიქნები, — ვთქვი მე.

— წადი და ჭამე რამე.

— არა. გარეთ დავიცდი.

ვაკოცე. მიწისფერი ედო, დაღლილი და დასუსტებული იყო.

— შეიძლება რაღაც გითხრათ? — მივმართე მომვლელ ქალს. დერეფანში გამომყვა. ცოტა ქვემოთ ჩავინაცვლე.

— ბავშვი როგორ არის? — ვკითხე მე.

— არ გაგიგიათ?

— არა.

— ცოცხალი არ ყოფილა.

— მკვდარი დაიბადა?

— სუნთქვა ვერ მოუბრუნეს. ჭიპლარი თუ რაღაც შემოხვეოდა ყელზე.

— ერთი სიტყვით, მკვდარია!

— დიახ. სამარცხვინო ამბავი დაგვემართა. რა დიდი და მშვენიერი ბიჭი იყო. მე მეგონა, იცოდით.

— არა, — ვთქვი მე, — ქალბატონს მიხედეთ.

მაგიდასთან დავჯექი, რომელზედაც ექთანების ანგარიშები ელაგა, ერთიერთმანეთზე დაწყობილი და მავთულში გაყრილი. მერე ფანჯარაში გადავიხედე. ვერაფერი დავინახე, გარდა სიბნელისა და წვიმისა, რომელიც ფანჯრიდან გაჭრილ შუქს ეცემოდა. აჰა, ამ ამბის თავი და ბოლო. ბავშვი მკვდარი დაბადებულა. ექიმსაც მიტომ ჰქონდა დაღლილი სახე. მაშ რაღას დასტრიალებდნენ თავს იმ ოთახში? ალბათ იმედი ჰქონდათ, იქნებ მობრუნდეს და სუნთქვა დაიწყოსო. მორწმუნე-არა ვყოფილვარ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მონათვლა იყო საჭირო. იქნებ ერთხელაც არ ამოუსუნთქავს! ასეც იყო. ერთის წუთითაც არ უცოცხლია. მხოლოდ ქეთრინთან ერთად. ხშირად მიგრძვნია, როგორ იტლინებოდა იქ. ბოლო კვირას კი აღარ შემიმჩნევია. იქნებ მთელი კვირა დამხრჩვალი იყო. საბრალო ბალღი. ნეტა მეც შენსაკით დავმხრჩვალიყავი. თუმცა რატომ. ამდენ სიკვდილს მაინც არ შევესწრებოდი. აგერ ქეთრინიც მოკვდება. აი რას ეწვე, მოკვდი. ასავალ-დასავალია ვერ გაუგე. ვეღარც კი ასწრებ, რომ გაიგო. პირდაპირ შეგაგდებენ, კანონებს გეტყვიან და, ერთხელ თუ ფეხი დაგისხლტა, მაშინვე მოგგუდავენ. ან უმიზეზოდ ჩაგაძალებენ, აიმოსაკით. ან არა და სიფილისს შეგყრიან, რინალდის მსგავსად. მოკვლით კი, ადრე თუ გვიან, უსათუოდ მოგკლავენ, არხეინად იყავი. ახლოს გაუჩერდი და მოგკლავენ.

ერთხელ, ლაშქრობის დროს, ჭიანჭველებით გამოტენილი კუნძი დავადე ცეცხლზე. ცეცხლი რომ მოეკიდა, ჭიანჭველები გამოძვრნენ და ჯერ ცეცხლს გულისაკენ აიღეს გეზი, მერე კი მობრუნდნენ და კუნძის ბოლოსკენ გაეშურნენ. აერი წეიხორხლა ერთად და პირდაპირ ცეცხლში იწყეს ცვენა. ზოგმა თავი დააღწია, თუმცა ნახევრად დაიწვნენ და დაისრისნენ, და სადღაც გაეცოცდნენ, თვითონაც არ იცოდნენ საით. უმრავლესობა კი ჯერ ცეცხლისკენ მიძვრებოდა, მერე უკან გაბრუნდა და საბოლოოდ ცეცხლში ჩაიხრუკა. მახსოვს, ერთი პიროობა ვიფიქრე, აჰა ქვეყნის დასასრული-მეთქი, და ბრწყინვალე საშუალება მეძლეოდა, მესია გავმხდარიყავი — კუნძისთვის ხელი მეტაცა და შორს გადამეგდო, ჭიანჭველები მშვიდობიანად გავიდოდნენ მიწაზე. მაგრამ ასე არ მოქცეულვარ, ავიღე და კუნძზე თუნუქის ტოლჩა გადმოვაპირქვავე, რათა გამეცალა და მერე ვისკი ჩამესხა, წყალში გასაზავებლად. აგიზგიზებულ კუნძზე დასხმული წყალი, ალბათ სულ დაფუფქავდა ჭიანჭველებს.

ერთი სიტყვით, ვიჯექი დერეფანში და ქეთრინის ამბავს ველოდი. მომვლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი არ გამოვიდა. ცოტა ხანს ეუცადე, მერე კი მივედი, კარი ძალიან ფრთხილად შეეაღე და შეეხეიდე. პირველად ვერაფერი გავარჩიე, რადგან დერეფანი გაჩახჩახებული იყო, ოთახში კი ბნელოდა. მერე მომელული დავინახე, ლოგინთან იჯდა. ქეთრინს ბალიშზე ედო თავი, იწვა და ზეწრის ქვეშ არც კი ჩანდა. მომგელმა ტუჩზე თითი მიიდო, მერე წამოდგა და კარებთან მოვიდა.

— როგორ არის? — ვკითხე მე.

— კარგად, — მიპასუხა მომგელმა, — წასულიყავით და გეგეახშმათ, მერე ისევ დაბრუნდებით, თუკი ძოისურვებთ.

დერეფანს დავუყეევი, კიბეები ჩავიარე, წვიმაში გავედი და ჩაბნელებულ ქუჩას გავჰყეევი კაფესაკენ. გაჩახჩახებული კაფე ხალხით იყო გაჭედილი. დასაჯდომი ადგილიც კი ვერ დავინახე. ოფიციანტი მოვიდა, დასველებული პალტო და ქუდი გამომართვა და ადგილი დამანახვა ერთ მაგიდასთან, რომელსაც მოხუცი კაცი მისჯდომოდა, ლუდსა სვამდა და სიღამის გაზეთს კითხულობდა. ჩამოვჯეკი და ოფიციანტსა ვკითხე, plat du jour რა გაქვთ-მეთქი.

— ჩაშუშული ხბოს ხორცი, — მაგრამ გითავდა.

— რა შეიძლება კაცმა ჭამოს?

— ერბო-კვერცხი ლორით, ყველი და კვერცხი, ან შუკრუტი.

— შუკრუტი უკვე ეჭამე, შუადღისას.

— მართალი ბრძანდებით, — თქვა მან, — მართალი ბრძანდებით. შუკრუტი უკვე მიირთვეთ. — შუახნის კაცი იყო, მოტვლეპილ თავზე საფეთქლებიდან გადმოეტანა მოხეხრხებულად თმა. კეთილი სახე ჰქონდა.

— რას ინებებთ, ლორიან ერბო-კვერცხს თუ კვერცხსა და ყველს?

— ლორიანი ერბო-კვერცხი იყოს, — და ლუდი.

— Demi-blonde?

— დიახ, — ვუთხარი მე.

— როგორ დამახსოვდა! — თქვა მან, — წეღანაც demi-blonde მიირთვეთ.

ერბო-კვერცხი და ლორი შეეჭამე და ლუდი დავაყოლე. მათლაფთი მომიტანა, ქვეშ ლორი იყო, ზემოდან კი ერბო-კვერცხი. მეტისმეტად ცხელი იყო და პირველი ლუკმა რომ ჩავიდეკი, გასაგრილებლად ლუდის მოსმა დამჭირდა. მოშიეებული ვიყავი და კიდევ დავუკვეთე. რამდენიმე ჭიქა ლუდი დავლიე. არაფერზე არა ვფიქრობდი, გაზეთს ეკითხულობდი მხოლოდ, რომელიც ჩემს მეზობელს ეჭირა ხელში. ინგლისის ფრონტი გაირღვა, სწერდნენ. როცა შენიშნა, მის გაზეთს ვკითხულობდი, უკუღმა შეაბრუნა. მინდოდა ოფიციანტისთვის მეთხოვა გაზეთი, მაგრამ ამის თავიც აღარ მქონდა. კაფეში ცხელოდა და შეხუთული ჰაერი იყო. მაგიდებთან მსხდომთა უმრავლესობა ერთმანეთს იცნობდა. ჰა-იქ კარტს თამაშობდნენ. ოფიციანტებს მოჰქონდათ და მოჰქონდათ სასმელები დახლიდან. ორი კაცი შემოვიდა. მაგრამ ადგილი ვერ იშოვნეს. ზედ ჩემი მაგიდის პირდაპირ გაჩერდნენ. კიდევ მოვატანინე ლუდი. ჯერ არ მინდოდა წასვლა. საავადმყოფოში დაბრუნება ძალიან ნაჩქარევი იქნებოდა. ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა და მშვიდად ვმჯდარიყავი. ახალშემოსულები ერთხანს იდგნენ; რაკი არავინ აპირებდა გასვლას, თვითონვე წავიდნენ. კიდევ დავლიე ლუდი. ჩემს წინ თეფშების გროვა დადგა! ჩემმა მეზობელმა სათვალე მოიხსნა. ბუდეში ჩადო, გაზეთი დაკეცა, ჯიბეში შეინახა, ლქიორის ჭიქას ხელი ჩასჭიდა და დარბაზი მიათვალ-მოათვალიერა. უცებ გამიელვა, ახლავე უნდა დაებრუნდე-მეთქი. ოფიციანტს დავუძახე, ფული გადავიხადე, პალტო ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, გამოვედი და იმ წვიმაში საავადმყოფოსაკენ გავსწიე.

დერეფანში მომელელ ქალს შევხვდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს არის. სასტუმროში დაგირეკეთ, — მითხრა მან. მკერდში რაღაც ჩამწყდა.

— რა მოხდა?

— მისის ჰენრის სისხლისდენა აუტყდა.

— შესვლა შეიძლება?

— არა, ჯერ არა. ექიმია.

— საშიშია?

— ძალიან საშიშია. — ოთახში შებრუნდა და კარი მიიხურა. მე დერეფანში ჩამოვჯექი. ერთიანად გამოვფიტე. არაფერზე არა ვფიქრობდი. ფიქრს თავს ვერ ვუყრიდი. ვგრძნობდი, რომ კვდებოდა და ვლოცულობდი, ნუ მოკვდება-მეთქი. ღმერთო, ნუ მოკლავ. გეკედრები, ნუ მოკლავ, ღმერთო. რასაც გინდა გაგიკეთებ, ოღონდ ნუ მომიკლავ. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, ნუ მომიკლავ, ღმერთო. ღმერთო დიდებულო, ნუ მოკლავ. გეკედრები, ღმერთო, ღმერთო, ნუ მოკლავ. ღმერთო დიდებულო, ნუ მომიკლავ. რასაცა მთხოვ, გავაკეთებ, ოღონდ ამას ნუ მომიკლავ. ბაგშვი ხომ წაიყვანე, ამას ნუღარ ერჩი. ის იკმარე, ამას ნუღარ მომიკლავ. გეკედრები, ღმერთო, ღმერთო, ნუ მოკლავ.

მომგლელმა კარი გამოაღო და ხელით მანიშნა, მოდიო. ოთახში შევყევი. როცა შევედი, ქეთრინს არ გადმოუხედავს. სასთუმალთან მივედი. ექიმი იქითა მხარეს იდგა. ქეთრინმა შემომხედა და გამიღიმა. დაეხარე და ტირილი წამსცდა.

— ჩემო საბრალო, — წაიჩურჩულა ქეთრინმა. მიწისფერი ედო.

— კარგად გახდები, ქეთ, — ვუთხარი მე, — მალე მორჩები.

— ვკვდები, — თქვა მან. და ცოტა ხნის შემდეგ: — როგორ არ მინდა! ხელი მოვკიდე.

— ნუ მკიდებ ხელს, — თქვა მან. მე ხელი ვუშვი. გაიღიმა. — ჩემო საბრალო. მომკიდე, რამდენიც გინდოდეს.

— მალე მორჩები, ქეთ. ვიცი, რომ მალე მორჩები.

— მინდოდა შენთვის წერილი დამტოვებინა... რამე რომ დამემართოს-მეთქი. მაგრამ ვერ მოვახერხე.

— მღვდელს ხომ არ მოვუხმო, ან იქნებ ვინმე გინდა?

— შენს მეტი არავინ. — და ცოტა ხნის შემდეგ: — კი არ მეშინია. ისე, არ მინდა.

— ამდენს ნუ ილაპარაკებთ, — უთხრა ექიმმა.

— აღარ ვილაპარაკებ, — თქვა ქეთრინმა.

— ხომ არაფერი გინდა, ქეთ? რამე მოგიტანო?

ქეთრინმა გაიღიმა, — არა. — და ცოტა ხნის შემდეგ: — მე რომ მეუბნებოდი ხოლმე, იმ სიტყვებს სხვა ქალს ნუ ეტყვი. კარგი?

— არასოდეს.

— თუმცა, მინდა რომ ქალებში იარო.

— მე არ მინდა.

— ძალიან ბევრს ლაპარაკობთ, — თქვა ექიმმა, — მისტერ ჰენრი უნდა გავიდეს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვა. სასიკვდილო რა გაქვთ! რა სისულელეა.

— კარგი, — თქვა ქეთრინმა, — ღამლამობით მოვალ შენთან. — ძალიან უჭირდა ლაპარაკი.

— ცოტა ხნით მიბრძანდით, — მითხრა ექიმმა, — არ შეიძლება ლაპარაკი. — ქეთრინმა გამიღიმა. მიწისფერი ედო.

— მივდიავრ, — ვთქვი მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ იდარდებ, ძვირფასო, — თქვა ქეთრინმა, — სულაც არ მეშინია, ოღონდ საზიზღრობაა!

— ნუ, ჩემო კარგო, ყოჩაღო გოგონო!

დერეფანში ვიცდიდი. დიდხანს ვიცდიდი. მომვლელი ქალი გამოვიდა.

— ძალიან ცუდად არის მისის ჰენრი, — თქვა მან, — ვაითუ რამე მოუვიდეს!

— მოკვდა?

— არა, მაგრამ გრძნობა დაჰკარგა.

ზედიზედ მოსვლოდა სისხლისდენა. ვერასდიდებით ვერ შეუჩერეს. ოთახში შევედი და ქეთრინის სასთუმალთან დავდექი, მანამ მოკვდებოდა. გონს აღარ მოსულა, არც დიდხანს უწვალია.

გარეთ, დერეფანში, ექიმსა ვკითხე:

— ამაღამ რამე არის საჭირო?

— არა. არაფერი. სასტუმრომდე მიგაცილებთ.

— გმადლობთ. ცოტა ხანს აქ დავრჩები.

— ვიცი, რომ აღარაფერია საკთქმელი. ვერც კი წარმოიდგენთ...

— რა საჭიროა, — ვუთხარი მე, — საკთქმელი აღარაფერია.

— ნახვამდის, — თქვა მან, — სასტუმრომდე არ მიგაცილოთ?

— არა, გმადლობთ.

— სხვა გზა აღარ იყო, — თქვა მან, — ოპერაციამ ცხადჰყო...

— აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

— მინდოდა სასტუმრომდე მიმეცილებინეთ.

— არა. გმადლობთ.

იგი დერეფანს დაუყვა. მე ოთახის კარები შევაღე.

— ჯერ არ შეიძლება, — თქვა ერთმა მომვლელმა.

— შეიძლება, — ვუთხარი მე.

— ჯერ არ შეიძლება. ნუ შემოდიხარი.

— თქვენ თვითონ გადით, — ვუთხარი მე, — ესეც.

მაგრამ როცა ისინი გარეთ გავყარე, კარები მივხურე და სინათლე ავანთე, მივხვდი, რომ მართლაც არ შეიძლებოდა. ეს ქანდაკებასთან გამოთხოვებაა ჰგავდა. ცოტა ხანში ოთახიდან გამოვედი, დაბლა დავეშვი, და წვიმაში სასტუმროსკენ წავყიალდი.

ინგლისურიდან თარგმნა **ვახტანგ ჭელიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრა ბღოკი

სამაგიერო

გავიდა ერთი, გადის მეორე,
გადის სურათთა ჭრელი რიგები,
ნუ აგვიანებ, მხატვარო, თორემ
ამ წუთის მოწმე ვეღარ იქნები.
თუ ინანებ და სევდა მოგელის,
თუ წუთი იგი იქნა მზარავი —
შენ დააბრალე შენს თავს ყოველი,
არ დააბრალო რამე არავის.
იყო ფხიელი, გრძნობდე, იწვოდე —
აი, რა არის შენთვის მთავარი,
იქ, პეტერბურგის ცის ქვეშ, იცოდე,
ცხოვრობს ოჯახი დიდი თავადის.
და აქვთ თავადებს რაღაც საერთო,
მათ საუკუნე შველის, შველოდა,
რომ დაჩაგრულთა ბედით გაერთონ
და გადმოხედონ ყველას ზემოდან.
დრო ვის დაზოგავს, ვინ ებრალება,
დღეს პირში ბურთი აქვთ გამოჩრილი,
და მოინათლენ ლიბერალებად
და გახდნენ მეფის მონა-მორჩილი.
მეფეს ებრძოდა ხალხი მშრომელი —
და იყო მუდამ შუღლი, რომელიც
ორივე მხრიდან სპობდა თავადებს,
ბედს, ვინ იქნება, გაუთამამდეს.
ეს ყველაფერი, რასაც უსმენდით —
სასაცილოა, ძველიც ეგების,
და უნდა იყო ხეპრე, რეგვენი
მასხრად აიგდო ყოფა რუსეთის.
და რომ იცოდეთ, გაიკვირვებდით,
ის ორ ცეცლშუა არის ნიადგ,
რამდენს გმირობა დაავგიანდა,
ვერას გამხდარან ხშირად გმირებიც.
და ცვლილებები მარადქამს უცვლელს,
ვეღარ გაექცა კანონს ვერსაით,
ის გაზაფხულის მდინარესავით
მუდამ მზად არი დაიძრას უცებ.
ყინულს ყინულის ზვინი მოდენის,
რათა დალეწოს, მოსპოს, დარისხოს
ყველა ცოდველი და უცოდველი,
ხარისხიანი და უხარისხო.
ჩემი ოჯახი ძველი დროებით
ცხოვრობდა, მუდამ გვეძახსოვრება —
კარს არ უღებდა ახალ ცხოვრებას
და სიმყუდროვით გვასაზრდოებდა.
წარსულს ქება ბევრჯერ მოგვესმა,
(უსაქმურობა ახლდა რომელსაც, —
სხვა ფიქრს ახლოსაც არ იკარებენ,
გაღებულია ყველა კარები,
ზამორის ქარბუქი სტვენს, მუხანათობს,
და დიდი საქმე სულაც არ არი
მეუღლეს შენსას რომ უღალატო,
როცა არა ხარ კაცი ალალი).
და აქ ნიჰილიზმს აკლდა სიმწარე,
მეცნიერება მძლავრი ბუნების,
(მეფეს რომ აფრთხობს განადგურებით),
ვით რელიგია ისე: იწამეს.
ოჯახი არის სიგიჟე სრული, —
ამბობდა ხოლმე ხალხი მრისხანედ,
სამარადისოდ სიღრმეში სულის
დარჩა „მარია თავადის ქალი“.
სახება მისი წარსულს ამსგავსეს,
ურწმუნოებთან ეცადა კავშირს,
ყოველი წუთი იყო აღსავსე
გაორებული შეგნებით მაშინ.
წრე იგი ჯადომ ისე დადაღა —
უცხოურს თაყვანს სცემდა მარად და

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ზნესა და ადათს მალავდა,
თუ გაახელდა შიშით ხანდახან.
ცხოვრება მუდამ ახალს გვახარებს,
ცხოვრება ერთი გეზით არ ივლის,
და შემოიჭრა რაღაც ახალი
სტუმართმოყვარე სახლში ქარივით.
ხან ნიჰილისტი მოდის პერანგით —
არაყს მოითხოვს ურცხვად ვერაგი.
ოჯახს უმწარებს მდგომარეობას,
(რაც მიაჩნია მოვალეობად).
ხან საპატიო სტუმარი ვინმე —
ხელში გაზეთით აქ შემოირბენს,
და ეს-ეს არი უკვე აპირობს,
რომ ნაჩქარევად მოითათბიროს:
— შფოთის გზა როგორ გადაიღობოს,
წლისთავისათვის რაღა იღონოს;
ვით დაწყნაროს ახალგაზრდობა,
რომელმაც შფოთის ზღვაში გასტრბა.
ამ ჭერქვეშ ყველა ამბობს თამამად:
რა აწუხებს და საქმე რაშია,
რად არ გაამხელს, რატომ დამალავს, —
აქ გაუგებენ ბულის ხვაშიადს.
უკვე მოჭამეს დრო უფროსებმა.
(ჯამი მიმწუხრის ნიშანს აჩვენებს.
რა გაეწყობა — ვერ შეაჩერებ —
ბოლის ცისფერის ასე მოსეავს).
ოჯახის ბურჯი, ვინც დაიგეშა —
ორმოციანი წლების ჩაუქად,
მოწინავეთა არის რიგებში,
და წმინდა სული როდი ჩაუქრა.
ის განათლებას იცავდა — ეხლა
ახალმა ძვრებმა გააბოროტეს,
ცოტა არ იყოს თავბრუ დაეხვა,
ვეღარ შეიძლო დაცვა ბოლომდე.
და აქვს სიმშვიდე ტურგენევისა,
უშფოთველობა სახეს ეკმევა,
ის ღვინოებში კარგად ერკვევა,
დიდად აფასებს ჭამას ნებისად.
და მშობლიურზე ძვირფასი არის
მისთვის პარიზი. ენა ფრანგული,
(ადემით უყურებს ევროპა პარიზს —
ეს გერმანელსაც ბედმა არგუნა),
დასავლეთელმა რწმენა არ დათმო,
სულით ბატონი. — მართლაც ასეა,
ვერ შეეგუა იმის ხასიათს
ფრანგული ჩვევა და ადათები.

იგი ბორელთან სადილზე მწყარალად —
ბუზღუნებს ხოლმე გულის კარნახით,
სადილზე — თეგზის წვენი წყალწყალა
და აქვთ ხანდახან უმი კალმახიც.
ბედის კანონი — სავსე ცოდვებით —
უცაბედი და მოულოდნელი,
და მფუდრობა დღისით და ღამით.
ოჯახს ეზრდება გოგონა სამი,
ქმარს ელოდება უფროსი ახლა,
მწარე ფიქრები ნაღველს ლესავენ,
მეორე სწავლობს, ბეჯითი გახლავთ,
სიმღერა-სიმღერით დახტის მესამე.
მას აიძულებს ჩვევა უჩინო —
თვით მეგობარიც რომ გაოჯავროს,
უფროსს მათრახი გადაუჭიროს,
— ეს ყველაფერი ხდება საჯაროდ.
წამოიზარდნენ — საქმეც გაკეთდა,
ახლა ბალებზე ეტლით დადიან,
გადი-გამოდის ვიღაც საოკეანეთან,
წერილს აწოდებს უმცროსს დარდიანს
და იუნკერი, ცელქი, მოჭორავს
სიყვარულისგან დარდს და გოდებას,
უფროსი გოგო ყმაწვილს ქოჩორავს
ხელს შესთავაზებს მოულოდნელად.
ბიჭი მორცხვია, დარბაისელი,
ემზადებიან რომ იმასპინძლონ,
მამა ბუზღუნებს, აღარ ისვენებს,
„გოგო ნაკლებად უყვარს სასიძოს.
არა სცხია რა ჩვენი წრის, ვხედავ“, —
იტყვის, საეკვოდ დამანჭავს ხელებს, —
და ასე ფიქრობს იდუმალ დედაც,
მაგრამ ერთმანეთს ეკვს არ უმხელენ.
დედა ამზადებს — აღარ დაეძებს,
თითები კაბას სწრაფად კემსავენ,
და ნიშნობაზე (მგლოვიარეზე)
უხმობს ნაცნობებს და ნათესავებს,
სასიძომ დაგმო მათი მიზანი
(მამა გამწყრალი რაკი ეგულვის),
და პატარძალიც ამ აზრის არი;
აი, ხელიხელ ჩაკიდებულნი —
უკვე მიდიან, ასე ინებეს,
ორივ უკუნი გულებს ჩაქოლავს,
ნიშნობას ახლდა განხეთქილება
და მოხდა იგი ულეჩაქოდა.
და საქორწინოდ, წესით რუსულით
მიდიან ჩქარა ბიჭმა რაკი თქვა,

საკურთხეველთან დგას მოღუშული,
თმაგაწეწილი, უშნო ფრაკითა.
და ქორწინებას ყინი ჩასძახის,
ვერ თქმევინებს უარს ვერავინ,
ჯვარს წერს ხუცესი ხელის ცახცახით.
ხუცესი ძველი და ლიბერალი.
და ისეთ აბდაუბდას მოყვება,
სქმროს არ ესმის, თვითონ არ ესმის.
თაებრუ დაეხვა ქალს, უარესიც —
მუქმა ლაქებმა თეთრი ლოყები —
გადაუსერეს რა გამალებით,
ვეღარ მალავენ ცრემლებს თვალები.
და ბევრი რომ **არ ვილაპარაკოთ,**
ეს დიდხანს როდი ეაადოვრებათ,
მოვლენ ოჯახში, თავის კალაპოტს
დაუბრუნდება ისევ ცხოვრება.
ადრეა წელში მოხრა ამათი,
წინ არის ყველა გზები გაწვდილი.
ამხანაგებთან ბავშვურ კამათში
სუფთად გამოვა იგი ყმაწვილი.
არ იქნა ფიქრი არ განერიდა,
და ღამესთევეს ოცნება დადლის.
და კეთილ სახლში ამიერიდან
მოინახება მათთვის ოთახი.
წესის დარღვევა არ ეკადრება,
რას იზამ, ყინმა ასე მოჯაყა,
ოჯახში მაინც გაეხარდებათ,
როგორც ახალი წევრი ოჯახის,
არაფერია აქ დასაფრთხობი,
ეს ყოველივე მალე გაიარს,
გააგულისებს ახლად გათხოვილს
უმცროსი გოგო უფროსს დაიას,
და შუათანა არიგებს უმცროსს —
ხემრობას მორჩეს, დასვას წერტილი,
უფროსმა ფიქრებს ვეღარ გაუძლო,
ქმარს მიეყუდა წელმოწყვეტილი.
ქმარი მამასთან დავობს, არ ისმენს —
მეუღლის ჩივილს — არ მოერიდა,
ლაპარაკობენ სოციალიზმზე —
და რომ ვიღაცას ამიერიდან —
ბედასლი ჰქვია კუბოს კარამდე,
მან დაბეზღება რადგან ინება,
და მოგვარდება აწ და მარადის
ყველა საკითხი აუცილებლად.
და მათ ცხოვრებას ვეღარ გადაშლის —
თოში და ყინვა გამოზაფხულის,
განერიდება ქალი მამაშვილს
გულშემოყრილი და მოსაფრული.
ეუურებს ღელვას ცივი მორევის,
ყინვა იმსხვრევა ახლა გარეთა,
დაესიზმრება მალე ორივეს,
რომ ხალხი უხმობს „წინ იარეთო“.
ეს ოცნებები ბავშვური წავლენ
და მალე ჭკუაც მოემატებათ,
მალე წესებსაც შეისწავლიან,
(მწობელ მამასაც ეს ენატრება),
რომ იპახეროს, რომ აუყვავდეს
ოჯახი, ჰქონდეს რიდი მამასი,
კანონიერი ცოლი უყვარდეს
და შეეძინოს ბიჭი ლამაზი.
სულაც არ არის საანგარიშო
თანამდებობა, მხოლოდ იცოდეს,
რომ ყოველგვარი ქრთამის გარეშე
საამაყოა კაცის სიცოცხლე.
დიდი ცხოვრების დგანან მორევთან,
ჯერეთ ადრეა ზამთრის უწყება,
ისინი ბავშვებს ჰგვანან, **რომელთაც**
„აღარ იცელქოთ“ — დედა უწყრება.
ოცნება ტკბილი რაკი იგემეს,
ფიქრი ირევა მათ წინ ულევი —
და ვერასოდეს ვერ გაიგებენ
მათი თვალები განწირულები,
რომ განსხვავება არის ფარული
სისხლის, სხეულის და სიყვარულის.
და მიდიოდა ცხოვრება ასე,
და გაზაფხულის მდინარე ნელა
მონანობდა ფართო და ბნელი,
ყინული — ცივი და რისხვით სავსე —
ძველ ნავს რომელიც აჩერებს გზაზე.
ბურუსი ქამმა გადარეცხა და
გადავიწყების კვალში გაურევს,
ჩვენს ოჯახს მალე გამოეცხადა
ვიღაც უცნობი და უცნაური.
ადექ, გამოდი დილით მინდორზე —
ქორი ნავარდით ცამდე ასულა,
და დაინახავ, რომც არ გინდოდეს
ბუდეს დაეძებს ქორი ავსული.
ვეღარ გაუძლეს მწარე კაენს —
ჩიტების მოთქმა აღარ მინელდა,
ქორს მიეყურა გლოვა ფრინველთა —
ცახელებული დაბლა დაეშვა.
და ბუდეებში გლოვა ატყდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი სუნთქვა ბარტყების...
ქორმა წაიღო მსხვერპლი სწრაფადა
და ქარმა ჭირმა ველად გაქფანტა,
რომ დაიამოს ქროლვით მარგული —
ისევ აფრინდა ცაში გულდაგული.
ათვალიერებს ქორი ავგული
ხარბი თვალებით ველებს უდაბურს.
ღედა რუსეთიც, ვით ეს ჩიტები,
შვილებზე ზრუნავს, შველა სჭირდება.
რა გაეწყობა, ბედმა არგუნა —
ყველა უწამოს ქორმა ავგულმა.
და სალონებზე ვრეესკაიასთან
იკრიბებოდა ხალხი ნაღები,
აქ მოდიოდა თვით დოსტოევსკი.
ღონემიხდილი, სავსე ნაღველით.
დარღს იქარვებდა სულის გამგები —
და უსაქმური არვის ეგგონოთ, —
დღიურს ავსებდა უცხო ამბებით.
(ამ დროს პობედონოსცევს მეგობრობს)
აქ კითხულობდა ლექსებს პოლონსკი —
და იფრქვეოდა ლექსად აზრები,
აქ ეესპინსტრი ცოდვებს ბოლოს კი
აღიარებდა დაიზებით.
და უნივერსიტეტის რექტორი
ბოტანიკოსი თვით ბეკეტოვი,
პროფესორები კამათში ურჩნი
და მსახურები კალმის და ფუნჯის.
მეფის მსახურთა მოსვლაც გახურდა,
მტრებიც მობრძანდნენ შეფის მსახურთა.
აქ, ერთი სიტყვით, ბევრი გვარების.
ბევრი წოდების იყო ნარევი,
და სხვადასხვანი ჭკუით, აზრითა
დიასახლისის სილამაზითა
მოხიბლულები იყვნენ ყველანი,
აქ მოკრძალება ყველას მართებდა.
(სლავიანოფილს აქ ლიბერალი
თავს დაუკრავდა და ხელს ართმევდა
ასე სჩვეოდათ, მომსწრეა ვინაც.
მართლმადიდებელ რუსეთში წინათ).
ხელს რომ ართმევენ რაღაც მიზნითა
წყალობა გახლავთ დიდი უფალის,
სახიერებით და საუბარით
დიასახლისი ყველას იზიდავს;
აშკარა არის, ყველას უნდა რომ
მას უყურებდეს, რატომ? — იცანით.
ლამაზი არის იგი უდავოდ
ლამაზთან ერთად კეთილიც არი.
ეუბს ვერ იტყვის მისას ვერავინ,
მოიგონებენ მუდამ კეთილად,
(ვალდებულია ენა მწერალის
არ გაამხილოს ჯერეთ ერთი რამ).
ახალგაზრდობა — სალონის ღირსი
ვის ედავება, ანდა ვის ებრძვის;
ვისაც მოსწონდა დიასახლისი
აზრი და რწმენა ჰქონდა მისებრი.
უმხელდნენ ფიქრებს ჩუმად, ანაზდად.
ანასთან ან კი ვინ რას დამალავს,
და მიდიოდა ყველა ანასთან,
თანაუგრძნობდა ყველას თამამად.
ყველა საკითხში შეუცდომელი —
საქმეს ატყობდა ჯობდა რომელიც.
ანას სალონში პატივისცემით
დაჰყვადათ სამი ასული ჩემი.
და ამ სალონზე, ესეც ენა ვთქვათ,
ყმაწვილთაგან და ხანდაზმულთაგან,
ყრმა განსწავლული, სახეშეიანი
ანას მიეჩნდა თავისიანად.
ყრმამ კადნიერმა, ცოტა თავხედმაც.
გაბედა ხოლმე ბევრის აგდება,
და მისი სახის უცხო ნაკვთები,
რაღაც უცნაურ იერს ამხელდა.
და დოსტოევსკიმ ერთხელ ანაზდად
ჯაბუკს შეხედა პირმიმღიმარეს,
კრძალვით მივიდა მერე ანასთან
ჰკითხა: „ლამაზი იგი ვინ არი“,
— ბაირონს ჰგავსო, სუნთქვა გაკმიდეს
და მოხვდა სიტყვა ყველას გულზედა,
ეკი რომ დღემდე ვერ დაკვირდნენ,
იცოცხლე, ახლა ყველა უმზერდა.
თქვეს „ბრძენია და ლამაზიც არი“
ქალებმა ერთხმად და გამკაცრებით.
წარბებშეკრული მამაკაცები
პოეტიაო — ამ აზრს იცავენ;
ალბათ გაიგეთ საქმე რაშია,
შურით აღიესენ, რაც არ უხდებათ,
მაგრამ ლამაზებს გულის ხვაშიადს
თვითონ ეშმაკიც ვერ მიუხვდება.
ქალებმა ჭინი დამალეს როდი,
— ბაირონს გავსო, რაღას გვადავებთ,
დემონი გახლავთ მაშასადამე;
ყრმას უხდებოდა იერი ლორდის.
ვერ შეძლეს დავა გადაელახათ,
მინდა ვუწოდო რაღაც გულღიად,

(მასში ხედავდნენ რაღაც უხიაგს
ანდა უნდოდათ, რომ დაენახათ).
მცდარი არ იყო მისი გუმანი,
აუგით რატომ უნდა გალაქონ,
ჭაბუკი გზნებით რამ იდუმალით
ლორდს მიაგავდა ულაპარაკოდ.
წაშიერია ძველი თაობის,
სული ამბოხი მისი არ უკვირთ,
ზეკაცის ფიქრით, გამბედაობით
ბაირონს ჰგავდა იგი ჭაბუკი.
როგორც ჯანმრთელ ძმას ძმა ჰგავს
სნეული.
რომლის სხეულიც სენმა დაშალა.
იდუმალებით გულ აესებული
კადნიერებას ამხელს აშკარად.
უფსკრულისაკენ სწრაფვის იერი,
სნეულებით და უცხო ახრებით —
მოჯადოება სულის ძლიერად,
და განელება ცხარე აგზნების.
ძალა გაკოფდა, არა პირველად,
დამძიმებული გონების მიერ, —
ასე თამაშობს გუგები მღვრიე
ფრთებმომტვრეული ავი ფრინველის.
„სილამაზეში არ ჰყავს მომრეკი“ —
უმცროსი გოგო ამბობს თამამად,
მამამ დაუთმო, ბოლმა დამალა
და ჩვენს ბაირონს, ახალმოვლენილს,
მიიპატიჟეს სახლში რომელიც,
თანხმობის გარდა უთქვამს არარა.
ოჯახს უხარის — რას არ აპირებს,
ყრმა ხალხს ახიდავს ანდამატივით,
ძველებურ სახლში, ნევის ნაპირზე,
სტუმარს დაუხვდნენ დიდი პატივით.
მოხუცებს ახრი არ დაუფარავთ,
მიუხვდნენ ჭაბუკს, და ხმაც გავარდა,
— იქცევა როგორც ძველი თავადი,
სტუმარს რწმენა აქვს თავისუფალი.
მაგრამ ზრდილობა მაინც აქეზებს.
კადნიერება თითქოს მოცილდა,
ქალებს ხელებზე ისე კოცნიდა
არც ეტყობოდა ზიზღი სახეზე.
შეუნდო ლორდის ნათელ გონებას —
ურჩი ხრახვანი ყველამ მოუმარედ,
საუბედუროდ მათ ეგონებათ
იხილეს ყველა ფიქრი სტუმარის.
ტალანტის შუქით ფარავს რაც არი,
გუგებს ელვარე ცეცხლი ეხლება,
(გესმის მომტვრეულ ფრთათა ტკაცანი —
ეს მხედველობას იკრებს მკრეხელი).
ახლოებდა ბაირონს მაშინ —
ხალხთან ღიმილი ყმაწვილკაცური,
ჯერეთ ეილი იყო თამაში,
და საქციელი ყალბი, მაცდური.
თვითონ არ ესმის თავის სიბნელე,
სადილობს ხოლმე სახლში უბრალოდ,
ლაპარაკის დროს როდი იბნევა,
ყველას იზიდავს ყრმა საუბარით.
(იურისტობა ხელს არ უშლიდა
ფიქრი, პოეტის ენით რომ ეთქვა,
ის აწყვილებდა შტეინს ფლობერთან
და აწყვილებდა კონსტანს პუშკინთან).
თავისუფლება, ყოფნა არ ყოფნა —
ეს აწამებდა ყმაწვილს დდუმალ,
რაც ხუმრობაზე არ გაყიდულა,
ის ამტკიცებდა და უარყოფდა,
ის უარყოფდა და ამტკიცებდა,
(რომ ყველაფერი ჭკუას აწუხებს,
და გული საშველს ღრმა მისცემდა,
ვეღარ იპოვა გულის პასუხი).
რომ სიყვარულით ეძებნა ზიზღი —
ამას ფიქრობდა, არა რამე სხვას,
თითქოს უნდოდა მძორში ჩაესხა
მოთამაშე და ცოცხალი სისხლი.
„ტალანტიაო“ — ამბობენ ისევ,
ქებას ისმენდა ლორდი მორჩილად,
მოაწვებოდა ნაღველი მყისვე,
სული სნეული, მაგრამ ნორჩი რამ —
შიშს განიცდიდა მზარავს რომელიც,
ნუგეშს ეძებდა, ბრძოლა გამართა,
უცხოა მისთვის სიტყვა ყოველი,
(— კორიანტელო ცხარე კამათის
ნაღველის მიზეზს შენ ვერ მანიშნებ,
სნეული სულის მწედ არ ითვლები)
და როიალის მიჯრილ კლავიშებს
ფრთხილად შეეხენ ლორდის თითები.
ძალუძს ჩვარივით დათმოს სხეული,
ხმა როიალის ეზოს მოიარს.
ბგერები ამო და ჩახვეული
ყვავილებივით მოსწყდა როიალს.
თრთოლვა აუტყდა უცებ იმხელა —
ჭაბუკი გრძნობდა რაღაც საშინელს,
ეს წუთი ჰგავდა წუთებს მაშინდელს.
როცა საწოლზე ნატვრა იმღერა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორც მაშინ, — ჰანგების იქით,
ელანდებოდა სახე, რომელიც —
დაღლილი იყო ნაღველით, ფიქრით
შორეული და მიუწვდომელი,
ფრთები, რომელიც ცაში მიჰქროდა.
სიჩუმე, მიწას რომ არ ეხება,
მაგრამ ეს ნაზი სიმის შერხევა
შორს მუსიკალურ ქარბუქს მიჰქონდა.
არის ბაასი სიტყვა მრავალი,
ჩამორთმევანი ხელების ისევ,
ძლიეს შესამჩნევი ნიშანით მყისვე
მყობადს გაეყო დღეს მომავალი.
ოჯახი მისას მაინც არ იშლის,
გაშინაურდა ლორდი ყველასთან,
უღმერთოდ ხიბლავს უმცროს ქალი-
შვილს,
გოგონა ლორდის ჯადოს ვერ აცდა.
სამეფო არ აქვს, დაპირდა ისე,
ქალიშვილს სჯერა, ცოტა დაღონდა
და მშობლიური სახლი მან მისი
გადააქცია სატუსაღოდ.
სახლს სულ არ ჰქონდა ციხის იერი,
მაგრამ ვინ იცის რას რა მოელის,
ვახდა ველური და ცარიელი,
და საყვარელი წინათ ყოველი,
სულს ნეტარებით რაიც მოსავდა, —
უხმოდ დანებდა და დაემონა
მწველი თვალების ციცქიმს დემონურს,
ხიბლსა და სიტყვებს დიდად მოსავთა.
— ბედნიერებავ, ნუ გაგვშორდები.
ფიქრებმა ფიქრად გადააქციეს,
და წარამარა გმობენ მშობლები
უმცროსი გოგოს უცსო საქციელს.
აღელვებანი ფერებს უცვლიან,
ვეღარ გაიგო, — ძალა ილევა,
რომ მეტი პრანჭვა არ შეუძლია
და ეს-ეს არის გადაირევა.
ყრმამ შეიკავა თავი ბოლომდე,
რატომ აყოვნებს, მიხვდეს არც უნდა,
ის სალდათურმა სულმა ბოროტმა
ერთი წამითაც ვეღარ აცდუნა,
და გოგოს კვნესა ბევრიც მოესმას,
ჭაბუკს არც უნდა რამე იცოდეს, —
ერთადერთია ძალუძს რომელსაც
იხსნას ტანჯული ბავშვის სიცოცხლე.
არა და არა! — ასე ურჯულოდ —
ჩაკვდა ოცნება და ეს მიზანიც.
მოითმინეო ვიღაც ჩურჩულებს —
ხმა იგი ცივი გონების არი,
და არაფერი არ იშოვება —
გონებისაგან გრძნობას იცავდეს,
მან მარტოობის საშიშროება
ადრევე იგრძნო და განიცადა.
— მას არ ვუყვარვარ, ვიცი თამაშობს,
გოგო ამტკიცებს და ბედს ოწყევლის,
რატომ მაშინებს, რატომ გამაშრო,
ბედო, უმწეოს რატომ მიწყრები!
პასუხს არ ჩქარობს, როგორ მაღონებს,
რაღაცას უცდის, — ტანჯვა არ ჭრება,
მკრეხელიც ასე იკრეს ძალღონეს,
უძლური ფრთების ერთი აქნევა...
მწვანე ბალახი სისხლმა შეღება
მსხვერპლს გამძლეობა აღარ ეყოფა...
შეხერპა თბილი სისხლი მკრეხელმა, —
ესეც ტრფიალი მავნე ეპოქის,
კაცს ღირსება ჩაკლა რომელმაც,
და უზნეობა რასაც აღირსა,
სამგზის წყეული იყავ, დროებავ.
შენ, სპეკულენტ დასაძრახისო;
და არ იკადრებს უკან დახევას
სხვა საქმრო, თავის ქება თუ ნებავს,
ჩემს გმირს ნამუსი უკარნახებდა
და არ შეეძლო გოგოს ცდუნება.
უცნაურობას ის არ ნანობდა,
არც ამაყობდა მისით მეორედაც,
დემონობას და დონჟუანობას
გრძნობდა იმდენად რომ დასცინოდნენ.
ბევრი იცოდა, განგებ, ნიადაგ
თავს აჩვენებდა როგორც უცოდნელს —
მეგობრულ ხოროს ადამიანთა,
რომელსაც ცხვრების ფარას ეუწო-
დებთ.
რომ დაიგიწყო ამას ვერ იზამ —
უნდა გახსოვდეს, უნდა მოგესმას
იგი — „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“,
და მაგალითად ახლაც, როდესაც:
ჭაბუკი გახლავთ ვითომ რეგვენი,
(ვისი ბრალია, ვინ გაიმეტა?),
და აერჩია გოგოს ეგების
გზა უკეთესი და საიმედო.
იქნებ უდიდეს ცოდვად აღენთოს,
ვერც გაამართლოს იქნებ ვერავინ —
პატარა გოგოს ბედს შეახვედროს
თავისი ბედი მოუსვენარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ მოაბრუნო უკან ვედრებით...
და ყოველივე გაქრა, წავიდა,
საბრალო სული სახლთან ბერდება.
ვერ შეაჩერო ერთი წამითაც.
და ბალკანებზე დიპლომატებმა
სჯა და ბაასი უკვე ინებეს,
ჯარი დაბრუნდა დასაძინებლად
ნივაზე ნისლი ნისლს ემატება.
იყო საკითხთა განსჯა, მიგნება,
მოგვარდა ბევრი საქმე მას მერე, —
დაპატიმრება, ჩხრეკა, დასმენა;
ჭაბუკი იქცა ვირთხად წიგნებს, —
ამ უკუნეთში შეოთს რომ გვპირდება,
ვინ იტყვის თავის საქმე არ ესმის,
დიმსახურა ქება-დიდება
დისერტაციით უბრწყინვალესით.
და აღარ ეთქმის ჭაბუკს აუგი;
მას ვარშავაში მისცეს კათედრა,
სამოქალაქო წესს ვერ გაუგო,
დაღლილ სულისთვის აღარ გათენდა.
ქალს ხელი სთხოვა რიდით ყმაწვილმა
და თავის ბედთან დაკავშირა,
შორს წაიყვანა — გულმა მაშინვე —
ინატრა — ცოლმაც გაინაწილოს
შრომა რომელსაც სთხოვენ წიგნები;
ეს მართლაც კარგი საქმე იქნება.
ორი წლის შემდეგ ზათქი მოისმა
ეკატერინეს ფართო არხიდან,
რუსეთის ზეცა ბოლმა მონისლა
და მომავალში ყოფნა არ ღირდა.
საბედისწერო ჟამი მოგველის,
მოგველის დღენი გასაკვირველი,
გადმოვარდება კარტი, რომელიც
გვანიშნებს—მოვა მარტი პირველი.
უკანასკნელად მოვა ერთხელაც
და ეს მომავალს მართლაც ემთხვევა.
ოჯახს მუდამდღე სევდა ათოვდა
არ ნელდებოდა ერთი წამითაც,
უმცროსი გოგო ყველას ართობდა,
მაგრამ გაშორდა ოჯახს, წავიდა.
მძიმეა ყოფა, მერე როგორი,
რუსეთის თავზე მეხი გრუხუნებს,
ჭაღარა მამა ბურუსს უყურებს,
წუხს, არაფერი ისმის გოგოსი.
უცად დაბრუნდა, მამა ვერ მიხვდა —
როგორ, საიდან, რა გზით მოვიდა,
ბავშვი უჭირავს ხელში ფერმიხდილს,
გაწამებულს და დამდნარს ცლოვითა.

თარგმნა ფილიპე ბერიძემ.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარიფე ზაქიბაძე

ადამიანი საკმე, ყვითელი საკმე...

ცახნე ზოზინინთ მიბმიდღვს აბრეშუმის ჭია. ღაწვშეფაკლული გოგო აპურებს, პატრონობს ჭიებს.

ჩელტზე იღერება მწვანე ფოთოლი. და ეს საამური შრიალი ხალისიით ავსებს გოგონას გულს, როგორც ნაგვალეკ მიწას ახარებს შრიალი წვიმის მოღოდინში.

თეთრი საკაბე...

ყვითელი საკაბე...

მალე ეს ეუწყინარი ჭიები ოქროს ძაფებისაგან მოქარგულ თეთრ და ყვითელ პარკებში მოექცევიან, სიცოცხლეს დასთმობენ და მერე დუმილით დაელოდებიან ახალ სიცოცხლეს. მაგრამ მათ სხვა სიცოცხლეც აქვთ, სიცოცხლე სხვისთვის, ადამიანისათვის. ოქროს ძაფები, როგორც ჭუკრტანაში შემოსული სხივები, ავსებენ ოთახებსა და კედლებს, მკლავებს, მხრებს მოეფინება შრიალით აბრეშუმი, და ღაწვშეფაკლულ გოგონას ეკნება —

თეთრი საკაბე...

ყვითელი საკაბე...

საქართველოს ეელ-მინდვრებსა და ბაღჩაბაღებში შრიალებს თუთა, და პატარა ბიჭებს ავსებს სიხარული მოწეულ თუთის...

შრიალებს თუთა, და ოდებში ჩრიალით ირწევა ბაოლის ალები.

შრიალებს თუთა, რომ ცახებზე ზოზინინთ მიმავალ აბრეშუმს არ მოაკლდეს მწვანე და ნოყიერი საზრდო...

და სადღაც შორს, აბრეშუმის ფაბრიკები ელოდებიან ოქროს ძაფებს, როგორც ჭუკრუტანებიდან შემოდენილ სხივებს, რომ გამრჯე გოგონებს არ მოაკლდეთ აბრეშუმის —

თეთრი საკაბე...

ყვითელი საკაბე...

ეს უმწეო და სუსტი არსებები თავიანთი პატარა სხეულებით თავიანთ წონას სიკეთეს ატარებენ, „ოქრო ამოსდით“ პატარა პირებიდან და ამ ოქროთი ქარგავენ ახალ კაბებს, თავსაფრებს, მანდილებს — პატარა გოგო-ბიჭების საღღესასწაულო სხიპრულს. მაგრამ ადამიანი, რომელსაც ათასჯერ უფრო დიდი საქმეები უთავებია, ამ პაწაწკინტელა ჭიასაც შეეცილა, შექმნა ახალი „ოქროს ძაფები“, — ხელოვნური აბრეშუმი, შექმნა, რათა ქვეყანაზე უფრო მეტი ყოფილიყო —

თეთრი საკაბე...

ყვითელი საკაბე...

და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ფაბრიკები ელოდებიან აბრეშუმის ძაფებს, ან თვითონაც ამზადებენ ასეთ ძაფებს. ერთი ასეთი ფაბრიკა ლენინის ქუჩაზეც არის, თბილისის აბრეშუმსაქმოები ფაბრიკა. დღეში ორჯერ მაინც ჩავუვლი ამ ფაბრიკას. არა, ერთხელ უსათუოდ უნდა ვნახო. ამდენი წელია თბილისში ვარ და ერთხელ ხომ უნდა ვნახო, უნდა გავიგო: როდის მზადდება, როგორ მზადდება, ან ვისი ხელით მზადდება —

თეთრი საკაბე...

ყვითელი საკაბე...

•

წყდება ძაფი და წყდება ფიქრიც.

თვალები დაკინებით აშტერდებიან ქსელს, მერე სავარცხელისაკენ ვარბის მზერა. კბილები არ იყოს დაზიანებული, ან... თუმცა ამ ყველაფერი ნაცნობია. სარჩევი არაფერია. ცოტაც და დაზგა ჩვეულად ფუგდუგებს, მისაქსელი ისევ მისრიალებს, მაქო „ელავინდებურად მოძრაობს და ამორთულ ძაფს ისევ მიპყვება ფიქრი.

საქსოვი საამქრო ყველაზე დიდი საამქროა.

საქსოვი საამქრო ყველაზე ხმაურიანი საამქროცაა.

გუგუნებენ დაზგები, მოძრაობენ ადამიანები. ხანდახან ერთმანეთს ერთ-ორ სიტყვას გადაუგდებენ, მაგრამ არასდროს არ ელოდებიან პასუხს, რადგან წინასწარ იციან — მათი კითხვა არ გაუგიათ... ხმაურია. მოუჩვეველი კაცისათვის ეს მოსაწყენი ხმაურია, ნერვებზე მომმღელი ხმაურია, მაგრამ ელიზა ფილაურს არ უკვირს ეს დგრიალი და დაგდუგი. ეს ხმაური ზოგჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრიგია თითქოს. იგი გარესამყაროსაგან ეთიშავს, შენს თავთან მარტო გტოვებს, და გესმის მხოლოდ შენი გულის ხმა, შენი ნერვების ფეთქვა, შენი სისხლის მოძრაობა და ფიქრობ, ისევ ფიქრობ.

... უფროსი ძმები — 14 წლის, 11 წლის, 9 წლის ბიჭები ეთამაშებიან ელიზას, დედის დაბრუნებამდე პატრონებენ. პატარა ელიზა ათამაშებს მამის სამკუთხა ბარათებს, რომლებიც ყველაზე მისაკვლევ ადგილას შემოუნახავს დედას. ელიზამ არ იცის სადაა მამა, ან როგორაა მამა. მან საერთოდ არ იცის მამა. მხოლოდ დედა უყვარს მას, დედა და ვეიროფსი ძმები, რომლებიც ზზრაღა ახსენებენ მამას. სამკუთხა ბარათები კი იგონებენ ელიზას, ახსენებენ ელიზას და კოცნას უთვლიან ელიზას. ნეტავ სადმე გადარჩენილიყო ის წერილები... მამის ნაწერს თვალს შეავლებდა, მის უკანასკნელ რჩევას „მოისმენდა“, ვინ იცის, იქნებ რომელმე სტუდამ გაახსენოს კიდეც მამა, მისი სახე, მისი უხეში ლოყის მოკარება...

ისევ წყდება ძაფი და წყდება ფიქრიც...

მაქოსაკენ იხრება ელიზა და მერე დამზმარე მეშას აყოლებს თვალს, რომელსაც ზზა საქონელი ამოუტრია იღლიაში და მიფრატუნებს.

...შვიანდებისას ბრუნდება დედა. ზვარიდან ძეძეი და ფიჩხი მოაქვს, შეცივებული ხელები უკანალებს, ლამპაში წყალს ასხამს, მერე ნასესხებ ნაფთს ამატებს ზვიადან, და მიმქრალ შუქზე ხმის კანკალით ხმამაღლა უკითხავს შვილებს მამის ბარათებს. ზაქრომ ბავშვებს მიხედოსო, ბიჭებო, დედას გაუგონეთო, შვილებო, კარგად ისწავლეთო, ნაფუზარზე ფიჩხი მოკრიბეთო, კარი ეცეცხლ დაანთეთო... იქნებ ასე ეწერა; იქნებ არც ეწერა ასე... ნატანჯი, უდროოდ გაშაფარავებული ქალი კითხულობდა ჯარისკაცის წერილს, და სადღაც ყირიმში, თოვლითა და ვვამებით სავსე სანგარში ქართველი გლეხი იცავდა პაწია სოფელს, პაწია კაკაბეთს... მერე მიწყდა ზარბაზნების ყრუ გრიალი, იქუხეს გამარჯვების სალუტებმა. დამთავრდა ომი. და სიხარულის ყიჟინაში, ხმიან კოცნაში, ტაშის ცემაში და უდარდეთ სიმღერაში ერია ცრემლიც, რადგან ბევრს ჯერაც არ გამრთელებია ომით მოყენებული ჭრილობა. და შენთვისაც ისევ გრძელდება ძვირფასი მამის მოლოდინი. ძმები უკვე ეფეკცებია. ხვალ ეეელიზზ უმეროსი თავად მიდის ჯარში. დანარჩენი ორი ძველებურად იშრომებს კოლეეურნეობისათვის, ოჯახისათვის, ქვეყნისათვის. თითქოს არაფერი არ შეცვლილა. მაგრამ ახლა, როცა უკვე დიდი ხარ, როცა უკვე იცი მამის ფასი, შენ გაკლია მამა. და ისევ გრძელდება ძვირფასი მამის მოლოდინი.

ისევ წყდება ძაფი, ისევ წყდება ფიქრიც.

დაღლილ მკლავებს მოწყვეტით დაბლა უშვებ და საამქროს ხმაურში ირინდება...

•

— რამდენ დაზგაზე მუშაობთ, ელიზა?

„201“, „202“, „207“. ეს უკანასკნელი ძნელი მოსაგვლელია. საერთოდ შიფონი ჭირვეული ქსოვილია, მეტი გულისყური უნდა, მეტ გარჯას მოითხოვს. დანარჩენ ორზე ზოლიან ტილოს ქსოვს ელიზა. სასაქონლე ღერძზე ეხვევა ქსოვილი. მერე მუშები საწუნდებლოს ამარებენ მზა ნაწარმს. იქ არაკენ იცის ელიზა. იციან მხოლოდ ტაბელის ნომერი — 610. გამოცდილი სპეციალისტები ამოწმებენ ნაქსოვს, ერთმანეთს ადარებენ, ცდილობენ მოუძებნონ წუნი. და ტაბელი 610 ყოველთვის გაუზიარებელს ტოვებს მათ. ამ ნორჩთა ყოველთვის უმაღლესი ხარისხის საქონელს იღებს ხამი ქსოვილების საწყობი. ამასთან ეს ნამუშევარი ყოველთვის აღემატება ერთი კაცის ნორმას, მით უმეტეს ერთი გოგოს ნორმას.

190 000 მეტრი ქსოვილიდან, რომელიც წელს ფაბრიკამ გეგმის ზევით გამოუშვა, ათასობით მეტრი სწორედ ამ ტაბელით შეკვდა საწყობში. 11-ჯერ მოიპოვა ამრეშემსაქსოვი ქარხნის კოლექტივმა გარდამავალი დროშა. 2-ჯერ სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან, 9-ჯერ კი მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირთა საბჭოსაგან. და ამ ჯილდოების მოპოვებაში ელიზა ფილაურის წვლილიც ურევია, მისი ჩუმი შრომაც ეტევინა.

ასეთი დაუზარელი, გამრჯე და ენერგიით სავსე მოვიდა იგი ფაბრიკაში. მაშინ სულ ბავშვი იყო. დაამთავრა საშუალო სკოლა და სოფელ კაკაბეთიდან აქ მოვიდა გამოუცდელი გოგო. მაშინ ქსოვის რა იცოდა. მაგრამ გული არ გაუტეხია. საფაბრიკო-საკარხნო სკოლას მიეგზავნა და შრომისაგან თავისუფალ დროს სწავლას ანდომებდა. საქსოვ საამქროში ბის ბრიგადას ვიორგი ბერტაშვილი ხელმძღვანელობდა მაშინ, უზომოდ კეთილი და გულისხმიერი კაცი. შეუძახა, დაიმედა, დაარიგა ახალგაზდა მუშა, ასწავლა, გაუსწორა, გზაზე დააყენა. ელიზას მადლობს მეტი რა ეთქმის დღეს... მაგრამ არც ელიზას გაუმტყუნებია მასწავლებლის იმედი. გული მოეკიდა საქმეს და მალე ზედმიწევნით აითვისა მქსოველის პროფესია.

ადრე მიეჩვია თბილისს, მის ქუჩებს, მოედნებს, შეუყვარდა ქალაქი. სოფელში ბიჭები დარჩნენ დედასთან. თვითონაც ხშირად ჩადის, მაგრამ იმ რამდენიმე დღეს, როცა იგი კაკაბეთში რჩება. სტუმრად ოთრო თელია, ოცსოსავით ეკითვინან, პატივს სცემენ, ეფერებიან

— ძმები რას აკეთებენ სოფელში, ელიზა?

ელიზას უკვირს, რომ ძალიან ცოტას ეკითხება მუშაობის შესახებ, და მისი ოჯახის ამბავი უფრო მაინტერესებს.

ნუ გიკვირს, შენი შრომის ამბავს საპატიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფებიც კარგად მომითხრობენ, შენი გამრჯე მარჯვენის ამბავი კომკავშირის კომიტეტიც კარგად იციან. შენს გვარს ბირეული რიგში აძლევენ ფურნალისტებს ფაბრიკის ხელმძღვანელები.

— ამბები? — ჩაფიქრებული იატაკს ამტერდება ელიზა. — უფროსმა მხოლოდ 7 კლასი დაამთავრა. უნიკეიერსი კაცია, მაგრამ უმცროს და-ძმებს მაძის მაგვიერობას გეიწედდა. მე ფეხბურთის ბევრი არ გამეგება, მაგრამ მთელი სოფელი აქაბეგა, გადასარევი ფეხბურთელეაო. ამაზედაც უარი თქვა. ასლა მოწინაევ მექანიზატორია სოფელში.

ელიზა სადარეკოს რაიონული გაზეთის ნომრებს მაწვდის, რომლებშიც მისი უფროსი ძმების შრომის ამბავიც წერია.

— უმცროსი?

— უმცროსი ჩვენთან მეშაობდა დღემდე. აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. ასლა ჯარში გაიწეიეს. რა უშავს, წავა, ქვეყანას ნანავს, რუსულს ისწავლის. დაბრუნდება და მერეც მოესწრება სწავლას.

კარი იღება.

— ჩემი უმცროსი ძმაა, — მაცნობს ელიზა.

*

ელიზა სახელმწიფო უნიკერსიტეტში სწავლობს, ისტორიის ფაკულტეტზე. მე ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. მიჩვეული ვარო, რომ ტექნიკური დარგის მუშები უპირატესად ტექნიკურ სპეციალობებს ირჩევენ უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას. ჩემი არც თუ ისე უსაფუძვლო ეშინი ელიზასაც გავუზიარე:

— ალბათ დიდ კონკურსს მოერიდეთ, არა?

— ისტორიის ფაკულტეტზეც უჩვეულოდ დიდი კონკურსი იყო.

— მათემატიკის ტრადიციული სიძულვილის ბრალია მაშინ, არა?

— არც მათემატიკის სიძნელეს მოვრიდებივარ. უბრალოდ, ისტორია ბავშვობიდანვე ძალზე მიყვარს. ასე თუ ისე ვიცი კიდეც.

— მერე...

— დავამთავრე.

— მე ეს მაკლია, მაგრამ ალბათ მოგიხდებათ შრომის გადახალისება.

— არავითარ შრომის გადახალისებას მე არ ვაპირებ. არ მგონია ქსოვაში ხელი შემიშალოს იმან, რომ ცოტა უფრო ზუსტად ვიცოდე პიპინ მოკლეს გარდაცვალების თარიღი.

გამეცინა, თან გამეხარდა, მაგრამ არ გამკვირვებია. ასეთებისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე. სწორიც არის. რატომ უნდა უყურებდეს რომელიმე დიდტანტი მუშას ზემოდან, აქაო და ინსტიტუტში მიეღოთო. ეს გოგონაც დამთავრებს უმაღლესს, ექნება დიპლომი, ექნება უფრო ფართო გზა ცხოვრებაში, უფრო დიდი სურვილები, უფრო მეტი ღონე, უფრო ძლიერი რწმენა თავის თავის და საქმისა.

ასლა უნიკერსიტეტისაკენ მიიჩქარის ელიზა. დგას სერზე ქალაქი სახლი და უხმობს თარბებს. ხმაურია ეზოში, განიერ დერეფნებში, ფართო აუდიტორიებში. ახალდარეკილია ზარი და ხმაურია. ეს ხმაური განსხვავდება საამქროს ხმაურისაგან, მაგრამ ორივე ძალრთასია, ნაჩვევია, საკმარო. ეს ხმაურიც სპეიდეა ელიზას, ის სიმშვიდეც და სიჩუმეც სპირდება, რომელიც ორივიდ წეთში ჩამოვარდება. გაირინდება აუდიტორიები, და ამ დუმილში. ამ სიჩუმეში გზას იპოვის მომავალზე ოცნება, ახმაურდება სხეულში მერმისზე ფიქრი, დაიძრება რაღაც შინაგანი კმაყოფილების გრძნობა, ატოკდება ტანში სიხარული, სიხარული იმისა, რომ შენს გვერდით ზის კარგი გოგო, შენს გვერდით ზის კარგი ბიჭი, შენ მათი ტოლი ხარ, მათი ამხანაგი და მეგობარი.

შეიძლება ზოგჯერ ვინმემ გაწყენინოს.. იქნება ოცნებაში წასულს ლექტორმა უყურადღებობა დაგაწამოს, ან, როცა ჯადოსაგან მოღლილი ფიქრში გაირინდები, რომელიმე ონავარ თანატოლს ჩათლეგილი ეკრთ და დაგცინოს, ან, როცა მოსაუბრეს ყურს ვერ დაუგდებ, სიამაყეში ჩაგითვალოს... თუმცა შენთან უფრო კარგი გოგო-ბიჭები. შენ ისინი მოგწონს, ვიყვარს კიდეც. მათაც შენსაკენ მიატოვეს დაზგები და ჩარხები, შენთან მოვიდნენ, წიგნთან მოვიდნენ. მათ არ უყვიერ დაღლა, ოცნება, ფიქრი, გარინდება, თქვენ ერთმანეთი მოგწონთ, ვიყვარო კიდეც.

დაიღალე. რა ეუყოთ მერე, მაინც არ გაგიბეიტ, კონსპექტს გადაუთვლერეს. რაც უნდა იყოს, ბიჭია, ან ცუდი ხელი ექნებ, ან ეზარება. იქნებ სულაც... უფრო დიდ ფიქრს ერიდები. პატარა ოთახში ეხლა მარტოდ დარჩი. ძმა ჯარში წაიყვანეს.

ახლა ზამთარია და დიდი ღამეებია. გვიან თენდება. გათენებამდე ხან ფაბრიკაში შეიგლის ფიქრით, ხან უნიკერსიტეტში მიეგ. მერე ჩათვლემს ფა სინათლეს ანთებულ დატოვებს — ან დაიზარება ჩაქრობა, ან კითხვისას უბრალოდ დაავიწყდება და ჩათვლემს...

სერზე კი ისევ დგას თეთრი სახლი და უხმობს თაობებს, რომლებიც ბევრ რამეს ისწავლიან, ბევრ რამეს გაიკეთებენ.

*

გასაკეთებელი კი ბევრია.

არის დღეები, როცა განსაკუთრებული თავდადებაა საჭირო. ავთანდილ მეზერიშვილის ბრიგადამ იცის ასეთი თავდადება. ელიზა ფილარი იმ ბრიგადის წევრია, და მანაც იცის თავდადება, მაშინ, როცა ბრიგადას ყველაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო უჭირს. სიძნელეების გადალახვისას უფრო ნათლად ჩნდება პატიოსანი გულის კეთილშობილება და სიმამაცე. ეს თვისება აქვს ელიზა ფილაურს. ეს თვისება აქვს ალთანდილ მეზვრიშვილს ბრიგადის ყველა სხვა წევრსაც. ამიტომ იყო, რომ მომდინარე წლის სექტემბერში ამ ბრიგადას კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდება მიენიჭა.

თავდადებულად შრომობს ეს ბრიგადა. წელსაც, როგორც ყოველთვის, აბრეშუმსაქსოვმა ფაბრიკამ გადაჭარბებით შესრულა საწარმოო გეგმა. ამაში მცირე წვლილი როდი მიუძღვის ხსენებულ ბრიგადას, თვითონ ელიზასაც. ბრიგადა გეგმას საშალოდ 130%-ით ასრულებს და წინ სწევს ფაბრიკის საერთო გეგმას.

სიტყვა გამიგრძელდა ელიზა ფილაურზე. მე განგებ ბევრი ვთქვი ელიზა ფილაურზე, რადგან ყველაფერი, რაც მის შესახებ ვთქვი, ეხება თ ბრიგადის დანარჩენ წევრებსაც. მათ თავდადებული შრომა, მათი სიბეჯითე და მონდომება ქმნის ამ ბრიგადას მოწინავე. მისაბაძ ბრიგადად. აი ისინიც, ამ ბრიგადის წევრები:

ლამარა ბერიშვილი,
მერი მეტრეველი,
ლენა კაშეკაროვა,
დოდო მაღალაშვილი.
თამარა პოტიომკინა,
ეთერი ბერიშვილი,
მარიამ მირელაშვილი,
ნინა პლანიგინა,
მარგო ბალაშვილი.

ჩუმად, დაუზარებლად შრომობენ ისინი. გუგუნებენ დახვები და ამ გუგუნში ჩუმად და უხმაუროდ იღწვიან ისინი, რათა გამრჯე გოგონებს არ მოაკლდეთ თეთრი საკაბე, ყვითელი საკაბე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა აგიაშვილი

ჰაგუკეგი დარჩნენ მარად!

სადით წავიდნენ ვაჟეგი?

I

ერთ მცირე ფოტოსურათზე გამოხატულია რუხმაზარიანი ჭაბუკი: თავზე ძაბრულა ქუდი ახურავს, საფეთქელთან ხელთათმანიანი ხელი მიუდევს. და გამოჯგიმული... ეს ლადო ასათიანია, საბჭოთა არმის რიგითი ჯარისკაცი.

სურათის მეორე მხარეს აწერია: „სალამი და გამარჯობა, ნიკალ'ი ძმაო! ლადო ასათიანი. 1939 წელი, 1 დეკემბერი. ქ. ოსტროგოსკი, საფოსტო უთი 27/2, მეექვსე ასეული“.

ის და მირზა გელოვანი ერთად გიწვევენ ჯარში 1939 წლის ოქტომბრის ბოლოს. ახლობელი მეგობრები და „ჩვენი თაობის“ რედაქციის თანამშრომლები, ნათესავებთან ერთად, მთელ კვირას თან დაჰყვებოდნენ ორიეულ სამხედრო კომისარიატში და შესაკრებ პუნქტებზე — ერთი რაიონიდან მეორეში. კიროვის ქუჩაზე — ლიტფონდის ფოტოატელიეში, ერთი დიდი სურათი გადაიღეს. სურათზე არიან: ლადო ასათიანი, მირზა გელოვანი, დიპლომატი ბერაშვილი, ერო�ia ქარელიშვილი. გრიგოლ აბაშიძე, გიორგი კალანდაძე, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე ალექსანდრე ბაჯაია, ლეო კიკნაძე, ლადო ავალიანი, ვასო ლორთქიფანიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, გივი კაჭახიძე და სხვ. ახალწვეულები ჩვენს წინ მხარეძეზე — გვერდიგვერდ წამოწვნენ, ომგადახდილი გმირებივით...

და, აი, პირველი ნოემბრის საღამოს ყველანი სადგურზე აღმოვჩნდით. რაღაც ფორმალობის გამო, მირზას წასვლა რამდენიმე დღით გადაიდო. დროებით ისიც გამეცლებელთა ბარაკში მოექცა. ყველაზე მეტად ამან დაწყვიტა ორიეს გული. უკანასკნელ დრამდე ეგონათ, ჯარში ერთად ვიქნებითო...

გამოშშიდოობებამდე ორიეენი მხიარულნი იყვნენ. თავისებურად ხუმრობდნენ და იცინოდნენ, მხოლოდ ძველებურად აღარ უბრწყინვიდათ თვალები. განსაკუთრებით ლადო იყო დაღონებული, მარტო წასვლა ეძნელებოდა. როცა ყველანი გადაეკვეიეთ და მირზამაც გადაკოცნა, ბალღივით დაიმორცხვა, რაღაც სიტყვებს ბუტბუტი დაიწყო, მკაფიო ლაპარაკი გაუჭირდა, სიტყვებს ხელები შეაშველა და ჰაერს მოუპოტინა. ხმაში თრთოლვა შეეპარა და კანკალი აუტყდა ისე, როგორც ლექსის კითხვისას მინახავს. მატარებლისკენ წელმოწყვეტილი წავიდა. როცა ვაგონის ფანჯრიდან ჯარს გადმოგვადგა, არც ლოყები ჰქონდა ალანძული, და ცალი ყურიც აღარ ამოლესილებოდა, როგორც იცოდა ოდნავი მღელვარების დროსაც კი.

სიმსიქვეძდა შემოდგომის ცივი ქარი. ფანჯარასთან მდგარი ლადო ყელზე მიგრაფ ოხეეგდა კაშნეს და ისწორებდა გრძელი პალტოს კალთებს.

II

მეორე დღიდანვე იწყო გზადაგზა გამოგზავნილმა წერილებმა მოსვლა. ლადო ახალწვეულთა ერთ დიდ შემადგენლობას გაყოლილ და ჯერ არ იცოდა, სად იყო საბოლოო ი ანიშნეულების ადგილი... წერილებსა და ღეპეშებს ვღებულობდით კიროვაბადიდან, ბაკოდან, მიჩაჩყალიდან, როსტოვიდან, ლისკიდან. ეს იყო სხვადასხვაფერი ღია ბარათები, რაც საგზალთან ერთად ბლომად მოვუმარხეგეთ. ერთ-ერთი ბარათის ცალ კვერდს ამშეენებს ლადოს საყვარე-

* გოგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ფიროსმანის სურათი — „მეაქლემე თთარი“, ხოლო ბარათებს, დეკეზისა თუ პროლის მსგავსად, ლადის ხელით აწერია „გაუმარჯოს საქართველოს!“

გზაზე ცოტათი გაცივებულიყო და იწერებოდა: „როსტოვში ვართ, ირგვლივ თოვლია და ყინვა სუფევენ. არ ვიცით, სად მივდივართ. მე ავადა ვარ, სიცხე მაქვს 37,5. უფრო უარესად ვიყავი გზაზე, ექიმიც კი გამოიძახეს ჩემთვის მახარკალიდან, მ-გრამ არაფერია — გავუძლებ და ყოჩაღად ვიქნები!“...

ბოლოს ქალაქ ოსტროგოჟსკიდან მოვიდა წერილი და ამით გავიგეთ, „ადგილზე რომ ჩავიდა“. ოსტროგოჟსკი ვორონეჟის ოლქის ყოფილი სამაზრო ქალაქია.

იქიდან მოიწერა: „ავადმყოფობამ გამიარა და ახლა არა მიშავს, მიუხედავად საშინელი სიცივეებისა, და სიცივეში, ხომ იცი შენ, როგორი ვეფაკაცია ლადიმე ასათიანი! ამიტომ რანაირად ვარ, ნიკალო, რომ იცოდე, თვალები დაგისველდება. დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირსა“ ოცდამეთორმეტე ტაპი წაიკითხე და ისე ვარ, იქ რომ წერია...“

მეორე წერილით იტყობინებოდა: „ჩემი საქმე ჯერ არაა გამორკვეული, სად ჩაგვრიცხავენ, არ ვიცი. რადგანაც ავადა ვარ, მეუბნებიან, მწყობრში არ გატარებენო, საღმე სხვა საქმეზე დანაშნავენო. მეც დღე-დღეზე ვეცდი ამ „საქმეს“, ეგეც ცოტა მეშველოს რამე.

მირბა უკვე წასული იქნება და შეიძლება ახლა ფინეთის ომში იყოს. ნეტავი იმასა ჩემს მდგომარეობაში ყოფნას ბრძოლებში მირჩევნია. იქ ვაჟაცობას მაინც გამოიჩენს კაცი. გამოშიგზავნენ მისი მისამართი. წერილს მიიწერ (ლადის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ მირბიც წავიდა ჯარში, ამ დროს ხარკოვში იმყოფებოდა და იქიდან აგზავნიდა გულთბილ ბარათებს; ნ. ა.) ფული ჯერჯერობით მაქვს, თუ შემომელია, იცოდეთ, არავის მოგერიდებთ.

ოსტროგოჟსკი, როგორც ეტყობა, ძველი ქალაქია. მდინარე ტიხაია სოსნის ნაპირას მდებარეობს. ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ ეკლესიებია და ძველებური ღუქნები. ეს ტიხაია სოსნა ახლა სქელ ყინულქვეშაა ამოფარებული და მართლაც წყნარია. მაგრამ, ალბათ, გაზაფხულზეც არ იქნება „შუშპარა და მჩქეფარი“. ქალაქში ბევრი სასმელ-საქმელი და ხალხიც კარგი უნდა იყოს. ჯერ არავინ გმიცვნია.

მართალი, სამხედრო ფორმა მაცვია, რომელიც, უნდა გითხრა, ცოტათი კიდეც მიხდება და ნამდვილ ბუმბერაზს ვგავარ. მტერთან ბრძოლაში მარჯვე მეომარი ვიქნები ნამდვილად, და არ შევარცხვენ წითელარმიელის სახელს.

ნიკოლაშა, წერილის მიღებისთანავე, თუ გიყვარდე, აიღე ხელში კალამი და მომწერე წერილი: რა ამბავია ჩვენს საყვარელ თბილისში? რუსთაველის პროსპექტზე რას ბეგენან ჩვენი ძმა-პოეტები და მწერლები? ხომ არ დამიიწყეს?

როგორ არიან „ჩვენი თაობის“ პაპანი: ირაკლი, დიმიტრი, ერემა?..

ანეკო ვაჩნაძეს თუ ეახსოვარ? ძმური ყურადღება მიაქციეთ და პატივი ეცით ისე, როგორც მე მოფსავდით.

გაუმარჯოს ჩემს მეგობრებს, გაუმარჯოს საქართველოს, ჩვენს ლამაზ სამშობლოს — სამოთხესა საქართველოს გაუმარჯოს!“

III

შემღეგ სავსებით კარგად გახდა და დაწერილებით იწერებოდა იქაურ ამბებს. კარგი მეგობრები გიჩანან. იყო ვორონეჟში, დათვალიერა ვორონეჟის ტკვერთა — კოლოფის, ნიკიტინისა და სტანკევიჩის ლიტერატურული მუზეუმი. კრამსკოის სახელობის სამხატვრო გალერეაში ნახა რეპინის, ლევიტანის, პოლენოვის, აივაზოვსკისა და თვით კრამსკოის (ისიც ვორონეჟელი იყო) შედევრები. გაიცნო საბაჟშო მოთხრობათა მწერალი მიხაილენკო; მასწავლებელი ქალი სოფიმა დაშკევიჩი, ბალერინა გალინა კრაჩენკო, მომღერალი ასია ალერდოვი და რაია ჩუკინა, კინო-თეატრებში ნახულობდა ქართულ ფილმებს. იყო მდინარე ტიხაია სოსნის ნაპირას მდებარე სოფელ ნოვაია ოსნინოკაში, სადაც არმიელებმა შაბათობა მოაწყეს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ დასახვრეტლად. აღწერილი აქვს სოღლები კრიკალა პოლიანა და შებნოე, ივანეს ოსტროგოჟის და სახელოვან პოეტ-დეკაბრისტს რილეევს, რომელიც ჯარში ყოფნისას, დიდხანს ცხოვრობდა ამ ქალაქში. სწორედ ოსტროგოჟსკში გაიცნო ლადო უფრო ახლოს ამ რევოლუციონერი პოეტის თავისუფლებისმოყვარულ ლექსებსა და ჰიმნებს. აწერებოდა, რილეევის ლექსები უნდა ვთარგმნო და ჩამოვიტანო.

„გუდღასმით გადავეკითხე კოლოფოსა და ნიკიტინის სეედიანი, მომხიბვლელი გლეხური ლექსები, — წერია ერთ წერილში, — ბევრი ვიარე ვორონეჟის ქუჩებში, ეიხეტიალე ლენინის პროსპექტზე, ესაა ქალაქის მთავარი მაგისტრალი უზარმაზარი პარკით. აქვეა კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოვისა და ნიკიტინის საფლავებიც, მაგრამ ისინი ახლა თოვლითაა დაფარული. ტევრად მიმდგარი უზარმაზარი ვერხვები კი მირიდი ყვავებითაა მინაბდული ყველგან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე. გასაოცარია, რით იკვებება ამდენი ფრინველი! ამაოდ ებრძვის მათ ჩემი ახალი ნაცხობი მწერალი ოლეგ მიხაილეკო, რომელიც ამავე დროს ამ ადიდი პარკის აღმინისტრატორიც ყოფილა. ნეტავი როგორი იქნება ეს მიდამოები ზაფხულზე?“

სამი წლის შემდეგ, 1943 წლის დამდეგს, როცა საბჭოთა ჯარების მოქმედი ნაწილები მიუოკეობდნენ სტალინგრადთან განადგურებულ ფაშისტთა არმიის ნარჩენებს, ჩვენმა ამხანაგებმა ინახულეს ეს ადგილები. ირგვლივ გაპარტახებული იყო ყველაფერი: აღარც ქალაქის დიდი პარკი, არც კრამსკოის ველარეა და ის მეზეუმი, აღარც ტიხონა სოსნის ნაპირებზე გაშენებული მშვენიერი წყნარი რუსული სოფლები... ვერხვნარიც ამოეძირკვათ: სტალინგრადთან თავზარდაცემულ და მუსრგაველებულ ავაზაკებს ის ვერხვები შუშად და საკუთარი საფლავების ჯვრებად აღარ ეყოთ, ხოლო ყვავები — მშიერი კუჭის ამოსაყორაგად!

IV

ლაღოს იქ ყოფნის დროს კი, თითქოს, ჯერ კიდევ შორს იყო საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან მსოფლიო ომის ხანძარი, მაგრამ იმ შემოდგომის მიწურულს ფინეთთან გამართულ ორთაბრძოლაში ივარსობოდა, რომ ვერაგი მტერი ნიადაგს სინჯავდა საბოლოო და გადამწყვეტი იერიშებისათვის.

მირზა გელოვანსაც ეგონა, ფინეთის ომში მომიხდება მონაწილეობის მიღებაო (ასე იწერებოდა იგი), მაგრამ ჯერ ხარკოვის ტანკისტთა სასწავლებელში გაამწესეს, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ სხვა მიმართულებით გაპყეა ომის გზებს, „სულ მქუხარე ბრძოლებში იმყოფებოდა“ და ხუთი წლის მანძილზე „სუნთქავდა დენთისა და ტყვიების ბოლს...“

„მე მაინტერესებს, ლაღო სად არის? — იწერებოდა ის პირველ ხანებში, — გწერს თუ არა წერილს? რა იცი მისი? რასა გწერს. როგორ ყარო? მისწერე ჩემი სალამი და ჯანმრთელობა ეცხერე. მისი მისამართიც მომაწოდე.

ალბათ, „ჩვენი თაობა“ სავსეა ხალხით და პოეტობასთან ერთად ყველა ჩკვეხს ეიკაცობას. ეს ძალიან კარგია. მე მაინტერესებს, თუ არის რაიმე ახალი ამბები მაქეთ!..

მშვიდობით, მე, ხომ იცი, არსად არაფერი მიქრის ერთის მეტი: ოჯახის ჯავრი მაქვს...“

შემდეგ გამოგზავნილ წერილში კი ასე წერს:

„ჩემმა ოდნავმა გამოცდილებამ სამხედრო საქმეში, და — საერთოდ — ცხოვრებაში, ამხანაგებისა და უფროსების პატივისცემა დამმსახურეს, თუმცა პირველად მაინც მეძნელებოდა ყველაფერი... მერე სწავლა დავამთავრეთ, მე და რამდენიმე ამხანაგმა მანქანები მიეღეთ და წავედით. საშინელი სიცივეებისას მატარებელზე ეყარაულობდით ჩვენს მანქანებს. თბილი ტახსაცმელი სიცივეს ვერ იქერდა სრულიად. ვიყავით იქ, სადაც, მიუხედავად სასტიკი ყინვებისა, ყველაფერი იწვოდა და ღუდდა. ბედზე ზავი დაიდო და ისევ დაებრუნდი.

ახლა აქა ვარ და, ვინ იცის, კიდევ საით წავალო.

იცი, საოცრად გავიტეხე ენა რუსულში. თავისუფალ დროს მე ვუამბობ ჩემს ამხანაგ რუსებს ქართული მწერლობის შესახებ. მიხარიან, რომ მათ ვუყვარვარო. ისინი საკმაოდ გულკეთილი ამხანაგები არიან და ზოგი იდუმლად ზრუნავს კიდეც ჩემზე. მაინც მენატრება მანდაურობა. მომენატრა ქართული პური, ქართული ღვინო, ქართული ჰაერი.

მე მაინტერესებს, როგორ ეკრძნობს თავს ლიტერატურული საქართველო თავისი „ლიტერატურული საქართველოთი“? მე მაინც ვახარხებ თითო-ოროლა ლექსის დაწერას. გგზავნი რამდენიმე მათგანს და ყველას ეთხოვი, დამიბეჭდონ ისინი. საერთო სათაური მიეცით „ჯაეეგზავნილი ბარათები“, ანდა ისევ „უების წიგნაკიდან“ (ისინი მართლაც უების წიგნაკებში იწერებიან), როგორც უმჯობესად დაინახოთ.

ძმაო ნიკოლოზ, მე რომ ჩამოვალ და ერთმანეთს შეეხვედებით, გიამბობ ძალიან ბევრ საინტერესო ამბავს...“

ძვირფასო მირზა! ომის შემდეგ შენი ნათესავები და მეგობრები ამაოდ ეძებდნენ შენს გზა-კვალს. ვაი, რომ ვერ ეღირსე შინ გამარჯვებით დაბრუნებას და საყვარელ ამხანაგებთან შეხვედრას, — უთქმელი დაგრჩა „ბევრი საინტერესო ამბავი“.

სად დაიკარგე, სად დარჩი,
რად ხელმბარ, რად არ ხმიანობ?
იდუნიეთ ხმატკბილო,
ხმალმასარო, კალამფხიანო?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

... ლადო ასათიანი კი დიდხანს როდი იყო არმიის რიგებში. სამხედრო-საგარანიზონო კომისიამ სავსებით გაათავისუფლა სამხედრო სამსახურიდან. „შეიძლება ორ კვირაში ვნახო ღა ისევ ბევრჯერ გავიარო ჩვენი თბილისის მზიან ქუჩებშიო“, — წერდა 1939 წლის 22 ნოემბრის წერილში და ეს წერილი, როგორც ლადოს ჩვეულება ყველაფრის „ლექსად გარდაქმნა“, იწყება ასე:

„ძმაო ნიკალ!
იცი, შენთან, რა ხანია, მიმოწერას ვაპირებდი.
გამარჯობა, გესალმები ტიხი სოსსანს ნაპირებით.
მძიმედ რეკავს ოსტროგოژსკის ეკლესიის დიდი ზარი.
მე სიონი მაგონდება, გულს მედება ცეცხლის ალი.
მაგონდება საქართველო, საქართველოს ლურჯი მთები,
და ამიტომ, რაც დრო გადის, კიდევ უფრო ურჩი ვხდები.
და ვიძახი: გამარჯობათ, საქართველოს ლურჯო მთებო,
გამარჯობათ, ცხრამთას იქით დაკარგულო მეგობრებო!
გამარჯობა, საყვარელო, სიყვარულო, გამარჯობა,
ღმერთმა ნურც ერთს მოგიშალოთ სტვირობა და ქამანჩობა!
ჰაუ, რეზო მარგიანო, ნეტავ ახლა სითა ხარ?
დაგამუნჯებს, გაგაფუჭებს, ნუ აიღებ ჩაის სტაქანს.
ჰაუ, კოკი საჯაიავ, ჩემმა ხმამ რომ გაგაოცა,
მარგიანიც შეაჩვე შენს საყვარელ კაკაოსა!
და სხვა...“

ავადმყოფობას რომ ხელი არ დაეკრა, ლადო, უეჭველად, ჯარში დარჩებოდა და ისე მალე ვეღარ ვნახავდით. ომი მოუსწრებდა. და, იქნებ, მასაც თავისი მეგობრების — მირზა გელოვანისა და გიო ნაფუტკარიძის ბედი გაეზიარებინა! ანდა, იქნებ, დაგვბრუნებოდა სახელოვანი და ახალ-ახალი ლექსებით დატვირთული... ვინ იცის!

VI

დეკემბრის თბილისურად ერთ თბილ დილას, როცა „ჩვენი თაობის“ რედაქციაში შეეკედი და „მნათობშიც“ შევიხედე, იქ დივანზე იჯდა ლადო ასათიანი თავისი ძღალი პალტოთი, ვრძელი კაშნით ყელშეხვეული და ქუდჩამოფხატული. იგი რადაცას უამბობდა სიმონ ჩიქოვანსა და კარო კალაძეს. ირგვლივ ჩვენითაობელები შემოხვეოდნენ.

ჩემთვის ისე მოულოდნელი აღარ იყო ლადოს ჩამოსვლა, რადგან უკვე მოველოდით, მაგრამ მაინც ვეღარ დავფარე სიხარული... მომეხვია, მიმიზდა და მხარზე მომითათუნა ფართო ხელი. ნაღელიანი თვალები ჰქონდა, და საავადმყოფოდან ახლადგამოსულს ჰგავდა. ხელში მოძხვედა მისი გრძელი, საშინლად ცხელი თითები.

შემდეგ: საყვარელი ტოლმეგობრები, დაცოლშვილება, პირველი წიგნის გამოსვლა, კაკლავ ბოჭიოის სიყვარული... და „მისმა ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე“.

ᲣᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘᲓᲐᲜ

I

ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ პირველად 1939 წლის იანვრის ნომრიდან დაიწყო ლადო ასათიანის ლექსების ბეჭდვა. იმ ნომერში მოთავსებული: „კოლმეურნეებთან ლხინში თქმული“ (შემდეგ ამ ლექსის სათაურად დარჩა „ლხინი კახელებთან“), „ძველი მოლოცვის მოსაგონარი“ და „სამი უსათაურო“. მანამდეც, და შემდეგაც იგი სისტემატურად ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს „მნათობში“ და სხვა პერიოდულ გამოცემებში.

„ნორჩი ლენინელის“ რედაქციაში მუშაობისას (1938 — 1939) ლადოს კალამს ეკუთვნის ბევრი ლექსი, ნარკვევი, წერილი და წარწერა. ზოგიერთ მათგანს აწერია: ლ. ვარდოშელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ-ანი, ა-ანი, ლ. მაღალაშვილი, ლ. ასათიანი. ესაა ლადოს ფსევდონიმები.

„ტექსტი ლ. ვარდოშვილისა, ნახატი გ. ისაევისა", ხშირია ასეთი წარწერა „ნორჩი ლენინელის" მაშინდელ ნომრებში მოთავსებული სურათებსა და ჩანახატებზე. გიორგი ისაევი, „ვეფი ეიერნალ-გაზეთების ნიჭიერი მხატვარ-გამფორმებელი, იმ დროს „ნორჩ ლენინელში" ძუშაობდა და დიდად მეგობრობდა ლადოსა და მის ამხანაგებს.

წერილები და ნარკვევები: ვალტერ სკოტი, ჟორზ ზანდი, ბარბიუსი, ამეწდსენი, რეპინი, რადიშჩევი, მაიაკოვსკი, ნ. ბარათაშვილი, ვ. სარაჯიშვილი, მაიაკოვსკის, სამშობლოში, თბილისის ზოოპარკში და სხვ. ხელმოწერილია ლადოს ამ ფსევდონიმებით. აქვეა მოთავსებული ლადოს მიერ თარგმნილი ოვანეს თუმანიანის, იანკა კუპალას, ელ. მაიაკოვსკის, კვიტკოს, იენსენისა და სხვათა ლექსები. ამ წლებში დასწერა მან რამდენიმე სპპავშვო ლექსი.

II

წერდა ყოველთვის სწორი, ლამაზი, ძალდატანებლად მსუბუქი ხელით, წმინდად და გადატუზაე-გადმოეტხაეად. ესაა მეტად ჯანსაღი და დამშვიდებული ადამიანის ნაწერი, რაც ავადმყოფობის დროსაც არ შეუცვლია. მაშინ თითქოს უფრო მტკიცეა და გამართული მისი ხელი. 1942 წელში დაწერილი „ცხრა ძმა ხერხეულიძე", „ასპინძა", „ბასიანის ბრძოლა", „გულბაათ ბეკეზაძე" და სხვები ერთი ხელის მოსმითაა დაწერილი, „ბზარიც" კი არ ურევია ნაწერს და ხელი ბოლომდე თანაბარია და ენერგიული.

III

ერთ დღეს (1940 წლის 2 იანვარს) ჩემს მაგიდასთან ჩამოჯდა და ქაღალდის ფურცელზე ჯერ მარტო ერთხელ დასწერა სახელი „ლ ა დ ო". შემდეგ ზედიზედ 88-ჯერ მიუწერა **გვარი „ა ს ა თ ი ა ნ ი"**.

— ეს ერთ კი ლექსს ჯობია. ფუტურისტები და დადაისტები ხომ წერდნენ რამდენიმეჯერ განმეორებულ და ერთმანეთზე მიჯრილ ერთდაიგივე ეკბრო სიტყვასა და ფრაზას? მაგალითად, ეაბიკთხაეს: ტრისტან ტზარას ერთი ლექსის ყველა სტრიქონში სიტყვა „იყვირე, ოყვირეს" მეტი სხვა არაფერია და ბარე თხუთმეტჯერაა განმეორებული, მგონი, ეს სიტყვა. არაეითარი აზრი კი არა აქვს. აქ კი ადამიანის სახელი და გვარი მაინც არისო, — ღიმილით დაამთავრა და ის ქაღალდი მე დამიტოვა.

IV

1940 წელს გამოდიოდა კარლო კალაძის ლექსთა კრებული. ერთ დღეს კარლომ გადმომცა იმ კრებულის მაკეტი — ლიდერინნსყდიანი კარგა მოზრდილი წიგნი, და მითხრა:

— ვიცი, შენ რომ აგროვებ ეპიგრამებს და სხვადასხვა ნაკვესს. აი, გკონდეს ეს და შიგ ჩასწერე ყველფერი. ალარ დაიკარგება და ეროად იქნება თავმოყრილიო.

კარლომ იმ წიგნზე სათაურად წაეწერა „ფუნაგორიები". ეს სიტყვა პოეტმა კოლაუ ნადირაძეს შემოიღო და ისიც კარგ ეპიგრამებს წერდა. პირველი ფუნაგორია ეკუთვნის მასვე. ესაა ოთხტრიქონიანი მწკაეე ეპიგრამა ყარიბზე (პეტრე გელეიშვილი), რომელმაც ოციან წლებში „მნათობის" ფურცლებზე მეტად მწკაეე შენიშვნებით სავსე წერილები დაბეჭდა ცისფერყანწელთა შემოქმედებაზე.

მასონან ერთად კარლოს ხელითვე ჩაწერილი იყო მისი ერთი კარგი იუმორისტული ლექსი, რამდენიმე პატარა სხარტელა და კოლაუს ის პირველი ფუნაგორია პეტრე გელეიშვილზე: „მან წწერილობაში დასტოცა კეალი..." და სხვ.

„ფუნაგორია" ხოკოს მსგავსი ერთი ევნებელი მწერია, რომელიც არავის არაფერს უშავებს და ზიანს არ აყენებს. კოლაუ ნადირაძის განმარტებით, თითქოს ასევე იყო ეპიგრამაც: მხოლოდ ამხანაგთა სალაღობოდ თუ გამოდგებოდა, თორემ სხვაფრივ არავის განაწყენებას არ ისახავდა ''მიზნად.

ამიტომაც, მან ყოველ სახუმარო-სალაღობო ლექსს „ფუნაგორია" შეარქვა. ეს სახელწოდება მალე გავრცელდა და დღემდე შემორჩა არა თუ ძალზე „მშვიდობიან" და სათნო ტონის შემცველ თავშესაქცევარ ეპიგრამას, არამედ თვით გესლიან და გამკეწლავ, მწკაეე ნაკვესს, მეტად მახვილაკერ და ენამოსწრებულ „გამქიქებელ-გამანადგურებელ" კალამპურს...

იმ წლებში ბევრი პოეტი წერდა ეპიგრამებს და სახუმარო-იუმორისტულ ლექსებს. განსაკუთრებით აქტივობდნენ ამ საქმეში ახალგაზრდა მწერლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ „ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ“ ᲗᲝᲚᲔᲠᲓᲜᲔᲜ ᲙᲝᲚᲝᲐᲣᲗ ᲓᲐ ᲝᲠᲙᲘᲠ ᲙᲘᲓᲔᲘᲓᲖᲔ ᲒᲐᲣᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡ „ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲑᲘ, ᲙᲝᲚᲐᲣ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲫᲔᲑᲘ, ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲘᲡᲢᲠᲝᲡᲘ“. ᲝᲠᲘᲒᲘᲡᲘ ᲐᲘᲢᲠᲘᲚᲘ ᲚᲐᲓᲝᲛ ᲐᲡᲗᲘᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲨᲘ, ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲬᲠᲘᲓᲜᲔᲜ:

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲫᲐᲮᲘᲡ: „ᲙᲝᲚᲝᲐᲣᲗ ᲘᲗ ᲠᲐ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲐᲡᲬᲠᲝᲗ?“
ᲩᲕᲔᲜᲔᲑ ᲒᲣᲚᲘᲗ ᲒᲔᲞᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲡᲢᲠᲝᲒ!
ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲔᲜᲘᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲘᲡᲬᲠᲝᲗ.
ᲮᲐᲜᲓᲐᲮᲐᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲮᲔᲜᲘᲗᲓ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲥᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲘᲡᲬᲠᲝᲗ...
... ᲧᲕᲔᲚᲐ ᲬᲘᲚᲘ, ᲖᲝᲒᲘ ᲠᲐᲠᲐᲯᲘᲡᲐ, ᲖᲝᲒᲘᲪ ᲘᲮᲩᲠᲝᲑᲐ ᲣᲗᲛᲘᲗᲝᲑᲘᲗ...
ᲓᲦᲔᲓᲔᲓ ᲙᲘᲪᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲝᲗ, ᲓᲦᲔᲓᲔᲓ ᲗᲣ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲣᲗᲛᲝᲗᲓᲔᲓᲘᲗ.
... ᲑᲔᲕᲠᲘ „ᲛᲝᲛᲔᲕᲐᲬᲣ“ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲗᲠᲐᲚᲘᲗᲘᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ, ᲑᲝᲠᲘᲐᲚᲘᲡ,
ᲨᲘᲜ ᲨᲣᲑᲚᲨᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲕᲐᲠᲗᲣᲗᲝᲗ ᲛᲐᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘ!
ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲯᲔᲚᲘ, ᲛᲐᲜᲓ — ᲨᲔᲜᲗᲜᲐᲚ ᲐᲮᲚᲝᲡ, ᲗᲣ ᲒᲐᲠᲔᲗ.
ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲨᲔᲣᲒᲠᲘᲪᲘᲗᲐ, ᲙᲝᲚᲝᲐᲣ, ᲓᲐ ᲚᲘᲢᲧᲣᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ ᲛᲘᲣᲗᲮᲠᲐᲗ:
— ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲕᲘᲡᲮᲐᲗ ᲣᲮᲐᲛᲡᲘᲡ ᲐᲛᲘᲛᲗᲣᲗᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲓᲣᲓᲐᲠᲘ,
ᲩᲝᲛᲗᲐᲜ ᲨᲔᲜ ᲗᲘᲗᲝᲜᲘᲗ ᲛᲘᲪᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲪᲘᲪᲮᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲧᲐᲠᲔ!
ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲜᲝᲛᲥᲕᲐᲛᲘ ᲒᲐᲜᲥᲘᲥᲔᲐ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲓᲐᲓᲝᲚ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲐᲛᲝᲑᲡ...
ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲔ ᲒᲬᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲡᲘᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲡᲐᲜ,
ᲩᲕᲔᲜ ᲒᲐᲛᲝᲬᲧᲣᲚᲘᲗ, ᲐᲠ ᲒᲐᲬᲧᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲗ ᲕᲘᲪᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲧᲝᲚᲐᲝᲛ,
ᲨᲔᲜ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲯᲝᲡ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ, ᲓᲐᲣᲪᲚᲔᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲐᲣ!

V

ᲙᲐᲠᲚᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲣᲙᲐᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲚᲐᲓᲝᲛ ᲐᲡᲗᲘᲐᲜᲛᲐ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲐ, ᲔᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲛᲐᲡ ᲔᲣᲗᲣᲗᲕᲘᲡᲝᲓᲐ. ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲡᲮᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ. ᲡᲐᲜᲐᲮᲔᲒᲠᲝᲓ ᲨᲔᲘᲡᲬᲝᲑᲔᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲝᲬᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲑᲝᲚᲝᲛᲐᲓᲔ ᲩᲐᲘᲬᲘᲠᲐ 400-ᲓᲔ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲡᲚᲐ.

1940 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲕᲚᲘᲡᲨᲘ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲝᲛᲝᲑᲐ“ ᲓᲐ „ᲛᲜᲗᲝᲜᲘ“ ᲚᲐᲓᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲑᲐᲡᲗᲣᲛᲜᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲛᲝᲯᲔᲕᲔᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲭᲔᲓᲐᲓ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲬᲘᲠᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲩᲜᲔᲓᲐ, ᲔᲜᲔᲚᲘᲗᲐ ᲣᲫᲔᲓᲘᲡᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ. „ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲛᲐᲜᲙᲘ ᲐᲠ ᲘᲫᲚᲝᲓᲐ და ᲘᲫᲘᲓᲐᲓ „ᲔᲠᲗ ᲛᲫᲚᲔᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲚᲐᲖᲗᲘᲐᲜᲘ „ᲡᲐᲠᲝᲛᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ“, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲒᲠᲔᲗᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲪᲠᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲢᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲠᲐᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘᲗᲐᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲑᲚᲝᲛᲐᲓ ᲘᲧᲝ „ᲐᲛᲘᲡᲘᲐᲡᲮᲔᲑᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲘᲓᲖᲔ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲘ ᲛᲧᲝᲑᲘ ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲒᲐᲠᲘᲗᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲒᲒᲐᲪᲮᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲒᲒᲐᲡᲐᲪᲮᲝᲗᲗᲝᲜᲐᲗᲐᲜ“.

ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲐ „ᲐᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡᲐ,
ᲑᲔᲠᲘᲡᲘ ᲞᲐᲠᲐᲜᲒᲐ ᲨᲔᲚᲔᲑᲐ, ᲑᲔᲠᲘ ᲣᲜᲘᲭᲘ ᲒᲐᲡᲠᲘᲡᲐ...
ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲤᲣᲜᲒᲐᲒᲠᲘᲝᲜᲘᲡ, ᲮᲔᲚᲓᲐᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲓᲝᲚ,
ᲐᲯᲐᲜᲠᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲗᲘᲪᲘᲪᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲡᲘᲜᲔᲓᲠᲘᲡᲐ,
ᲥᲘᲜᲝ ᲡᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲘᲠᲔᲚᲣᲯᲐᲜᲘᲡᲐ, ᲛᲝᲜᲘᲙᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲪᲘᲚᲜᲔᲚᲓᲠᲘᲡ...

ᲬᲔᲠᲐ ᲘᲛ ᲬᲘᲠᲘᲡᲨᲘ.

ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲛ „ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲡ“ ᲒᲐᲠᲔᲨ ᲚᲐᲓᲝᲛᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲚᲔᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲐ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲝᲛᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲓᲐᲛᲬᲘᲜᲓᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲬᲠᲓᲐ:

ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲐᲮᲚ „ᲗᲝᲛᲝᲑᲐᲨᲘ“ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲬᲘᲜᲐᲠ ᲘᲧᲝᲗ,
ᲒᲕᲘᲠᲓᲔᲗ ᲒᲘᲗᲮᲘᲚ ᲔᲠᲔᲛᲘᲐ, ᲒᲘᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲘᲮᲐᲚᲘᲡᲘ.
ᲓᲘᲛᲘᲜᲐᲢᲠᲐ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲯᲐᲜ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲥᲐᲜᲘᲩᲝᲑᲐ,
ᲨᲔᲜ, „ᲗᲝᲛᲝᲑᲐᲕ“ ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲯᲚᲘᲡ, ᲨᲔᲜ, ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲐ, ᲒᲘᲛᲐᲠᲯᲝᲑᲐ!
ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲓᲔᲜᲗᲝᲜ ᲕᲘᲧᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲕᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲜᲗᲐᲓ,
ᲡᲘᲫᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐᲝᲜᲯᲔᲗᲝᲗ.
ᲓᲐᲛᲐᲫᲚᲔᲡ „ᲞᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲘᲠᲘ“, ᲡᲢᲔᲜᲓᲐᲠᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠᲩᲘᲜᲝ „ᲡᲢᲔᲜ-ᲓᲐ,“
ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲛ ᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲘᲢᲐᲪᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲗᲘᲚᲓᲐ.
ᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲘᲡᲘᲪ ᲓᲐᲕᲓᲔᲗᲣ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲦᲘᲡᲘ ᲫᲘᲕᲐᲛᲓᲔ,
ᲛᲪᲠᲘᲡ ᲧᲘᲜᲖᲔ ᲘᲡᲘᲪ ᲘᲡᲘ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲕᲐᲗᲐ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘ.
ᲩᲔᲛᲘ ᲒᲖᲐ ᲛᲐᲫᲚᲔ, ᲩᲔᲛᲘ ᲭᲣᲯᲣ, ᲬᲘᲗᲚᲐᲓ ᲓᲦᲘᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲙᲕᲐᲠᲘ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვერავინ ვერ შეიძლებს, დამავიწყოს სანუკვარი...
მე კარგად ვარ, დიმიტრიჯან, მხოლოდ ერთი უნდა გოხოვო,
ჩემი ლექსი სულ დამეშვიდე, ნომერი არ გამოტოვო.
კარგად იცი, მიზანი მაქვს, ბევრი რამე გავაკეთო
სიცოცხლე კი ჩქარა მიჰქრის, რაც არ უნდა დავაფეთო.
გამიგრძელდა, თუმც შემიძლო, ორჯერ მეტი დამეწერა,
ბევრის გული დამეკოდა, ბევრის გული დამესერა.
ცოტა კიდეც მეზარება, ცოტა კიდეც ავადა ვარ,
ორივ ლექსი და სათქმელი რა ეშმაკმა გაათავა
გამიგრძელდა, მაგრამ ერთი უნდა გითხრა მაინც ნადდად:
როგორც ვატყობ, ყველა კაი დღეს კაეშრის წერი გახდა,
და მე ნუთუ მთლად გლახა ვარ, რომ დამტოვეს ასე სხარტად,
ჩემი ჭკუა და გონება ნუთუ ასე გაქესატდა?
ეს ისე ვთქვი, სხვათა შორის, მძიელს ამგვარი ბრიყვეულება,
სად მცალია, ლექსებს ვმღერი, ბუნებაში ვიყურება,
მარტოობით ვიმოსება და დუმილით ვიხურება,
დავანგრიე, დაცავლეწე ტყეში ნიცშეს ჯიხურები!
ეს ისე ვთქვი, რადგან სული აღელდა და ათაკოდა,
მე სხვა არ მწამს არაფერი, ყველა ფეხზე დამეხლართა:
საქართველოს, ფიროსმანის, პოეზიის, ლექსის გარდა...
ასე იცის განშორებამ, ცხელი გულის გახურებამ,
არ გეწყინოს, დიმიტრიჯან, ეს ლექსი და გახუმრება.
შენ კაცი ხარ, კარგად იცი, ბულიონს რომ ყაურმა ჯობს.
შენს სხეულ სითამამეს, შენს ბიჭობას გაუმარჯოს!..
... ეს წერილი, აბასთუმნის მწვანე ტყიდან მონაბერი,
მოვა შენთან თავდახრილი ისე, როგორც მონა ბერი,
ტყეის: თვალება ბენაშვილის კიდევ უნდა დაეენახო...
პოეტებო, მომღერლებო, სახლო, ეზოვ და ვენახო,
ბერე წუთით დაფიქრდება, ეგონება თავი სტამბოლს:
— შეეიშლება და კაცს მოკლავ, ახლა რომ არ დაეისტამბო!

მეგობრულად — ლადო ასათიანი.

1940 წ. 5 ივლისი. აბასთუმანი.

ლადოს გარდაცვალების შემდეგ ეპიგრამების თხზვა ისევ გრძელდებოდა. ბევრი მართლაც გონებამახვილურად და ენამოსწრებულადაა დაწერილი. ზოგიერთი მათგანს ლადოს მიაწერენ და მისი გამოთქმული ჰგონიათ, მაგრამ ლადოს ფუნაგორიას სულ სხვაგვარი პეწი და ლაზათი ჰქონდა: პირდაპირ მიზანში ხვდებოდა სანიშნოს...

შემოლამეგა მთაწმინდაზე და დღე "შკანასკნელი...

გამოხსენებენ როგორც ნიკალას
და თბილ სმარეს დააბიჯებენ..
ლ. ასათიანი

I

ძველი „ბედიღბლის კალენდარში“ წერია:

„ეაქე, რომელიც დაიბადება 12 იანვრიდან 12 თებერვლამდე, ე. ი. ამ ხანებში, იქნება ჩუმი და ფიცხი, მაგრამ კეთილი ხასიათისა. ეყვარს თავისთავთან ლაპარაკი და მარტოობა. სიყმაწვილეში გაჭირვებას გამოიელის სიღარიბისა და მშობელთა დაუდევრობის გამო. 30 წლიდან გაჭირვებას ასცილდება. უდიდესი მისი სარგებლობა იქნება ეაჭრობაში, თუ 33 წელს გადასცილდა, 88 წლამდე იეოცხლებს...“

რამდენჯერ წაგეკითხავს ერთად ლადოს და მე ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდრის“ ეს „წინასწარმეტყველება!“

— მე ხომ 1917 წლის 14 იანვარსა ვარ დაბადებული, ნინოობა დღეს, — უთქვამს ჩემთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადოს ზემორე სტრიქონების წაკითხვის დროს. ამ კალენდარს კი რა უნდა ვუყო. რასაკვირველია, აქ დასაჯერებელი არაფერია, მაგრამ კაცმა რო თქვას, ზოგიერთი ნაოქვამი ᲭᲣᲥᲣᲠᲘ მოსასვლელია, ასე მგონია, მართლდებაო.

ლადო ასათიანს თითქოს ბევრი რამ აუცხადდა ამ „წინასწარმეტყველებიდან“. ის მართლაც იყო ჩემი და ფიცი, მასთან უაღრესად კეთილი ხასიათისაც. მაგრამ მარტოობის მოყვარული არასოდეს არ ყოფილა. მარტოდმარტო ლაპარაკი კი არა და, თავის საყვარელ ავტორთა ლექსების ჩუმად ღიღინი კი უყვარდა. ისიც მართალია, რომ ბევრი გაჯერება და სიდუხჭირე გამოიარა ᲯᲔᲠ კიდევ თითქმის ბავშვმა, მაგრამ უმთავრესში, როგორც ყოველთვის, მაინც შეცდა ბედისწერელი: ლადომ კარა თუ 88 წლამდე გაძლო, 30 წელსაც კი ვერ მიაღწია. მით უმეტეს, 33 წელსაც ვერ გადასცდა, რათა, იქნებ, ნაწინასწარმეტყველევე გაჯერებას აცდენოდა. იგი ვერ ეღირსა უფრო შემდეგი წლების ასაკს, როცა ბავშვობის მიამიტურ სიცელქესა და სტუდენტობის მეფეკარე დღეებს შეეცლიდა სიმწიფე და დინჯი ხასიათზეც. ეჯერობის შნო და უნარი კი სულაც არ გააჩნდა ცხოვრებაში ახლადფეზშედგმულს.

როგორ იცინოდა ამ სიტყვების წაკითხვისას!

— ერთხელ ხომ გავყიდე გურჯაანის ბაზარში ღვინო ვეჯინელ კოლმეურნესთან, ის იყო და ის მოელი ჩემი ეჯერობა. ალბათ, ამას გულისხმობდა მაგის დამწერიო, — ამბობდა, და ის კი უხაროდა, 88 წლამდე იცოცხლებსო, რომ ეწერა.

— წარმოიდგინე ოთხმოც წელს გადაცილებული ლადო ასათიანი... — მითხრა ერთხელ. — მიჩანჩალებს იგი რუსთაველის პროსპექტზე გრძელი ყავარჯნით ხელში. გამვლელ-გამოვლელნი სიყვარულითა და მოწიწებით ესალმებიან...

და ამას მოყვა იმ ხანგრძლივი წლების მანძილზე ვითომც მომხდარი ამბების გახსენება: თუ ვინ დარჩა ნაცნობებიდან ცოცხალი და ვინ აღარ იყო ამ ქვეყნად. შემდეგ დაიწყო ჩვეულებრივი ხუმრობა... და, საერთოდ, ყველაფერი ეს ხუმრობადვე მიაჩნდა.

II

მაგრამ ხუმრობა ხუმრობა იყო და, ლადოს უკვე მოეძალა ავადმყოფობა. ხმამაღლა ლაპარაკის ან სიცილის დროს ხველა აუვარდებოდა, წელში მოიხრებოდა და სიცხით ᲰᲭᲜᲓᲐ ანთებული ლოყები. წინათ მუდამ მშრალი და თბილი ხელები ახლა ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲧᲝᲤᲚᲝᲚᲘᲜᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲠᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲘᲛᲘᲗ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲗᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲧᲣᲓᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲩᲣᲠᲩᲘᲡ.

ძლიერ გაახარა პირველი წიგნის გამოსვლამ. შიგ 38 ლექსი იყო და ყდის მხატვრობა ლადო ავალიანს ეკუთვნოდა: ცისფერ ფონზე — თითქოს მოზარნიშებული ᲮᲔᲘᲡᲣᲠᲘᲡᲣᲚᲘ ფარი და შიგ ჩაწერილი „ლადო ასათიანი — ლექსები“.

ერთ დღეს ანიკო ეანსაძემ გადმომცა ლადოს გამოგზავნილი წიგნი. თვითონ ჩემთან უბრად იყო. ამის წინა ხანებში სულ უბრალო რამეზე წაელაპარაკდით. ახლა ერთმანეთისთვის ᲰᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲣᲛᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ და გვერდებოდა. წიგნში ლექსად წაეწერა ჩემთვის მიძღვნა: „შენ წინათ ცაში დაპკრიდი, ესტეტეებოდი ᲔᲠᲘᲩᲚᲔᲑᲘᲗ“ და ა. შ. ლექსის შინაარსიდან ჩანდა, რომ არ დამინდო და მაგარ-მაგარი საყვედურები გადმომკრა: მშვენიერი სიტყვები იყო, გულზე ᲛᲝᲛᲮᲕᲓᲐ...

მერე რუსთაველზე შემხვდა, ამხანაგებს მოყვებოდა. დამინახა, ᲩᲐᲛᲬᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲛᲔᲠᲗᲐ, ᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲒᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲐ და მკითხა, წიგნი თუ მიიღე. ლექსი როგორ მოგეწონაო.

ᲘᲛ ᲚᲔᲥᲡᲘᲗ ᲨᲔᲓᲒᲐᲠᲘᲓᲐ, ᲗᲝᲠᲛᲘ ᲛᲐᲠᲗᲚ ᲓᲐᲛᲔᲓᲒᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲒᲔᲓᲘᲝᲜᲓᲘᲗ...

III

უკანასკნელ 2 — 3 წელს თანდათან იგრძნობოდა, რომ დგებოდა ᲝᲛᲘᲡ ᲛᲔᲛᲘᲓᲘ ᲓᲠᲝ: ფაშიზმის ᲔᲠᲘᲓᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲚᲐᲓ. 1940 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲘᲡᲛᲫᲚᲔᲗ ᲜᲐᲖᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲗᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲓᲜᲐ ᲡᲣᲠᲗᲐᲜᲘ ᲔᲠᲔᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ. ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲬᲐᲠᲛᲘᲡᲛᲫᲚᲔᲗ ᲜᲐᲖᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲫᲝᲗᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲒᲐᲓᲐᲔᲓᲜᲐ ᲐᲮᲚᲐᲠᲐᲖᲠᲘᲐ ᲞᲝᲢᲔᲑᲘᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘ. 1940 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲘᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.

მოელს თბილისში სანატრელი გახდა სინათლე. ყველას გვახსოვს თოფლისა და მთვარისაგან განთვალული საღამოები, როცა უკვე ჩამომდგარ ᲑᲘᲜᲓᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲓᲝᲛᲓᲝᲗ ᲨᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ.

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲛᲕᲐᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲜᲘᲗᲘᲐ ᲘᲙᲘᲓᲐ ᲛᲣᲥᲚᲣᲠᲯᲘ, ᲛᲭᲕᲐᲜᲔ და ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲜᲐᲗᲣᲠᲘᲔᲑᲘ, ᲘᲥᲪᲐ ᲠᲐᲝᲪᲘᲝᲜᲐᲠᲘᲐ ᲐᲛᲐᲮᲠᲘᲗᲔᲑᲘ. ᲒᲘᲜᲓᲘᲐ ᲡᲘᲜᲐᲜᲗᲔᲑᲘ, ᲮᲐᲮᲕᲘᲜᲔᲑᲘ და ᲡᲐᲒᲜᲘᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲐᲛᲓᲘᲗᲔᲑᲘᲡᲘᲗᲕᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ. ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ და კინოების გაჩერაღდნებული დარაბებიდან გამოსულნი, ᲪᲘᲪᲐᲓ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვდიადში რომ მოხვდებოდნენ და კუნტაპეტი ღამე აუბამდათ თვალებს, სადმე — სხვა ქალაქში ან მიყრუებულ სოფელში ეგონათ თავი.

ერთი წლის შემდეგ მტერმა ჩვენი საზღვრებიც გადმოლახა, ომი დაიწყო, და

უკანასკნელი ჩაქრა სანთელი,
გაქრა შუქი და ჩამბნელდა ბინა...

რუსთაველის პროსპექტი დღითიდღე თხელდებოდა: თითქოს ყველა ომში წავიდა. ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციამ დროებით შეწყვიტა მუშაობა, ბევრი ჩვენთაობელი ჯარში გაიწვიეს და მიმოფანტა მეგობართა წრე.

დაბომბვის დროს მინების ჩამტვრევის შიშით შენობათა კარფანჯრები დოღანდებითა და ქაღალდის ჯვრებით იყო „აბაშეხვეული“ და ქალაქი ბრძოლის ველზე დაჭრილ მეომარს დაემგავსა.

ქუჩებში მალე გამოჩნდნენ მსუბუქად დაჭრილები, შემდეგ მათ მოყვნენ უფრო მძიმენი, და ხალხი სიყვარულითა და სიბრალულით შეჰყურებდა მათ, ეხმარებოდა ტრამვაისა და ტროლეიბუსის ვაგონებში ასვლისას, ემეულებოდა გადასასვლელებზე, თავიზიანად უთმობდა გზას, ლადო ვერ უძლებდა მათ დანახვას. — როგორ უნდა ვიყო უხელო, ან უფეხო, ხომ გადაგირეეთო, იტყოდა ამ დროს.

IV

ბოლო ხანებში წინანდებურად ვეღარ ვაწყობდით რეიდებს და ვერსადაც დავდიოდით. მანამდე ჩვენი ოცნება იყო ვარშავაში წასვლა, ატენის, ყინწვისისა და სხვა საიშვიათო ადგილების ხახვა, შემოდგომობით — კახეთში გემგზავრება. ლადოს ენატრებოდა ვეჯინში მისვლა და ნაცნობი კოლმეურნის ოჯახის მონახულება. მაგრამ იმ პირობებში ასე შორს წასვლა მისთვის აღარ ხერხდებოდა.

მხოლოდ ხანაში „გავბედეთ“ ერთხელ გასეირნება.

1941 წლის ნაგვიანევ შემოდგომაზე, წყნეთის გზით სამადლომდე გამგელელ მანქანას გავყევეთ. შემდეგ გადავუხვიეთ და ტყეტყე ფეხით გვინდოდა ჩასვლა ტაძრის სანახავად.

შევედით აკურისის ტყეში. თითქმის უგზოუკეოდ გავემართეთ მაღალ-მაღალ ხეებს შორის.

„წამყე ბეთანიისაკენ...
იქ, სადღაცა, ახლომახლო,
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო.
გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
ადგილები უკეთესი!
. . . . . .
წამყე ბეთანიისაკენ!“

მიღიღინებდა ლადო და მუხლებამდე მიაპობდა ძირდაცვენილ შარშანდელ ფოთლებს...

ოღნავ შესამჩნევი ბილიკებით გავედით ტყის პირას და გადავადექით ფლატეს. ჩვენს დაბლა, გაღმით — კბოდეზე წამოიმართა ბეთანიის თავარი ტაძრის ჩუქურთმებიანი გუმბათი. შესასკლელთან მიბმული შავი ნაგაზი ავი ღრენით უყეფდა ვიღაცას, ებრძოდა და ღრღნიდა მსხვილ ჯაჭვს, რომელიც მკაფიოდ მოჩანდა ამ სიშორიდანაც.

გაღმა არ გავსულვართ. ლადომ ჩახედა ძირს, ქარაფზე დაკლაკნილ ჩასასვლელ ბილიკს, და მითხრა:

— დავიღალე. იქ რომ ჩავიდე, მერე ვეღარ ამოვალო. ცოტა ხანს დავისვენოთ, ეუყუროთ იმ ტაძარს, აქედანაც კარგად მოჩანს, მერე უკანვე გავბრუნდეთო.

გაღმა-გამოღმა, სიბ კლდეებსა და ფლატეებზე, ჩირაღდნებივით იყო აბრიალებული ირიმლის ბუჩქები. შინდის, კუნელის, ასკილის, მოცვისა და შქერის ნაირნაირად აბრეწილებული და მოჩითული ფოთლები ისე იყო ცეცხლწაკიდებულივით მოგიზგიზე და მზით გაფიცხებული, თითქოს ყოველი მხრიდან მოისმოდა ცეცხლის ენათა ტაკატაკუცი და თვალს სჭრიდა ფერთა გასაოცარი იალ-ცალი. ქვევით, ღრანტეში, ჩაკარგულიყო მდინარე ვერე და მისი ვიწრო ხეობა, პირდაპირ მოჩანდა იალნოს მთები და შორს — კავკასიონის ქედი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო ფერდობზე გადაშვერილ ერთ რუხ ლოდთან ჩამოჯდა, გრძელი ფეხები ხრამის პირას გადააწყო და ხარობდა ლამაზი მიდამოს ყურებით. ასე გიიხარა მან ერთხელაც, ჯვარის მონასტრიდან რომ ჩაეხედეთ მცხეთას.

მანგლისის მხრიდან ორი ყორანი ზანტი ფრენით მოაპობდა ჰაერს, გადმოუფრინეს თავზე ტაძარს და ყრანტალით ჩაეკარნენ ღელეში.

— რა ბედნიერია ფრინველი, — შურით გააყოლა მათ თვალი ლადომ. — ფრთები რომ მქონდეს, რა სწრაფად გადავფრინდებოდი ამ ქარაფებზე, ახლოს ენახავდი იმ ტაძარს, თვალს შევეყლებდი თამარის შვენებით სავსე სახეს და უფრო კარგ გუნებაზე დავბრუნდებოდი თბილისში, — ნაღვლიანად წარმოთქვა მან.

იქიდან წამოსულნი ახლა უფრო დაბურულ ტყეში შეეყვნენ. ხშირხშირად ვისვენებდით აქა-იქ ამოჩრილ ძირკვებზე. შინდსა და მოცეს კიდევ შერჩენოდათ გადამწიფებული მკვნარი ნაყოფი. ჯიბეები ავიივსეთ ძირსჩამოყრილი ტყის თხილით. ცადატყორცნილი მუხები და ჯვმუხა ცაცხვები იდგნენ ისე მუუდროდ და მდემარედ, რომ ჩვენ მართლა დავიკვენთ. მხოლოდ ხეთა კენწეროებში გუგუნებდა უჩინარი ქარი და თავზე გვაყრიდა წითელ-ყვითელ ფოთლებსა და ნეშოებს.

დიდხანს ვიხეტიალეთ ასე. მერე, როცა მოსაღამოდა, სამადლოსთან ისევ „აეკიდეთ“ ერთ სამხედრო ავტოს და კოჯრის გზით თბილისისაკენ დავეშვით...

... თხუთმეტი წლის შემდეგ მწერალთა ერთი ჯგუფი სწორედ აკურისის ტყეზე გავლით ჩავიდა ბეთანიაში. კვლავ ნაგვიანევი შემოდგომა იდგა და ვითომც ყველაფერი ისე უცვლელი მეჩვენა, როგორც იმ დღეს, როცა ლადო ასათიანი და მე ვიყავით იქ. კვლავ იგივე ტყე, მუხლამდე დაყრილი ნეშოები, ტანკენარი, მუხები, ცეცხლწაკიდებული თრამლი და ზეკრი. მხოლოდ ახლა გზაწვრილები და ბილიკები აღარ იყო საძებნი — მიეყუებოდით გზას და მუუდროებას არღვევდა შეგაფუ ტყეში წამომდგარი სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელ ბავშვთა ყიჟინა-ხივილი. მაშინ ლადომ ვერ შეძლო ძირს ჩასვლა. ძნელი ამოსასვლელი აშინებდა, ავადმყოფობისაგან უკვე დაძაბუნებულს. ხოლო ამ ექსკურსიის ყველაზე ხანდაზმულმა მონაწილეებმაც კი ფრიად ადვილად დაძლიეს მათი ასაკის შესაფერად არც თუ ისე იოლი ბილიკი.

როგორ კარგად აღწერა მერე ანა კალანდაძემ მშვენიერი ლექსით ბეთანიიდან გამოვლილი გზა:

ასკილი, მოცხარი, მოცვი...
გზადაგზა კუნელიც გვხვდება...
აღარ წვიმს... ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ვლადიმერ სვანიძე

ფრიდრიხ ენგელსის ბრძოლა შელინგის წინააღმდეგ

(ფრ. ენგელსის დაბადების 140 წლისთავის გამო)

რევოლუციური გადატრიალება, რომელიც კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა მოახდინეს მეცნიერებაში, ბუნებრივი გაგრძელება იყო იმ კრიტიკული და რევოლუციური დამოკიდებულებისა, რასაც ისინი ანხორციელებდნენ მთელი იდეური მემკვიდრეობის მიმართ თავიანთ ადრინდელ ნაშრომებში, რომლებშიც ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იკაფავდნენ გზას.

ამ ნაშრომთა რიცხვს მიეკუთვნება ენგელსის „შელინგი და გამოცხადება. თავისუფალ ფილოსოფიაზე უახლესი რეაქციის შეცდების კრიტიკა“ (1842), რომელიც ამთავრებდა იმ უმნიშვნელოვანესი გარდატეხის პერიოდს ენგელსის სულიერ ცხოვრებაში, როცა დ. შტრაუსის „იესოს ცხოვრების“ და „დოგმატიკის“ გავლენით, ერთდროს რელიგიურად განწყობილი ჭაბუკი ცრუმორწმუნეობის ბურუსისაგან განთავისუფდება და ჰეგელის ისტორიულ-ფილოსოფიური იდეებით გატაცებული, 1840 — 1841 წლებში ახალგაზრდა ჰეგელიანელთა მოძრაობას მიემხრო. ამ პერიოდის პუბლიცისტურ წერილებში „დროის რეტროგრადული ნიშნები“, „ერნსტ მორიც არნდტ“, „იმერმანის მოგონებანი“ და პირად მიმოწერაში ვ. და ფ. გრებერებთან, ენგელსი მაღალ შეფასებას აძლევდა ჰეგელის ფილოსოფიას და ჰ. ჰაინესა და ახალგაზრდა ჰეგელიანელთა მსგავსად ფიქრობდა, რომ ეს ფილოსოფია გერმანიაში შეასრულებდა ისეთსავე როლს, როგორიც XVIII საუკუნის მატერიალიზმმა შეასრულა რევოლუციამდელ საფრანგეთში [1]; მაგრამ ახალგაზრდა ჰეგელიანელთაგან განსხვავებით ენგელსი იმთავითვე კრიტიკულად იყო განწყობილი ჰეგელისადმი და მისი ფილოსოფიის არსებითი ელემენტის ათვისებისათვის სრულიადაც არ სთვლიდა საჭიროებულად მართლმორწმუნე ჰეგელიანელად გახდომას. „ერნსტ მორიც არნდტში“ ენგელსი მკვეთრად ემიჯნებოდა ჰეგელს სახელმწიფოს საკითხში, არ იზიარებდა მის შეხედულებას წოდებებზე, მკაფიოდ ანსხვავებდა ჰეგელს რევოლუციურ მეთოდს რეაქციული სისტემისაგან, გრანდიოზულ პროგრესულ იდეებს ბუნდოვანი და ცარიელი აბსტრაქციებისაგან. „იმერმანის მოგონებებში“ იგი გმობდა მათ, ვინც ჰეგელის აბსტრაქციების შიშით რევოლუციურ მეთოდსაც გაურბოდა, ვისაც ეშინოდა ულრანი ტყისა, სადაც აღმართული იყო იდეათა სასახლე, ვინც ამ ტყეში ნახეთლით არ იკაფავდა გზას და კოცნით არ აღეძებდა სასახლეში ძმინარე მზეთუნახავს [1].

ასეთ კრიტიკულ დამოკიდებულებას ჰეგელისადმი ახალგაზრდა ჰეგელიანელთა შორის მხოლოდ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ანხორციელებდნენ, რის შედეგადაც მათ გულში, უკვე ამ ადრინდელ პერიოდში „უხვად გაიხარა სისტემის შმრალი ჩენჩოსაგან განთავისუფლებულმა არა ერთმა მარცვალმა“ [2].

ამ ტენდენციებმა შემდგომი განვითარება მიიღეს ნაშრომში „შელინგი და გამოცხადება“, რამაც სავსებით განაპირობა უკანასკნელის მნიშვნელობა, როგორც ისეთი ნაწარმოებისა, რომელიც ერთგვარად ამზადებდა

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Из ранних произведений (შემდეგ МЭ, ИРП), стр. 356.

[1] МЭ, ИРП, стр. 384. შეადარე კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II. 1950, 438.

[2] იქვე, გვ. 384.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. ენგელსის გადასვლას იდეალიზმიდან მატერიალიზმზე და რევოლუციური დემოკრატიზმიდან კომუნიზმზე.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში ევროპის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გერმანიაში გადაინაცვლა. 1848 წლის რევოლუცია კარზე იყო მოდგმული. მოახლოებული რევოლუციური ქარიშხალით დამფრთხალმა ფრიდრიხ-ვილჰელმ IV, რესტავრაციის რომანტიკული იდეებით გამსჭვალულმა მონარქმა, რომელსაც ქრისტიან სძულდა რევოლუცია და თავისუფალი აზროვნება, დევნა დაუწყო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს და ჰეგელთან და ჰეგელიანელებთან საბრძოლველად კათოლიკური მიუხეხნიდან ბერლინში მოიწვია მოხუცი შელინგი, რომელიც თავის მიუხეხნის ლექციებში აშკარად გამოდიოდა კათოლიკური სამოციქულო ეკლესიის აპოლოგეტად, და, როგორც ჰაინე აღნიშნავდა, ქოსავით იგრიხებოდა თეორიული და პრაქტიკული ანსოლუტიზმის დერეფნებში და ლაქიობდა იეზუიტთა ბუნაგში, სადაც სულისათვის ბორკილები იქედგობოდა[1].

გერმანული კლასიკური იდეალიზმის ერთერთი შემქმნელი შემთხვევით როდი მოხდა ამ ბუნაგში. მან ჯერ კიდევ „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემაში" შეიმუშავა მოძღვრება ე. წ. ინტელექტუალური ინტუიციის შესახებ, რომელშიც უკვე მოცემული იყო უახლესი ფილოსოფიური მისტიკის საფუძველები. ნატურფილოსოფიის პერიოდის შემდეგ, როცა ფიხტეს ფილოსოფიის ნიადაგზე სპინოზიზმის ერთგვარი აღორძინება მოახდინა, შელინგმა შექმნა იგივეობის სისტემა ანუ მოძღვრება ანსოლუტის შესახებ. იგივეობის თვალსაზრისს პირველად ჰეგელიც იზიარებდა, მაგრამ მალე მათი გზები გაიყო და „სულის ფენომენოლოგიის" (1807) შემდეგ სრულიად დასცილდნენ ერთმანეთს.

იგივეობის ფილოსოფიის მიხედვით ერთადერთი რეალობა არის ანსოლუტი, რომელიც არც სუბიექტია არც ობიექტი, არამედ არის სუბიექტურისა და ობიექტურის იგივეობა და თავისთავის ერთიანობა. ეს მიხეზი, ისე შედეგი. ეს მისტიკური ანსოლუტი შეუგნებლად ისწრაფვის შეიგნოს საკუთარი თავი და ამაღლდეს მოაზროვნე არსებამდე. ამ სრულყოფის პროცესის უმაღლეს საფეხურზე ანსოლუტი წარმოგვიდგება, როგორც თვითცნობიერება—ისეთი აქტი, რომელშიც მოაზროვნე არსება უშუალოდ ხდება თავის თავის ობიექტი. მე და ეხრი მე-ს შესახებ წარმოადგენს ანსოლუტურ ივგეობას. მე-ს ერთადერთი განსაზღვრება არის თვითცნობიერება. როგორ შეიძლება გვქონდეს მე-ს შესახებ ცოდნა და რა ხასიათის შეიძლება იყოს იგი? შელინგი ამ საკითხს სწყვეტს ირაციონალისტურად. იგი აშკარად ღალატობს ეხრს, ლოგიკას და მისტიკური ფანტაზიის ტყვეობაში ვარდება. მე-ს ერთადერთი შესაძლებელი ცოდნა, შელინგის ეხრით, უნდა იყოს ანსოლუტურად თავისუფალი, მას არ უნდა სპირდებოდეს განსაზღვრება და დასაბუთება ცნებაში, ე. ი. იგი უნდა იყოს ჭვრეტა, მზოლოდ მგრძნობელობისაგან განსხვავებით არა საერთოდ ჭვრეტა, არამედ ინტელექტუალური ანუ თვითჭვრეტა[1]. ინტელექტუალური ჭვრეტით შელინგი ცდილობს მიაღწიოს ანსოლუტურ ჭვრეტას, ე. ი. ცდილობს განჭვრიტოს ანსოლუტი შუაგულში, არც ობიექტი, არც ეხრი, არც მიზეზულობა, არც სუბიექტი, არც ობიექტი, არც სული, არც მატერია, არამედ, როგორც გაკვირვებული ჰ. ჰაინე ამბობდა,—ვინ იცის რა! 1803 წელს შელინგი აშკარად დგება რეაქციული რომანტიზმის პოზიციებზე, ხოლო 1809 წელს აგებს ე. წ. დადებით ფილოსოფიას, რომლის არსებასაც გამოცხადება შეადგენდა. 1834 წელს ვ. კუზენის წიგნის „ფრანგული და გერმანული ფილოსოფიის შესახებ" წინასიტყვაობაში მკაცრად იღაშქრებს ჰეგელის წინააღმდეგ და ამ ბრძოლის ფარგლებში მონარქიისა და ორთოდოქსალური რელიგიის დამცველად.

რომანტიკულ რეაქციას ბუნებრივად მოჰყვა ახალგაზრდა ჰეგელიანელთა პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება. რომანტიკული რეაქციის საწინააღმდეგოდ ამოღიენენ მახვილი ახალგაზრდა ჰეგელიანელებმა, უპირველეს ყოვლისა, შელინგის წინააღმდეგ აღმართეს. ამ ბრძოლის

[1] იხ. Г. Гейне, Собр. соч., 1958, т. 6, стр. 132.

[1] И. Шеллинг, Система трансцендентального идеализма, стр. 35.

ყველაზე აქტიური მონაწილე იყო ენგელსი, რომელიც ახალგაზრდა ჰეგელიანელებისაგან განსხვავებით **ინტელექტუალური დემოკრატიზმის პოზიციებიდან** აკრიტიკებდა შელინგს და გამოდიოდა „ჰეგელის ჯანსაღი დიალექტიკის" დაცვით. ამ გამოსვლის დიდი მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ის იყო, რომ იგი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ენგელსის გადასვლას მებრძოლი თეიზმის და მატერიალიზმის პოზიციებზე.

ფ. ენგელსი ახალგაზრდული მგზნებარებით ესხმის თავს შელინგს, როგორც მეცნიერებისა და გონების მტერს; იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ მან, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის სახელოვნამ წარმომადგენელმა, რომელიც ერთ დროს ტიუბინგენში ჰეგელთან

[1] იხ. Г. Гейне, Собр. соч., 1958, т. 6, стр. 132.

[1] И. Шеллинг, Система трансцендентального идеализма, стр. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად თავისუფლების ხეს რგავდა, უსირცხელოდ უღალატა თავისუფლებას.

შელინგის პოლიტიკური და იდეური დაცემა ფ. ენგელსს კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, შელინგის ივივეობის სისტემას აუცილებელად უნდა მიეღო და მიეღო კიდეც თავისი ᲬᲣᲛᲐᲠᲘᲗᲘ სახე, როგორც გამოცხადების ფილოსოფიამ [1], რომელშიც ᲬᲣᲛᲐᲠᲘᲗᲘ ფილოსოფია შეცელილია რელიგიური მისტიკით და მᲔᲠᲔ მოძღვრების ღვთაებრივი პოტენციების შესახებ, ხოლო „ᲭᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲡᲝᲠᲘᲐᲡᲐ“ კატეგორიების თვითცნობიერᲔᲑᲘᲡ. მოძღვრება პოტენციების შესახებ შედგენს ნეგატიური ფილოსოფიის ძირითად შინაარსს. ენგელი მიუთითებს, რომ ᲐᲛ სუბიექტს, რომელშაც ივივეობის სისტემაში მოელი დადებითი შინაარსი შეიწოვა, შელინგი ახლა პოტენციად ანუ წᲘᲜᲔᲑᲘᲡ შესაძლებლობად ასაღებს [2].

ყოფიერების დაუსრულებელ შესაძლებლობად გამოცხადებასთან დაკავშირებით ენგელსი ირონიულად შენიშნავს, რომ კ ა ნ ტ მ ა რაციონალურ აზროვნებას დრო და სივრცე წაართო, ახლა კი შელინგი ᲐᲛᲐს აღარ გვაკᲔᲠᲔᲑს და თვით არსებობასაც გვართმᲔᲡᲚᲘ [3].

ფ. ენგელი სამართლიანად მიუთითებს, რომ შელინგის აზროვნების არსებით თავისებურებას შეადგენს გნოსტიკურ-აღმოსავლური ბოდვა, აბსტრაქციებისა და წარმოდგენების ქაოტური აღრეკა, სადაც ყოველი განსაზღვრება აუცილებლად წარმოდგენილია, როგორც პიროვნება. მაგალითად, მისი ეგრეთწოდებული პოტენციები... ფანტასტიკური სახეებია, რომლებიც გაჰეეულია იდუმალ ღრუბლიან ზᲔᲪᲐᲠᲨᲘ, სიიდანაც გარკვეეთ მოჩანს სამი ღვთაებრივი ეპოსტასის კონტურები [4]. ენგელი გლეჯს შელინგს ᲐᲛ საბურველს და აშიშვლებს მასში მეცნიᲔრებისა და გონების მტერს.

1843 წელს „ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡ“ წინასიტყვაობაში ლ. ფოიერბახმა მოგვიანებული ხარკი მიუზღო შელინგის ფილოსოფიის კრიტიკას. ᲐᲛ წინასიტყვაობაში იგი ახასიათებდა შელინგის ფილოსოფიას, როგორც ᲞᲝᲠᲝᲕᲘᲡ სინდისს, სასაცილო ᲐᲛᲐ მᲔᲓᲘᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ფილოსოფიას; მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიური კალოსტრის ფილოსოფიურ ონᲔᲑᲐᲖᲝᲑᲘᲡ, რომელიც დღის სინათლით დაშინებული სიბნელეში დაღოდეს და მეცნიᲔრიულ მტკიცებებს და გონების საბუთებს ალეგორიებით და პიროვნებათა სახეებით ცვლის [1], ᲐᲛ წინასიტყვაობაშᲘ კ. მარქსს აფიქრებინა, რომ ლ. ფოიერბახი ან ᲧᲥᲕᲔ წᲘᲠᲔᲑ საფუძᲕᲚᲘᲡ ᲬᲠᲘᲗᲚᲘ, ანდა ფიქრობდა რაიმე დაეწᲠᲘᲠᲐ გუდაფᲨᲘᲗᲐ ᲢᲠᲐᲠᲐᲑᲐᲮᲡ— შელინგის შესახებ, რომელსაც ᲮᲐᲚ ფილოსოფიისა და თეოლოგიის შემრᲔᲒᲚᲔᲑᲐ მოაქᲛᲝᲜᲓᲐ თავი, ᲮᲐᲚ სულისა და ᲮᲠᲘᲡᲗᲘᲡ შემᲐᲠᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲮᲐᲚ კიდეკᲘ ისეთ ადამიანად, რომელიც ვითომდა დოგმატიზᲛᲘ ანგრევდა. კ. მარქსს მიაჩნდა, რომ ლ. ფოიერბახი წᲐრმოადგენდა შელინგის ანტიპოდს და ყველაზე შესაფერის ადამიანს, რომელიც მოწᲛᲝᲜᲓᲐᲡᲔᲠᲘ იყო შელინგის აუცილებელ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲠᲘᲡ მოწინააღმᲓᲔᲒᲐᲓ თვით მისი უდიდᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡა და ისტორიის მიᲠ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ თხოᲕᲔ იგი ლ. ფოიერბახს გამოსულიყო შელინგის წინააღმᲓᲔᲒ და მოეცა მისი დახასიათება კ. მარქსისა და ა. რუგეს მიერ დაგეგმილი ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ-ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲚᲘ“ პირᲕᲔᲚᲘ წᲘ�გნისათვის [2]. ფოიერᲑᲐᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲕᲔ წᲚᲘᲡ გამოᲬᲘᲛᲐᲠᲘᲐ ᲐᲛ თხᲝᲜᲐᲡ და თავის ფრაგმᲔᲜᲢᲨᲘ „ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲤᲝᲜ ᲨᲔᲚᲘᲜ�გი“ კᲚᲐᲕᲐ ᲑᲐᲮᲬᲐᲡᲘᲛᲝᲜ აღნᲘᲨᲜᲐ ნეოშᲔᲚᲘᲜᲒᲘᲐᲜᲔᲠᲘᲜ ᲘᲓᲔᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ სკᲚᲔᲠᲘᲡტიკური და თეოსოფისტური ᲑᲐᲡᲘᲐᲗᲘ [3]. თითქᲛᲘᲡ ᲐᲡᲗᲐᲡᲐᲒᲝ შეᲬᲛᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲚᲔᲒᲓᲜᲔᲑᲘ შᲔᲚᲘᲜᲒᲘᲡ რუსი რევოლუციონერი დᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ბ. ᲑᲔᲚᲘᲜᲘᲡᲐ და ნ. ჩᲠᲜᲘᲨᲔᲕᲡᲘᲡ, რომლᲔᲑᲘᲡ მᲘᲡ ცოᲪᲮᲚᲔᲑᲐ დამᲐᲠᲗᲣᲚ საკᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და ᲝᲡᲚᲘᲡᲬᲠᲐᲤᲚᲘᲗᲐᲜᲘᲡ სიᲛᲨᲕᲔᲚᲝᲗ სთᲕᲚᲘᲓᲜᲔᲑ. ᲐᲛᲠᲝᲗᲐᲜᲐ, შელინგის თითქᲛᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ იმᲠᲝᲜᲓᲜᲔᲚᲘ კრიტიკᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲰᲐᲘᲜᲔᲑᲘᲡ დაᲬᲣᲓᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ უსვამᲔᲜᲓᲜᲔᲚ ᲮᲐᲮᲚᲘ ნეოშᲔᲚᲘᲜᲒᲘᲐᲜᲣᲠᲘ რეაქციის მთავარ დამᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲚᲘ ნიშᲜᲘᲡ — ᲘᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ და თეოსოფისტურ სკᲚᲔᲠᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ, რაც დამᲝᲣკიდებლად და დამᲐᲯᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ გამოაᲨᲯᲐᲠᲐ ახალგაᲖᲠᲓᲐ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ. მაგრᲐᲛ შელინგის ახალგაᲖᲠᲓᲐ ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘ კრიტიკᲘᲡᲗᲐᲜ შედარᲔᲑᲘᲗ, ᲔᲜᲒᲔᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ თავით მაღლა იდგა. დიდი განსხᲕᲐᲕᲔᲑᲐ ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲐ და შელინგის სხვა კრიტიკᲘᲡᲗᲘᲡ შორის ის იყო, რომ უკᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ თითქᲛᲘᲡ სრულიად გᲐᲛᲝᲠᲩᲘᲡ მხᲝᲠᲔᲓᲔᲚᲘᲗᲐᲓᲐᲜ ნეოშᲔᲚᲘᲜᲒᲘᲐᲜᲣᲠᲘ რეაქციის ᲐᲜᲢᲘᲰᲔᲒᲔᲚᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ, რასაც ᲔᲜᲒᲔᲚᲡᲘᲡ კრიტიკᲘᲡᲗᲕᲘᲡ განსაკუთრებული ადგილი ეკუთᲠᲘᲡ. მართალია „წინასწᲐᲠ თეზისებში ფილოსოფიის რეფორმᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ (1842) ლ. ფოიერბახმა სკᲘᲐᲜᲐ ᲰᲔᲒᲔᲚᲘᲡა და შელინგის დაპირისპირება, მაგრᲐᲛ ეს დაპირისპირება მხᲝᲚᲝᲓ გნოსეოლოგიის საზღვრᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲨᲘ ᲮᲔᲑᲘᲗᲐᲜᲐ და სრულიად არ ეხებოდა მეთო-

---

[1] МЭ, ИРП, стр. 416.

[2] იქვე, გვ. 417.

[3] იქვე, გვ. 392.

[4] იქვე, გვ. 404.

[1] იხ. ლ. ფოიერბახი, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲘᲡა, 1956, გვ. 28-29.

[2] МЭ, ИРП, стр. 258.

[3] Л. Фейербах, Избр. фил. произв., 1955, т. I, стр. 206.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის სფეროს. ლ. ფოიერბახის აზრით, „ჰეგელს არ ყოფნის განქვრეტის ძალა, შელინგს აზრისა და განსაზღვრების ძალა... შელინგისათვის რაციონალური მხოლოდ მოჩვენებაა, ირაციონალიზმი — ჭეშმარიტება... ჰეგელი საგნებს წმინდა აზრად აქცევს, შელინგი წმინდა აზრებს, მაგალითად, ღმერთის თვითყოფობას საგნად აქცევს... ჰეგელი უაზრობიდან ქმნის გონიერს, შელინგი, პირიქით, გონიერს უაზრობად აქცევს“ [1]. ამრიგად, ამ დაპირისპირებაში ლ. ფოიერბახს, რომელიც მჭვრეტელობითი, მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან ებრძოდა შელინგს, მხედველობიდან გამორჩა წინააღმდეგობა დიალექტიკის ჰეგელსა და რომანტიკოს შელინგს შორის;

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ ჰეგელის ფილოსოფიამ, როგორც გარკვეული ეპოქის პირნშეშმ, საკუთარ თავზე გამოსცადა სისწორე თავისი ავტორის სიტყვებისა იმის შესახებ, რომ ყოველგვარი ფილოსოფია წარმოადგენს გარკვეული ეპოქის მხოლოდ აზრებში გამოხატულ შინაარსს; ჰეგელის პოლიტიკური შეხედულებანი, მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ და სხვ. ინგლისურ დაწესებულებათა გაფლენით ყალიბდებოდა და რესტავრაციის პერიოდის აშკარა გაფლენას განიცდიდა. ამ გარემოებამ განაპირობა ჰეგელის არათანმიმდევრობა — ის საგბრები, რომლებიც თვითონ ჰეგელმა დაუყენა თავის მოძღვრებიდან გამომდინარე დასკვნების მძლავრ ამობოკრებულ ნიაღვარს, განპირობებული იყო ნაწილობრივ დროით, ნაწილობრივ მისი პიროვნებით; ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ჰეგელს მეტი ახსტრაქტება მოეხდინა იმ პოზიტიური ელემენტებისაგან, რომლებითაც იგი იყო განმსჭვალული თავისი დროის სულიერი ატმოსფეროს გაფლენით, მაშინ მისი რელიგიის ფილოსოფია და სამართლის ფილოსოფია უეჭველად სრულიად სხვა მიმართულებას მიიღებდნენ. მხოლოდ ამ გაფლენთ უნდა ახსნას ყოველივე, რაც მეტისმეტად ორთოდოქსალურია მის რელიგიის ფილოსოფიაში და რასაც ფსევდოსტორიზმის სუნი ასდის მის სამართლის ფილოსოფიაში. მაგრამ ჰეგელის პოლიტიკური შეხედულებებისაგან განსხვავებით მისი ფილოსოფიის ზოგადი პრინციპები ყოველთის ატარებენ დამოუკიდებლობისა და თავისუფალი აზროვნების ბეჭედს. ამასთან, ენგელსის აზრით, ჰეგელში დამოუკიდებელი, გაბედული მოაზროვნე ხშირად სძლევდა ათასგვარი გაფლენის ქვეშ მყოფ პროფესორს. ამრიგად ფ. ენგელსი, აქაც ისე, როგორც „ერნსტ მორიც არნდტში“, კვლავ ხაზს უსვამს წინააღმდეგობას ჰეგელის სისტემასა და მეთოდს შორის, ანუ როგორც იგი გამოთქვამს, ჰეგელის ფილოსოფიის წინაშდეგრებსა და დასკვნებს შორის.

ენგელსი აღნიშნავს, რომ შელინგმა სრულიად ვერ გაიგო ჰეგელის მძლავრი დიალექტიკა და იგი ცალკეული კატეგორიების თვითცნობიერებაზე დაიყვანა [1]. შელინგთან ყველაფერი იმით ამოიწურება, რომ ორი სხვადასხვა ელემენტი, რომელთაც საერთო არა აქვთ რა, ავიწროებენ ერთმანეთს და ერთმეორის ადგილს იკავებენ. შელინგის პოტენციებიდან ერთი „ლტვის“ ყოფიერებისაკენ, მეორე არაყოფიერებისაკენ, მესამე „თავი-უფლად დაჰქრის“ მათ შორის; „ისინი ადგილს უთმობენ ერთმანეთს“, „ავიწროვებენ ერთმანეთს“, „უპირისპირდებიან“ ერთმანეთს, „მოქმედებენ“, „მოისწრაფიან“ და სხვ. ე. ი. მათ ამოძრავებს „სურვილი“, „მისწრაფება“, „ლტოლვა“ და არა ობიექტური კანონზომიერება, არა შინაგანი წინააღმდეგობა [2].

აშკვარად, ფ. ენგელსს მიაჩნია, რომ აღმოსავლურ-გნოსტიკური მისტიკა, რომელთაც გამსჭვალული იყო შელინგის დადებითი ფილოსოფია, შეადგენდა აგრეთვე უკანასკნელის მთელი „დიალექტიკური კონსტრუქციის“ საფუძველთა საფუძველს. ამიტომ იყო, რომ იგი წინააღუდგა ჰეგელის ამ „ჯანსაღი დიალექტიკის“ ხელყოფას, ამით აიხსენა ისიც, რომ მისი კრიტიკა არსებითად განსხვავდებოდა ახალგაზრდა ჰეგელიანელთა კრიტიკისაგან. კ. მარქსის შემდეგ ახალგაზრდა ჰეგელიანელთა შორის ენგელსი ერთადერთი იყო, რომელიც მზრუნველობით და კრიტიკულად ეპყრობოდა ჰეგელის ფილოსოფიის არსებით ელემენტს — დიალექტიკას. ენგელსი აკრიტიკებდა ახალგაზრდა ჰეგელიანელებს იმისათვის, რომ ისინი ვერ ბედავდნენ ჰეგელის ფილოსოფიიდან გამომდინარე ყველა დასკვნის აშკარად გამოთქმას [3] და მათგან განსხვავებით ცდილობდა რაციონალური ახსნა მიეცა ჰეგელის დიალექტიკისათვის. შელინგთან ბრძოლაში ენგელსი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს შინაგანი წინააღმდეგობის გადაწყვეტის მნიშვნელობას და იმას, რომ წინააღმდეგობა შელინგისნაირად კი არ უნდა მოიგდეს, არამედ ბრძოლით უნდა გადაიჭრას [4]; იგი აკრიტიკებდა შელინგს თავისუფლებისა და თვითნებობის აღრევისათვის და ჭეშმარიტებად მხოლოდ ისეთი თავისუფლება მიაჩნდა, რომელიც აუცილებლობას შეიცავს [5].

ამ ნაწარმოებში ფ. ენგელსს პირველად ეტყობა ძლიერი გავლენა ლ. ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებისა“.

---

[1] Л. Фейербах, избр. фил. произв. 1955, т. I, стр. 127.

[1] იხ. МЭ, ИРП, стр. 402.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 397.

[4] იქვე, გვ. 427.

[5] იქვე, გვ. 442.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. ენგელსი, რომელსაც სავრთოდ ახასიათებდა ძლიერი მიდრეკილება მატერიალიზმისაკენ, „ქრისტიანობის არსების“ პირველი კაცნობისთანავე უყოყმანოდ ემხრობა ფოიერბახის ჰეგ�ანობას და უკანასკნელის გავლენით მნიშვნელოვნად იცვლის დამოკიდებულებას ჰეგელის მიმართ იმ აზრით, რომ მის იდეალისტურ ფილოსოფიაში მატერიალისტური შინაარსის ჩაქსოვას ცდილობს. მაგალითად, ენგელსს მიაჩნია, რომ ჰეგელის (და შტრაუსის) რელიგიის ფილოსოფია და ქრისტიანობის ფოიერბახისეული კრიტიკა მიდიან „ერთსა და იმავე დასკვნამდე, რომ თეოლოგიის საიდუმლოებას წარმოადგენს ანთროპოლოგია“ [1]; შემდეგ ჰეგელის ლოგიკის აბსტრაქტულ ცნებებს ენგელსი ბუნების აბსტრაქციებად სთვლის და ჰეგელს მიაწერს აშკარა მატერიალისტურ (ფოიერბახის) აზრს იმის შესახებ, რომ გონება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ბუნებაში, ბუნებასთან ერთად და არა ბუნებისაგან სრულიად იზოლირებულად [2]. ეს იყო ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის გამატერიალიზმების ტენდენცია.

მაშასადამე, ჰეგელიზმი, რომელსაც ახალგაზრდა ენგელსი ეზიარა ლ. ფოიერბახის გავლენით, ერწყმოდა არა სუბიექტივისტურ-იდეალისტურ ანთროპოლოგიზმს, როგორც ამას ბუტენაბინის დიალექტიკა ლაქიები გვიხატავენ, არამედ მატერიალიზმს. მაგრამ მატერიალიზმზე გარდამავალი გზა ფიანდზიით მოფენილი, პირდაპირი შარაგზა როდი იყო; ეს იყო მწვავე ბრძოლით და წინააღმდეგობებით აღსავსე, დაძაბული ძიებათა გზა. ამ გზაზე, რა თქმა უნდა, არც ფოიერბახის მატერიალიზმი იყო უკანასკნელი პუნქტი. ამიტომ, როცა ფოიერბახის გავლენაზე ლაპარაკობენ, მარქსისტები ყოველთვის ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ამ გავლენას ჰქონდა მხოლოდ გამამთავისუფლებელი და არა თვითმპყრობელური, შედარებითი და არა აბსოლუტური ხასიათი.

ასევე რთული და ძნელი იყო ახალგაზრდა ენგელსის გზა „ვუპერტალური რწმენიდან“ ათეიზმამდე. ერთ დროს ღრმად რელიგიურად განწყობილი ახალგაზრდა, რომელმაც „ახალგაზრდა გერმანიისა“ და შტრაუსის გავლენით თავი დაიწყია „ვუპერტალურ რწმენას“. საბოლოოდ შეაქცია ზურგი ქრისტიანული ორთოდოქსიის თალხად ხევებს და სამუდამოდ დაკარგა რწმენა სახარებისადმი, რომელიც აღსავსე იყო შეუწყნარებელი წინააღმდეგობებით.

ᲯᲐᲠ კიდევ გრეგერებთან მიმოწერაში ენგელსს არ აკმაყოფილებდა განყენებული რელიგიური კრიტიკა და ორთოდოქსალური რელიგიის კრიტიკიდან უშიშრად გადადიოდა პოლიტიკის კრიტიკაზე, ბრძოლაზე არსებული წყობილების წინააღმდეგ [1].

ეს ხაზი შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას პოულობს ნაშრომში „შელინგი და გამოცხადება“. ნეოშელინგიანურ რეაქციასთან ბრძოლაში ფ. ენგელსი ლ. ფოიერბახის დახმარებით საბოლოოდ დგება ათეიზმის პოზიციაზე და მოურიდებლად აკრიტიკებს თვით ახალგაზრდა ჰეგელიანელებს იმ შეზღუდულობისა და არათანმიმდევრობისათვის, რასაც ისინი იჩენდნენ რელიგიის კრიტიკის დარგში და „შტრაუსის შემდეგაც კი თავიანთი თავი ქრისტიანობის ფარგლებში მყოფად მიიჩნდათ და კიდევაც ამაყობდნენ ამ ქრისტიანობით ეპრალული წინაშე“ [2]. ენგელსის ათეიზმი თავისი განსაკუთრებული პოლიტიკური მიზანსწრაფვით და მეფიერო კავშირით პოლიტიკურ ბრძოლასთან თავისუფლებისათვის, რეაქციული ქრისტიანული სახელმწიფოს წინააღმდეგ, არსებითად განსხვავდებოდა არა მარტო ახალგაზრდა ჰეგელიანელთა რელიგიური კრიტიკისაგან, რომელიც თეოლოგიის ფარგლებს ვერ სცილდებოდა, არამედ თვით ფოიერბახის მშვიდტელობით ათეიზმისაგანაც და მკვეთრად გამოხატული მებრძოლი ათეიზმის სახეს იღებდა.

ამრიგად ფ. ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარების კონკრეტული ანალიზი, თუნდაც ერთი ადრინდელი შრომის „შელინგი და გამოცხადების“ მაგალითზე, ნათლად გვიჩვენებს იმ სქემების უსუსურობას, რომლებსაც რევიზიონისტები თხზავენ მხოლოდ იმისათვის, რომ მონათლონ მარქსი და ენგელსი ან ჰეგელიანელებად, ან ფოიერბახიანელებად, ე. ი. წაართვან მათ საკუთარი სული და გული.

ფ. ენგელსის გადასვლა მატერიალიზმზე საბოლოოდ განსაზღვრა რევოლუციურმა პრაქტიკამ, რომლის გარეშეც, ცხადია, შეუძლებელი იყო ახალი მატერიალიზმის დასაბუთება. მაგრამ რამდენადაც დიალექტიკური მატერიალიზმი გერმანული იდეოლოგიის ახალ იდეალიზმთან ბრძოლაში აყალიბდებოდა, ენგელსის გამოსვლას შელინგის იდეალიზმის წინააღმდეგ, ამ მხრივაც, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ამ ბრძოლის წინადადეს.

[1] მᲔ, ᲘᲠᲞ, 443—444.
[2] იქვე, 412.

[1] მᲔ, ᲘᲠᲞ, 336.
[2] იქვე, 398.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაჭავარიანი

მეგრძოლი მგოსანი

სალიტერატურო ცხოვრება საქართველოში მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ის მსატვრის პალიტრას ჰგავს. აქ ყველა ფერი წარმოდგენილი. ზოგი მხატვარი მრავალ ფერსა ხმარობს, სხვადასხვაგვარად აზავებს მათ. უყვარს ნახევარტონები, გაჯერების დანახულის პირდაპირ ასახვას, ფერთა მეტად რთულ გამას ხმარობს. სხვანიც არიან. მათ საგანთა, მოვლენათა, განცდათა პირდაპირი მინიშნება უყვართ. ისინი ასე მსჯელობენ: ასახვის მხოლოდ ის მეთოდია ჭეშმარიტი, რომელიც უტყუარ, ობიექტურ მონაცემებს ემყარება. ფანტაზიას საზღვარი არა აქვს და სად მიიყვანს ის მხატვარს? კითხულობენ ამ შეხედულების ხელოვანნი. ასეთი მსჯელობა ზედმეტ გაბერალოებას, პრიმიტიულობას როდი ნიშნავს.

სამყაროს აღქმა, მის კანონზომიერებათა ამოხსნა და დადგენა მრავალ ხერხს მოითხოვს. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა, მით უმეტეს გრძნობადი სამყაროს რთულ ლაბირინტში გარკვევისთვის ადამიანი იძულებულია მიმართოს სხვადასხვა ხერხს, უშუალო ჭვრეტასაც და ღრმა ანალიზსაც. ყველა შემოქმედს თავისი ნიჭისა და შესაძლებლობის ფარგლებში უხდება ამ ამოცანის გადაწყვეტა.

ამიტომ ერთობ არასრულად გვეჩვენება კლასიფიკაციის ის მეთოდი, რომელიც მხატვრებს, კაზმულსტაყვიერების ოსტატებს იმის მიხედვით ახარისხებს თუ მოვლენათა სიღრმის რამელ დონეს შეიცნობს და ამოგვიხსნის იგი. მთავარი აქ სხვაა. კრიტერიუმი სხვა უნდა იყოს. სრულად ასახვას თუ არა შემოქმედი იმ არეს, რომელიც მის ნიჭისათვის ხელმისაწვდომია, რამდენად აქვს მას განვითარებული პოეტური ხედვის უნარი, რამდენად ობიექტური და გულწრფელია ის სამყაროს შეცნობის, ასახვის მომენტში?

შავგნელ დღეებში, როდესაც რუსეთში პოლიტიკური წყვდიადი ჩამოწვა, მაშინ როდესაც რევოლუციას ზუტგი აქციეს იმ ადამიანებმაც კი, რომელნიც სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ მას ოსანას უმღერდნენ, სტოლიპინის რეაქციის შავბნელ დღეებში, 1909 წელს ახალგაზრდა მუშა მგოსანი სანდრო ქურიძე-ეული, რომელიც ის იყო გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე აი რას წერდა:

ბედით გმობილი,
გულდაკოდილი,
ტანჯულ ცხოვრებას არ დავემონე. —
შორით გავხედე, —
ბრძოლა გავბედე, —
დიადი რწმენა გულს ჩავიკონე...

ბევრმა, მათ შორის ცნობილმა ოსტატებმაც იმ დროს „დიადი რწმენა“ დაკარგეს. დაგმეს ის, რასაც თითქოს ამას წინათ ეთაყვანებოდნენ. მათ „გულს არ ედოთ საქვეყნო დარდები“. ჩვენი პოეტი კი, ისევ „ფრთებსა შლის“, „მფრინავს მზიურ ქვეყნისკენ“.

იმ წლებში ეს ოპტიმიზმი მართლაც რომ უჩვეულო რამ იყო. ის რჩეულთა ხვედრი იყო.

რა ასაზრდოებდა ამ ოპტიმიზმს? იმ წყეულ დროში, ქვეყანას რომ ბნელი ღრუბელი ზედ ეწვა, როგორ იხილა პოეტმა „მზიური ქვეყანა“?. ალბათ იმიტომ, რომ მას შეუდრეკელი, ეშმიოტანელი რწმენა ჰქონდა მომავლისა. რადგან მას ეს რწმენა „გულში ჰქონდა ჩაკონილი“.

მგოსანი ცხოვრების მხოლოდ ზედაპირზე მდებარე მოვლენების ხილვას რომ დასჯერებოდა, როგორც დაინახავდა ის 1909 წელს „მზიურ ქვეყანას“?

ნახევარი საუკუნის შემდეგ, უკვე მხცოვანი და სახელმოხვეჭილი პოეტი, რომელიც თავის დაბადების სამიოდაათ და შემოქმედებით მუშაობის ორმოცდაათ წელს აღნიშნავს, აი როგორა წერს:

„თვალებში რწმენის მე კელავ ჩამდგარი,
ამოფრენილი გულის სიღრმიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატკბობს, მახარებს, — მისგან გამთბარი
მომდერალი ვარ მისი სიყრმიდან.
თუმც გამკრავს ზოგჯერ ტკივილი გულში
და ზოგჯერ სახეს მიფარავს მწუხრი,
მე მაინც ის ვარ, ვინც ვიყავ გუშინ,
ვინც სულმდაბლობას ქედს არ მოუხრის."

სანდრო ქუთაისელი 1890 წელს, 23 ოქტომბერს დაიბადა, გურიის პატარა სოფელ ზომლეღში. ღარიბ, უმიწაწყლო გლეხის ოჯახში. მამა რომ გარდაიცვალა, ის ექვსი წლისა იყო. სანდროს ბავშვობა ადარ უნახავს, არც ყმაწვილობა და არც ყრმობა. ცხოვრებაში ფეხი შედგა ადამიანმა, რომელიც ბუნებას რომ პოეტური ნიჭით არ დაეჯილდოვებინა, ალბათ იმ ჭაპანწყვეტაში იქნებოდა, ათასობით თუ ათიათასობით ქართველი მიწის მუშა რომ იმ-ყოფებოდა.

დაობლებული სანდრო და ქვრივი დედა ისლით გადახურულ პატარა ოდაში ცხოვრობდნენ. მომავალი გამოჩენილი ქართველი პოეტის დედამ ყველაფერი გააკეთა, რათა ვაჟისათვის მცირეოდენი განათლება მიეცა.

სანდრო თხუთმეტი წლისა იყო რევოლუციური ნათლობა რომ მიიღო. გურიაში რევოლუციური მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობდა. უმიწაწყლო გლეხობა, რომელიც სოფელთან კავშირს არ წყვეტდა, მაგრამ ძალუძებელი იყო სამუშაო ქალაქში ეძებნა, პირველ რიგში ბათუმში, ფოთში, რკინისგზის სადგურებზე განსაკუთრებული რევოლუციური სულისკვეთებით იმსჭვალებოდა. სოფლის დუხჭირ ცხოვრებას გაუჩობოდა. ქალაქად კი ჯოჯოხეთს პოულობდა. გლეხი საგონებელში ვარდებოდა. ამაზე წერს სანდრო თავის ერთ-ერთ პირველ ლექსში:

ვმუშაობდი, ოფლსა ვღვრიდი
და ვუქმნიდი
ხსვებს ქონებას.
ხსვებს ვუუბდი ამ ქვეყნიურს
ტკბილ სიცოცხლეს, ტკბილ ცხოვრებას.
თვითონ ტანჯვას ვატარებდი
უღელს ვეკიდი მონობისა, —
ჩემ ქოხმახში გაისმოდა
ხმა ტირილის, ხმა გლოვისა.

და გაოგნებული გლეხი-მუშა კითხულობს „რა დავაშავეთ?"

ეს კითხვა ეგებ ცოტა არ იყოს გულუბრყვილო ხასიათს ატარებდეს. მაგრამ როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს ის, — კითხვა ცხოვრებამ დააყენა ჩვენი გლეხისა და მუშის წინაშე.

იმ წლებში არსებულ წესწყობილებას სხვადასხვა კლასები და სოციალური ფენები სულ სხვადასხვა პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ. ამასთან დაკავშირებით კრიტიკის მახვილიც ხან ბასრი იყო ხან კი ჩლუგი. მეფის თვითმპყრობელობა პირველ რიგში მემამულეთა და რეაქციულ ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. თუ ამ სოციალურ ფენებს არ მივიღეთ მხედველობაში, მეფეს სხვა მკვიდრი დასაყრდენი ძალა არა ჰყავდა. ლიბერალურად განწყობილი ბურჟუაზიის ნაწილიც კი აკრიტიკებდა თვითმპყრობელობას. რუსეთში მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ფართო დემოკრატიული ფრონტი გაიშალა. ამ დემოკრატიულ ფრონტის ყველა მონაწილე როდი იყო თანამიმდევრული ბრძოლის მიზნების და ამოცანების, მეთოდებისა და ტაქტიკის განსაზღვრაში. ცარიზმის ციხესიმაგრეს ეჯახებოდა ძლიერი ტალღები. გლეხთა გამამთავისუფლებელი ზოგად დემოკრატიული ხასიათის მოძრაობა, ეროვნულ-გამამთავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ავრეთვე ზოგად დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა, მუშთა კლასის ძლიერი მოძრაობა, რომელიც ამ საერთო სახალხო მოძრაობის ღერძი, მისი წარმართველი ძალა იყო.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ყოველ ეროვნულ-გამამთავისუფლებელ მოძრაობაში ყოველთვის არის დემოკრატიული, პროგრესული ელემენტები. ეს დემოკრატიულობა და პროგრესულობა ლიტერატურულ მოძრაობაშიც გამოიხატება, რიგ შემთხვევაში კი ის ყველაზე უფრო რელიეფურად სწორედ ამ დარგში იჩენს თავს. იმ ლიტერატურულ მოძრაობაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდელ ეპოქაში გაიშალა და რომელიც ჩვენში პირველ რიგში ყოველთვის ეროვნულ-გამამთავისუფლებელ ხასიათს ატარებდა, სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობანი მონაწილეობდნენ. რასაკვირველია ყველა მიმდინარეობა თითქოს ერთ მიზანს ისახავდა — ერის განთავისუფლებას, მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ესმოდა თუ რა გზით, რა მეთოდებით უნდა წარმართულიყო ეს ბრძოლა. ეინც ამ საუკუნის პირველი მეოთხედის ლიტერატურულ მოძრაობაში წესიერად და ყურადღებით ჩაიხედავს, იქ დაინახავს პოზიციათა სხვაობასაც და დიდ მრავალფეროვნებასაც. ის დასი მწერლებისა, რომელსაც სანდრო ეული ეკუთვნოდა ცარიზმის, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მებრძოლ ყველაზე უფრო თანმიმდევრული სოციალური ძალის მუშთა კლასის პოზიციებზე იდგა. ის ეროვნულ განთავისუფლებას, სოციალურ ემანსიპაციას უკავშირებდა.

1910 წელს სანდრო ეული წერს:

წინ, წინ ვიწევ, წინ მივდივარ
ხელთ მიპყრია დროშა ძმობის,
მსურს სამეფოს მივაღწიო
სიყვარულის და ერთობის.

ამ სტრიქონებში შესაძლებელია კლასობრივი პოზიცია მკვეთრად არ არის გამოხატული. სო-

ციალური დიფერენციაცია, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ესთეტიკური პოზიციები ს. ეფელის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ არ იყო გამოჯანსული: ეს კი გამოჯანსა შემდგომ წლებში მოხდა. ამ შემთხვევაშიც ს. ეფელის პოზიცია იმ ვითარების ანარეკლი იყო, რომელიც მაშინ ჩვენში სუფევდა.

„ბაზა შერე გაიყრება, მოგვიანებით, უკვე 1915 წელს სანდრო ეფელი ამბობს:

...მაშ, რა მოხდა
რომ ვერ გიცანი?
ბაზა გაიყარა — სხვადასხვაა
ჩვენი მიზანი“.

ამ ხანაში სანდრო ეფელი ინტერნაციონალისტია, ლენინელი. მოწინავე მებრძოლი პროლეტარიატის რიგებშია. იმ დროს ბევრი დაიბნა, ზოგი პაციფისტურ ფრაზას ამიფარა, ზოგმა თავის დიდ იდეალს უღალატა და გაიძახოდა „ვიოქმოთ სამოლოო გამარჯვებამდეო“. სანდრო ეფელი კი წერს:

ომში დაღუპულთ პატივი ეცით
და ვუპასუხოთო ომის ცეცხლს — ცეცხლით.

ამ ორიოდე წლის წინათ ცხარე კამათი გაიმართა ახალი ქართული ლექსის საწყისების ძიების გარშემო. ერთი ჯგუფი ამტკიცებდა — ახალი ხანა ქართული პოეზიის მატიანეში სიმბოლისტების ჯგუფის გამოსვლას უკავშირდებაო. მეორენი, გულგანწყენნი გაიძახოდნენ: ეს ასე არ არისო. ქართულ ლექსს არავითარი ტრანსფორმაცია არ განუცდია, ის აკაკის, ილიას, ვაჟას ბაზს განაგრძობსო. ზოგნი ამბობდნენ გალაკტიონის სახელთან არის დაკავშირებული ეს ახალი ხანაო. ამ ბოლო ხანს ერთმა ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა გიორგი ლეონიძის იუბილესთან დაკავშირებით დაწერა — მისი პოეზიაა ქართული ლექსის ახალი დროის მაუწყებელიო. ჩვენ გვგონია, რომ ეს დისკუსია ცოტა არ იყოს სქოლასტიკური ხასიათს ატარებდა და პოლემისტები ღია კარების შემტვრევას ლამობდნენ..

ლექსი ცხოვრებასთან ერთად ვითარდება. ის პოეზია დაიღუპა, რომელიც ცხოვრებას ნაბიჯს არ უსწორებს და რომელიც წინ არ იხედება. ლექსმა, მისმა ალნაგობამ, მისმა სტრუქტურამ ჩვენში კი არა, მთელ მსოფლიოში იცვალა ფერი ამ საუკუნეში. პოეტების ქვეყნად წოდებულ საქართველოს რა ღმერთი გაუწყრებოდა, რომ ლექსის ცხოვრების ეს ახალი პულსაცია არ ეგრძნო და მეცხრამეტე საუკუნის პოეტურ ხერხებისა და პოეტურ წარმოსახვის პოზიციებზე დარჩენილიყო. საქმე ისაა, რომ ახალი ქართული ლექსის ძიება სხვადასხვა გზით მიდიოდა. ვისაც მგონია, რომ ეს ძიება მარტო ლექსთწყობის ახალი ხერხების გზით შემოიფარგლა — ის ცდება. აკაკის, ილიას, ვაჟას ტრადიციებისადმი ერთგულება იმას ნიშნავს, რომ არ უღალატო მათ პოეტურ, შემოქმედებით პრინციპებს. პოეზია ჩვენ დიდ კლასიკოსებს ერის, ხალხის მსახურად მიაჩნდათ, ნათელის მადიდებლად და ბნელის, პოროტის მაძაგებლად. მაგ. ვაჟას აზრით პოეზია ფილოსოფიური აზროვნების, ე. ი. უდიდესი, ღრმა შინაარსის მატარებელი უნდა იყოს. ამ პრინციპისათვის არ ფუღალტნა ქართველთა პოეტური რაზმის არც ერთ ასე თუ ისე შესამჩნევ დასს. ერთი ორი გამონაკლისი აქაც იყო რასაკვირველია. პოეტების ის ჯგუფი, რომელსაც სანდრო ეფელი ეკუთვნოდა, თავისებურად ავითარებდა ეროვნული პოეზიის ამ ტრადიციას. მან ახლებურად დასვა ის სოციალური მოტივები, რომელნიც ადრეც ელერდნენ ქართულ პოეზიაში. ის მებრძოლი მუშათა კლასის, მშრომელი მასის უშუალო პოლიტიკური თუ ესთეტიკური ინტერესების და მრწამსის გამომხატველი იყო.

1915 წელს სანდრო ეფელი ასე წერდა:

ჩემი ჩანგი ცეცხლი არის,
ცეცხლში იშვა ჩემი რწმენა,
ცეცხლი არის ჩემი ბედი,
სიხარული, ალმაფრენა.

* * * * * * * *

მაშ ჩადექი მკლავში, ძალავ,
მომავალი ვსაფდოთ, გრდემლო,
არ ჩაგვიქრეს ცეცხლის ალი,
დაუბერე, საბერელო.

ხანდრო ეფელის მეორე ლექსში ეკითხულობთ:

მაგიდას ვალაქუნს,
საფილის მაგიდას,
ვუკეთებ სისხლით მთვრალს
და მაძღარს, — კაცს მდიდარს.
მაძღარისთვის ვაკეთებ
მშიერი მაგიდას.
გაშლილს და გაწყობილს
დარბაზში დაიდგამს.
ღრო მოვა ღარიბებს
დავუდგამთ მაგიდებს,
ასეთ დროს ვუმღერით,
ასეთ დროს ვადიდებთ.

რასაკვირველია, ეს სტრიქონები ახალი ლექსთწყობის ნიმუში არაა, მაგრამ აქ არის მებრძოლი პათოსი, მუშათა კლასის გამარჯვების ღრმა რწმენა, სწორედ იმ მომენტში, როდესაც ზოგს ეს რწმენა დაეკარგა. აქ იგრძნობა რევოლუციის ახალი ძალის მოახლოება. პოეტს ხომ შუდამ სჯეროდა:

ვინ გაიგონა ზღვის დაქარცხება?
ო, არა, კლდეებს შენ ცვლა შეუტევ, —
ზღვა დაისვენებს და არ დაცხრება.

მუშათა კლასის წინაშე მაშინ ღიადი პოლიტიკური ამოცანები იდგა. მისი პოეტები პირველ რიგში ამ ამოცანებზე ამახვილებდნენ ყურადღებას და ამას ისეთ პოეტურ ფორმებში აკეთებდნენ, რომ ის გასაგები ყოფილიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მებრძოლი არმიის ყოველი ჯარისკაცისათვის.

ქართული პოეზიის სხვა ფენაგზე სხვა წრიალ გამოსული პოეტები, აგრძელებდნენ რა ეროვნული პოეზიის მოქალქენობრივ ტრადიციებს, ამავე დროს უფრო მეტ ყურადღებას ჭქცევდნენ ლექსის ფორმას. მათ ამის შესაძლებლობაც ჰქონდათ და საშუალებაც. ერთ ნანს ქართული ლექსის განახლება ამ ორი გზით მიდიოდა. ეს გზები, თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს შეერწყნენ კიდეცეს უკვე ჩვენს დროში მოხდა.

ის ჯგუფი მწერლებისა, რომელსაც სანდრო ეული ეკუთვნოდა, შორს იყო მუშისადმი, მშრომელისადმი იმ სენტიმენტალურ-მეშჩანურ დამოკიდებულებისაგან, რომელიც ჩვენ ლიტერატურაშიც გამოკრთებოდა ჟამ-იქ.

ლიტერატურამ — შენიშნავდა ფ. ენგელსი — ადამიანს უნდა შთაუნერგოს რწმენა თავისი შემოქმედებით ძალისადმი. მწერლობამ რიღაც განყენებულ ამოოხერით კი არ უნდა გამოუცხადოს თანგარნობა მუშათა კლასს, არამედ უნდა უჩვენოს მას ბრძოლისა და გამარჯვების გზა. ლიტერატურა მშრომელი ხალხის ხელში ბასრ იარაღად უნდა გადაიქცეს. ახალგაზრდა კ. მარქსი და ფ. ენგელსი სასტიკად აკრიტიკებენენ ეიქენ სიეის რომანს „პარიზის საიდუმლოებანი", რადგან ის უნიათო და მაშასადამე მავნე ფილანტროპიულ იდეებს ქადაგებდა. პოლ ლაფარგმა მძაფრად გააკრიტიკა ემილ ზოლას რომანების ციკლი „რუგონ მაკარები" და ამ კრიტიკას მთლიანად დაუჭირა მხარი ფ. ენგელსმა. „რუგონ-მაკარებში" ე. ზოლა საფრანგეთის მუშათა კლასს ხატავს ამათიერს, პასიურს. სინამდვილეში კი საწინააღმდეგო ვითარება სუფევდა „რუგონ-მაკარების" დროინრის დროს. საფრანგეთის მუშათა კლასი თავდადებით იბრძოდა და იცავდა თავის ინტერესებს. არც ამათიან, არც პასიურობას საფრანგეთის რეალურ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია. ამიტომ არ თვლიდა ფ. ენგელსი ე. ზოლას კლასიკური რეალიზმის გამგრძელებლად. ფ. ენგელსს კი მიაჩნდა, რომ ლიტერატურამ მუშათა კლასს უნდა შთაუნერგოს საკუთარი ძალის რწმენა არა მარტო პოლიტიკური, არამედ მორალური ძალის რწმენა.

მართლაც, რა შორსაა სენტიმენტალურ ფილანტროპიისაგან სანდრო ეულის ეს სტრიქონები:

ამხანაგებო, მზად იყავით,
ხელში გეჭიროთ მახვილი
გახსოვდეთ ჩვენს მტრებს არ სძინავთ,
სურთ ჩვენი სისხლი დაღვრილი.

ძმებო და დებო, დავიცვათ
ჩვენი ჭვეყანა ახალი,
ჩვენი მიწა და ჩვენი ცა
და ხალხი თავისუფალი.

ბევრი ასეთი სტრიქონი მოიძებნება ნახევარი საუკუნის მანძილზე დაწერილ სანდრო ეულის ლექსში, პოემებში, დრამატულ თუ პროზაულ ნაწარმოებებში.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ს. ეულს არ უღალატნია თავისი რწმენისათვის.

თუნდ ქარიშხალი დაჰკრიდეს
მაწვიმდეს კოკისპირულად,
თუნდაც ყინავდეს, თუნდ თოვდეს,
რისხავდეს მიწას ცა მტრულად.

. . . . . .

თუნდ მთვარემ არ გამინათოს,
რწმენის გზას მე არ ავცდები".

რა ძალამ მიანიჭა პოეტს ეს რწმენა? რა ნიადაგზეა დამყარებული ეს უშრეტი და ყოვლის შემძლე რწმენა?

ამ კითხვაზე თვით პოეტი ვეძლევის პასუხს:

„ჩვენ ნათელ გზას — ლენინიზმი დიდი
შეეს ფარქვეეს და მარად მზისებრ ანათებს,
ყველგან წვდება, — მთელ სამყაროს
დაიკლის —
საბოლოო გამარჯვებას ღაღადებს".

მარქსის და ლენინის დიდი მოძღვრება, პარტიაა ამ რწმენის გამჯაფებელი, შთამაგონებელი, გამშტკიცებელი:

„გახსოვდეს: ბევრჯერ ჩვენი სამშე
ბეწვზე ეკიდა,
ბევრს ჩვენგანს მკერდზე ნატყეიარი
დღესაც ატყვია,
მტერი ვვიტეედა და ვვესხმოდა თავს
ყველა მხრიდან,
მაგრამ მტრის ხროვას არ უდრკოდა
ჩვენი პარტია".

ამ დიდმა ძალამ შთაგონა პოეტი, მისი ძალით ცხოვრობს, მოღვაწეობს, ეწევა ხალხის სამსახურს სანდრო ეული.

ამ რწმენამ, ამ დიდმა ძალამ მისცა ს. ეულს პოეტური უნარი ყოფილიყო მტრისადმი /დაუნდობელი და მეგობრისადმი კეთილი და ეუყენარი პატიოსნებით და კეთმამოსილებით აღსავსე ყოველთვის და ყოველ პიროობებში.

ს. ეული ერთიანულად და პატიოსნად ესახურება თავის მშობელ მხარეს, თავის ხალხს, თავის საყვარელ პარტიას. ის ძლიერი, შეუღრეკელი, პრინციპული. ის ო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოგია პაჭკორია

„გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“

მოთხრობების კრებულში ავტორი პირველ რიგში აღწერს იმ მოთხრობას შეიტანს, იმ მოთხრობით გახსნის კრებულს, რომელიც მის ლიტერატურულ მრწამსს ყველაზე-უკეთ გამოხატავს. სწორედ ასეთია ედიშერ ყიფიანის მოთხრობების წიგნის „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“ პირველი მოთხრობა „მისი ხელები“.

პატარა, ულამაზო, შეუმჩნეველი ქალი, განუშორებელი მორცხვი ღიმილითა და მშრომელი ხელებით, ასეთია მელანო. იგი უპრეტენზიოა და თითქმის არ იცის როდესაც მშვენიერებაა მის მოკლე, მოუღელვ ხელებში, რომელნიც გასაოცარი ოსტატობით აკეთებენ თავის საქმეს. და აი ერთხელ კინოოპერატორები იღებენ მის ხელებს, რათა ათასობით ადამიანებს მოუთხრონ მათ შესახებ, მოუთხრონ უბრალო ადამიანზე, რომლის წყლილი ახალი ცხოვრების შენებლობის განუსაზღვრელ მასშტაბებში, ერთის შეხედვით, ასეთი მცირეა.

პატარა ადამიანი თითქო უცვნ იზრდება. იქნებ იგი ისე ლამაზი არ არის, როგორც მისი მეგობარი გოგონა, რომლის თვალებსა და სახესაც კინოკრონიკაში ხანგრძლივად უჭვნებენ, ძაგრამ მისი სილამაზე უფრო მნიშვნელოვანია, დაფარული და ღრმაზროვანი, ესაა სილამაზე მშრომელი, შემოქმედი, ოსტატი ხელებისა, ხელების, რომელიც ძღვევს უფლებას — ქალწულის მორცხვი ოცნებები სინამდვილად გადაქცეოს, იგრძნოს და დაიფასოს მშვენიერება.

„და უეცრად ამ პატარა თითმა დაფარა მთელი დარბაზი, ამ პატარა თითმა, წარმოგიდგენიათ? ამ ერთი ციცქნა თითმა მთელი სამყარო დაფარა. მელანოს ბავშვივით გაეღიმა. ხელნელა წინ გასწია თითი — გამოჩნდა დარბაზი, ისევ თვალთან მიიტანა — დაიფარა მთელი სამყარო“.

მელანომ იცის, ადამიანს მშრომელი ხელები უფრო მეტად ანიჭებენ უფლებას, იყოს ბედნიერი, ვიდრე გარეგნული სილამაზე, მისი ოცნებებიი თამამდებიან, იგი ამაყად თავაწეული მიყვება ქუჩას, უცინის გამვლელებს, უცინის თავის ბედნიერებას და პირველად თავის სიცოცხლეში ებადება სურვილი — გადაუხადოს ხარკი თავის ხელებს, მოუაროს მათ, გაალამაზოს, მიუზღოს სანაცვლო მათ მიერ მინაშეული დიდი ბედნიერებისათვის.

ასეთია სიმღერა მშრომელ და პატარა ხელებზე.

ახალგაზრდა მწერლის ახალი წიგნის წაკითხვისას, პირველი კითხვა ასეთია: რაა ნიშანდობლივი, დამახასიათებელი მის შემოქმედებაში, რომელიც მან განსაკუთრებულ, სხვებისაგან განსხვავებულ ადგილს აკუთვნებს ლიტერატურაში.

ჩემი აზრით, ედიშერ ყიფიანის, როგორც მწერლის, უმთავრესი თვისება ისაა, რომ იგი დიდი გულწრფელობითა და კეთილი სურვილებით ხატავს თავის გმირებს. ე. ყიფიანს ახასიათებს მისწრაფება ფსიქოლოგიზმისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, პუბლიცისტურობისადმი, უმთავრესი კი მისთვის მაინც ადამიანების დიდი სიყვარულია, მათი ბედისადმი წუხილი, შეშფოთებული დამოკიდებულება თავისი გმირების ცხოვრების ჰარმონიის დარღვევისადმი. მან გულია და პატიოსანი სიყვარული იცის, უფრთხილდება ყოველი გმირის განწყობას, ყოველ გმირის ბედს და რაოდენ დრამატიულიც არ უნდა იყოს მათი ხვედრი, ცდილობს გამოსაცალი იმედიანი და ნათელი იყოს; თუ თვით ამბავი არ იძლევა ამის საშუალებას, მაშინ იგი თავის გულისტკივილს უაღრესად ლირიული ფორმით გამოხატავს, ისევ და ისევ სიყვარულით ანელებს უბედობის ტრაგიზმს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობა, რომლის სათაურიც წიგნის თავფურცელს ამშვენებს და ამრიგად ხაზს უსვამს ვარკეული ინტონაციას, მიუთითებს კრებულის შინაგან არსს. ესაა მოთხრობა „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“, მოთხრობა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოირჩევა სახეების სიუხვით. ლექსისებური ტონალობით და განსაკუთრებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლირიზმით. მოთხრობაში აეტორი ერთი მნიშვნელოვანი შეეცენებითი ღირებულების მქონე პრობლემასაც აკეთებს. იგი ერთი წუთით ხდის ფარდას შეაოჭაქცდებით პროცესსის დაფარულ საიდუმლოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, უამბოს ეკითხველს, როგორ იწერება მოთხრობები,

„ბეთალი ითაკლელს სადგურზე მეუღლესა და ბავლს, როიელთაც განეოძლად დიდი ადგილი უკავიათ ბის ცხოვრებაში — ასეთია მოთხრობის წინა პლანი, მაგრამ სადღაც, მოგონების სილრიდან ტიეტოვდება გოგონას სახე, რომელსაც ხლეა არ ეეიაავს, აბბავი სიკებეკეის დროინდელ უაწეკელო, რომანტიული ოა ამალელეული სიყვარულისა, და იგი ჯიუტად მოითხოვს მოთხრობად დაწერას, მასში დიდი დრამატიზმი და ემოციურობა, და იქნება ეოთის ეეხდდეთ თითქმის მეკიოუეებელი სიყვარული გახსაზღრავს მწერლის ეუნებას, მის დაოოკიდებულებას ადამიანებისადმი, მის პოეტურობას. ეოთიერთობა ვიცსა და ქალიშვილს შორის იწეკება, ასე ვთქვათ, კლასიკური ფორმით, აკაა თბილისის სალაშნ, ზაფხული, ხეტიალი ქეჩებში, ანგარიშმოეცემელი სწრაფეკ ერთმანეთისაკ�, სიტყვები შეცალილი შორისდებულებით, ერთის ზეხვდეთ თითქოს და ჩვეულებრივი ამბავი ეთასაზის განმეორებული სიყვარულისა, მაგრამ ცხოვრებაში იკრება მოძალადე, ომი... გოგონა დასნეულდა:

„ის ბაკრი, რომელსაკ ხათუნა უნდა განეკურნა, ომმა შეისუნთქა. ის საკვები, რომელსაკ ხათუნა უნდა მოერჩინა, ომმა შთანთქა", და გოგონა იოუპება, იოუპება ისე, რომ ვერ ასწრებს ზღვის ნახვას, ვერ ასწრებს თავისი ოცნებების განხორიელებას, სიყვარულითა და ცხოვრებით დატკბობას.

ცხოვრობდნენ ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანები, რომელთაკ უნდა ეცხოვრათ ჩვეულებრივი, ომმაზი და ებრალო ცხოვრებით, მაგრამ ომმა შეიტანა ნრამატიზმი მათ ყოფაში, ბააროკია მისი დინება და მოკლა ოცნებები. აეტორს არ შეეძლია შეურიგდეს აზრს— სიკვბეკის პირველი სიყვარული, იმ რამდენიმე დღის განეემორებელი პოეზია, ის უთქმელი სწრაფეკ. ნუთუ ომმა და დრომ უნდა გადამაწყოს? რა თქმა უნდა არა, იგი მოეალეკ ადამიანების წინაშე, იმ გოგონას წინაშე. რომ შეახსნა ძველ ამბავს ნორაკი, გაატიცლოს, მოუთხოოს ხალხს, მოუთხოოს ომის საშინელებაზე, ოცნებების ნგრეკანა და გოგონას ბკდეზე.

ე. ყიფიანი თავის კრებულში არაერთგზის უბრწენდება ომის თემას, „იგი არ აღწერს უშეალოდ ფრონტს ან ომის წლებს, იგი ეაინტერესებელია ომის შედეგებით, იმ საშინელი წლების ნაშთით. რომელიც ადამიანებმა დარჩა და რომელმაც უნდა გაახსენოს ადამიანებს, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ყოველ ცალკეულ კაცს კაცობრობის წინაშე და რომ არავის არ აქვს უფლება ცალკე დაეობლოს ბაეშვები, დაეკერიეოს ქალები, გიიმეოროს ნგრეკანს, ხანძრებისა და ძალადობის საშინელება. ადამიანის ხელები უნდა მეღალოს ხელებს. დიემსგავსონ, ყველა გოგონამ ამ ქეკეანდ უნდა ნახოს ზღვა, ყველა პაბეკმა თვით უნდა შეაკსოს მუნჯ რეკაზეკ თეორი ლაქები (ტიუდი „მუნჯი რეკა"), ყველა მოხეკს უნდა ჰკადეკს სიბერის იმედად პირშეო.

თავისი გაზრებით საინტერესოა ეტიუდი „მოხეკი ქალი და მეომარი", მოხეკი ქალი, რომელსაც ქეჩაში ქმომი გამოჰყავს დასაკლავად, სახეიარიანი მეომრის დანახვისას მალავს დანას, რომელსაც ყველა · გამეულს უუბედდა და თხოოდა დაეკლათ მისთვის ქმთანი, იგი უცეკ ხედვებ, მთელი თავისი კეთილშობიერი ბენებით, ხედვეა, რა უხერხულია ომიდან დაბრუნებული მხეღრისთვის' დანის მიწოდება, უხერხული და მტკივნეულიც.

ამავე თემატურ რკალს განეკუთვნება მოთხრობა „წერო". ყოფილი ჯარისკაკი, ხეიბარი კრანჩა (წერო), რომელმაც ომში ფეხი დაკარგა, თავს იმშვიდებს იმით, რომ მან ფრონტზე მეირე ხანი დაკკო და ამდენად მისი წვლილი უმნიშვნელოა იმ არაადამიანერ საშინელებაში, რაც მისმა თანამებამეულებმა ეეროპის კონტინენტს თავს მოახვიეს. კრანჩი ფიზიკურად ვერ ტანს მილტარიზმს, ყოველთვის მშიდი—ოიისსეერის ოფიცრების დანახვისას ეცეკ ჰკარგავს წონასწორობას, იგი ძალში ხედავს საძულველი ვერმახტის ტრადიციების აღდგენას, ხოლო რა შეეძლია ჩაიენოს ნაცისტების ფსიკოზთან შერწყმელმა გერმანულმა ვერმახტმა, კრანჩმა ეკვე განიცადა. „წერო" ხელოვნურად იმშვიდებს თავის შეშფოთებულ სინდისს, იტყეებს თავს, რადგან არ შეეძლია შეურიგდეს აზრს — იგი პასუხისმგებელია მთელ თავის ხალხთან ერთად, პასუხისმგებელია ჩაგენილი ბორტოტებისათვის. და სწორედ მაშინ, როდესაც წარსული თითქოს დავიწყებას მიეცა, კრანჩის წინაშე ახალი სიმძაფრით წამოდგა ძველი. კურსანტი აღმოაჩინეს ჩამარხული ნაღმები და ყუმბარები. კრანჩი მონაწილეობას იღებდა მათ ჩამარხვაში და ახლა, ათეული წლის განვლის შემდეგ, ნუთუ იგი მონაწილე გახდა ახალი ნგრევისა და სიკვდილისა? მან სიჩქარეში ვერ გაიგო, რომ ნაღმები, გაათვნებელყვეს. ხეიბარი აღშფოთდა, ოღონდ მისი შფოთი ავადმყოფური აფეკქტით გამოხატა. „დამშვიდდით, ბატონებო, ნუთუ ჯარისკაცმა უნდა მოგწოდოთ მშვიდობისაკენ." უმძღვარებს ე. ყიფიანი თავის მოთხრობას გოეთეს სიტყვებს.

დასკვნა ნათელია, ჯარისკაცმაც, ყველა ადამიანმა, ქალმა და კაცმა უნდა დაიცვან მშვიდობა, ცხოვრებისგან დაქანცულმა, სვეგაშაურებელმა ხეიბარმა ეს იცის და მას ელანდება მაკშვები, „რომლებსაც არასოდეს არ უნდა შეერქვათ მეტსახელად „ეერო“.

ომის თემის პარალელურად კრებულში ვითარდება მეორე, ჩვენი ცხოვრების, ყოველდღიურობის, ჩვენი დიდი და მცირე სიხარულისა და მწუხარების ამსახველი თემა; მთელი ციკლი მოთხრობებისა და ეტიუდებისა მოგვითხრობენ ადამიანების შესახებ, რომელთა. ერთის შეხედვით, არასაინტერესო ცხოვრებას დიდი და მნიშვნელოვანი აზრი ახლავს. ასეთია მოთხრობები: „ლია ბარათი“, „სერიოზული ხუმრობა“, „ტიხრი“, „ჰობოი“, რომელიც გაგზრებითა და თუ შეიძლება ასე ითქვას, ინტონაციურადაც ძლიერ ენათესავება „ბის ხელებს“. ეტიუდები „ცა და მიწა“, „ნამღვილი დამნაშავე“, „ოტია მესარეკ“, „დაღვრილი ოქრო“ და სხვა.

განსაკუთრებული ადგილი უკავია მოთხრობას „ბსჯაღვრი მთებისა“, რომელშიც ავტორი ერთხელ კიდევ გამოხატავს თავის ზიზღს ძალადობისადმი და რწმენას, რომ იგი, ვინც ცდილობს დაარღვიოს კანონზომიერება და ბოგონათა ლოგიკური ღინება, ცდილობს უხეშად შეიჭრას სხვათა ყოფაში (თუნდაც ბუნების წიაღში), ვერ იგრძნობს და ვერ შეიფასებს სილამაზეს — ეუცილებლად დაისჯება.

ჩვენ ამ ბოლო დროს ხშირად ვლაპარაკობთ ახალ მოთხრობებზე და იმედიანი თვალით შევეცქერით მთელ რიგ ახალგაზრდა მწერლებს, რომელთაც თამამი ნაბიჯი შემოდგეს მწერლობაში. ამის უფლებას გვაძლევს მათ ნაშრომებზე მუტყველი ნაწარმოებები, რომელნიც გამოირჩევიან ურთიერთობათა სიახლით, ემოციურობით და სხვა. ნუ გადავაჭარბებთ და ნუ ჩავთვლით, თითქოს ისინი უკვე ქმნიდნენ დიდ პრობლემებს, ჯერ კიდევ წინაა „შარა გრძელი“ და მთელი რიგი ტექნიკური და პრობლემატური სიმაღლეები, თუნდაც ინტელექტუალური პრობლემის სირთულე, თანამედროვეობის რიტმის ქარაფეთი ენის სპეციფიკასთან ორგანულად შერწყმის გარდაუვალობა და ა. შ.

შემთხვევითი რიდია ის გარემოება, რომ ჩვენი მწერლობა ერიდება მაგალითად, ინტელიგენციის ყოფის ასახვას, არა მათი ცხოვრების უბრალოდ გადმოცემას (ამის შემთხვევები უხვადაა), არამედ მათი ფსიქიკის, მორალური და ეთიკური სახის დახატვას.

ე. ყიფიანის მოთხრობების დიდი ნაწილი განეკუთვნება თანამედროვე ყოფისა და პრობლემატიკის სფეროს. იგი ქალაქის სპეციფიკით გამსჭვალული, „ქალაქელის“ ხედვის მქონე მწერალია და ხშირად მიმართავს რთულსა და ნაკლებ დამუშავებულ თემებს, რაც სათანადო მწერლურ კულტურას მოითხოვს. ე. ყიფიანი ძალიან ფრთხილ მწერალია, რომელსაც ნაფიქრ შეგნებული მთელი სიმსუქე გარკვეული თემებისა. იგი თამამად ჰკიდებს მათ ხელს და ამუშავებს. მაგრამ სწორედ ზემოთ მოხსენებული მოთხრობებთან დაკავშირებით შეიძლება გამოვთქვათ ზოგიერთი შენიშვნა.

ე. ყიფიანს ახასიათებს თემატური მრავალმხრიობა, მაგრამ უნდა აღენიშნო, ამ მრავალმხრიობას ერთგვარი გარეგნული ხასიათი აქვს, შესაძლოა იმიტომ, რომ მისი გმირების უმეტესობა ძლიერი ენებრების მქონე ადამიანები არ არიან. ზოგჯერ ჩანაფიქრი სქემატურია და ავტორი ნაწარმოებში რამდენადმე პირდაპირად მიემართება დასახული მიზნისაკენ, რაც ერთგვარ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას იწვევს და ხანდახან ნაწარმოებს ნარკვევის ელფერს ანიჭებს. ისეთი მოთხრობები როგორიცაა „სერიოზული ხუმრობა“, „ტიხრი“, „ჰობოი“ ან „ფარდობითობის თეორია“ გარკვეულ. რთულსა და ქვეტექსტით გამოხატულ ინტელექტუალიზმს მოითხოვს, ეს არაა დეკლარაციულ მსჯელობათა მოთხოვნილება, ან წიგნერობის ილუსტრირების აუცილებლობა. განწყობათა, ალქმათა, ნიფიერის მთელი სირთულითა და ყველა თავისი ნიუანსით ასახვა. ზოგჯერ ადამიანში დაბუდებულ წინააღმდეგობათა გაშექებაც გარდაუვალია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეღებულობთ საწყისთა მექანიკურ გამიჯვნას. ისე როგორც მაგალითად მოთხრობა „ტიხრში“. ბოლოსდაბოლოს გაურკვეველი რატომ უნდა უყვარდეს ნათიას ვინმე გოდერძი? მოთხრობაში არ არის ის შინაგანი აზრი, თუნდაც ქვეტექსტი, რომელიც რითიმე გაამარტოლებს ნათიას სიყვარულს. უაღრესად ადამიანური და კეთილშობილი ნათიას რეაქცია გოდერძის ბედისადმი. მისი მსხვერპლის გაღების სურვილი და ბოლოს გოდერძის უარყოფა, რადგან ნათიას გოდერძისგან დანაშაულის აღიარება და მონანიება ჭირდება და არა გამარჯვებული გოდერძი, რომელმაც შეიძლება კიდევ მიაყენოს ადამიანებს ტკივილი. ყველაფერი ნათელია და გასაგები. ყველა მათგანი ნათიაც. დედამისიც, გოდერძიც თავის ადგილზე დგანან, მაშინ რა იწვევს ერთგვარ არასრულფასოვნების გრძნობას? იქნებ იგი რომ ყველა პერსონაჟი ზომაზე მეტად თავის ადგილზე დგას და დრამატული მომფინარეობს არა ადამიანების შინაგან ბუნებიდან. დრამატული თვით ამბავშია, იგი ავტორის მიერაა ჩაფიქრებული, ხოლო გმირები ჩანაფიქრის განხორციელებას ემსახურებიან მხოლოდ.

მე ზევით უკვე აღენიშნე „ბისი ხელებისა“ და „ჰობოის“ მსგავსება, მათ წყვილ მივუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებდი მესამე მოთხრობასაც „ღია ბარათი“, რომელიც თავისი ინტონაციით და ჩანაფიქრითაც პირველ ორს ენათესავება. პატარა ადამიანები არ არსებობენ, ამდაგვარი დაყოფა იმდენად უსაფუძვლოა, რომ ბოლოსდაბოლოს ისინი ყოველთვის იგებენ თავისი პიროვნების მნიშვნელოვანებას. ასე სწამს ე. ყიფიანს და უნდა ითქვას მას ალბათ დიდ სიამოვნებას ანიჭებს, მოეთხოვოს მკითხველს თავის თვალში უცებ ბაზრდილ ჰობიოზე დამკვრელზე, ან მედოლე კინომექანიკოსზე, რომელსაც გასაოცრად ფაქიზი და ღრმა იუმორის გრძნობა აღმოჩჩენია. მე ვფიქრობ ამ შემთხვევაში და, წაკრთოდ, ყველა მოთხრობებში თავს იჩენს ავტორის დიდი გულწრფელობა, კეთილი სურვილები და სიყვარული, ასეთია იგი როგორც პიროვნება და როგორც მწერალი. ოღონდ იქნებ ზომაზედ მეტად მართალი, მეტად დამორჩილებული მოთხრობის წერის კანონებს.

განსაკუთრებით მინდა შეეჩერდე მოთხრობაზე „დაღვრილი ოქრო“. მოთხრობა გამოიჩჩევა გასაოცრად ბუნებრივი ადამიანური ტკივილით და ტკბილი, იმ ავტორისეული ტკბილი, რომელიც ცოტა არ იყოს უხერხული სიტყვაცის მიუხედავად გმირისადმი პატივისცემის გრძნობას იწვევს. „დაღვრილი ოქრო“, ფუქად ჩაკლილ ახალგაზრდობის სევდაა, იქნებ არ არის მართალი ფუქად ჩაკლილის თქმა. მრავლის სიტპატეკეს ფუქად არ ჩაუკლია. იგი იბრძოდა სამშობლოსთვის, მაგრამ ეს არ იყო სიპატეკე, და როცა დაბრუნდა, როცა ისევ ჩაერთო ჩვეულებრივ ცხოვრებაში, ხელმოკვეთილმა და ნაშრომმა იგრძნო, დანაკარგის სიმძიმე, მას მოსწყვეტდა ახალგაზრდობა, მოუნდა მოგვიანებით მაინც ეგრძნო იგი, რაც თავის დროზე ვერ განიცადა. ეს სოფლად ბუნებრივი და კანონზომიერი გრძნობაა. ჯაბეკი, და საერთოდ ადამიანი, არც კი ფიქრობს იმ ჩვეულებრივ ამბავთა ფასისა და მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ყოველდღიურობას ახლავს, მხოლოდ მაშინ შეიგნებს მათ არსს, როცა დაკარგავს და დაგვიანებით დაუბრუნდება. მერაბს იზიდავს სიჯაბეკე, იზიდავს ანცი თამაში, მუსიკა. სილამაზე, მას სურს მოგვიანებით მაინც იგემოს ყოველივე ეს, რაც ომმა წაართვა და ეტანება ახალგაზრდათა საზოგადოებას. იგი გრძნობს, რომ შექმნილი მდგომარეობა რამდენადმე კომიკურია, მაგრამ არ შეუძლია და არც უნდა უარყოს ზურაბისა და ბიძინას მეგობრობა, რადგან ისინი მერაბს თავის სილამაზეს, სიჯანსაღეს და სიჯაბეკეს უზიარებენ და მათ საზოგადოებაში იგი თითონაც თავს ისე გრძნობს, როგორც ჯაბეკი. მთელი მოთხრობა გამსჭვალულია წუხილითა და თანაგრძნობით, იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო თბილი მოთხრობაა კრებულში, თბილი და სხვათაშორის ფსიქოლოგიურად უფრო რთული, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს და თუნდაც ისეთ მოთხრობასთან შედარებით როგორიცაა „სერიოზული ხუმრობა“ ან „ნამდვილი დამნაშავე“.

ყოველ ამბავს აქვს თავისი შინაგანი რიტმი და იგი პოეტობს გამოხატულებას ნაწარმოების რიტმში. მოთხრობილი ამბავი, მის მიერ გამოწვეული განწყობა განსაზღვრავს ნაწარმოების ექსპრესულობასა თუ ეპიერ სიღინჯეს, ქმნის ინტონაციურ მრავალფეროვნებას. ამ თვალსაზრისით მოთხრობები „მისი ხელები“, „ჰობოი“ და „ღია წერილი“ განსხვავებული მოთხრობისაგან „გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს“, ან „მსჯავრი მთებისა“, „ტიხრისაგან“, მაგრამ მაინც კრებულს ახასიათებს ერთგვარი რიტმული უცვლელობა. ერთი მოთხრობიდან მეორე მოთხრობაზე გადასელისას შექმნილი განწყობა, ან ტონალობა (რაც არა მარტო ლექსს შეეხება, პროზას კიდევ უფრო დიდი შესაძლებლობები აქვს სტილისტური, რიტმული და ინტონაციური მრავალფეროვნებისა) არ იცვლება. საერთოდ კრებული ინტონაციურად თანაბარ შთაბეჭდილებას ქმნის, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ავტორის მიერ ციკლის სპეციალური შერნკვით.

ე. ყიფიანი ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობის მქონე მწერალია. თუ ვიმსჯელებთ წარმოდგენილი წიგნის მიხედვით, მისი ლიტერატურულ კონცეფციის არსად არ გამოუცია რაიმე მნიშვნელოვანი გარდაქმნები და წინააღმდეგობები. ყოველთვის იგრძნობა გარკვეული დამოკიდებულება ადამიანებისა და მოვლენებისადმი, რომელთა საფუძველიც დიდი ადამიანური ჰუმანიზმია, აქტუალობა და ინტერესი თანამედროვე პრობლემატიკისადმი. იგი შშვიდი ნერვებისა და ხედვის მქონე შემოქმედია, რომლის დაკვირვებული თვალი ამჩნევს ყოფიერ წვრილმანებიდან დაწუხებულ დღეს დღის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას.

ე. ყიფიანმა ქართველ მკითხველს მიუძღვნა მოთხრობების კარგი კრებული და ჩვენ ვიმედოვნებთ — მომავალი ნაწარმოებები ახალ-ახალი გამარჯვებების საწინდარი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან გოთუა

ფრიად მომწიფებული საკითხი

საკითხი, რომელსაც მე ქვემოთ შევეხები, ძარგა ხანი დაიყენა ჩვენმა ცხოვრებამ და მეცნიერებამ. ახლა იგი უკვე გადაუდები, მე ვიტყოდი, საჭიროროტო საკითხად იქცა. ამას ყველა დაკვირვებული გრძნობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა აღნიშნავს და მის დაბეჯითეთეით გადაჭრას მოითხოვს.

ამ ფრიად მომწიფებული საქმის მოგვარებადანხორციელების სფეროში გადატანის მიზნით, გარდა ზოგადი გამოხმაურებისა, მე მინდა ამ წერილს პირდაპირ მათი მისამართიც მივეცე, ვინც უშუალოდ ხელმძღვანელობს ჩვენი განათლებისა და მეცნიერების დარგებს, სახელდობრ — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თ. ლაშქარაშვილისა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ნ. მუსხელიშვილის მისამართი.

ჯერ რამდენიმე ცხოვრებისეული მაგალითი, რომლის მოწმეც მე თავად გახლდით: ქართული სკოლის მასწავლებელმა თავისი შვილი რუსული სკოლიდან ქართულში გადაიყვანა. ბავშვს ანგარიშში დასჭირდა დახმარება. დედა თავად ამზადებდა. მე შემთხვევით დავესწარი შინაურ გაკვეთილს...

— სამოცდაჩვიდმეტი... — უკარნახა დედამ. მე ჩავიხედე ბავშვის რვეულში. მან გულმოდგინედ, დამარცვლით გაიმეორა და დაწერა: 3, 20 და 17... ამან ფრიად ჩამაფიქრა.

ერთ სხდომას დავესწარი მწერალთა კავშირში. მოახსენებელი „შესანიშნავი ქართველთ მეტყველებდა, მაგრამ ჯერი რიცხვების ტაბულაზე მიდგა. მას ერთი-ორჯერ ენა ამოებორკა და უმალ რუსულზე გადავიდა, რიცხვები ჩათავა და ისევ ჩინებული ქართულით განაგრძო.

ტელეფონის ნომერი რომ იკითხოთ, ხომ ყველა, განურჩეველად განათლებისა, რიცხვს არაქართულად გეტყვიან.

ასევეა მაღაზიებში, ბაზრებში, კოლმეურნეობებში... საქმიანობა თუ ვაჭრობა ქართულად მიმდინარეობს, ფასი კი უეჭველად სხვა ენაზე ითქმის.

ასევეა სტატისტიკურ სამმართველოში და ფინანსთა სამინისტროში. არც განათლების სამინისტროს ბუხჰალტერიაა გამონაკლისი. ეკონომისტებს, მოინგარიშეებს, საავაჭრო დარგის მუშაკებს პრაქტიკულად მარტივი ანგარიშისაკენ აქვთ ბუნებრივი მიდრეკილება. ასეთი ცხოვრებისეული მაგალითების ჩამოთვლა საუბედუროდ მრავალზე მრავლად შეიძლება. ყოველ ცოტად თუ ბევრად დაკვირვებულ კაცს იგი ყურში ხვდება, თვალის დახუჭვა კი ამბა რა საკადრისია ან რა საქმის საშველია.

სწორედ ამ საკითხის ირგვლივ ვითხოვ გულისყურს.

სამწუხაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართულ ზეპირ თვლის მოელის საშიშროება. თვლა და მისგან ნაწარმოები სიტყვები კი ენის საგრძნობ ნაწილს შეადგენს.

ვიკითხოთ მიზეზიც. გარდა იმისა, რომ ჩვენ დიდად ძლიერი კულტურისა და პოტენციის ერის ორბიტში ვართ, მთავარი ისაა, რომ რუსული ანგარიში უფრო მარტივია ქართულ ზეპირ თვლაზე. ამიტომ გასაგებიც არის ამ არაქართული, უფრო ადვილი თვლის, მასობრივი შემოჭრა ყოველდღიურ ყოფასა და პრაქტიკაში. ჩვენ კი დაუდგერობას ვიჩენთ ჩვენი თვლის საშუალებების ბუნებრივი განვითარებაგამეჯობესების მიმართ.

მე არ შევეხები თვლის მრავალფეროვან სისტემებს, მათს ავ-კარგობას — ეს სპეციალისტების საქმეა, მე მდფიქრებს და მაწუხებს ჩვენი თვლა ქართული კულტურის დაცვა-განვითარების თვალსაზრისით.

საღღეისოდ ყველაზე სრულყოფილ თვლად — სიმარტივით, მეცნიერული სიზუსტით და პრაქტიკული ხერხიანობით ითვლება ათობითი სისტემა, არაბელ (ინდურ) ციფრებზე დამყარებული. ასეთია რუსული, ინგლისური, იტალიური, გერმანული, არაბული, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა. ქართული თვლა კი ათ და ოცნარევი სახისაა. აქვე ალვნიშნავ, რომ ჩვენი თვლა რაიმე გადაულახავ სიძნელეებს კი არ შეიცავს. ასეთი ან თითქმის ასეთი შეუსაბამობანი მოეპოვება სხვა ენებსაც (მაგალითად, ფრანგულს), მაგრამ მათ ეს ენის პრობლემად არ გადაქცეიათ და მხოლოდ მათემატიკის ფარგლებში დარჩათ. ჩვენი თვლის დამატებითი სიძნელენი ქართულ თვლას არ შეაფერხებდნენ, ისევე როგორც არ აფერხებდნენ მრავალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის განმავლობაში, რომ ჩვენ მარტივ ანგარიშიან ერთი ძლიერ თანდგერძოლში არ ვიყოთ ჩაბმული. ეს გარემოება კი გვავალდებულებს ფხიზლად და ყოველმხრივ შევიფასოთ ჩვენი თვლითი მეურნეობის დღევანდელი ვითარება და მოგვძარცოთ მისი გაუმჯობესებისა და გამარტივების თვალსაზრისით, რათა მან კალად შეძლოს თავისი დანიშნულების ქართულადვე აღსრულება. ამისათვის მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა მისი სხვა მეზობელი, მომძე ერების — რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების და სხვათა თვლასთან თანაბარ პირობებში ჩაყენება. საჭიროა მისი გათანაბროულება, მეცნიერული სიზუსტისა და თვალსაჩინოების გამიზეიტება, ზეპირისა და ნაწერის შეთანაბრება.

ჩვენი საყოველთაო მიზანი უნდა იყოს ქართულ თვლაზედაც გავავრცელოთ ის ზოგადქართული მეტყველებისა და წერის ზედმიწევნითი ივგეგობის უძეირფასესი კანონი.

ამ თვალსაზრისით — ჩვენს ზეპირ თვლაში — მისი ისტორიული განვითარების გზა დასრულებულად ვერ ჩითთელება და მხოლოდ ზეპირ ნაწილში იგი ჯერ კიდევ გასაანგარიშებელ ამოცანადაა დარჩენილი. მაგალითად:

ორმოცდაჩვიდმეტი — 2×20+17=57

ოთხმოცდათი — 4×20+10=90

ჩვენ კი სათვალეებისათვის უკვე გამოყენილი პასუხი და უკეთ ჩამოხვეწილი რიცხვითი სახელი გვესაჭიროება, რომელიც პირდაპირ და არა სიტყვიერი ამოცანის საშუალებით გამოსატანს დაწერილ რიცხვს. პირველადი ანგარიშის ენა თვალსაჩინოდ მარტივი და შუბივით უშუალო უნდა იყოს. ამას მხოლოდ ქართულ ზეპირ თვლაზე ათობრივი პრინციპის გავრცობა და მისი დაწერილ რიცხვთან შეთანაბრება მოგვეცმს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ძირითადად ჩვენს თვლასაც ათობრივი პრინციპი უდევს საფუძვლად — დამწერლობაში მთლიანად (ასო-რიცხვებშიაც და არაბული ციფრების თვისება-გამოყენებშიაც), ხოლო ზეპირში — უმეტეს წილად (ათი, ათასი, ათიათასი და ა. შ.), მაგრამ სიზუსტე ზეპირ თვლაში ბოლომდე დაცული ვერ არის. ზოგ შეჭირალია თუ შერჩენილი ალაათ უფრო არქაული ოცობითი თვლის ნიშნები. ეს „ოცობითი“ ნარეკი, ზეპირ თვლაში შემორჩენილი, მომთაბარე მეცხვარეობის გარდმონაშთი უნდა იყოს. მთა-თეშეთში ხალხის მეტყველებაში ახლაც შეხვდებით ექვსოცს, შვიდოცს და ა. შ. და პირიქით. ქართველური ენის გაწმენდებაში, მაგალითად, სვანურში (ბალსზემოურში) ახლაც იმპარება ზუსტი ათობრივი თვლა.

ეფიქრობ, ჩვენი ამოცანაც შემდეგია:

ჩვენი ზეპირი თვლის დახვეწა ქართული ენის ბუნებიდანვე გამომდინარე წესებით და საშუალებებით... და არა რაიმე უცხო სისტემის თუ ფორმის შემოტანა, ან ენის ხელოვნური გარდაქმნა.

ძველკობერა ოცნარეკი თვლის პარალელურად — თეოლენთ ზეპირი თვლის დამკვიდრება ქართულ სამეცნიერო და სამოსწავლო, სალიტერატურო და სასაუბრო ენაში.

დახვეწილ ათობით სათვალავზე გადასვლის განზრახვას ჩვენში საკმაოდ ხანგძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ სახელოვანი მეცნიერი სულხან-საბა ალნიშნაედა არაბული თვლის უპირატესობას. („ესე **ნოლ** ყოველთა რიცხვთა და ანგარიშთა უმჯობესია... ქართველთა მიკვირიან, რად არ დასჭერიტეს“. სიტყვის კონა, გვ. 7).

ჩვენს სუკუნეში ქართული ზეპირი და დაწერილი თვლის შეუსაბამობა ყველაზე მწვავედ, ბუნებრივია, ჩვენმა მათემატიკოსებმა და ტექნიკოსებმა იგრძნეს.

არაერთი მეცნიერი და მოღვაწე, ზოგი მათგანი არაერთგზის, სპეციალურად ეხებოდა ამ საკითხს და მის მოწესრიგებას მოითხოვდა. ესენი იყვნენ პროფესორები მ. ზალამბერიძე, ვ. კაკაბაძე, გ. გედევანიშვილი, რუსუდან და გიორგი ნიკოლაევები, ინგირბები დ. ბერიკაშვილი, ირ. მაჭავარიანი, ივ. ბერიძე (იხ. „ტექნიკური ლექსიკონი“, 1919წ.), მასწავლებლები ნო დვიძე, ნიკოლოზ სოსელია, მიხ. კუხიანიძე (ალერ. „განათლება,“ №1, 1920 წ. „ახალი სკოლისაკენ, № 2-3, 1924 წ.). ხოლო 1925 წელს თავის „მათემატიკური ტერმინების ლექსიკონში“ უკვე ათობითი თვლა, როგორც ერთადერთი მართებული, შეიტანეს მისმა ავტორებმა — აკაკ. ნ. მუსხელიშვილმა, პროფესორებმა გ. ნიკოლაძემ და ა. ხარაძემ.

1928 წელს ეს საკითხი მზადდებოდა ტერმინოლოგიურ კომიტეტში და 1930 წელს სახელმწიფო სამეცნიერო სამზეოში, სადაც მას ღაფლი დასდო პროფ. ეუოკო ბერიძემ. მრავალი ფრიადდადებითი ცდაა ჩატარებული მასწავლებელთა, მოწაფეთა და ეკონომისტთა შორის. ხოლო 1942 წელს ცდები ჩატარდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტშიაც ა. მოსიიავის მიერ.

სამამეული ომმა დროებით შეაფერხა ამ საქმის გავრცობა და თავის მიმბმა. მაგრამ აზრი ღვიძოდა და მწიფდებოდა. ამ ბოლო დროს კი, ბუნებრივია, ისევ წამოიჭრა ეს მტკივნეული საკითხი. 1959 წელს ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ფოლიანის სპეციალური წერილი. 1960 წელს ამავე ნომრიში გამოქვეყნდა ჩვენი მხცოვანი აკადემიკოსის აკაკი შანიძის ბრძნულად დასაბუთებული წერილი „გადაუდებელი საქმე“.

. რსებობს რამოდენიმე ვარიანტი ახალი ზეპირი თვლისა. მე ამ აღვნიშნავ მხოლოდ უმარტივესს, რადგან ჩემი წერილი საკითხის განახ-

ლებასა და პრინციპულ მხარეს უფრო ემსახურება... დანარჩენი კი სპეციალისტებს, უწერნარეს ყოველსა —მათემატიკოსებსა და ენათმეცნიერებს უნდა მივანდოთ.

10 — ათი — ათი.
20 — ოცი — ოცი.
30 — ოცდაათი — სამათი.
31 — ოცდათერთმეტი — სამათერთი (სამათ-და-ერთი).
39 — ოცდაცხრამეტი — სამათცხრა (სამათ-და-ცხრა).
40 — ორმოცი — ოთხათი.
50 — ორმოცდაათი — ხუთათი.
60 — სამოცი — ექვსათი.
70 — სამოცდაათი — შვიდათი.
80 — ოთხმოცი — რვათი.
90 — ოთხმოცდაათი — ცხრაათი.
100 — ასი — ასი.
155 — ასორმოცდათხუთმეტი — ასხუთათხუთი (ასხუთათ-და-ხუთი)

1555 — ათას ხუთას ორმოცდათხუთმეტი — ათას ხუთას ხუთათხუთი (ათას ხუთას ხუთათ-და-ხუთი) და ა. შ. (უფრო დაწვრილებით იხ. „ცისკარი", № 5, 1960 წ. აკად. აკ. შანიძის წერილი).

შესწავლის თვალსაზრისით ათობით თვლა სოფლად თვალსაჩინოა, ფარტიები და მეტად ადვილი შესათვისებელი. მით უფრო ახლა, როდესაც საყოველთაო სწავლაა. ათობით თვლის სკოლის პროგრამაში შეტანა მომფიფებსაც საგრძნობლად გაუადვილებდა ანგარიშის შესწავლას და უმალ მოაწესრიგებდა საჭირო საქმის პერსპექტივას. ათობით თვლაზე გადასვლა არც უფროსი თაობისთვის შეიცავს რაიმე სიძნელეს და პრაქტიკულად არავითარ დამატებით მეცადინეობას არ საჭიროებს, ისევე როგორც ძნელ გზაზე ჩვენს, სრულიადაც არ „გაუჭირდება" კარგ გზაზე სვლა, ადრე თუ გვიან ქართული ზეპირი თვლა ამ გზას ვერ ასცდება. ათეულებზე მისი გადასვლა ისევე აუცილებელია, როგორც იყო მისი გადასვლა ასოებიდან ციფრებზე... ან როგორც იყო მეტრული სისტემის მიღება. ხოლო თავისი ბუნებით ზეპირი თვლის დაზუსტება, მეტრული სისტემის საპირისპიროდ, ქართული ენის ბუნებაშივე რჩება, მასვე ამტკიცებს, აახლებს, ცხოვრებაუნარიანად ხდის. თავისი შედეგებით კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

ამ საკითხში ჩვენ უფლება არა გვაქვს თვითდინებას მივენდოთ. ან აჭა-ოქ შემორჩენილ ეილაჯო და პერსპექტივდაკარგულ ძველოგბერობას მივცეთ თავი. ქართული ენა ჯერაც მზარდი, აქტიური განვითარების ენაა და კარგი სიახლისთვის მას არაოდეს დაუზშავს გზა. საკითხი ფრიად მომფიფებულია და უნდა გადაიჭრას, მით უფრო, ეს არავითარ დიდ ოპერაციას, განსაკუთრებულ სიძნელეს ან რაიმე საშიროებას არ შეიცავს. პირიქით, სწორედ წინაღუდგება ქართული თვლის საკალო მდგომარეობას და ენის ალრეკას.

ეს საკითხი ჩვენს თაობას ჩაამწიფდა ხელში და ჩვენვე უნდა გადავეჭრათ, თორემ მომავალი თაობა ამას მანნე გაკეთებს და, სულხან-საბას თქმისა არ იყოს, გაიკვრებს „ანგარიშთა უმჯობესი რად არ დაეჭირიტეთ".

მეოცე საუკუნე ზომ ატომისა და კიბერნეტიკის საუკუნეა, ეს კი, უწერნარეს ყოველსა, მათემატიკურ საუკუნეს ნიშნავს. ამ უზუსტეს მეცნიერებას ქართულ თვლაშიაც ყოველდ ზუსტი, თვალსაჩინო და მოქნილი საწყისი უნდა გააჩნდეს, თუ არ გვინდა ჩამოვრჩეთ. ათეულებზეა აგებული მთელი თანამედროვე მათემატიკური მეცნიერება და მისი აღმურვილობა — ყველა აღმრიცხველი, არითმომეტრი, ლოგარითმული სახატაები თუ მთელული მანქანა.

ჩვენთვის ასეთ გაუმჯობესებას, გარდა დიდი ზოგადი კულტურული მნიშვნელობისა, უალრესად პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ახალი, 1961 წლიდან, ფულის მასშტაბის გამოცვლასთან დაკავშირებით, ფრიად დართოდ იწარჩოებს წვრილი ფულით აღებ-მიცემა, ხოლო ჩვენში კარგა ხანია გადავარდა თხუთმეტშაურობით, ექვსაბაზობით, ცხრათეშნობით თვლა. უთუოდ შეიქნება კაპიკობით ვაჭრობა და, თუ ისევ რთულ-ქართული სამოცდათხუთმეტი ან ოთხმოცდაცხრამეტი არ გავამარტივეთ—75 — შვიდათხუთად ან 99 — ცხრათცხრად, დიდი უმოქალულოობა მარტივ, არაქართულ თვლას ძალაუნებურად უფრო მიუბრუნდება.

ვფიქრობ, დროულია შედგეს სპეციალური კომისია, რომელიც შეაგროვებს, შეისწავლის და შეაჯამებს არსებულ მასალას და პროექტებს. უხელმძღვანელებს დამატებითს შემოწმებებსაც და ცდებსაც. არც ზედმეტი დაჩქარებით, მაგრამ ადარე დავიანებით, შეიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს.

სავსებით გასაგებია და აუცდენელი, მოძველებული ნარეკი თვლის დროებითი თანაარსებობა, ვიდრე თვით ცხოვრება, სულ მოკლე ხანში, მივიწყებას არ მისცემს უფრო რთულსა და არაპრაქტიკულს — ორმოცდათექვსმეტს, სამოცდათვრამეტს, ოთხმოცდაცამეტს და მათ ისევე დატოვებს ვიწრო ლტერატურულ და ლექსიკონურ მასალად, როგორც შვიდო�t, ერგასს, უშტს, უშქარს და სხვა მრავალს.

ქართული ზეპირი თვლის კანონზომიერი გათანადროულება ჩვენ უნდა განვახორციელოთ ხალხის კარგად გაგებული ინტერესებიდან გამომდინარე. და, რაც უფრო მალე შევძლებთ ამას, მით უმჯობესი... მით უმჯობესი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. გოლდაძე, ი. თოფურია

ძველი ქართული კულტურის საინტერესო სამედიცინო ძეგლი

დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ძველი ქართველი მკურნალის და თანამედროვეთა თქმით „ბრძენმთავრის" ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი", რომელიც მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს ქართული მედიცინის ისტორიის საგანძურში. ტექსტი დღემდის გამოუქვეყნებელი ხელნაწერიდან გამოსაცემად დამუშავა და გამოკვლევა, კომენტარები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მიხეილ შენგელიამ.

უნდა ითქვას, რომ ძველი ქართული ძეგლების ტექსტოლოგიური დამუშავება მეტად რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით საძნელია ექიმისათვის, რომელსაც სპეციალური განათლება არა აქვს მიღებული ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამავე დროს მსგავსი ძეგლების დამუშავება პირველ რიგში აუცილებლად მოითხოვს სამედიცინო მეცნიერების ღრმა ცოდნას. მიხეილ შენგელიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას.

სარეცენზიო წიგნი აღჭურვილია ყველა საჭირო სამეცნიერო აპარატურით, რომელსაც მოითხოვდა ისეთი ძეგლის ეკადემიური გამოცემა.

წიგნი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება:

1. ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილი და მისი „სამკურნალო წიგნი — „კარაბადინი" (გვ. 5-66).
2. სამკურნალო წიგნი — კარაბადინის ტექსტი (გვ. 68-268).
3. ლექსიკონი (გვ. 271—330).
4. საძიებლები (გვ. 331—386).

წიგნის პირველი ნაწილი მიხეილ შენგელიას კვლევას წარმოადგენს, სადაც გადმოცემულია თვით ხელნაწერის დაწერილებითი აღწერა და მისი ისტორია, დადგენილია ხელნაწერის თარიღი და გადამწერთა ვინაობა. შედარებით ფართოდ არის გადმოცემული ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. ავტორს მიუკვლევია ახალი მასალებისათვის ზაზას შესახებ. გარკვეულია, რომ ზაზა თავის შვილთან ქაიხოსროსთან ერთად თავისი დროსასთვის პროგრესულსა და სწორი პოლიტიკური ორიენტაციის მქონე პიროვნებას წარმოადგენდა. დადგენილია, რომ ზაზა ცხოვრობდა სოფელ ოროუბანში (ქარელის რაიონი), მიკვლეულია მისი კარმიდამო, სასახლის საკარმიდამო კოშკის, კარის ეკლესიისა და ბაბანოს ნანგრევები, რომლებიც, როგორც ავტორი აღნიშნავს, გარდა იმისა, რომ ზაზას სახელთან დაკავშირებულ მემორიალურ ძეგლებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვანი არიან, როგორც კომუნალური ჰიგიენის ისტორიისათვის საინტერესო მასალა. ავტორი აღწერს ციცაშვილთა საგვარეულო ღერბს, რომლის ოფიციალურ აღწერილობაში საჭირო კორექტივის შეტანის შემდეგ მისი სიმბოლური გამოსახულებანი „ეხმაურება ზაზას მრავალმხრივ მოღვაწეობას" და კერძოდ მის საექიმო საქმიანობას. დასასრულს, ავტორი იხილავს როგორც ამჟამად, ისე 1950 წელს გამოცემულ ტექსტს და ანალიზს უკეთებს ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილის მოელს შემოქმედებას.

ძეგლის ტექსტოლოგიური ანალიზის შედეგად გარკვეულია მეტად საინტერესო საკითხები ძველ ქართველი მედიცინის ისტორიიდან; ძეგლში განხილულია მედიცინის ზოგადი საკითხები: პათოლოგიის არსი, დაავადებათა დიაგნოზის დაზუსტების მეთოდები, ავადმყოფის გამოკვლევის მეტად რაციონალური სქემა, ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ჰიგიენის მთელი რიგი საკითხები. ტექსტის უდიდესი ნაწილი განკუთვნილია ფარმაკოლოგიის ზოგადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პრაქტიკული საკითხებისადმი, სადაც განხილულია 14 სახის სამკურნალო საშუალებათა ფორმა, 450-მდე ცალეული რთული შემადგენლობის ნაერთი, რეცეპტების სახით.

მეტად საგულისხმოა, რომ იმ დროს მედიცინაში ცალკე თავად ყოფილა ჩამოყალიბებული მომწამვლელ ნივთიერებათა მთელი რიგი საკითხები. წიგნში ცალკეა აღწერილი 43 მომწამვლელი ნივთიერება და მათი ანტიდოტები. ამ მხრივ ზაზას სამკურნალო წიგნი მეტად უნიკალურია სხვა სამედიცინო ძეგლთა შორის.

ინტერესს მოკლებული არ არის ზაზას მსოფლმხედველობის საკითხი. სრულიად სამართლიანად წერს ატტორი, რომ ანატომიისა და ფიზიოლოგიის საკითხების ზაზასეული განმარტებები „სცილდება საკუთრივ სამედიცინო ინტერესების ფარგლებს და... მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის". სავსებით ბუნებრივია, რომ ძველი ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მკვლევარმა ძველი სამედიცინო ძეგლებიც და მათ შორის ზაზას „სამკურნალო წიგნიც" უნდა მიიჩნიოს ერთ-ერთ ძირითად წყაროდ, რადგან ცნობილია, რომ მედიცინა განუყოფელი იყო ფილოსოფიისაგან. „იცოდე რომელ აქიმნი და ფილოსოფოსნი ერთნია. მათ შორის საცილობელი არა არს" — ხშირად ვხვდებით ასეთ ფრაზას ძველ სამედიცინო ძეგლებში.

ფეოდალური საქართველოს ორ ძირითად მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობას შორის ზაზა აშკარად მიეკუთვნება საერო-მატერიალისტურ აზროვნებას. აზროვნების ცენტრად აღიარებულია ტვინი, და ცალკეული ორგანოების მამოძრავებლად — ტვინიდან გამოსული ნერვები. თვით ფსიქიკური დაავადებებიც კი ტვინის პათოლოგიის შედეგად არის მიჩნეული. იგი პირდაპირ უარყოფს ამ დაავადების მისტიკურ ბუნებას, როგორც „ღრმნეულთაგან გამოწვეულს" და უნიშნავს წამლებით მკურნალობის რაციონალურ მეთოდებს. მისი მატერიალისტური მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს გარეშე პირობების, აღზრდისა და სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორების ორგანიზმზე ზემოქმედების კანონზომიერებათა განხილვა. ზაზას იქვე მოცემული აქვს აგრეთვე შეძენილი, პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობაში გადაცემის იდეა, რაც წინაადმდეგ ვეიმანან-მორგანის მოძღვრებისა, როგორც ავტორი (მ. შენგელია) ამბობს, „საკვირველად ეხმაურება პავლოვის ღრმა მეცნიერულ კონცეფციას პირობითი რეფლექსების მემკვიდრეობაში გადაცემის შესახებ".

თვით ზაზასეული ტექსტი (გვ. 69—268) კარგად არის დამუშავებული, რესტავრირებულია ზოგიერთი სიტყვა, გამოყოფილია თავები და ქვეთავები. კონტექსტის მიხედვით მიცემული აქვს ახალი დასათაურებანი. თვითეული გვერდი მომარაგებულია სათანადო შენიშვნებითა და კომენტარებით სქოლიოში, და სხვა.

მეტად შრომატევადი და რთული მეცნიერული აპარატური (ლექსიკონი, საძიებლები) შედგენა. უნდა ითქვას, რომ ის უდიდესი კეთილსინდისიერებით არის დამუშავებული. კარგია ლექსიკონი, დიდერეფერებულად არის დამუშავებული საძიებლები: ცალ-ცალკეა მოცემული საგნობრივი, პირთა და დაავადებათა საძიებლები, სარჩე-საძიებელი, რაც მეტად გაუადვილებს წიგნის გამოყენებას როგორც ცალკეულ მკვლევარებს, ისე დაინტერესებულ მკითხველებს.

ამგვარად ზაზა ფანასკერტელ-ციცაშვილის „სამკურნალო წიგნის" სახით ძველი ქართული კულტურის მეტად ძვირფას მკვლევს კიდევ ერთი მეტად საინტერესო წიგნი შემატა. იგი ძნიშნელოვან წყაროს წარმოადგენს ძველი ქართული მედიცინისა და საერთოდ საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის.

წიგნი კარგად არის გამოცემული, დასურათებული ზაზას სახელთან დაკავშირებული მემორიალური ძეგლების ფოტოსურათებით, ზაზასა და ვახტანგ VI პორტრეტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბანეთი

ოპერის თეატრში

ტირანის ოპერისა და ბალეტის თეატრში მზადდება და უკვე ამავე სეზონშივე წარმოადგენენ პირველ ალბანურ ბალეტს. ალბანეთის სცენაზე პირველად წარმოდგენილი იქნება ბიზეს ოპერა „ქარმენი“ და პუჩინის „ჩიო ჩიო სანი“, აგრეთვე კრეინის ბალეტი „ლაურენსია“.

არაგეთის გაერთიანებული რესპუბლიკა

ამბავი ნობელის ადამიანებზე

ალექსანდრიის უნივერსიტეტმა ნობელის პრემიაზე წარადგინა 71 წლის ცნობილი არაბი მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და ლიტერატურული კრიტიკოსი თაჰა ჰუსეინი. 40 წიგნის ავტორი, სახელგანთქმული მეცნიერი, ქაროსა და პარიზის უნივერსიტეტების დოქტორი, მრავალი სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებისა და ინსტიტუტების საპატიო დოქტორი, ამეამად არაბული ლიგის კულტურული განყოფილების დირექტორია. მისი დამსახურებები მით უფრო აღსანიშნავია, რომ იგი 3 წლის ასაკიდან ბრმაა.

აშშ

„ძლიერი პიროვნება“

ყველაზე უფრო სახელგანთქმულსა და მრისხანე ქალს ჰოლივუდში წარმოადგენს ელზა მაქსუელი. მთავარი ხელმძღვანელი კლა�, ე. ი. ადამიანთა იმ ჯგუფისა, რომლებიც ტაშს უკრავს ფულზე. ამ ქალზე ბევრადაა დამოკიდებული ყოველი ახალი ფილმის წარმატება თუ წარუმატებლობა. არავინ იცის ელზა მაქსუელის შემოსავლის ნამდვილი რაოდენობა, ეს კია, რომ ჰოლივუდში იგი დიდ გადასახადებს იხდის და აქედან გამომდინარე, დიდ პატივისცემასაც იმსახურებს.

„დროის მანქანის“ ეკრანიზაცია

სტუდია „მეტრო-გოლდ-ვინმა“ შეკმნა ფილმი ჰერბერტ უელსის ცნობილი ფანტასტიკური რომანის „დროის მანქანის“ მიხედვით. ფილმი გადაიღო რეჟისორმა ჯორჯ პელმა. რომანისაგან განსხვავებით ფილმი „ჰეპი ენდიო“ („ბედნიერი დასასრული“) მთავრდება.

ელიზაბეტ ტეილორის უპანასკნელი ფილმი

ამერიკელი კინომსახიობი ქალი ელიზაბეტ ტეილორი (რომელსაც საბჭოთა მაყურებელი იცნობს ფილმ „რაფსოდიით“) უკანასკნელად მონაწილეობს ფილმში „ელეოპატრა“. მთავარი როლის შესრულებისათვის ე. ტეილორი გასამრჯელოდ იღებს ფანტასტიკურ პონორარს 1 მილიონი დოლარის რაოდენობით. მსახიობ ქალს გადაწყვეტილი აქვს აღარ ითამაშოს კინოში და იკმაყოფილოს უბრალო დასახლისის „როლი“.

ჰემინგუეის ახალი რომანი

ამერიკული ჟურნალი „ლაიფი“ იწყებს ერნესტ ჰემინგუეის ახალი რომანის „სახიფათო ზაფხულის“ ბეჭდვას. ამ რომანში მან გამოიყენა ორი ესპანელი ტორეადორის სენსაციური ისტორია, რომელიც შარშან გახმაურდა პრესაში. რომანი ცალკე წიგნად გამოიცემა მომავალ წელს.

სახელების კოლექციონერი

ჩიკაგოს მცხოვრები გაი ტანდერსი ავროვეებს ადამიანთა სახელების „კოლექციას“. კოლექციონერმა დედამიწის სხვადასხვა ქვეყნებში უკვე აღნუსხა 253 ათასამდე სახელი.

აუქციონით

ამ დღეებში ნიუ-იორკში აუქციონზე 60 დოლარად გაიყიდა ვინსენტ ვან-გოგის პირადი წერილი, რომელშიც მხატვარი ძმას სწერს: „თეო, თუ შეგიძლია, გამომგზავნე ცოტა ფული, თუნდაც 5 ფრანკი“...

არტურ მილერი ამერიკული თეატრის შესახებ

ლონდონის გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ამერიკელი დრამატურგის — არტურ მილერის ინტერვიუ თანამედროვე ამერიკული თეატრის საკითხებზე. მისი აზრით, ამერიკული თეატრი სულ უფრო და უფრო დიდ ყურადღებას უთმობს სექსუალურ პრობლემებს და სენტიმენტალური ხდება. ამის მიზეზებს მილერი ხედავს

თეატრების მიდრეკილებაში — გვერდი უუქციონ სოციალურ პრობლემებს და უზრუნველყონ თეატრების შემოსავალი.

კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია ამჟამად დასავლეთის კულტურა, მილერმა უპასუხა: „ყველაფერი ფასდება პოპულარობისა და აქედან გამომდინარე კომერციული სარგებლიანობის თვალსაზრისით".

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

თომას მანის ნაწარმოებთა სრული გამოცემა

ორივე გერმანული სახელმწიფოს მეცნიერთა ერთობლივი შუშაობის შედეგად მზადდება თომას მანის ნაწარმოებთა სრული კრიტიკული გამოცემა. ტრანსფურტის გამომცემლობა „ფიშერ ფერლაგი", რომელიც სათავეში უდგას ამ საქმეს, იყენებს თ. მანის არქივს. ამ გამოცემის შემდეგ დაიბეჭდება დიდი გერმანული მწერლის ნაწარმოებთა ბიბლიოგრაფია.

ესპანეთი

ველასკესის იუბილე

მადრიდში ნოემბრის პირველ რიცხვებში დიდი ზეიმით აღინიშნა დიდი ესპანელი მხატვრის ველასკესის გარდაცვალებიდან 300 წლისთავი და ამასთან დაკავშირებით მოეწყო გამოფენა.

იაპონია

მოკაბული ფილმი

იაპონელი კინოკრიტიკოსი აკირა ივასაკი თავის ღია წერილში, რომელიც გაზეთმა „ეხახი სიმბუნმა" გამო ქვეყნა, მოითხოვს იმ ფილმის დემონსტრაციას, რომელშიც ასახულია ნაგასაკზე და ხიროსიმაზე დაგრანილებული ატომური ტრაგედია. ეს ფილმი გადაიღეს წარმოუდგენლად ძნელ პირობებში, მაგრამ აიკრძალა ფენერალ მაკარტურის ბრძანებით გაგზავნილ იქნა ვაშინგტონში. იაპონელმა კინომოღვაწეებმა ფილმის ვაშინგტონში გაგზავნამდე მოახერხეს და საიდუმლოდ გადაიღეს მისი ასლი, რომელიც იქამდე იყო გადამალული, სანამ ხელში არ ჩაუვარდა ერთ-ერთ კინოკომპანიას. კომპანიის დირექტორი უარს ამბობს ამ შემამარწუნებელი ფილმის დემონსტრაციაზე. აკირა ივასაკი აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ეკრანებზე არ უნდათ გაუშვან ფილმი, რომელსაც შეუფლია დიდი სამსახური გაუწიოს მშვიდობის საქმეს.

ინგლისი

უცნაური არჩევანი

ჯერ კიდევ არ დამცხრალა მღელვარება. რომელიც ედინბურგის საერთაშორისო კინოფესტივალზე ამერიკული ფილმის „მე მივადწიე ვარსკვლავამდე" დემონსტრაციამ გამოიწვია. ამ ფილმში ნაჩვენებია გარეშეური ფაშიანი გამომგონებლის ვერნერ ფონ-ბრაუნ ის ცხოვრება. ეს ის ბრაუნია, რომელის გამოგონებაული ფაუ-2 მეორე იმპერიალისტური ომის დროს დაუნდობლად ბომბავდა ლონდონს. ფილმი ვერნერ ფონ-ბრაუნს, რომელიც ამჟამად აშშ რაკეტული იარაღის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტთაგანია, გვიხატავს როგორც მამა ანრამის ბატკანს და ლამის მშვიდობისათვის მებრძოლადაც წარმოგვიდგენს. თავხედობა იქამდეც კი მივიდა. თუმცა სჯერო ყოფილა ვერნერ ფონ-ბრაუნის დასწრება ფილმის პრემიერაზე ედინბურგის ფესტივალზე. ამან ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ფესტივალის მრავალრიცხოვან კომიტატოთაგან ერთ-ერთი კომიტეტის მთავარი თავმჯდომარე დირექტორი ჯონ გრიგსონი იძულებული გახდა საჯაროდ განეცხადებინა: „უნდა ითქვას, რომ ამჟამად ეს არჩევანი უცნაურია. ფესტივალმა გვერდი უნდა აუაროს ყველაფერს იმას, რასაც მდგომარეობის გამწვავება შეუძლია".

გედის სიმღერა

გამოვიდა სომერსეტ მოემის ნარკვევების წიგნი „ფოვალსაზრისი", რომელიც უზოცესი მწერლის განცხადებით მის უკანასკნელ წიგნს წარმოადგენს, რადგან ამის შემდეგ იგი აღარაფერს აღარ დაწერ ს. წიგნი შეიცავს ხუთ ვრცელ ესეის. მას ახასიათებს მოემისათვის ჩვეული მსუბუქი სასაუბრო ტანი. წიგნში საუბარია გოეთეს რომანებზე. XVIII საუკუნის ინგლისური პროზის საფუძვლებზე, ნოველის, ლიტერატურული ფორმის ისტორიაზე და, ბოლოს, უკანასკნელი ასეული წლის ფრანგული ლიტერატურაზე. ამ უკან სკნელ საკითხთან დაკავშირებით მწერალს გამოუყენებია ძმ ბის გონკურებისა და მათი მიმდევრების დღიურები. მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი დვაკ ინ ოვეს, განსაკუთრებით საინტერესოა მისი პირველი ნაწილი და მეოთხე ესეი, რომლებშეც მახვილგონიერულად და პლასტიკურად დახატულია გოეთეს, ჩეხოვისა და კეტრინ მენსფილდის პორტრეტები.

იტალია

ვიარეჯოს პრემიები

ყოველწლიურად იტალიის ზღვისპირა ქალაქ ვიარეჯოში პროგრესულ მწერალთა და მხატვართა საუკეთესო ნაწარმოებებს აჯუფენენენ „ვიარეჯოს პრემიას". პრემიის დამაარსებელმა და ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, იტალიელმ, პოეტმა ლიონიდი რეპაჩიმ დიდი გაჭირვებისა და წინააღმდეგო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲐᲗᲝ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲫᲒᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲮᲠᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 38 ᲬᲚᲘᲡ ᲫᲕᲠᲘᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲪᲕᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲙᲘᲜᲝᲚᲐᲛ ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲚᲘᲠᲘᲙᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲪᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲤᲚᲘᲡ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲬᲘᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲪᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲙᲘᲜᲝᲚᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲜᲐ ᲓᲔᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲡ ᲛᲘᲜᲪᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲪᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲫᲣᲚᲘ ᲛᲐᲚᲔ ᲘᲮᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲞᲝᲚᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲛ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲫᲣᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲔᲡ ᲘᲓᲔᲘᲓᲐᲜ ᲘᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲚᲘᲡᲛᲔᲚᲘ.

ᲧᲠᲘᲚ ᲙᲘᲓᲔᲗᲘ 1949-50 ᲬᲬ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲗ ᲙᲐᲠᲒᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲜ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐᲒᲜᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲫᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲔᲡᲬᲠᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲘ ᲔᲬ. "ᲐᲜᲢᲘᲕᲘᲠᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ" ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲜᲘᲗᲔᲑᲐᲛᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲙᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲯᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ. ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲫᲣᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲔᲡ ᲘᲓᲔᲘᲓᲐᲜ ᲘᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲚᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲯᲔᲠᲘ ᲙᲘᲓᲔᲗᲘ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲜ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲗᲐᲒᲜᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲫᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲔᲡᲬᲠᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲘᲗ ᲒᲐᲛᲘ ᲔᲬ. "ᲐᲜᲢᲘᲕᲘᲠᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ" ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲜᲘᲗᲔᲑᲐᲛᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲣᲙᲔᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲯᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ. ᲞᲘᲠᲘᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲫᲣᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲔᲡ ᲘᲓᲔᲘᲓᲐᲜ ᲘᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲚᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲘᲡᲐᲛᲔ, ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲗᲘᲡ ᲗᲣᲗᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲤᲘᲜᲐ.

— ᲛᲔ ᲙᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲘ ᲕᲐᲠ. ᲛᲔ ᲐᲠᲪ ᲗᲝᲠᲗᲠᲘᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲜᲘᲡ, — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲐ ᲛᲧᲠᲐᲚᲘᲐ, — ᲓᲐ ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲐᲠᲪ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲔᲜᲐ ᲐᲒᲜᲘᲨᲚᲘᲡᲐᲗ ᲗᲣ ᲠᲐᲢᲐᲛ ᲕᲐᲠ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲨᲔᲛᲔᲫᲚᲔᲜᲐ ᲓᲐᲑᲠᲣᲯᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲗᲥᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲗᲘᲡᲬᲘᲜᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲙᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ.

ᲩᲘᲜᲝᲛ ᲮᲘᲜᲩᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲨᲘᲐ

ᲮᲐᲡᲘᲔᲗᲒᲐᲜᲬᲛᲣᲚᲛᲣᲚᲘ ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲪᲔᲜᲖᲝᲠᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲛ ᲮᲘᲜᲩᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲠᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲐ „ᲩᲘᲜᲝᲛ ᲮᲘᲜᲩᲘᲡ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲘᲞᲐᲜᲘᲐᲓᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲛᲝᲯᲝᲡ ᲪᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲛᲝᲛᲐᲒᲜᲘᲡᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲪᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲘᲞᲐᲜᲘᲐᲓᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲔᲜᲘᲗᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲪᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲘᲡ ᲘᲞᲐᲜᲘᲐᲓᲔᲑᲘ“. ᲪᲮᲐᲓᲘᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲯᲔᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲔᲑᲓᲐ. ᲛᲘᲐᲮᲐᲜᲘᲜᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲠᲛᲝᲫᲣᲚᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲕᲔᲡ ᲘᲓᲔᲘᲓᲐᲜ ᲘᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲪ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲮᲚᲘᲡᲛᲔᲚᲘ ᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ.

ᲙᲣᲚᲘᲡ

ᲰᲔᲛᲘᲜᲒᲣᲔᲗᲘ — ᲙᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲘ

— ᲛᲔ ᲛᲬᲐᲓ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲧᲘᲓᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲚᲘᲪᲮᲐᲠᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲨᲔᲫᲒᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

ᲞᲝᲔᲢᲘ ᲥᲐᲚᲗᲐᲡ ᲐᲜᲗᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ცნობილმა რუმინელმა პოეტმა ვერონიკა პორუმბაკუმ შეადგინა პოეტ ქალთა ლირიკული ლექსების ვრცელი კრებული. ანთოლოგიაში თავმოყრილია სხვადასხვა კვეყნების ცნობილი პოეტები. ანთოლოგია, რომელიც შუქარესტში გამოვიდა, შეიცავს 20 ათას სტროფს.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲘᲗᲘ

ᲞᲘᲔᲐᲡᲚᲝᲡ ᲥᲔᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲐ

პიეასოს ფერადი ლინოგრავიურების გამოფენამ პარიზში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ხელოვნების მოყვარულთა შორის. სამე იმაშია, რომ მხატვარმა შეიტანა ახალი ტექნიკა ლინოგრავიურების შემქმნის საქმეში. მან სურათის ფერად ნაწილების ამობეჭდვის წინანდელი ხანგრძლივი პროცესი შეცვალა ახალი მეთოდით, რომელიც საშუალებას იძლევა ლინოლეუმის ერთი ნატეხით მივიღოთ მრავალფერადანი ლინოგრავიურის ამობეჭდილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ პიკასოს ახალი ტექნიკური აღმოჩენა დიდსმარეა გრაფიკოსებს მანამდე თავიანთ ნაწარმოებებს მეტი გამომსახველობა.

ᲑᲠᲘᲯᲘᲓ ᲑᲐᲠᲓᲝ ᲞᲘᲠᲝᲜᲗᲐᲡ ᲤᲠᲬᲐᲚᲐᲓ

ამასწინათ სენ-ტროპეზში ცნობილმა ფრანგმა კინომსახიობმა პიერ ბრასიორმა მოაწყო თავისი სურათების გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა. ამ გამოფენაზე 2 ათას ახალ ფოტოსურათს გაიყიდა ისეთი „აბსტრაქტული“ სურათიც კი, როგორიც იყო „ბრიჯიდ ბარდოს თვალები და პირი“. სათაური თავისთავად მეტყველებს ამ სურათის შინაარსსა და ღირებულებაზე.

ᲐᲥᲐᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲡᲘ

გაზაფხულზე, როდესაც გარდაიცვალა „პოეტების პრინცის“, ამ სასტალი, მაგრამ მოძველებულად და გავლენის სფეროს მოკლებული ტატულის მფლობელი პოლ ფორი, ფრანგულმა ლიტერატურულმა ჟურნალმა „ნოველ ლიტერატურამ“ მოაწყო კენჭის ყრა, რათა პოეტებს ვიქტორ ჰიუგოსა, ვერლენისა და მალარმეს შემდეგ აერჩიათ „პოეტების პრინცი“. აირჩიეს ეიფელ სოუპრეგი. მალე ესეც გარდაიცვალა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კურორტ ფარეტ-ლეზ-ოში, ე. წ. „პოეტების ბაზრობაზე“ პოეტებმა ახალ პრინცად გამოცხადეს ეან კოქტო. აკადემიაში ასლადარჩეულმა ძველმა მემამბოხე კოქტომ იჩქარა კიდევ ერთი სასტალო ტატულის მიღება. მაგრამ პოეტების ერთმა ჯგუფმა, მათ შორის ისეთმა ცნობილმა პოეტებმა, როგორებიც არიან პიერ-ჟან ჟუვი და ანდრე ბრეტონი, წერილებით განაცხადეს, რომ ემზიენ ამ „არჩევნების კომედიას“ და მიაჩნიათ, რომ ეს ტიტული, რა მოძველებულიც არ უნდა იყოს ისევ, უნდა მიეკუთვნოს იმას, ვისაც მსჯის დაუეჭვს პოეტების უმრავლესობა. სიუპერეგი, და შემდეგ ეან კოქტოც, აირჩია პოეტების მმოლოდ ვიწრო წრემ, ამიტომაც არ ცნობენ პოეტების პრინცად „ძალაუფლებას“ და მოითხოვენ ახალ კანონიერ არჩევნებს. თუ პირველმა ტურმა ვერ გამოამჟღავნა გამარჯვებული, უნდა შედგეს მეორე ტური. ამ განცხადებამ, გარდა პოეტისა, ხელი აწერდა ხალხნეგეთის მეტნაკლებად ცნობილი ასზე მეტი პოეტი. პოეტების „სამეფოში“ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთი ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობს პრინცის ტიტულისათვის. მაგრამ კოქტო არ თვლის თავს უზურპატორად .

140-ᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘ

საფრანგეთის 140 გამოჩენილ მოდვაწეს ხელოვნების დარგში დე გოლის მთავრობამ აუკრძალა სახელმწიფო თეატრებში, რადიოსა და ტელეში გამოსვლა. „შავ სიაში“ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი მოღვაწეებიც მოხვდნენ, როგორებიც არიან სიმონა ს ნიორე, დანიელ დელორმი, ფრანსუაზა საგანი და ეან პოლ სარტრი.

140-მა ცნობილმა მოღვაწემ ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლითაც მოითხოვენ ალეირში იმ უსამართლო სისხლისღვრის შეწყვეტას, რომელიც სამარცხვინო დაღს ასვამს საფრანგეთს, მანიფესტი მოითხოვს კოლონიური რეჟიმის აღკვეთას და ალეირის დამოუკიდებლობას.

მანიფესტის მიზეზად 26 ალეირელისა და ფრანგის წინააღმდეგ გაბაპოული ტერორისტული პროცესი იქცა. 12 მათგანს, მათ შორის ფილოსოფოს პროფესორ ფრანსის ჟანსონს 10 წლის პატიმრობა მოუსაჯეს. ამასთან დაკავშირებით ეან პოლ სარტრმა განაცხადა: „ის ფრანგები, რომლებიც ალეირელებს განმათავისუფლებელ მოძრაობაზე ეხმარებიან, საკუთარი თავისუფლებისა და მომავლისათვის იღწვიან“.

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

ᲐᲜᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ბაზელის უნივერსიტეტის 500 წლისთავთან დაკავშირებით ბაზელის სამხატვრო გალერეაში მოაწყო ანგლიური საბერძნეთის ხელოვნების ნაწარმოებთა 600-მდე ნიმუშის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია მონეტები, ძვირფასი სამკაულები, 300 ლარ-

ნაკი, სკულპტურის ნაწარმოებები და სხვა. სამხატვრო გალერეამ ექსპონატები გაცვლითი წესით მიიღო პარიზის ლუვრიდან, რომიდან, სირაკუზიდან, მიუნხენიდან და ოჰაიოს შტატის კლივლენდის მუზეუმიდან.

ᲩᲘᲚᲘ

ᲞᲐᲑᲚᲝ ᲜᲔᲠᲣᲓᲐᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ

ცნობილმა ჩილიელმა პოეტმა პაბლო ნერუდამ დაწერა ახალი ნაწარმოები ჩილიში, მომხდარი მიწისძვრის მსხვერპლთა შესახებ. პოემის დასურათებას ხელი მოჰკიდა ესპანეთისა და ლათინური ამერიკის მეკრმა ცნობილმა მხატვარმა. წიგნი გამოიცემა მდიდრულად და მთელი შემოსავალი მოზმარდება მიწისძვრით დანგრეული ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეს. ილუსტრაციებს ხატავენ პაბლო პიკასო, მირო, ბორესი, სალვადორ დალი და ბრაზილიის, მექსიკის, ჩილისა და ვენესუელის სხვა ცნობილი მხატვრები.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

ᲡᲙᲝᲚᲐᲠᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ ᲗᲘᲑᲘᲗᲨᲘ

ტიბეტის დედაქალაქ ლხასაში საშუალო სკოლა დაამთავრა 130 მოსწავლემ. ამ ახალგაზრდებმა, პირველად ტიბეტის ისტორიაში მიიღეს საშუალო განათლება ტიბეტშივე. ლხასაში იხსნება ახალი საშუალო სკოლები, რომლებშიც უკვე ამ სასწავლო წელს 700-ზე მეტი ტიბეტელი ახალგაზრდა მიიღებს განათლებას.

ფასი 6 მან.

ფასი 1961 წ. 1 იანვრიდან 60 კაპ.

2 коп.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»